გიორგი პოდლესკიხი,
ანდრეი ტერეშონოკი

# კანონიერი ქურდები:

## ნახტომი ხელისუფლებისაკენ

გამომცემლობა „მოწამეთა“

ქუთაისი
1995

გიორგი პოდლესკიხისა და ანდრეი ტერეშონოკის წიგნი „კანონიერი ქურდები, ნახტომი ხელისუფლებისაკენ" მოსკოვში ამ ერთი წლის წინათ გამოვიდა. იგი სუკის იმ თანამშრომლების დოკუმენტური მონათხრობის საფუძველზეა შექმნილი, რომლებიც ამ უძლიერესმა ორგანიზაციამ დამნაშავეთა სამყაროში შეაგზავნა. ვინც ამ წიგნს ბოლომდე წაიკითხავს, მიხვდება, რომ არც ისე მომხიბლავი, დემოკრატიული და ძმათმოყვარული ყოფილა „იქეთა" სამყარო, პირიქით, ათასგვარი გარიგებების, მაქინაციების, ელემენტარული ზნეობისათვის შეუთავსებელ მოქმედებათა არენად ქცეულა იგი. და მაინც... „კანონიერი ქურდები, ნახტომი ხელისუფლებისაკენ" დამნაშავეთა სამყაროს შესწავლის, მათთვის დამახასიათებელ ჩვევათა თუ საქმიანობათა ქაღალდზე გადმოტანის პირველი ცდაა. ამიტომ აქ ბევრ საინტერესოს და ახალს ნახავს მკითხველი, გაიცნობს ბოლო ხუთი წლის მანძილზე ყოფილ სსრკ-ში მოქმედ კანონიერ ქურდებს (წიგნს ქურდული სამყაროს ავტორიტეტთა სიაც ერთვის) მისი ქართულ ენაზე გამოცემა იმითაცაა გამართლებული, რომ შიგ უამრავი ქართული სახელ-გვარი შეგხვდებათ.

მკითხველს გვინდა ვურჩიოთ, არ გაასხვისოს წიგნი, რადგან მთარგმნელს ქართულ კრიმინალურ სამყაროზე სწორედ ამგვარი, დოკუმენტებით შეჯერებული წიგნის გამოცემა აქვს ჩაფიქრებული.

„კანონიერი ქურდები, ნახტომი ხელისუფლებისაკენ" იმ ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი წიგნია, რომლებსაც გარკვეული ცდომილებისაკენ აქვთ მისწრაფება და „იქაური ცხოვრება" „სამოთხედ" ეხატებათ. ვფიქრობთ, ეს წიგნი ჩააფიქრებთ და ბევრ რამეში გაათვითცნობიერებთ მათ.

თარგმნა თ. არეშიძემ

წიგნი გამოდის მთარგმნელის ხარჯით

## პატივცემულო მკითხველო

წიგნი, რომელიც თქვენ გიჭირავთ ხელში, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი პრობლემის — ორგანიზებული დანაშაულის შესახებ მოგითხრობთ. ეს თემა საჭირბოროტოა და მსგავსი წიგნები მომავალში უფრო მეტი შეიქმნება.

ეს წიგნი კი უნიკალურია. საქმე იმაშია, რომ ავტორები იყენებენ სუკის იმ თანამშრომლის ჩანაწერებს, რომელიც უშიშროების კომიტეტმა შეაგზავნა კრიმინალურ სამყაროში და რამდენიმე წლის მანძილზე, როგორც იტყვიან, „შიგნიდან" სწავლობდა მათ ცხოვრებას.

გვერწმუნეთ, მან ეს სამყარო იცის...

რუსეთში ტრადიციულად დამნაშავეებს ხალხი ცნობისმოყვარეობითა და თანაგრძნობით ეკიდება, რაც ფოლკლორსა და ლიტერატურაშიც აისახა. ამის მაგალითი უამრავია, მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო ე. წ. „ბლატნოი", ქურდული სიმღერებია, რომლებიც დიდხანს შემორჩება ხოლმე ადამიანთა მეხსიერებას.

მაინც რას უკავშირდება დამნაშავეთა სამყაროს ეს აშკარა და არც თუ ისე გამართლებული რომანტიზირება? შეიძლება ამაში გამოვლინდა რუსეთში ტრადიციულად გამეფებული ტოტალიტარიზმის საწინააღმდეგო სტიქიური პროტესტი, ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ სამართლისმოყვარე დასავლეთის ქვეყნებში არ შეიმჩნევა. თუნდაც ინგლისში, კეთილშობილ ყაჩაღს რობინ ჰუდსა ან ბაირონის კორსარს დღეს არ ჰყავთ ღირსეული მემკვიდრეები, ხოლო რუსეთში, ვანკა კაინს კი — და მერე როგორი!

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველი დარწმუნდება, რომ დღეს ჩვენში გავრცელებულ დანაშაულობებში რომანტიზმის ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნევა, ის პრაგმატული და სისხლიანია.

ვიღაცამ სწორად შენიშნა, დამნაშავეობა საზოგადოების ერთგვარი სარკეა. სწორედ ამ სარკის შესახებ მოგითხრობთ ამ წიგნში, ჩაიხედეთ მასში და როგორც ძველ დროში ბრძნულად ამბობდნენ: „სარკეს აღარაფერს დააბრალებთ".

დამნაშავეობა ყოველთვის არსებობდა, არსებობს, იარსებებს და ამდენად იგი საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ათეული წლების მანძილზე გვარწმუნებდნენ, რომ ნათელი მომავლისაკენ მიმავალ გზაზე დამნაშავეობა თანდათან შემცირდებოდა, საბოლოოდ კი სულ გაქრებოდა კიდეც, რადგანაც მას არ ექნებოდა „სოციალური ფესვები". მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ფორმაციათა და სხვა გარემოებათა ცვლისა, იგი არსებობდა, არსებობს და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, კიდევ დიდხანს იარსებებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, დასავლეთში მას აქვს თავისი სოციალური საფუძველი (ნარკობიზნესი, პროსტიტუცია, პორნოგრაფია და აზარტული თამაშები), ჩვენში კი ის საზოგადოების ყველა ფენაში აღწევს— კომერციული ჯიხურიდან დაწყებული მინისტრის კაბინეტამდე.

წიგნი დღევანდელი კრიმინალური სამყაროს სრულყოფილი წარმოჩინების პირველ ცდას წარმოადგენს. ჩვენი მეგობრები, თავიანთი კეთილი სურვილების გამო, მის გამოქვეყნებას არ გვირჩევდნენ.

რატომ?

ჩვენში ღრმად არის გამჯდარი შიში ყოველნაირი სტრუქტურის მიმართ, იქნება ეს სახელმწიფო თუ იდუმალებით მოცული კრიმინალური სამყარო. ამიტომ უმჯობესია შორს დაიჭირო თავი და მათ შესახებ რაც შეიძლება ცოტა იცოდე.

მაინც როგორ დაგვღალა ამ შიშმა!

ჩვენ უნდა ვიცოდეთ:

—შესაძლებელია კი დაძაბული, პატიოსანი შრომით ვიშოვოთ იმდენი, რომ ოჯახი ვარჩინოთ და არავინ გაგვქურდავს?

—შეგვიძლია კი ზაფხულის გვიან საღამოს საყვარელ ქალთან გავისეირნოთ და თავდასხმის არ გვეშინოდეს?

—შეგვიძლია კი მშვიდად გავუშვათ ბავშვი მარტო სკოლაში და არ დაგვტანჯოს იმაზე ფიქრმა, რომ შესაძლოა იგი ვიღაც მანიაკის მორიგი მსხვერპლი გახდეს?

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ამ წიგნის გამოქვეყნება, რომელსაც ალბათ მკითხველთა არაერთგვაროვანი შეფასება

მოჰყვება.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი რეალური მოვლენების საფუძველზეა დაწერილი და მასში გამოგონილი კი არა, ნამდვილი ადამიანები მონაწილეობენ, იგი მაინც არ არის დოკუმენტალური, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, იდეალური იქნებოდა, ყოველივე ის, რის შესახებაცაა მოთხრობილი, შეგვემოწმებინა, დაგვეზუსტებინა, მაგრამ როდესაც წიგნის ბოლო გვერდს ჩაათავებთ, მიხვდებით, რატომ იყო ასეთი რამ შეუძლებელი.

თუმცა ჩვენი ავტორების მიმართ, იურიდიული ენით რომ ვთქვათ, „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ უნდა გამოვიყენოთ— მათ ისე ღრმად და საფუძვლიანად შეუსწავლიათ ყოველივე, რომ არ შეუძლიათ სიმართლე არ დაწერონ. ამიტომ მათდამი პატივისცემით უნდა ვთქვათ, რომ უფლება აქვთ, საკუთარი აზრი გაამჟღავნონ ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწისა თუ მოვლენის შესახებ.

...თუმცა თუ უკვდავ ამერიკელ იუმორისტთა ხუმრობასაც გავიხსენებთ:„ნუ ესვრით პიანისტს, ის ისე უკრავს, როგორც შეუძლია“.

# წინათქმის მაგიერ

ეგრეთწოდებული კომპეტენტური ორგანოების და, პირველ რიგში, უშიშროების კომიტეტის ოპერატიული მასალები სეიფში ინახება, საიდანაც მათ მხოლოდ არქივისკენ მიუდით გზა. ამიტომ სანამ ეს გრიფით გასაიდუმლოებული საქაღალდეები მტვრის სქელი ფენით არ დაიფარებიან, დილის სინათლეს ველარ იხილავენ, აქედან ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთი ძველი დროის ამბები უფრო ისტორიკოსებისათვისაა საინტერესო, ვიდრე „საქმიანი ადამიანებისათვის".

ეს წიგნი?—მასზე მუშაობის დროს ზოგიერთ პერსონაჟზე ამგვარი შენიშვნების გაკეთება გვიხდებოდა: „დაიღუპა", „მოკლულია".იგი მართლაც ცხელ კვალზე იწერებოდა.

„სახელმწიფო სახელმწიფოში"— დამნაშავეთა სამყაროს უბრალო მეტაფორა როდია. ასეთია საქმის რეალური ვითარება და ამდენად ძნელი არ არის იმ უზარმაზარი იმპერიის სიძლიერისა და საშუალებათა წარმოდგენა, სადაც ბრძანებებს არ განსჯიან, ტყვიის ფასი კი კაპიკია. უცხო ადამიანის ამ სამყაროში შეღწევა უფრო ძნელია, ვიდრე უცხოეთის დაზვერვის აგენტის აშშ-ს ლოს-ადამოსის სამეცნიერო ლაბორატორიაში სამუშაოდ მოწყობა. და მაინც, საბჭოთა კავშირში არსებობდა ორგანიზაცია, რომელსაც შესწევდა ძალა შეესრულებინა ასეთი ფაქიზი, დელიკატური ოპერაციები. ამიტომ საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიუხედავად, სუკის (სუკი—საკავშირო უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი) საქმიანობა მხოლოდ სხვისი თუ თავისი ჯაშუშებითა და დისიდენტებით არ შემოიფარგლებოდა.

მრავალი ფაქტი გახდა ცნობილი უშიშროების კომიტეტის ოპერატიული მუშაკის/ წყალობით, რომელსაც თუნდაც „კაპიტან მალიშევს" დავარქმევთ. იგი მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფოს უმაღლეს ხელმძღვანელთა მიმართ განზრახული ტერორისტული აქტების თავიდან აცილების ოპერაციებში, კაპიტანი მალიშევი შეაგზავნეს დანაშაულებრივ სამყაროში და შემდეგ კარგა ხანს „კურირებდა" შუა ურალის კრიმინალურ სტრუქტურებს. სამსახურებრივი მოვალეობის გამო მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბევრ კანონიერ ქურდთან.

და კიდევ ერთი რამ. კარგადაა ცნობილი, რომ დროდადრო მავთულხლართებს მიღმა ისეთებიც ხვდებიან, ახლოს რომ იდგნენ ხელისუფლების საჭესთან მოკავშირე თუ ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა თუ ოლქებში. სამწუხაროდ, ამ ადამიანებს ახალ და ახალ პრივილეგიათა მოპოვებისათვის ბრძოლაში მათ მოხერხებულ და შეუბრალებელ კონკურენტებთან შედარებით ნაკლებად გაუმართლათ. არაა გასაკვირი, რომ ხანდახან ამ მორალურად გატეხილ პიროვნებებს ლაპარაკის სალერღელი აეშლებოდათ. კაპიტანი მალიშევი კი მოსაუბრეს ყოველთვის ყურადღებით უსმენდა.

ირკვეოდა ასეთი გარემოება: ქვეყნის რიგ რეგიონებში კანონიერ ქურდებს სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე არანაკლები წონა ჰქონდათ, უფრო ზუსტად, ისინი წარმოადგენდნენ თავისებურ სახელმწიფოს სახელმწიფოში, სწრაფად რომ ავრცელებდნენ თავიანთ ზეგავლენას სულ ახალ და ახალ რეგიონებზე.

რა თქმა უნდა, ასეთი ინფორმაცია შემოწმებას, უფრო მეტი, დაზუსტებასა და სხვა დოკუმენტაციებთან შეჯერებას, გადამოწმებას საჭიროებს. ასეც იქცეოდნენ. დასკვნა: მონაცემები დანაშაულებრივ ავტორიტეტთა საოცარ სიმძლავრეზე სწორია. სახელმწიფო კონტროლის გარეშე დარჩენილი კანონიერი ქურდები თვითონ იწყებენ სახელმწიფოს კონტროლს.

და ბოლოს, წიგნში კაპიტან მალიშევის პირადი შეხედულებაცაა გამჟღავნებული. ყველა ინფორმაცია მის მიერაა წარმოდგენილი და მოვლენები ისეა აღწერილი, როგორც იყო, ან მისივე წარმოდგენით შესაძლოა ყოფილიყო.

მასალის სპეციფიკა იმგვარია, რომ გასაგებ მიზეზთა გამო, ზედმეტის თქმის საშუალებას არ იძლევა. იგივე თავისებურება გაიძულებს მთლიანად დაეყრდნო ფაქტებს და მათი გადმოცემისას საოცარი სიზუსტე დაიცვა. ამით წიგნის „მხატვრულობა" ზიანდება, მაგრამ საქმე ხომ ნამდვილ ადამიანებს ეხება და ამდენად მხატვრულობის უარყოფა, სიზუსტის სასარგებლოდ, ვფიქრობთ, მისაღები იქნება მკითხველისათვის.

# შესავალი

წყნარი აგარაკი, გარეთ ოქტომბერი ღვივა, წვიმს, ზოგჯერ არყის ხე ფანჯარას წვდება და ისე უკაკუნებს მინას, თითქოს სახლში შემოსვლას ითხოვდეს.

ოთახში ორნი არიან. ბუხართან, სარწევ სავარძელში ზის მთვარესავით ქათქათა თეთრწვეროსანი მოხუცი. მუხლები პლედით აქვს დაფარული და ისეთი გამხდარია, გეგონება, ჩიტის წონაც თუ შერჩენიაო. თუმცა ყოველ მის ჟესტსა თუ მიმოხრაში ძალაუფლება გამოსჭვივის. მეორე, ორმოცი წლისა, სულ სხვაგვარია. ის, ვინც მომუშავე ბულდოზერთან სიცოცხლისათვის საშიშ სიახლოვეს აღმოჩენილა, უკეთ მიხვდება, რას გულისხმობს ეს შედარება — მის უზარმაზარ, ყოვლისშემცნობ იერს, დანის მოულოდნელ გასმას რომ ჰგავს, იმგვარივე ჭკვიანური გამოხედვა ეხამება — ეს კაპიტანი მალიშევია.

თუმცა მათ ლაპარაკს ვერავინ გაიგონებდა, ისინი თითქმის ჩურჩულით საუბრობდნენ, თითქოს ვიღაც უხილავი უთვალთვალებდათ. მოხუცი ლაპარაკობს. კაპიტანი მოკრძალებით უსმენს, თანხმობის ნიშნად უქნევს თავს, და ზოგჯერ რამდენიმე სიტყვას თუ ჩაურთავს.

— მახსოვს, მახსოვს, შენი შეტყობინება საყვარელო — თქვა და რატომღაც ამოიოხრა — შენ ხომ მაშინ სერიოზულად გარისკე, როდესაც პირველად შემატყობინე რომ დამნაშავეთა სამყარო გენერალური მდივნის მკვლელობას ამზადებდა.

— ეს 1986 წელს იყო.

— დიახ, სწორედ მაშინ. ჩვენ გვიხდებოდა შენი დაცვა არა კრიმინალური ელემენტების, არამედ სუკის თავჯდომარისაგან. თუმცა...

მოხუცი არ ამთავრებს, კაპიტანმა, ტუჩმომღგარი ღიმილი რომ დაფარა, თავი დახარა, თავჯდომარის ქცევა ზოგიერთი თავისებურებებით გამოირჩეოდა, რაც მოსაუბრეთათვის ცნობილი გახლდათ, პარადოქსი იყო და ამდენად მათ გაკვირვებას აღარ იწვევდა.

— არავის უნდოდა დაეჯერებინა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა ვინმეს ეცადა, მაგრამ 1987 წლის მაისში ჩვენ მაინც დავაკავეთ მოსკოვში დაგეგმილი მკვლელობის შემსრულებელი თეიმურაზ აბაიძე, გორბაჩოვის წინააღმდეგ. ეს აქცია კანონიერმა ქურდმა, ავტორიტეტთა ავტო-

რიტეტმა კუჩუურმა განიზრახა. მაგრამ, როგორც ჩანს, არ აძლევდა ხელს ყველას ის გავლენა, რითაც იგი სარგებლობდა. ამიტომ მას ძმაბიჭებმა საავადმყოფოში ნემსით გაუკეთეს გვამის შხამი და 1988 წელს გარდაიცვალა.

კაპიტანი თავს უქნევს. კატის გახრწნილი ნარჩენებიდან აღებული გვამის შხამი უტყუარია და კვალიც საიმედოდ იფარება. ადამიანს რამდენიმე დღეში სული ძვრება, ძალის გამოყენების ნიშანი კი არაფერი შეიმჩნევა. ეს არასასურველ პირთა მოცილების წმინდად მათებური ხერხია.

—ისე, ჩებრიკოვსაც შეიძლება გაუგო—მოხუცი მუხლებზე გადაფარებულ პლედს ისწორებს. —ვინ ისურვებს ამ ბინძურ საქმეში ჩარევას? მოსკოვში დასეირნობს ტიპი, რომელიც გენერალური მდივნის „გასუხარებას" აპირებს—სასაცილოა, არა? ამ ტერორისტის უკან რა პიროვნებები დგანან, თუ ამ ძაფს ბოლომდე გავყვებით— საკითხავია? საკითხავია?! და კიდევ, საქმის ნაციონალური ელფერი!—მოხუცს გაეცინა. —ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი მარცხით მთავრდებოდა ქალების, არაყის, მშრომელთა წერილებისა და აი ამ ნაციონალური საკითხის გამო. მოკლედ, ჩვენ არ დავაპატიმრეთ აბაიძე, მხოლოდ საიდუმლოდ დავაკავეთ იგი. ველაპარაკეთ, ოქმი არ გაგვიფორმებია. ის გამოტყდა და დათანხმდა თვითონ ჩაბარებულიყო მილიციას. ამაში ჩვენ დავეხმარეთ. დაკავების დროს ჩამორთმეული, წაგრძელებულლულიანი ნაგანი გავაფუჭეთ და დავუბრუნეთ, წავიყვანეთ გორკის ქუჩაზე და გავუშვით. აბაიძეს, მილიციელთა თვალწინ, თითქოს შემთხვევით გადმოუვარდა რევოლვერი. იმწამსვე დააკავეს და ახსნა-განმარტება უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს მისცა. იგი „მატროსკაია ტიშინას" კედლებს მიღმა გაუჩინარდა. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა უქნეს მას შსს-ში, იგი ხომ ამ უწყებას ჩაბარდა. მე მხოლოდ ის გავიგე, რომ აბაიძე აიძულეს შეეცვალა ჩვენებები, შემდეგ კი სულ მოიშორეს. უშიშროების კომიტეტი ამ საქმეში მონაწილეობას არ ღებულობდა.

აბაიძის ამბავმა კაპიტან მალიშევს სხვა, მისი მსგავსი ისტორია გაახსენა. აზერბაიჯანელმა ჰუსეინოვმა— მხიარულმა, გულღია, მოჯიბგირო ტიპმა—გვიან საღამოს დაურეკა უშიშროების სამსახურის ოპერატიულ მუშაკს, რომელსაც სამოქალაქო სამსახურიდან იცნობდა და შეხვედრა სთხოვა.

გაირკვა, რომ იგი მეტად საოცარ და შემზარავ ამბავში ჩაითრიეს.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ამ ნამდვილ სადისტთა ბანდის მეთაურთა შორის რესპუბლიკის პროკურატურის მაღალი რანგის თანამშრომელი აღმოჩნდა. ოპერატიულმა მუშაკმა, პუსეინოვის მონაცემების მიხედვით, შეადგინა დაწერილებითი დოკუმენტი და უფროსებს მოახსენა. ხელმძღვანელებმა კარგა ხანს ატრიალეს იგი ხელში (მასალა სერიოზული იყო და უბრალოდ, საქაღალდე კალათში გადაგდება, როგორც ეს ხშირად კეთდებოდა, შეუძლებელი იყო) და გადაწყვიტეს—გადაეგზავნათ ცნობა მესამე სამმართველოში, რომელიც თავის მხრივ, შს სამინისტროს გადაუგზავნიდა საბუთებს.

ცოტა ხნის შემდეგ პუსეინოვი რაღაც მოგონილი ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს, ეტყობოდა, რომ იგი თავს ვერ დააღწევდა მავთულხლართებს, მაგრამ ნათესავები დაეხმარნენ და გაუშვეს. თუმცა ანგარიშის გასწორების მექანიზმი თითქმის ერთი თვის შემდეგ მაინც ამოქმედდა და პუსეინოვის ნახევრად დამწვარი გვამი ქალაქგარეთ, პატარა ქოხში ნახეს. ნამეტანი ბევრი იცოდა მან და, რაც მთავარია, რაღაცის გაკეთებას ცდილობდა. ამიტომაც დაუკავშირდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს. დამნაშავეთა სამყარო კი ამას არავის აპატიებდა.

დამნაშავეთა სამყარო— როდის მიაქცია პირველად სუკმა მას ასეთი განსაკუთრებული ყურადღება?

1980 წლის თებერვალში მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სუკის სამმართველოს მისაღებში გამოცხადდა მოქალაქე, რომელმაც თავისი ვინაობა არ გაამხილა. ეს იყო დაახლოებით 35 წლის, სპორტული აღნაგობის მამაკაცი, მოკლედ შეჭრილი თმებით. ესაუბრა მორიგე ოფიცერს, საუბრის დროს თავი კარგად ეჭირა, კორექტულობას არ ღალატობდა. მოსვლის მიზეზი ახსნა მოკლედ: სურს ანონიმური დახმარება გაუწიოს ორგანოებს სისხლის სამართლის დამნაშავეთა მსხვილი ბანდის გამოაშკარავების საქმეში. მისი განმარტებით, ბანდა მოსკოვში არა მარტო ყაჩაღობასა და ძირითადად, სამხრეთიდან ჩამოსულთა მკვლელობებს ახორციელებს, არამედ ამზადებს ტერორისტულ აქტებს ქვეყნის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

სიგნალი „ცენტრალური ტერორის“ შესახებ (ასე უწოდებენ ოფიციალურად ნებისმიერ ინფორმაციას ყოველგვარი შესაძლო ძალადობის აქტის შესახებ, რომელიც სახელმწიფო მოღვაწეთა წინააღმდეგ იქნება მიმართული) დაუყოვნებლივ შემოწმებას და, უპირველეს ყოვლისა, ანონიმის, როგორც პირველწყაროს, შესწავლას მოითხოვდა. ვიზიტიორის ვინაობის, შესაძლებელი კავშირებისა და მისამართების დასადგენად საქმეში ჩართეს გარე დაზვერვის სამსახური.

განმცხადებელი, რომელიც ოპერატიულ ცნობებში თავდაპირველად მოხსენიებული იყო, როგორც „კოლჩოკი“ (ბზრიალა), დიდხანს დაბორიალებდა მოსკოვის ცენტრალურ ქუჩებში და ბოლოს, სტრეტენკაზე მდებარე პატარა მყუდრო კაფეში შევიდა. უშიშროების სამსახურს თავის მოქმედებაში ყოველთვის უნდა გაეთვალისწინებინა „მიმდინარე მომენტი“. იმ დროისათვის, ავღანეთში საბჭოთა ჯარების შესვლიდან ერთი თვის შემდეგ, სუკის ხელმძღვანელობის ყურადღება სსრ კავშირის სამხრეთ საზღვრებისაკენ იყო მიმართული. იყო კიდევ ერთი „თავსატეხი“—ახლოვდებოდა მოსკოვის ოლიმპიური თამაშები.

ოლიმპიადა-80-ისათვის მზადების კომისიას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ი. ჩურბანოვი ხელმძღვანელობდა, რომელიც უშიშროების სამსახურებთან კავშირს ალმაცერად უყურებდა. სუკის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში აშკარად იგრძნობოდა მისი ამბიციურობა, ქედმაღლობა, ზოგჯერ უხეშობაც კი. თვით შინაგან საქმეთა მინისტრი შელოკოვიც არ გამოირჩეოდა დიდი ტაქტით, იყო შემთხვევები, როცა ი. ანდროპოვი საათობით იცდიდა გენერალური მდივნის მისაღებში, შოლოკოვი კი შემოსვლისთანავე ხმამაღლა შეეკითხებოდა ანდროპოვს „იყო თუ არა შეფი“ და კი არ უცდიდა, იმწამსვე აღებდა მუხის მძიმე კარებს.

გასათვალისწინებელია, რომ ორი „ძალისმიერი“ სტრუქტურის ხელმძღვანელთა ამგვარი, უკიდურესობამდე დაძაბული ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენდა საერთო მდგომარეობაზე. მაგალითად, როგორ უნდა შემოწმებულიყო ასეთ პირობებში მონაცემები „ცენტრალურ ტერორზე“? როგორც კი სუკი სისხლის სამართლის დამნაშავეებით დაინტერესდებოდა, შოლოკოვი იმწამსვე ატეხდა ყვირილს, რომ მოსკოვის მილიციის მუშაობაში უხეშად ერევიან. დედაქალაქის სუკის სარაიონო განყოფილებებში კი ამ დროისათვის დაგროვილი იყო აღმაშფოთებელი ინფორმაცია მოსკოვში სისხლის სამართლის დამნაშავეთა დაჯგუფებების არსებობის შესახებ. ადგილებიდან მოდიოდა ცნობები იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის დამნაშავენი აწყობენ რეგიონალურ შეკრებებს, რომლებზეც განიხილავენ შემოსავლის სულ ახალ და ახალ წყაროებს. ოპერატიულ ცნობებში სულ უფრო ხშირად ხვდებოდა სუკის მრავალ თანამშრომელთათვის ადრე უცნობი ტერმინები: „კანონიერი ქურდი, –„ობშაკი“, –„სხოდნიაკი“, შინაგან საქმეთა მინისტრი შოლოკოვი კი წამდაუწუმ იმეორებდა, რომ პროფესიონალურ დანაშაულებრივ სამყაროს ქვეყანაში ჯერ კიდევ 50-იან წლებში მოეღო ბოლო.

რა უნდა ექნათ? ყოვლისშემძლე მინისტრისათვის წინააღმდეგობის

გაწევა შეუმოწმებელი ინფორმაციით უაზრობა იყო. საქმეს ის ართულებდა, უშიშროების ორგანოებს სისხლის სამართლის დამნაშავეთა წრეში თავისი აგენტურა რომ არ ჰყავდა და კონტრდაზვერვის მოქმედ მუშაკთა შორის არც არავის გააჩნდა საამისო ცოდნა. საჭირო გახდა სისხლის სამართლის სამძებროს გამოცდილ მუშაკთა დახმარება. მაგრამ როგორ მოეთხოვათ ისინი? მიმართვით? არა, ეს ხომ უშიშროების ორგანოების ინტერესთა გაშიფვრას და დაგეგმილ ოპერაციათა ჩაშლას მოასწავებდა. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ძლიერი წინააღმდეგობა, საჭირო იყო უმკაცრესი კონსპირაციის დაცვა.

ფაქტიურად, სისხლის სამართლის დამნაშავეთა დაჯგუფებებთან სამუშაოდ გამოცდილი ჩეკისტებისაგან უნდა შექმნილიყო სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელიც ყველაფრისათვის მზად იქნებოდა. „დევიატკამ", რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო მოღვაწეების დაცვას, დახმარებისათვის მიმართა სსრ კავშირის სუკის მე-7 სამმართველოს უფროსს ა.დ. ბესჩასტნოვს, მის განკარგულებაში იყო მაშინ სრულიად საიდუმლო სპეციალური დანიშნულების „ა" ჯგუფის ქვეგანყოფილება, დღეს „ალფას" სახელწოდებით რომაა ცნობილი. მისი მებრძოლები იმხანად დაბრუნდნენ ავღანეთიდან, სადაც ბრწყინვალედ ჩაატარეს ამინის სასახლის აღების ოპერაცია.

სამი კაცი თვით სსრ კავშირის სუკის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ცვიგუნმა აირჩია. სამეულს ევალებოდა სრული კონსპირაციის პირობებში გაეშალა ოპერატიულ-საბრძოლო მუშაობა, რაც ქურდული დაჯგუფებების ლიდერებთან და მათ თანამზრახველებთან უშუალო ოპერატიულ კავშირში გამოიხატებოდა. ოპერატიულ მუშაკებს, არა მარტო პირად კონტაქტში შესვლა და მათგან ინფორმაციის მიღება უნდა მოეხერხებინათ, არამედ, თუ საჭიროება მოითხოვდა, თავდასხმის მოგერიებაც შეძლებოდათ. ამ და სხვა თვისებათა თავისთავში შეხამება სპეცსამსახურის ყოველ მუშაკს როდი ძალუძს. ის ხალხი კი, ს. კ. ცვიგუნმა რომ შეარჩია, სრულყოფილად ფლობდა ამ უნარს, შეეძლოთ ავტორიტეტი მოეხვეჭათ დამნაშავეთა სამყაროში და ამან წინასწარ განსაზღვრა კიდეც უშიშროების სამსახურის ოპერატიულ ღონისძიებათა ხასიათი.

გარე დაზვერვამ დაადგინა სრეტენკაზე მდებარე კაფის მუდმივი სტუმრების ვინაობა. გამოირკვა, რომ „ვოლჩოკის" ირგვლივ შემთხვევითი ხალხი არ ტრიალებს. ამის შემდეგ კაფეს შესასვლელის პირდაპირ სასწრაფოდ დადგეს საგაზეთო ჯიხური, გამყიდველად დასვეს სუკის შტატგარეშე თანამშრომელი, მოაწყვეს ფარული ფოტოგრაფი-

რების ადგილი, გაიყვანეს სადენები სასიგნალო მოწყობილობებისათვის, ჯიხურში დღე-ღამის მანძილზე მორიგეობდა გარე დაზვერვის მუშაკი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ბაზასთან. კაფეში კი პატარა მაგიდა დადგეს სპეციალური მოსასმენი მოწყობილობით.

ოპერატიული კონტროლის დაწესებიდან ერთი თვის შემდეგ უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს ხელთ ჰქონდათ მთელი დოსიე, რომელშიც უამრავი ეპიზოდი იყო თავმოყრილი და მოსკოვში სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროს მაღალ აქტიურობაზე მეტყველებდა.

–გაძარცვეს მდიდარი კოლექციონერის ბინა და მილიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი „ევაჭრება" აფხაზეთიდან ჩამოსულ კანონიერ ქურდს ლაკობას იმაზე, თუ როგორ „აპკიდონ" კანონიერ ქურდს ივანკოვს ეს საქმე– ცნობილი კინომსახიობი კანონიერი ქურდებისაგან, როგორც მისი ნიჭის თაყვანისმცემლებისაგან, მეუღლესათვის საჩუქრად იღებს მელიის ქურქს–კაფესთან შავი „ზილით" მოგრიალებული მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი თხოვს ქურდებს შეიკედლონ მისი შთამომავალი, რომელიც „ზონაში" ზის–

საოცარია, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყარო აშკარად მოქმედებდა და მერე სად—მოსკოვის ცენტრში: სრეტენკაზე მდებარე ეს კაფე იყო კანონიერი ქურდების მუდმივი ქეიფისა და თავშეყრის ადგილი. როგორც ეტყობა, დამნაშავეთა სამყარო ისე მომძლავრდა, რომ იატაკქვეშეთი ევიწროვათ და აშკარა მოქმედებას იწყებდნენ.

„ვოლჩოკი" აღმოჩნდა მოსკოვის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, რომელსაც მეგობრები „ვალკა-ხმელ ფოთოლს" ეძახდნენ. ამბობდნენ, რომ მას ჰქონდა საუკეთესო დარტყმა—„ხმელი ფოთოლი". 60-იან წლებში ხულიგნობისათვის მოიხადა სასჯელი და მერე „ვალკა ხმელი ფოთოლი" „ბრადიაგების" (როგორც უწოდებენ საკუთარ თავს ნამდვილი კანონიერი ქურდები) თანამზრახველი გახდა. მოსმენილი საუბრიდან გაირკვა, რომ იგი ჩეკისტების გასაცნობად მივიდა სუკის მისაღებში მოსკოველ ქურდთან ტოლიკ ჩერკასთან შეთანხმებით. ჩერკასს რატომღაც ძალიან აინტერესებდა „ოლიმპიადა-80"-ის მოსამზადებელი დროებითი კომიტეტის საქმიანობა. უშიშროების მუშაკებისათვის პირველხარისხოვანი კითხვა იყო, თუ რატომ იყო ასე დაინტერესებული პროფესიონალი ქურდი ამ საკითხით, რაიმე სიურპრიზს ხომ არ ამზადებდა დამნაშავეთა სამყარო ოლიმპიადის გახსნისათვის?

თურმე არაფერი ყოფილა თავსატეხი!

„თავისი" მილიციელებისაგან ჩერკასმა გაიგო, რომ ოლიმპიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით შექმნილია განსაკუთრებული უფლე-

ბებით აღჭურვილი სერიოზული ორგანიზაცია, რომელშიც სუკს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ამ ინფორმაციამ აალელვა დამნაშავეთა სამყარო: ისინი ეჭვობდნენ, ეს ახალი კომიტეტი ოლიმპიური თამაშების კარიბჭესთან კანონიერი ქურდების ტოტალური დევნის შესანიღბად ხომ არ იყო შექმნილი. ასე ფიქრობდა ჩერკასი. ამიტომ გაუშვა მან „ვოლჩოკი" სუკის მისალებში, იქნებ გასაუბრებოდა უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებს, „დაეყნოსა" სიტუაცია, ღმერთს ექნა, ეგებ კარგად მიეღოთ და მათ არ შეხებოდნენ.

მაგრამ ტოლიკს სხვა საწუხარიც ჰქონდა. მისი საშემოსავლო საქმიანობა—რეკეტი დოლზე—ერთობ დააზარალა ლაკობას ბანდის კონკურენციამ. ლაკობა ხომ ტყუილად არ დაბინავდა სასტუმრო „სოვეტსკაიაში", ლენინგრადის პროსპექტზე. იქნებ, სუკის დახმარებით აეკიდებინა მისთვის „სველი საქმე" (მკვლელობა). 1977 წელს სწორედ ლაკობას ხალხმა დაწვა სასტუმრო „როსია". ხანძარი, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა, გაჩნდა დოლზე შავი ფსონის გაყოფის დროს მომხდარი ჩხუბის გამო. ვიღაცის დაშინებას აპირებდნენ, სინამდვილეში კი დიდი კოცონი გამოვიდა.

მალე სუკს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მონაცემები „ცენტრალურ ტერორზე" მხოლოდ ყურადღების გასაფანტი მანევრი იყო. ამასთან ოპერატიული მუშაკები დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩერკასი ფლობს ვრცელ და საინტერესო ინფორმაციას. მაშასადამე, საჭირო იქნებოდა უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებს მასთან უშუალო კონტაქტი დაემყარებინათ. ამ მიზნით შეისწავლეს სისხლის სამართლის ყველა საქმე, რისთვისაც ჩერკასი სასჯელს იხდიდა. საჭირო გახდა ისეთი ხელმოსაჭიდი რამ ენახათ, თითქოს სუკი მხოლოდ ახლახან დაინტერესდა ამით, ჩერკასს არ უნდა გაეგო, რომ მას უკვე ერთი თვეა უთვალთვალებდნენ. ბოლოსდაბოლოს მასთან საუბრისათვის ტრადიციული მიზეზი გამოძებნეს: ჩერკასის შეხვედრები ანტისაბჭოური აგიტაციისა და პროპაგანდისათვის დაპატიმრებულებთან.

სუკთან კონტაქტზე ჩერკასი საოცრად ადვილად დათანხმდა. მასთან კონსპირაციული შეხვედრები 1980 წლის ივლისამდე გრძელდებოდა. იგი ბევრს მოჰყვა რეალურად არსებულ იატაკქვეშა სამყაროზე. როცა მასალები გააცნეს, ანდროპოვმა განკარგულება გასცა, ყველაფერი გაენადგურებინათ, მაგნიტოჩანაწერების ჩათვლით, ჩერკასთან კონტაქტი კი გაეწყვიტათ. რატომ? იქნებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ შეიტყო რაიმე ოპერაციის შესახებ? მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ალბათ თვით ინფორმაცია აღმოჩნდა ძალზე „უხერხული".

ჩერკასი ისეთ რაიმეს მოჰყვა, აზრადაც რომ არ მოუვიდოდა კაცს თავში. მისი სიტყვით, ამიერკავკასიის რესპუბლიკაში იქმნება იატაკქვეშა არმიები, ისინი აქტიურად იარაღდებიან და, როგორც იტყვიან ხოლმე, იმაღლებენ საბრძოლო ოსტატობას. მათ ზურგს უკან დგანან ძალები, რომლებსაც სრულმასშტაბიანი ომი სურთ—რესპუბლიკების რესპუბლიკებთან, ხალხების ხალხებთან. მხოლოდ ასე შეუძლიათ „ერთიანი ინტერესების გამომხატველებსა და დამცველებს“ ხელისუფლების ხელში აღება და შენარჩუნება.

ზოგიერთი ფაქტიც ადასტურებდა ამ ინფორმაციას:

მსჯავრდებულის, მილიციის ყოფილი პოლკოვნიკის ანატოლი თევდორეს ძე ბაზილევიჩის განცხადებიდან: „სსრ კავშირისა და უზბეკეთის უშიშროების სამსახურები იკვლევენ ხელმძღვანელი მუშაკებისა და თანამდებობის პირების დიდი ჯგუფის სისხლის სამართლის საქმეს, რომლებმაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობის თანხა დაიტაცეს. ქრთამს იღებდნენ აუცილებელ გარემოებათა გამო. დაბეჯითებით გთხოვთ, დაავალოთ თქვენი განყოფილების წარმომადგენელს, გამომიძახონ და პირადად მესაუბრონ“

საუბრისას შემდგომში რეაბილიტირებულმა თ. ბაზილევიჩმა განაცხადა:

„მოლდავეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსად მუშაობისას, თითქოს როგორც დამსვენებელი, ერევანში გავემგზავრე ერთი სავალუტო სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად. მე დავადგინე, რა არხებით გადაიგზავნება სავალუტო ფასეულობანი მოლდავეთიდან ერევნის საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით საზღვარგარეთ. გამოირკვა, რომ აქ კავშირის ყოველი კუთხიდან მოედინებოდა ვალუტა. სახსრების გადაზიდვაში მონაწილეობას ღებულობდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებიც. ამის შესახებ დაწვრილებით მოვახსენე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს შჩოლოკოვს, მაგრამ მან არაორაზროვნად გამაფრთხილა, რომ არ ჩავრეულიყავი ამ საქმეში, თორემ შემდეგ ისიც კი ვერ გადამარჩენდა, ამასთან ნიკალაი ანისიმოვიჩმა განმარტა, რომ დიდი ხანია, რაც დავკარგეთ სომხეთი, რესპუბლიკაში ახლა ყველაფერს „ქურდები“ მართავენ და თუ საჭირო გახდა, იქ გაუშვებს თავის ახალგაზრდა მოადგილეს რესპუბლიკის შს მინისტრის ბოტალოვის მხარდასაჭერად—მას უკვე ემუქრებიან სომხეთის მილიციაში გამეფებული კორუფციის შესახებ გამოქვეყნებული წერილის გამო—სომხეთის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი დემირჩიანი მის მოშორებას აპირებს.

მე ძველი ოპერატიული მუშაკი ვარ, და გამოცდილება მკარნახობს,

შჩოლოკოვის ამ „ახალგაზრდა" მოადგილეს, ი. ჩურბანოვს, სომხურმა მაფიამ საკმაოდ მიუზღო იმისათვის, რომ 1977 წელს მხარი დაუჭირა ბოტალოვს და დაიცვა იგი".

ადრე მთიანი ყარაბაღის ერთ-ერთ რაიცენტრში უბნის ინსპექტორად ნამუშევარმა მსჯავრდებულმა პაჯიევმა უშიშროების ორგანოებს შეატყობინა, რომ სომხეთიდან ვერტმფრენებით დიდი ოდენობით შემოჰქონდათ საბრძოლო ჭურვები თითქოს სეტყვისსაწინააღმდეგო დანადგარებისათვის, აწყობდნენ იარაღის შესახებ საიდუმლო ადგილებს, მექრთამეებისაგან იკრიბებოდა ფული, რომელიც იგზავნებოდა სომხეთში.

ასეთი ფაქტები დღითიდღე მატულობდა და ისინი სასწრაფო რეაგირებას საჭიროებდნენ, მაგრამ ამ დროისათვის უშიშროების ორგანოებში მომუშავე „პრაქტიკოსები" თავიანთ ხელმძღვანელებს ორაზროვან დამოკიდებულებას ამჩნევდნენ და გარკვეული უნდობლობით ეკიდებოდნენ ყოველ ახალ წამოწყებას. სუკის ორგანოებში სისხლის სამართლის სამძებროსა და სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ხაზით დიდძალი ინფორმაცია შემოდიოდა, მაგრამ როგორ რეაგირებდნენ უფროსები?—„ჩვენი საქმე კონტრდაზვერვაა, მილიციას შეატყობინეთ"– ამბობდნენ ისინი და ესეც საუკეთესო შემთხვევაში. უფრო ხშირად კი: „საქმეში ჩააკერეთ, ან გაანადგურეთ, მენთებს არაფერი შეატყობინო—წყარო გაიშიფრება"–

სუკის ორგანოებში პარტიიდან გაწვეულ ხალხს თავის თავზე მაღალი წარმოდგენა ჰქონდა, უყვარდათ მბრძანებლობა, დილეტანტებიც იყვნენ უმრავლეს შემთხვევაში, ერთმანეთს მფარველობდნენ და ამით წყლის წვეთივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ამიტომ პროფესიონალებს ძალაუნებურად „ორმაგი ბუღალტერიის" თამაში უწევდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმესაც ჩამოაშორებდნენ, მიზეზად იმას დაუსახელებდნენ, რომ სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეების ოპერატიული დამუშავება აკრძალული იყო. არ მიიღებდი მათ რჩევას და თავსაც წააგებდი. კაპიტანმა ყაზახეთში მცხოვრები კოლეგის პაშა კრავჩენკოს ნაამბობიც გაიხსენა. მან მიიღო და რეგისტრაციაში გაატარა ინფორმაცია კუნაევის, მაშინდელი ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ახლობლის ბოროტმოქმედთა ჯგუფის მიერ გამოყენების თაობაზე. პაშა სამმართველოს უფროსის ნიკიტინის კაბინეტში გამოიძახეს. „შენ რა, მანდატის დატოვება მოგინდა?—ჰკითხა ნიკიტინმა—„არა, არ მინდა",—უპასუხა პაშამ. „კარგი,—უფრო დაბალ ხმაზე უთხრა პოლკოვნიკმა ნიკიტინმა,—დახიე ესენი ყველაფერი და ჭკუით იყავი: კაპიტანის სამხრეებს ატარებ, ბიჭუნასავით კი იქცევი. დაიმახსოვრე, შენ კონტრდაზვერავი ხარ და არა ყველანაირი ნაგვის

მხვეტავი".

ამგვარი წკიპურტები იდეალისტებს სწრაფად აფხიზლებდნენ, შეიძლება ასეთი რამ ვინმეს დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, ახალგაზრდათა უმრავლესობა სუკში პოლიტიკური რეჟიმის დაცვისათვის კი არა, პირიქით, იმ იმედით მიდიოდა, რომ შეეცვალა სიტუაცია. გაიხსენეთ უძრაობის წლები: სახელმწიფოს მართავენ დაჩანაკებული, უნებისყოფო მოხუცები, ყველგან ქურდობა და ქრთამებია (მართალია, სხვა მასშტაბებით, ვიდრე დღეს), მილიცია მოსყიდულია. ასეთი იყო რეალობა და ამის შეუმჩნევლობა არ შეიძლებოდა. არსებობდა რწმენაც, რომ კრიზისის მიზეზი სოციალიზმი კი არ იყო, არამედ ის დეფორმაცია, რაც მან განიცადა. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ მთავარია დაემყარებინათ ელემენტარული წესრიგი, მოეცილებინათ მაღალი რანგის ქურდები და კორუფციონერები, დაეწესებინათ საჭირო კონტროლი. და ყოველივე ეს შეეძლო მხოლოდ სუკს. ეს ორგანიზაცია ახალგაზრდა რომანტიკოსთა წარმოდგენით ტყუილისა და სიბინძურის ოკეანეში სიწმინდისა და მრისხანების კუნძული იყო. მაგრამ მრავალს გაუცრუედა იმედი.

უძრაობის წლების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ეს იყო არნახული რამ ცივილიზებულ სამყაროში: სპეცსამსახური, საკუთარი ჩრდილისაც რომ ეშინოდა.

ყოველივე ეს, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროიდან, სტალინიზმის გამოაშკარავების შემდეგ დაიწყო. შემდგომში ახალი იმპულსი ამ მოვლენას ი. ანდროპოვმა მისცა, რომელმაც სცადა უშიშროების სამსახურებისათვის მიმზიდველი იმიჯის შექმნა, მან ამ მიზნის განსახორციელებლად ხანგრძლივი კომპანია წამოიწყო. ყოველივე ეს კეთილი განზრახვით იყო ჩაფიქრებული, მაგრამ როგორც ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, მიზანდასახული რუბიკონი გადაილახა და ორგანოების საყრდენი—ოპერატიული მუშაკი სრულიად უუფლებო ჭანჭიკად გადაიქცა. ამას ხომ დაფიქრება სჭირდებოდა! ოპერრწმუნებული—თავისი მოვალეობის მიხედვით, ოპერატიული ღონისძიებების მთავარი ორგანიზატორი და შემსრულებელი, იძულებული გახდა ყოველი, სულ მცირე ნაბიჯიც კი უფროსებისათვის შეეთანხმებინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ უბრალო ოპერატიული გამოკითხვის დროსაც კი საჭირო იყო განყოფილების უფროსის და უფრო მაღალი ხელმძღვანელის სანქცია. მაგრამ ხელმძღვანელამდე რომ მიგეღწია, წვრილფეხა უფროსობა უნდა გაგეელო. ყველაფერი საბავშვო თამაშს, „გაფუჭებულ ტელეფონს" წააგავდა. დიდი შეღავათი იყო თუ ღონისძიებების გეგმას არ მოითხოვდნენ, ანგარიშის ჩაბარება საუბრის შედეგებზე კი უწმინდესი

მოვალეობა გახლდათ.

სუკის უბედურება პასუხისმგებლობის იერარქიის მრავალსაფეხურიანობა და თანადაქვემდებარების რთული სქემა იყო. თუნდაც სავსებით უბრალო ფაქტთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ყოველივე ამის გამო ორგანოს მუშაკი იძულებული იყო დროის უდიდესი ნაწილი საჭირო ოპერატიულ ღონისძიებათა შეთანხმებაზე, მრავალი ქაღალდის მომზადებასა და გაფორმებაზე დაეხარჯა. სპეცსამსახური სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა მოუქნელ დინოზავრს. სუკი ხშირად წინ ვერ უსწრებდა მოვლენებს, და არა იმიტომ, რომ მისი თანამშრომლები ვერ აზროვნებდნენ საჭირო სისწრაფით და დროის მოთხოვნათა შესაბამისად, არამედ მიზეზი ის იყო, რომ ყოველი ახალი აზრი და იდეა ბიუროკრატიულ ლაბირინთებში იკარგებოდა. რაიმე ორიგინალური ჩანაფიქრი, თამამი წინადადება და საქმისადმი ახლებური, დროის მოთხოვნის შესაფერისი მიდგომა ძველ, სტერეოტიპული აზროვნების ბიუროკრატებს არ მოსწონდათ. პარტიულ ორგანოთა ხელმძღვანელობით ოპერატიული მუშაკები თანდათან გადაგვარდნენ, მშიშრებად იქცნენ–ყოველივე ეს იმან გამოიწვია, რომ კანონმდებლობა არსებულ ვითარებას არ შეესაბამებოდა. თავიანთი მოქმედების დროს ოპერატიული მუშაკები კანონს ვერ ეყრდნობოდნენ. ეს კი ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას იწვევდა. ისინი, თავის მხრივ, ცდილობდნენ ეს პასუხისმგებლობა უფრო მაღალი რანგის ხელმძღვანელთა მხრებისათვის აეკიდებინათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მწვავე სიტუაციაში არავის შეეძლო საჭირო გადაწყვეტილების მიღება.

მაფია კი ძალას იკრებდა და სულ უფრო თავხედდებოდა. მონაცემების მიხედვით, 1982 წელს თბილისში კანონიერი ქურდების ყრილობა ჩატარდა. მასზე განიხილეს სამომავლოდ მთელს ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლების ხელში აღების საკითხი. ამ დროისათვის უკვე ზოგიერთ რეგიონში ხელისუფლების ორგანოები ფაქტიურად მაფიის სტრუქტურად იყო ქცეული.

ამგვარი ვითარება იატაკქვეშა სამყაროს სტრატეგიის პრინციპულ შეცვლაზე მიუთითებდა.

საქმე ის გახლავთ, რომ პოლიტიკაში ჩაურევლობა ის ქვაკუთხედი იყო, რომელსაც ბოლო წლებამდე პრინციპულად იცავდა დამნაშავეთა სამყარო. თავიანთი როლისა და ფუნქციის ამგვარი განსაზღვრა კანონიერმა ქურდებმა 1947-53 წლების „ძუკნების" ომის დროს შეიმუშავეს, რომელიც ისეთი აღუწერელი სისასტიკით მიმდინარეობდა, რომ მათ-

თან შედარებით 20-30-იანი წლების ჩიკაგოს „საქმის გარჩევები“ უბრალო საბავშვო თამაშად გამოიყურება.

თუმცა დამნაშავეთა სამყარო 1986 წელს კიდევ ერთხელ გაიყო ორ ბანაკად. როგორც ყოველთვის, განცალკევებით მდგარი რუსი ავტორიტეტები, ძველ ქურდულ ტრადიციებს იცავდნენ, მათ შორის პოლიტიკაში ჩაურევლობის პრინციპსაც. ერთი სიტყვით, ისინი „წესების სრული დაცვით თამაშს“ მოითხოვდნენ. ამ პოზიციის ყველაზე აქტიური დამცველი და ბრწყინვალე წარმომადგენელი კანონიერი ქურდი ვასკა ბრილიანტი იყო.

საწინააღმდეგო კრიმინალური პოლუსი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამხრეთის ქურდულ კლანებს ეკავათ, ისინი ძველ ტრადიციებს არად მიიჩნევდნენ, პოლიტიკაში ჩარევასაც არ ერიდებოდნენ. ერთობ საშიში დასკვნა, რომელთანაც უშიშროების მუშაკები მივიდნენ, თვითონ ხსნიდა ამ ფენომენს: ქურდების მიღმა იდგნენ მათი რესპუბლიკები, ისინი სახელმწიფოებრივ ძალისმიერ სტრუქტურათა მთელ სიმძლავრეს ეყრდნობოდნენ. ამიტომ კავკასიელებს რუს ავტორიტეტებთან ბრძოლაში, რომლებიც მხოლოდ საკუთარი რისკით მოქმედებდნენ, კონკურენტიც არ გააჩნდათ. ამის გარდა სამხრეთის დანაშაულებრივი სამყარო შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო შორეული მიზნების მისაღწევად. ტყუილ-უბრალოდ კი არ ტრაბახობდა ჩეჩნეთის გენერალი დუდაევი, რომ მას შეუძლია ნებისმიერ დროს დაარტყას რუსეთი. ცნობილია ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ ჩეჩნეთის ბოევიკთა საიდუმლო ბაზებზე მომზადების შესახებ საუდის არაბეთის სპეციალისტების მიერ.

დღეს უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, კავკასიაში სახელმწიფოებრივი ტერორიზმი საოცარი სისწრაფით იზრდება, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა არა მარტო რუსეთისათვის, არამედ მთელი ევროპისა და აშშ-სათვისაც. აბსოლუტური დარწმუნებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ყოფილი სსრ კავშირის სამხრეთი რესპუბლიკები, დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ტერორიზმის მხარდაჭერაში ლიბანს, ჩრდილოეთ კორეას, ირანსა და სუდანსაც კი გაუსწრებენ—

შენ სულ არ მისმენ,—მოხუცმა თანამოსაუბრისაკენ გაიხედა.

—რატომაც არა? თქვენ ბრძანეთ, რომ გორბაჩოვის მკვლელობის მცდელობა ეს იყო დამნაშავეთა სამყაროს პირველი გლობალური აქ-

ცია სსრ კავშირის ისტორიაში.

—დიახ, სწორია. ეს დამნაშავეთა სამყაროს არნახულ სიძლიერეზე მეტყველებდა. აქცია უბრალო ანგარიშსწორება არ იყო. ამის გამო საქართველოს სუკის თავმჯდომარემ ინაურმა 1986 წელს ორმოცდათორმეტი ავტორიტეტული კანონიერი ქურდი დააპატიმრა.

„ეს კი არაა მართალი,—გაიფიქრა კაპიტანმა.—უფრო სწორად, მთლად სარწმუნო და დასაჯერებელი არ არის. კანონიერ ქურდებს თავის საქმეთა სხვისი ხელებით მოგვარების საკმაო ოსტატობა გააჩნიათ. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგე არაქართველი ავტორიტეტები სუკის მეშვეობით მოიცილეს და ისინი სამართალდამცავ ორგანოებს ჩააბარეს. სწრაფად ჩატარდა ჩხრეკები, ყველას მიუსაჯეს პატიმრობის ხანგრძლივი ვადა. ასე რომ, რა ანგარიშსწორებაზეა საუბარი. ასეთ ზღაპრებს კეთილშობილ ქურდებზე, თავის ამხანაგებზე რომ იძიებენ შურს, მხოლოდ ის დაიჯერებს, ვინც დამნაშავეთა სამყაროს ზნეობას საგაზეთო ინფორმაციით განსჯის."

ეტყობა, მოხუცი თვითონ მიხვდა, რომ კარგად ვერ გამოთქვა თავისი აზრი.

—გორბაჩოვის მიერ 1985 წლის მარტში დაწყებული გარდაქმნა დამნაშავეთა სამყაროსათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ზეგავლენის სფეროები დიდი ხნის წინათ იყო განაწილებული და ისეთი ქურდული კლანი, როგორიც იყო კუჩუური, სამეურნეო და ბიუროკრატიულ ფენებში გვარიანად იყო ჩამჯდარი. შეადგინეს იმ ხელმძღვანელთა სია, რომლებზეც დაყრდნობა შეიძლებოდა სახელმწიფო ფონდების გამოყოფისას, შემდეგ საქონელი და კვების პროდუქტები საღდებოდა შავი ბაზრის ფასებში. ამგვარი ოპერაციები კი ისეთ შემოსავალს იძლეოდა, ამერიკული მაფიის „ნათლიებს" არც დაესიზმრებოდათ. ეს იმიტომ, რომ გამოიყენებოდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურები. გორბაჩოვმა თავისი გარდაქმნით ყველგან დაიწყო სამეურნეო ანგარიშზე მოქმედი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნა, ამიტომ ქურდული წრეები საქართველოშიც გამოცოცხლდნენ.

როგორც კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სოლიკო ხაბეიშვილმა რესპუბლიკაში სხვადასხვა ორგანიზაციათა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის ტრანსპორტის, მომსახურების, დასვენების სფეროს, ვაჭრობის და სახალხო მოხმარების პროდუქციის გამოსაშვებად სამეურნეო ანგარიშიანი დაწესებულებანი შექმნა, მაფიამ ამოქმედება გადაწყვიტა.

—კარგად მესმის, როგორ უჭირს დღეს შევარდნაძეს—განაგრძობდა მოხუცი.—ის ხომ დიდი ხნის მანძილზე ჯერ შინაგან საქმეთა მინის-

ტრი, ხოლო შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო, რა თქმა უნდა, ბევრი რამ იცის იმის თაობაზე, რაც რესპუბლიკაში ხდებოდა და ხდება, მაგრამ როგორც რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსი, უნდა თანამშრომლობდეს ყველა იმ ძალებთან, რომელთათვისაც უპირველეს ყოვლისა, მთავარია სახელმწიფოს ერთიანობა და დამოუკიდებლობა.

შევარდნაძემ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი რომ დაიკავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი გახდა, რომლის დანიშვნაც სსრ კავშირის სუკის თავმჯდომარის ვ. ჩებრიკოვის თანხმობის გარეშე არ მომხდარა.

მოხუცი სავარძლის საზურგეს მიაწვა.

—ხაბეიშვილის ინიციატივით, სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე წარმოებათა შექმნით, განსაკუთრებით დიდი თანხების მიღების ყველა არალეგალურ საშუალებას გზა გადაეკეტა. პატიაშვილი, პირდაპირ რომ ვთქვათ, არ იყო ამით აღტაცებული, მაგრამ მას არ შეეძლო მოეთხოვა ხაბეიშვილისათვის, უარი ეთქვა სამეურნეო ანგარიშის ახლებურ ფორმაზე, რადგან ამ მოძრაობას პოლიტბიუროს წევრები—რიჟკოვი, ვოროტნიკოვი და კაპიტონოვი უჭერდნენ მხარს. ხაბეიშვილი კი, როგორც პატიოსანი ადამიანი, ვერც წარმოიდგენდა, რომ ამგვარი ღონისძიებით—სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე დაწესებულებათა შექმნით, საქართველოს კანონიერ ქურდებს უკანონო შემოსავლის გზებს უკეტავდა.

სხვათაშორის, შენი ცნობით, თვით ჯუმბერ პატიაშვილი იყო ხელისმომკიდე კანონიერი ქურდის, კუჩუკურის ქორწილში, და კიდევ, 1982 წელს, საბჭოთა კავშირში ხელისუფლების ცვლის დროს მანვე გაიზიარა ქურდების ყრილობის წინადადება, რომელიც გულისხმობდა წინააღმდეგობის გაწევას ანდროპოვის წამოწყებისადმი—კორუპციასთან ბრძოლისა და ქვეყანაში წესრიგის დამყარების შესახებ. სწორედ ამ დროს იქნა მიღწეული პრინციპული შეთანხმება, რომ ის (პატიაშვილი) დაიკავებდა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტს.

კაპიტანმა ბუხარში ნაცარი მოქექა.

—რამდენადაც ვხვდები, ხაბეიშვილს ერთი გზა დარჩენოდა—ციხე—ხმადაბლა წარმოსთქვა მან.

—რა თქმა უნდა. მითუმეტეს, რომ დამნაშავეთა სამყარომ რესპუბლიკის პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. ასე რომ, 1985 წლის ივლისში სოლიკო ხაბე-

იშვილი მექრთამეობის ბრალდებით დააპატიმრეს. ჩვენება ხაბეიშვილის მიერ ქრთამის არაერთხელ აღების შესახებ სიღნაღის რაიონის რაიკომის ყოფილმა პირველმა მდივანმა ბუჩუკურმა მისცა. ეს უკანასკნელი კი კანონიერი ქურდის კუჩუურის „ხალხის" ჩვენების გამო დააპატიმრეს.

ადრე ბუჩუკური პატიაშვილის კომპრომეტირებაში იღებდა მონაწილეობას, დამნაშავეთა სამყაროსათვის გადაბირების საშუალება რომ მიეცა. ამ მიზნით მან რაიონში გაავრცელა ჭორი, თითქოს საქმოსნებისაგან პატიაშვილისთვის მისაცემათ 100 000 მანეთი იყო აკრეფილი, მაგრამ ეს უკვე აღარ გახდა საჭირო—პატიაშვილი უფრო გულჩათხრობილი აღმოჩნდა, ვიდრე კანონიერ ქურდებს წარმოედგინათ და თვითონ გამოამჟღავნა მათთან კავშირის დამყარებისა და დიდძალი ქრთამის აღების ინტერესი.

კარგად იცი, კანონიერი ქურდები ინტრიგათა დიდოსტატები არიან. მათ შეატყობინეს პატიაშვილს, რომ ბუჩუკური მის კომპრომეტირებას ცდილობდა და ამით საშუალება მისცეს უკვე ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს—პატიაშვილს—ბუჩუკურის ყალბი ჩვენების მეშვეობით ანგარიში გაესწორებინა ხაბეიშვილისათვის.

საგამოძიებო აპარატმა და ციხის ადმინისტრაციამ უმკაცრესი ბრძანება მიიღო: დაეშინებინათ ბუჩუკური დახვრეტით, თუ ის არ მისცემდა ყალბ ჩვენებას. სიღნაღის რაიონში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის სოლიკო ხაბეიშვილის მიერ მიღებული ქრთამების თაობაზე ჩვენებები ბუჩუკურმა საქართველოს მაშინდელი პროკურორის რაზმაძის მითითებით მისცა, მალე ბუჩუკური გაათავისუფლეს.

წვიმამ იმატა და წვეთების ხმა ისე ისმოდა, გეგონებოდათ, მთელ დედამიწაზე ჰქროდა საშინელი ქარი. წვიმდა კოკისპირულად, ვერ წარმოიდგენდი, რომ სადღაც, დედამიწის რომელიღაც კუნჭულში ანათებდა მზე და ადამიანები უდარდელად იღიმებოდნენ.

—გინდა მკითხო, საიდან ვიცით ჩვენ ეს ყველაფერი?

კაპიტანს უნდოდა ეპასუხა, რომ ყოველივეს ხვდება, მაგრამ თავი შეიკავა.

—დამნაშავეთა სამყაროში მარტო შენ და შენი ხალხი კი არ მოქმედებდით, ამგვარივე ჯგუფები ჩვენ შევაგზავნეთ საქართველოს კანონიერ ქურდთა გარემოცვაში. ასევე გავაკეთეთ სომხეთში, მოლდავეთში, უზბეკეთში. დეზინფორმაცია გამორიცხული იყო იმდენად, რამდენადაც ერთი წყაროსაგან მიღებული მონაცემები სხვათა მეშვეობით მოწმდებოდა. მაგალითად, შენმა ჯგუფმა გადმოგვცა დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტებისაგან მიღებული ინფორმაცია, რომ სომხეთის სუკის

თავმჯდომარე ეწევა მაქინაციას, უშვებს საზღვარგარეთ კრიმინალურ ელემენტებს და შეიძლება კავშირი ჰქონდეს ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. ეს ცნობა შევამოწმეთ სომხეთში მოქმედი სხვა ჯგუფების საშუალებით. შენ წარმოიდგინე, ჩვენ ხელთ გვრჩებოდა რაღაც დამამტკიცებელი დოკუმენტი, რომელიც შესაძლოა მთლიანად არ ადასტურებდა პირველ სიგნალთ ინფორმაციას, მაგრამ ამა თუ იმ პიროვნების არაკეთილსინდისიერებაზე მართლაც მეტყველებდა. რა თქმა უნდა, ასეთებს თავიდან ვიშორებდით.

მაგრამ ინფორმაცია, საქართველოს რომ ეხება, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, თუნდაც იმიტომ, რომ მათში პროგნოზირდებოდა ყველა ის ტრაგიკული მოვლენა, რომლებიც მოგვიანებით დატრიალდა რესპუბლიკაში და დღეისათვის მივიღეთ ის, რაც უნდა მიგვეღო: ჯერ იყო პატიაშვილის აშკარა ღალატი 1989 წლის 9 აპრილს, რომელსაც მთავრობის მოედანზე საშინელი სისხლისღვრა მოჰყვა. შემდეგ პირველი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და ომი ქურდულ კლანებს შორის ნაციონალურ საფუძველზე. ამას მოჰყვა შევარდნაძის გადადგომა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან და მისი ხმამაღალი განცხადება სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მომავალი დიქტატურის შესახებ.

—ხაბეიშვილი?—ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იკითხა კაპიტანმა.

—მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ჩვენთვის ცნობილია, რომ კამერაში აწამებდნენ, სისხლის სამართლის დამნაშავენი ღამე ასანთით ფეხის გულებს უწვავდნენ, გამომძიებლები აიძულებდნენ მიეცა პოლიტბიუროს წევრთა მაკომპრომეტირებელი ჩვენებები...

—თქვენ კი ვერაფერი იღონეთ?

მოხუცმა ბრაზიანად ამოიხვნეშა.

—შენ წარმოიდგინე ვერაფერი. საქართველოს ხელისუფლება ჯიუტად ტოვებდა ხაბეიშვილს საქართველოში, ეშინოდა სასჯელის მოსახდელად მისი ურალში, სპეცზონაში გაგზავნა. შიშობდნენ, რომ ამ შემთხვევაში ჩადენილი დანაშაულებრივი ინტრიგები მაღალი ინსტანციებისათვის გახდებოდა ცნობილი.

ჩვენ კი მის გასათავისუფლებლად ვერ ვიყენებდით ოპერატიულ მონაცემებს, რადგანაც ეს საფრთხეში ჩააგდებდა ჩვენს საიდუმლო წყაროებს.

—საიდუმლო წყაროები,—გაიფიქრა კაპიტანმა,—წმინდათა შორის უწმინდესი.—როგორც პროფესიონალს, შესანიშნავად ესმოდა მოხუცისა.

—მაგრამ ჩვენ იმას მაინც მივაღწიეთ, რომ ხაბეიშვილის სასჯელის

ვადა 15-დან 8 წლამდე შემცირებულიყო.

—რაა 8 წელი მარადისობასთან შედარებით?—ჩაფიქრებით თქვა კაპიტანმა.

მოხუცმა ალმაცერად გახედა მას.

—დამიჯერე, რომ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო.

—მჯერა, მჯერა.

მოხუცმა ბუხრის თაროდან დღიური აიღო. სსრ კავშირის სუკის ერთ-ერთი საიდუმლო განყოფილება რომ ჩააბარეს, იქედან დაიწყო ჩანაწერების გაკეთება, რომელთაც დაშიფვრის დროს ჩინურ სიმბოლიკას იყენებდა. შემდეგ სუკის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ გორბაჩოვის საწინააღმდეგო ქურდების აქცია რომ აღკვეთა, რომლის შემსრულებელი აბაიძე უნდა ყოფილიყო, მე ეჭვი აღარ მეპარებოდა იმაში, რომ მაფიამ მაგრად მოათვინიერა ზოგიერთი ინსტანციის, მათ შორის, პროკურატურის და შს სამინისტროს მუშაკები და უკვე თავისუფლად შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ სახელმწიფო ხელისუფლებაზე, რათა სასარგებლო გადაწყვეტილებები მიეღოთ.

ეტყობოდა, მოხუცი დაიღალა, ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა.

—მე იმის თქმა არ მინდა, რომ ყველა სახელმწიფო მოღვაწე მოსყიდული იყო, არა,—მოხუცმა პროტესტის ნიშნად ხელის გული ასწია,—ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ გადაწყვეტილებათა მიღების დროს დანაშაულებრივ ზღვარამდე მისული ჩვენი გულგრილობა და მიმნდობლობა შიგნიდან ხრავდა ხელისუფლებას. ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოწინააღმდეგე—დამნაშავეთა სამყარო კი, პირიქით, სულ უფრო აქტიური და ვერაგი ხდებოდა.

მოხუცს მწარედ გაეღიმა.

—თუ გინდა დავნაძლევდეთ, რომ ახლა გაგაოცებ.

—ეს თქვენ შეგიძლიათ—გაიცინა კაპიტანმა.

—იცი თუ არა, რომ დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებმა იცოდნენ ყველაფერი, რაც გორბაჩოვის კაბინეტში ხდებოდა. მაღალ ინსტანციებთან ახლოსმყოფ ადამიანებს იაფფასიანი იმპორტული კოსმეტიკის, ტანსაცმლის, პურ-მარილის, აღარაფერს ვამბობ უფრო დიდი ძღვენის—მანქანის, აგარაკის, ბინების გულისათვის შეეძლოთ გაეცათ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ისინი თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ფლობდნენ. რა თქმა უნდა, ისინი სახელმწიფო საიდუმლოს არ წარმოადგენდნენ, ძირითადად წვრილმანი ფაქტები იყო, მაგრამ როგორც ცნობილია, ქათამი მარცვალს კენკავს და ამითაა სწორედ მაძღარი.

—ფიქრობ, რომ მე გამაკვირვე?

—მაგრამ სრულ კატასტროფამდე საქმე მაშინ არ მიდიოდა. თქვენი კონსპირაციული ჯგუფების დახმარებით კონტროლის ქვეშ ავიყვანეთ დამნაშავეთა დაჯგუფებების განთქმული ავტორიტეტები: შორეულ აღმოსავლეთში კანონიერი ქურდი—ჯემი, ურალში—ასანი, ცენტრალურ რუსეთში—ივანკოვი, ჩრდილო კავკასიაში—სვო. ჩვენ მათ დაუყოვნებლივ დაჭერას არ ვაპირებდით, თავისუფლად უნდა ესეირნათ ჩვენს თვალწინ. ამოცანა სულ სხვა იყო: მიგვეღო რეგულარული და მართალი ინფორმაცია არალეგალური შემოსავლების წყაროთა შესახებ, შეგვეტყო იმ ჩინოვნიკებზე ვის ჩათრევასაც მაფია ცდილობდა, სახელმწიფოსა და სამართლებრივი ორგანოების წინააღმდეგ მიმართულ აქციებზე. თქვენს ჯგუფებს ადგილებზე პატიოსანი კერძო მეწარმეებისაგან უნდა შეექმნათ საზოგადოებრივი სტრუქტურები, რომ წინ აღსდგომოდნენ მასიურ დამნაშავეობას, ძალადობასა და რეკეტს. მართლწესრიგის ორგანოებსა და ქალაქის ხელისუფლებას დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთიანი პროგრამით უნდა ემოქმედათ. რომლის მთავარი რგოლები იყო (მოხუცი ზეპირად ლაპარაკობდა, ყოველი პუნქტის ჩამოთვლის შემდეგ თითს ჩაკეცავდა).

ა) ქურდულ ავტორიტეტებსა და დამნაშავეთა დაჯგუფებების ლიდერებზე ადმინისტრაციული, ოპერატიული კონტროლის დაწესება. მათი იზოლირება ახალგაზრდობისაგან, წვრილმან სამართალდამრღვევთა მოთავსება თავისუფლების აღკვეთის სპეციალურ ადგილებში.

ბ) სისხლის სამართლის დამნაშავეთა შემცირება წვრილ სამართალდამრღვევთა დეკრიმინალიზაციის ხარჯზე, უკანონოდ მსჯავრდებულების სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვა, თანამედროვე პენიტენციალური სისტემის შექმნა.

გ) კოოპერატიული სექტორის დაცვა რეკეტისაგან ადგილობრივი თვითმმართველობის ძალებით.

დ) საიმედო ფინანსური კონტროლის შექმნა.

ე) ორგანიზებული დანაშაულის შემსწავლელი ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა.

ვ) ორგანიზებული დანაშაულის საწინააღმდეგო სპეციალური კანონმდებლობის პირობების შესწავლა.

ზ) ორგანიზებულ დანაშაულობასთან მებრძოლი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა.

მოხუცმა, ვიდრე ლაპარაკს გააგრძელებდა, ღრმად ამოისუნთქა.

—ეს პროგრამა ქვეყნის რეგიონებში ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების შექმნის პირობებს მოსპობდა, დამნაშავეთა ჯგუ-

ფებზე სრული კონტროლისა და მათი განადგურების საშუალებას მოგვცემდა. გაქრებოდა რეკეტი და, რაც ყველაზე მთავარია, შეიქმნებოდა დასავლეთში ჩვენი ორგანიზებული დანაშაულის გავრცელების საწინააღმდეგო საიმედო ბარიერი.

—სხვათაშორის, უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ბარანიკოვმა დასავლეთის სპეცსამსახურები ჩვენში გამოჩეკილი მაფიოზების გამოყენებაში დაადანაშაულა—ფრთხილად შენიშნა კაპიტანმა.

—გააჩნია, რას გულისხმობდა. დასავლეთი თანდათან იცნობიერებს „ჩვენი ორგანიზებული დანაშაულის ექსპანსიის" საფრთხეს, ვფიქრობ, რომ უახლოეს ხანში იძულებული იქნებიან ამ პროცესის შესაჩერებლად ყველა ღონე იხმარონ, „რკინის ფარდის" აღდგენაზეც კი იფიქრებენ, ოღონდ ეს საშიშროება აიცილონ. ამიტომ მათ მიერ ჩვენი მაფიოზების გამოყენება უაზრობაა, მით უმეტეს, თუ ჩვეულებრივ რეკეტზეა საუბარი. სხვა საქმეა მსხვილი კორუფციონერი. ასეთი „ფრინველი" ყურადღების ღირსია. მით უმეტეს, რომ მაკომპრომეტირებელი სიტუაციის სპეციალურად შექმნაც არაა აუცილებელი, ის თითქოსდა თვითონ ნებდება: „აგერა ვარ, ამიყვანეთო", შემდეგ ყველაფერი მარტივად ხდება. პირობები ხომ შეიცვალა. დღეს ყოველნაირი შიფრების, რადიოსეანსების, საიდუმლო წერილების და სხვა ამდაგვარი სარისკო საქმეების გარეშეც ადვილად გახვალ ფონს.

„მოხუცი მართალია, ისევ მართალია",—გაიფიქრა მალიშევმა. მას გაახსენდა კონტრდაზვერვის თანამშრომელ მეგობრებთან „ჭიქა ჩაიზე" გამართული საუბარი. „უყურე ამ პოლიტიკურ ბომონდს,—ბრაზობდა სერიოჟა ტეპლოვი, მოსკოვის სამმართველოს თანამშრომელი—ისინი ჯგროდ დადიან საელჩოებში, მუქთამჭამელები, არც ერთ მიღებას არ გამოტოვებენ, ბერძნებისა და მექსიკელების წინაშე ბალახივით იკეცებიან, აღარაფერს ვამბობ ამერიკელებზე".

მოხუცმა დაახველა.

—მომაწოდე წყალი—თხოვა მან.

კაპიტანი ადგა, მაგიდასთან მივიდა და ფრანგულეტიკეტიანი ბოთლიდან მინერალური წყლით შეავსო ჭიქა. მოხუცმა, თავის დაქნევით გადაუხადა მადლობა, მერე სვენებ-სვენებით მოსვა რამდენიმე ყლუპი. კაპიტანმა ჭიქა აიღო და ბუხრის თაროზე დადო.

—როგორი გულგატეხილი ვუყურებ დღევანდელი უშიშროების სამსახურს,—ამოიოხრა მოხუცმა.—მხოლოდ უსაქმო სირბილი პრეზიდენტის კაბინეტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. ყველა ჯურის კარიერისტებმა, დღეს რომ კონცერტი მიჰყავთ, უშიშროების ორგანოები წუთიერი პოლიტიკური ინტერესების მოსამსახურედ აქცი-

ეს.

მოხუცმა ცხვირსახოცით ტუჩები მოიწმინდა.

—დღევანდელი რეალობა სულ უფრო და უფრო მარწმუნებს, რომ 80-იანი წლების ბოლოს სუკმა მაფიასთან ბრძოლის სწორი გზა აირჩია. ჩვენ ვცდილობდით ყველაფერი გაგვეკეთებინა იმისათვის, რომ დაგვერწმუნებინა სამყარო: ცივილიზაციას სსრ კავშირი ან სუკი კი არ ემუქრება, არამედ მაფია და ტერორიზმი. სხვათაშორის, სუკის ორი გენერალი შერბაკი და ზვეზდენკოვი კალიფორნიაში, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი ოფიცრების კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მივავლინეთ: იქ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხები განიხილებოდა.

პაუზა გაგრძელდა.

—მერე კი დაიწყო ხელისუფლების გაყოფა გორბაჩოვსა და ელცინს შორის, რამაც ჩვენი წამოწყებები ჩაფუშა. საბოლოოდ სსრ კავშირის დაშლამ დაგვღუპა და დასავლეთი რუსეთის დანაშაულებრივი სამყაროს პირისპირ აღმოჩნდა. ღმერთმა იცის, დასავლეთის არ მშურს, მაგრამ მაინც მინდა განვაცხადო: „ბატონებო, არ მოგწონდათ საბჭოთა კავშირი, რომელიც კარგა ხანია აღარ იყო „ბოროტების იმპერია", მაშ, ინებეთ სისხლის სამართლის დამნაშავეთა სახელმწიფო, ინებეთ, დიადი სახელმწიფოს ნანგრევებზე მოზეიმე მაფია!" როდესაც კანონიერი ქურდები,—ეს დრო კი არც თუ ისე შორსაა,—ამერიკის სენატორთა და პრეზიდენტის არჩევნების გაკონტროლებას დაიწყებენ, დასავლეთი მიხვდება, თუ რა დაუჯდა მას ეს გამარჯვება.

—კი, ეს ყველაფერი ასეა. მაგრამ, სიმართლე რომ გითხრა, მე დღეს სულ სხვა რამეზე მტკივა გული.—ამოიოხრა მალიშევმა.

—ვხედავ, დღეს რაღაცატომ მოთენთილი ხარ, გალახული ძაღლივით გამოიყურები.

—ფორმა შეესაბამება შინაარსს—გაიხუმრა მალიშევმა.

—მოხდა რამე?

—„ოქროს მაძიებლებზე" რომ გესაუბრე, ხომ არ დაგავიწყდა?

—შეიძლება ზოგი რამ დამავიწყდა კიდეც, შემახსენე.

—როგორც იტყვიან ხოლმე, ერთ მშვენიერ დღეს შავ გენერალთან გამომიძახეს.

# ოქრო

კაპიტანი მალიშევი, „ობიექტთან" რომ მივიდა, უკვე ელოდა შავი გენერალი (ზურგსუკან ასე უწოდებდნენ „ვიმპელის"[1] მეთაურს), მალიშევს დაშიფრული დეპეშა მიაწოდა და მოკლედ მოუჭრა: წაიკითხე.

„ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებთან ერთად (ორგანოსა და ქვეგანყოფილებების დასახელება გამოტოვებულია) „ოქროს მაძიებელთა" საქმის ჯგუფურ ოპერატიულ დამუშავებასთან დაკავშირებით ვგეგმავთ ოპერატიულ საბრძოლო ღონისძიებას, რომლებიც ითვალისწინებს ოქროსა და პლატინის არალეგალური მოპოვების ადგილის აღმოჩენას (ოპერაციის ჩატარების ადგილი გამოტოვებულია). აგრეთვე იმ ადამიანთა დადგენას და დაჭერას, რომლებიც ძვირფასი ლითონების მოლდავეთსა და სომხეთში არალეგალურ გაგზავნას აწარმოებენ. ამ მიზნის განსახორციელებლად განზრახულია ჩვენს განკარგულებაში მოავლინონ საბრძოლო-ოპერატიული ჯგუფი „ვიმპელი" ხუთი კაცის შემადგენლობით".

მალიშევის სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფი მთიან და ტყიან პირობებში მოქმედებისათვის იყო გამიზნული და ასეთ ადგილებში ხშირად უწევდათ მეცადინეობა. ამიტომ მისთვის დაგეგმილი ოპერაციის ჩატარების რაიონი კარგად იყო ცნობილი.[2]

—ხალხს თვითონ შეარჩევ,—უთხრა შავმა გენერალმა,—ორი სამედო რადისტი აიყვანე, შორეული კავშირის ახალი რადიოსადგური რომ კარგად იცოდნენ. იმოქმედებთ დამოუკიდებლად, კავშირი გექნებათ ცენტრთან კოდირებული რადიოარხით.

იარაღსა და ეკიპირებაზე თვითონ იფიქრე, პირადი შემადგენლობის შერჩევის, მატერიალური აღჭურვილობის გამონახვის და საერთოდ, ოპერაციისათვის საჭირო მასალების გაცნობისა და მომზადებისათვის

---

1 1991 წლის აგვისტომდე ასე ეწოდებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სპეციალურ ქვეგანყოფილებას, რომელიც საგარეო პოლიტიკური დაზვერვის პირველ მთავარ სამმართველოში შედიოდა.

2 მაშინ უშიშროების სამსახურის ტერიტორიალურ ორგანოთა გამოცდილი ოპერმუშაკები ოპერატიულ-საბრძოლო მომზადებას პირველი მთავარი სამმართველოს ოფიცერთა კურსების სასწავლო ცენტრში გადიოდნენ. იმ დროს მათ სპეციალურ ოპერაციათა შესრულებაც ხშირად უწევდათ, მაგ. ამინის სასახლის აღება ავღანეთში.

სამი დღე გეძლევათ, თქვენთან იმუშავებს კურატორი.

ზუსტად სამი დღის შემდეგ კაპიტან მალიშევის ჯგუფი ილ-76-ში მოკალათდა და კურსი ალმოსავლეთისაკენ აიღო.

დაშვების ადგილი ძირითადი პუნქტისაგან, სადაც ძებნას აპირებდნენ, 25 კილომეტრის მოცილებით შეარჩიეს. წინასწარ ძირფესვიანად შეისწავლეს იქაური გარემო, საგანგებო კავშირით სთხოვეს ადგილობრივ კოლეგებს, მოეწოდებინათ ამომწურავი ინფორმაცია, ისიც კი გაეგოთ, თუ რა დონეზე იყო წყალსაცავებში წყალი, ეს იმ შემთხვევისათვის, ვინმეს დაშვების დროს „გუბეში" რომ მოედინა ტყაპანი. სასურველია თივაზე დაშვებულიყვნენ, რაც არც ისე იშვიათი იყო ამ მიდამოებში.

მალიშევმა რადიოგადამცემი შეამოწმა, სათადარიგოდ რომ ჰქონდა მიმაგრებული, მოიძია ხის ბუდეში მჭიდროდ მოთავსებული პისტოლეტი სტეჩკინი, მეხსიერებით გაიაზრა კომბინეზონის რომელ ჯიბეში რა ედო (რუკა, ასანთი, სიგარეტები—წყალგაუმტარ ბუდეში, პატარა აფთიაქი, ორცხობილა, ტყვიები, მზვერავის დანა...). არსებობს შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ საპარგო პარაშუტი არ გაიხსნება, ასეთი რამ არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე.

მფრინავთა კაბინიდან ეკიპაჟის მეთაური გამოვიდა, მალიშევისაკენ დაიხარა და ჩაფხუტით დაფარულ ყურში ჩაყვირა: „ხუთ წუთში უნდა დატოვოთ თვითმფრინავი". მალიშევმა უპასუხა: „თქვენ ერთი გამშვები გყავთ, ჩვენ კი ორივე გასასვლელიდან უნდა დავეშვათ, თუ არა ნამეტანი დავშორდებით ერთმანეთს". „ეგ არაა პრობლემა, პირველ კარებში მე თვითონ დავდგები".

ჯგუფი გაიყო, სიგნალის ხმა. „პირველი წავიდეს"—ბრძანება გასცა გამშვებმა. სახეში ჰაერის ძლიერმა ტალღამ დაარტყა. მალიშევმა, წესისამებრ, ხუთჯერ გაიმეორა „501" და რგოლი გახსნა. ყველაფერი რიგზე იყო.

## აგენტ „ვოლფის" შეტყობინებიდან

**თქვენი დავალებით მოსკოვში ვიმყოფებოდი და შევხვდი თქვენს შესასწავლ ობიექტს კ-ს. მისი ბინიდან წავედით თქვენთვის ცნობილ სამი ვაგზლის რაიონში მდებარე დასავლეთგერმანული წარმომადგენლობის ოფისში. იქ გფრ-ის მოქალაქე ვინმე ბატონ კალნიკოვის წინაშე წარმადგინეს, რომელიც თავის დროზე ემიგრაციაში წავიდა სსრ**

კავშირიდან, წარსულში იგი ბრძმედული წიდის გადამუშავების წამყვანი სპეციალისტი, ამჟამად დასავლეთგერმანული ბანკის (სახელწოდება გამოტოვებულია) ერთ-ერთი განყოფილების უფროსია. საუბრის დროს კალნიკოვმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ოქროსა და პლატინის არსაწარმოო საბადოების მიმართ. ის აგრეთვე დაჟინებით გვეკითხებოდა იმ სპეციალისტ „გეოლოგებზე“, რომლებიც თქვენთვის ცნობილ რაიონში შავი მარმარილოს საბადოს წაწყდომიან.

წარმომადგენლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სახელად დიტრიხი (გარეგნული ნიშნები გამოტოვებულია), უხეშად ჩაერია ოქროს საბადოებთან დაკავშირებულ ჩვენს საუბარში. მან დაადო რუკაზე ხელი და რეგიონის განვითარებაში გერმანიის მონაწილეობის შესახებ რამდენიმე განმარტების გაკეთების შემდეგ განაცხადა: „უნდა მივაღწიოთ, რომ რუსეთის ეს ნაწილი ჩვენი გახდეს“.

კალნიკოვი ჩემს კეთილგანწყობასა და „საიმედოობაში“ არ იყო დარწმუნებული და ცდილობდა ფრთხილად გამოეთქვა თავისი აზრი, ასეთი გულახდილობის გამო გაწითლდა კიდეც, მაგრამ საუბარი არ შეწყვეტილა. მე მოვუყევი ოქროს მაძიებელთა არალეგალურ ბრიგადებზე, რომლებიც ტაიგაში ძველ შურფებს ხსნიან. გერმანელები დაინტერესდნენ ამით და ფირმის კომპანიონობა შემომთავაზეს იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება ოქროს მაძიებელთა არტელის შექმნა, საოლქო და ქალაქის მახლობელ ადმინისტრაციებთან კონტაქტის დამყარება.

ჯგუფის მარშრუტი ჯერ კიდევ ბაზაზე დამუშავდა და ხელსაწყოს ელექტრონული მეხსიერება (ესაა ხელსაწყო, რომლის ეკრანზე დიაგრამის სახით მოცემულია მოძრაობის მარშრუტის გრაფიკული გამოსახულება. მის მონაცემთა ბანკში მარშრუტის 500 წერტილი და მოძრაობის კურსის 50 კუთხეა: განსაზღვრავს ყველა ძირითად სანავიგაციო და მოძრაობის პარამეტრებს) აფიქსირებდა ყოველ გადახრას. სიგარეტის კოლოფისოდენა ეკრანმა მარშრუტის მიკროსქემა გაანათა, მასზე ანთებული გეოგრაფიული კოორდინატები მალიშევმა მეხსიერებით სწორკუთხედებში გადაიყვანა და სწრაფად გაშალა რუკა. შეაერთა სახაზავით ორი წერტილი და დაუსტვინა: „აი, სიურპრიზიც!“ ერთ წუთში ჯგუფმა გაიგო, რომ ისინი აღნიშნული წერტილიდან ორმოცი კილომეტრის დაშორებით დაშვებულან დედამიწაზე. ახლა სოფელ კურამდე

უნდა მისულიყვნენ. იქ მოეძებნათ ვინმე „გოლუბი“ (მტრედი), რომელიც იქაურმა კონტრდაზვერვამ ჯგუფის დასახმარებლად შეარჩია. ადგილობრივი რაიონის უშიშროების სამსახურის უმცროსმა ოპერრწმუნებულმა ტოლია ზაიცევმა უთხრა „გოლუბს“, რომ ამ დღეებში სტუმრები მოაკითხავენ, ტაიგაში უნდათ ხეტიალი და ნადირობა: მიიღოს გულთბილად და ანახოს ის ადგილები, რომლებსაც ეტყვიან, „გოლუბს“ დიდი ახსნა-განმარტება არ დასჭირვებია, უცებ გაიგო, რაშიც იყო საქმე.

აგენტი „გოლუბი“ მშიშარა არ იყო, სოფლის განაპირას ცხოვრობდა. ხანდახან გაქცეულ პატიმრებს ეხმარებოდა. ნავებს აძლევდა მდინარის მეორე ნაპირზე გადასასვლელად, მაგრამ ამის შესახებ მილიციასაც ატყობინებდა. მეგობრობდა ტყის მოხეტიალე მჭრელებთან, მათ თვითნახადი არყით უმასპინძლდებოდა, ხანგამოშვებით ჩეკისტებიც ესტუმრებოდნენ, მისთვის ესენი საყვარელი „შვილები“ იყო, სიამაყით ეძახდა საკუთარ თავს „გოლუბს“ და რაღაცნაირი ღირსების გრძნობით აწერდა ხელწერილს ხელს გაწეული სამსახურისათვის 10-20 მანეთის მიღების თაობაზე, უშიშროების სალაროდან რომ გადიოდა.

განთიადისას, დასვენებულმა და სტუმართმოყვარე „გოლუბისაგან“ საჭირო სანოვაგით მომარაგებულმა კაპიტან მალიშევის ჯგუფმა გეზი ტაიგის მდინარის შენაკადებისაკენ აიღო. შუადღისას დანიშნულ ადგილას მივიდნენ, უსაფრთხოების ყველა დონის დაცვით მოაწყვეს ბაზა და ტერიტორიის კვადრატ-კვადრატ შემოწმება დაიწყეს. გადიოდა დღეები, შედეგი კი არ ჩანდა. ნახეს ორი ძველებური საფლავი, რამდენიმე დაწყებული და მიტოვებული შურფი, მაგრამ გრუნტის ჩარეცხვის კვალი კი არ შეიმჩნეოდა.

და ბოლოს, ერთმა უბანმა მიიქცია ოპერატიულ მუშაკთა ყურადღება. სამძებრო წყვილებმა სამარხილო გზაზე ახალი კვალი შეამჩნიეს. მეტყევეთა და მთიბავთა უბანი ამ ადგილებში არ იყო, გადაწყვიტეს ეთვალთვალათ გზაზე გაჩენილი ამ ახალი კვალისათვის და ამიტომ იქვე ზვინული მოაწყვეს.

პირველმა დღემ უშედეგოდ ჩაიარა. მეორე დღეს მოისმა ძრავის დაძაბული ხმა. მალე გზაზე გამოჩნდა სამხედრო ტიპის თბილფურგუნიანი „ურალი“.

ოთხი ადამიანი, მათ შორის მძღოლიც, გზის გასაწმენდად გადმოვიდნენ. ხეები რომ ახალი გაკაფული დაინახეს, ფრთხილად დაიწყეს ხშირი ტყისაკენ ყურება.

—გაქცეული პატიმრები ხუმრობენ, არა?—იკითხა ერთმა.

—პატიმრები სახლიდან არ გაიქცევიან,—უპასუხა მეორემ.—ალბათ

ფორმიანებმა დაყნოსეს რამე.

აქ ყაყაჩოსფერქუდიანებს რა უნდათ? საიდან გაჩნდებოდნენ? ჩვენ ხომ სატყეო მეურნეობის გზით მოვდივართ, იქ სიწყნარე იყო, უცხო არავინ დაგვინახავს, კურაშიც არაფერი შეგვიმჩნევია, აქ რომ ფორმიანები გამოჩენილიყვნენ, სამმართველოდან ისოლიტოვიჩი აუცილებლად გაგვაგებინებდა.

დაეთანხმნენ.

—ფორმიანებს ამ დასაკარგავში რა უნდათ. მათი საქმე ხომ ქალებში თრევა და არაყის სმაა, ტაიგაში რა დარჩენიათ, და თუ მაინც გამოჩნდებიან, კოლოები ერთ წამში შეჭამენ, ხედავ, როგორ ირევიან, საშველი არ არის. მოდი ერთი, გზის გასაწმენდად ბომჟები გამოვუშვათ.

—ხომ არ გაიქცევიან?

—სად გაიქცევიან, რეგვენო, ტაიგაა ირგვლივ.

ფურგონიდან მოისმა ხმები: „უფროსო, გამოგვიშვი“, მეორე ხმა ეპასუხებოდა—„რომელი შენი უფროსია, მამაძაღლები არიან, პედერასტები, ოჯახს მარჩენალი მოგვაშორეს“.

ორნი, სიბრაზისაგან გაცოფებულები მივიდნენ ფურგონთან, გამოაღეს კარი ფართოდ და იქედან ჩვრებივით ყრიდნენ დაკონკილ და გაძვალტყავებულ ადამიანებს. სულ ექვსი კაცი გადმოაგდეს და მიწაზე დაყარეს, შემდეგ ერთ-ერთი უბედური მიწაზე გაშხლართეს და ფეხებით ცემა დაუწყეს. საცოდავი ბლაოდა, სისხლით იხრჩებოდა და ხროტინებდა, სისხლის დანახვით გახელებული უფროსები ძლივს მოაცილეს კომპანიონებმა: „მოკლავთ, თქვე დებილებო, და მერე თვითონ მოგიწევთ საბადოზე მიწის ღრღნა“.

ბომჟები გზის გასაწმენდად მოდენეს და მალე „ურალიც“ ნელ-ნელა დაიძრა თიხის გრუნტიან აზელილ გზაზე.

ოპერატიულ მუშაკებს უკვე ეჭვი არ ეპარებოდათ იმ საიდუმლო საბადოს არსებობაში, სადაც ოქროსა და პლატინას მოიპოვებდნენ. „საზიზღარი ფორმიანები“, როგორც თვით სუკის თანამშრომლები უწოდებდნენ გამცემ მილიციელებს, ნებისმიერი მიზეზით აპატიმრებდნენ „ბომჟებს“, შემდეგ კი მალულად გადაჰყავდათ საიდუმლო საბადოებზე, მიწის სამუშაოებზე. სიკვდილისა და წამების შიშით ისინი ასობით კუბ-ურ მეტრ გრუნტს ეზიდებოდნენ, ოქროს მაძიებლები კი რეცხავდნენ.

მალიშევის ჯგუფმა დააფიქსირა მანქანის ნომერი, ნანახი ფოტოფირზე აღბეჭდა, საუბარი კი „ლილიპუტით“ ჩაწერა.

მიმართულება რომ იცოდნენ, საბადოს ადვილად მიაგნეს. იგი მდება-

რეობდა ორ მწვერვალს შორის: მთის ნაკადულის გასწვრივ რამდენიმე ჯოხი შენიშნეს. ფერდობზე ადამიანები ფუსფუსებდნენ. ისინი ურიკებით ეზიდებოდნენ გრუნტს ნაკადულისაკენ, სადაც იგი ირეცხებოდა. ბინოკლში ჩანდა რაღაც თეთრი გროვა. როგორც გაირკვა, ეს იყო კირქვა. ჩამქრალ კირს ღვრიდნენ მაღაროში, სადაც შიმშილისა და აუტანელი შრომის გამო დაღუპულ „ბომჟების" გვამებსაც ყრიდნენ.

მალიშევის ჯგუფს უფლება არ ჰქონდა საქმეში ჩარეულიყო და დაეპატიმრებინა თანამედროვე „მონათმფლობელები". მას ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დაედგინა, დაეფიქსირებინა და საშუალება მიეცა ოპერატიული და სამძებრო სამსახურებისათვის თვალი გაედევნებინათ იმ საიდუმლო ძაფისათვის, რომელიც არალეგალურ საბადოს ძვირადღირებული ლითონის გამყიდველებთან აკავშირებდა.

ოპერატიული დამუშავებიდან, რომელიც უკვე ხუთი წელი გრძელდებოდა, მალიშევმა იცოდა, თუ რა ძლიერი იყო ის ძალები, რომელთა კონტროლითაც ხდებოდა ოქროს ოპერაციები. მაგ. 1936 წელს სუკის მეექვსე სამმართველომ მიიღო სერიოზული ინფორმაცია ოქროს დატაცებაზე და მის კომბინატ „სევერონიკელში" გადაგზავნის შესახებ. ძიება სპეციალურად შექმნილ ჯგუფს დაევალა, რომლის ხელმძღვანელად სსრ კავშირის შს სამინისტროს სამძებრო განყოფილების უფროსი გამომძიებელი მარტინოვი დანიშნეს. თუ რამდენად მაღალი წრის პირებს ეხებოდა ეს საქმე და რამდენად ძლიერი იყო წინააღმდეგობა, ადვილად წარმოსადგენია იმით, რომ ჯგუფი მალე დაიშალა, ხოლო თვით მარტინოვი კი შსს-ს ორგანოებიდან დაითხოვეს. სუკმაც ვერ გაბედა ემოქმედა აშკარად და ფარული გზები აირჩია. საქმეში იყო ჩართული გაზეთი „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია", რომელმაც მთელი სიმამაცით დაიწყო მაქინაციების გამოაშკარავება და ძლივს გადაირჩინა თავი.

## შს სამინისტროს ორგანოების აგენტის „არტემოვის" შეტყობინებიდან

1982 წელს ქ. ოდესის შს სამინისტროს სოცსაკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსმა მალიშევმა (კაპიტან მალიშევის მოგვარე), სხვა ოპერატიულ მუშაკებთან ერთად, ამოიღო კონტრაბანდული 10 კგ. ოქრო, რომელიც საზღვარგარეთ გასატანად იყო განკუთვნილი. ამ ოპერაციის შემდეგ დაიწყო მისი მიზანმიმართული კომპრო-

მეტირება მალიშევის წინააღმდეგ ოდესის პროკურორი ზამარინი რომ აემხედრებინათ, ადგილობრივი დამნაშავე ელემენტების დახმარებით ამ უკანასკნელის ბინა გაქურდეს და შეგნებულად დატოვეს „უდავო“ მამტკიცებელი სამხილები იმისა, რომ თითქოს მძარცველები მალიშევის მიერ შექმნილი ბანდის წევრები იყვნენ. აქტიური მამხილის უფრო საიმედო იზოლირებისათვის საქმეში სუკის ადგილობრივი განყოფილებაც ჩართეს. შეუმოწმებელი მონაცემების საფუძველზე უკრაინის სუკის განყოფილების უფროსმა ბობოვსკიმ მალიშევის წინააღმდეგ აღძრა ოპერატიული შემოწმების საქმე—სამშობლოს ღალატი საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობით. მალიშევი იზოლიატორის გისოსებს მიღმა მოათავსეს. დამნაშავეთა სამყარომ სუფთად მოუგო სახელმწიფოს!

## სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებიდან

სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა განიხილა 1987 წლის ოქტომბერში შემოსული ოდესის შსს სოციალური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ყოფილი უფროსის ა. ვ. მალიშევის განცხადების შემოწმების შედეგები: მისი უსაფუძვლოდ პარტიიდან გარიცხვის, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ფალსიფიცირებული მასალებით ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ.

პარტიული კონტროლის კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ მალიშევისათვის წარდგენილი ბრალდება უსაფუძვლოა.

შინაგან საქმეთა ორგანოებიდან მალიშევი 1984 წლის ოქტომბერში დაითხოვეს უსაფუძვლოდ, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ოდესის ოლქის პროკურორის ვ. ი. ზიმარინის მითითებით იქნა აღძრული 1984 წლის აგვისტოში, ღვინის მაღაზიის სამი უფროსი გამყიდველის შეუმოწმებელ განცხადებათა საფუძველზე. მალიშევი თითქმის ორი წელი პატიმრობაში იმყოფებოდა. მის შესახებ არაობიექტუ

რი ინფორმაცია შეტანილი იყო აგრეთვე სსრკ შს სამინისტროს ინსპექტორთა განყოფილების უფროსი ინსპექტორის ამხ. ა. ა. ასლახანოვის მიერ შს სამინისტროს ხელმძღვანელობისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში. შემოწმებამ დაადგინა აგრეთვე, რომ ასლახანოვის უკონტროლობის შედეგად მისი ბრიგადის მუშაკთა მიერ დაშვებული იქნა არასამართლებრივი მოქმედებები ქ. ოდესის მილიციის ზოგიერთი თანამშრომლის მიმართ. სულ მილიციის 80-მდე თანამშრომელს უსაფუძვლოდ დაედო სასჯელი.

სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა დაავალა უკრაინის კომპარტიის ოდესის საოლქო კომიტეტს, სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის შს სამინისტროს პარტკომებს განიხილონ საკითხი იმ მუშაკთა შესახებ, რომლებმაც დაუშვეს სოციალისტური კანონიერების დარღვევა და სამსახურებრივი მოვალეობის არაკეთილსინდისიერი შესრულება ამხ. მალიშევის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შესწავლის დროს.

## შს სამინისტროს აგენტის „ციბულსკის“ შეტყობინებიდან

1978 წლის მაისში კონტაქტი დავამყარე ქ. კიშინიოვში, ლენინის ქუჩაზე მდებარე მაღაზია „აურეოლის“ გამყიდველთან. მან მომითხრო ქალის, სახელად კლავდიას შესახებ, რომელიც სისტემატურად აბარებს ოქროს დიდი პარტიებით (კუსტარულად გაკეთებული საყურეები, ბეჭდები). კლავდია მოლდავეთის კპ ცკ-ის მდივნის მეუღლე აღმოჩნდა. ოქროს ზოდებს იგი ციმბირიდან ვინმე მინცისაგან ღებულობს, რომელიც რაიონული დამამზადებელი კანტორის მუშაკია. კლავდია იუველირ-მჭედელთა დახმარებით ორგანიზაციას უწევს ოქროს ნაკეთობათა დამზადებას, რომელიც შემდეგ მაღაზია „აურეოლის“ გამყიდველთა საშუალებით საღდებოდა. მინცს ქრთამის, 50000 მანეთის მიცემა უნდოდა მოლდავეთის სოციალური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსის ბოლდინისათვის, მაგრამ მან დააპატიმრა იგი და თვითნაკეთი მონეტების სახით

რამდენიმე კილოგრამი ოქრო ჩამოართვა. ბოლდინმა აგრეთვე დააპატიმრა შამესი, რომელიც ქალაქ ბელცში ბეწვეულის მაქინაციების გამო მინცთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, ოქროს ნაკეთობებით ვაჭრობის ორგანიზაცია იმ მაღაზიაში ხდებოდა, სადაც ებრაელები მუშაობდნენ. მაგალითად, ასეთი ვაჭრობა მიმდინარეობდა უნივერმაღში, რომლის დირექტორი იყო მანდელი. დამუშავებული ოქროს ნაწილი ერევნის საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით ლიბანში იგზავნებოდა.

ბოლდინმა გადაწყვიტა მაღაზია „აურეოლში" რევიზიის ჩატარება, მაგრამ მანამდე ტელეფონით გააფრთხილეს, რომ ოქროსთან დაკავშირებული საკითხებისაგან შორს დაეჭირა თავი, მას ანონიმურად დაურეკა ნაპატიმრალმა ლარისა სემერუნიკმა. მოგვიანებით „პატრონთა" დავალებით სემერუნიკი მოლდავეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ცდილობდა ინტიმური კავშირის დამყარებას, მაგრამ მან უარი უთხრა. სემერუნიკი არაერთხელ დაემუქრა ბოლდინს ტელეფონით, რომ მას მალე დააპატიმრებენ. იგი პროკურორ შჩერბაკის დავალებით მოქმედებდა. სემერუნიკი ლამაზი ქალი იყო.

## ცნობა შჩერბაკის შესახებ

1968 წლის 15 ნოემბერს შჩერბაკს, რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს კადრების დარგში, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე დაედო პარტიული სასჯელი, ამასთან რეკომენდირებული იქნა მისი განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან. ბიუროზე აღინიშნა, რომ 1943 წლიდან, ოკუპაციის დამთავრებამდე, იგი მუშაობდა სამეურნეო სამსახურში, მაგრამ ეს ფაქტი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მიღებ. ! დროს დამალა.

1970 წელს შჩერბაკი პროკურორად დაინიშნა. კონფიდენციალური წყაროს კ.ნ.ნ.-ის მონაცემებით, რომელიც საბჭოთა დაზვერვის დავალებას ასრულებდა რუმინეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, შჩერბაკი სიგურანცის ოფიცრის ფორმით 1943 წ. ნოემბრამდე მართლაც ხშირად

ჩამოდიოდა ამ რაიონში.
ომის შემდეგ პროკურორ კალაშნიკოვთან საუბრის დროს მან იცრუა, განაცხადა, თითქოს საბჭოთა დაზვერვაში მუშაობდა. კალაშნიკოვმა დაიწყო შჩერბაკის შემოწმება. რაიონის მცხოვრებლებმა ამოიცნეს სიგურანცის ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი შჩერბაკი.
1975 წელს კალაშნიკოვს შეთითხნილი ბრალდებით 10 წელი მიუსაჯეს და 1980 წელს ნიჟნი ტაგილის შრომა-გასწორების კოლონიაში მოკლეს.

## ცნობა მსჯავრდებულ ბოლდინის შემოწმების შესახებ

ქ. ბელცის ბეწვეულის დამამუშავებელი კომბინატის მუშაკის შამესის და სოციალური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ყოფილი თანამშრომლის ბიზგანის, რომელიც დანაშაულებრივ კავშირში შევიდა მაფიოზურ ორგანიზაციასთან, დაპატიმრებისა და მსჯავრის დადების შემდეგ, მათმა თანამოსაქმეებმა და თანამოაზრეებმა გადაწყვიტეს „ობხსის" უფროსის ბოლდინის კომპრომეტირება. ამის გაკეთება მოახერხეს მოქ. გლიქინსკაიას დახმარებით, რომელმაც განაცხადა, რომ ბოლდინმა მას ქრთამის სახით გამოსძალა 22 ათასი მანეთი. ამ განცხადების საფუძველზე ბოლდინი დააპატიმრეს და საქმის გამომძიებლად შამესის ნათესავი, ქ. ოდესის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი ბელსკი დანიშნეს, რომელსაც ძიება არასწორი გზით მიჰყავდა. მოგვიანებით, 1985 წელს, ბელსკი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ოდესის „ობხსის" უფროსის მალიშევის წინააღმდეგ ფალსიფიცირებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში.
„ძიებისა" და საქმის სასამართლოში „განხილვის" შემდეგ ბოლდინს 8 წლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.
ბელსკი შეამოწმეს და გამოირკვა, რომ 1943 წლის მაისში მან საბჭოთა არმიის ჰოსპიტლებში დოკუმენტების გაცემის გაუბრალოებული წესით ისარგებლა და შეიცვალა მამის სახელი, მაისეევიჩის ნაცვლად გახდა მიხაილოვიჩი, დამალა

ნასამართლობა. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივსა და ფრონტის სამხედრო საბჭოს საბუთებში ბრძოლაში მამაცობის გამოჩენის გამო ნასამართლეობამოხსნილ ჯარისკაცთა სიაში არც ბელსკი ალექსანდრე მოსეს ძეა ნახსენები და არც ბელსკი ალექსანდრე მიხეილის ძე.

დადგინდა, რომ ორდენები, რომელსაც ა. მ. ბელსკი ატარებდა, დაღუპულ მეომრებს ეკუთვნოდა: წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით №629758 და №453884 დაჯილდოებული იყო სერჟანტი ა. გ. ტარასოვი, წითელი დროშის ორდენით კი—№106836—სერჟანტი ქ. ტ. პენკოვი. ბელსკის ამავე დროს უკანონოდ ჰქონდა მითვისებული და ატარებდა რამდენიმე მედალს. მის მიერ 1939 წელს კიევის ქვეითი ჯარის სასწავლებლის დამთავრების ფაქტიც არ დადასტურდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების კოლეგიის 1988 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებიდან: „მოლდავეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1984 წლის 11 იანვარის განაჩენი ანატოლი თევდორეს ძე ბოლდინის მიმართ გაუქმდეს, საქმის წარმოება შეწყდეს და ბოლდინი ა. თ. განთავისუფლდეს."

1988 წლის 3 თებერვალს ზონის კარებთან ბოლდინს სუკის თანამშრომლები შეხვდნენ, რათა იგი აეროპორტ კოლცოვომდე მიეყვანათ და ნათესავებისათვის ჩაებარებინათ.

შავ გენერალთან სატელეფონო საუბარი მოკლე იყო:

—ადგილი ნახეთ?

—დიახ.

—გამოცხადდით ტერიტორიულ სამმართველოში, იქიდან მოსკოვში გადაგიყვანენ. ადგილზე ვრცელ წერილობით ანგარიშს ჩააბარებთ.

—მერე?—ჰკითხა მოხუცმა.

—მერე...—მალიშევმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და გადაშალა.—ეს ამონაწერია ოფიციალური საბუთიდან:

—„სსრკ პროკურატურისა და სსრკ შს სამინისტროს მონაცემებით, სუკის ინფორმაცია მითითებულ რაიონში ძვირადღირებული ლითონების არალეგალური მოპოვების შესახებ არ დადასტურდა“. ხედავთ? არ დადასტურდა — მორჩა და გათავდა.

—მომეცი.—მოხუცი დიდხანს ჩაკირკიტებდა ტექსტს, თითქოსდა სტრიქონებს შორის რაღაცის ამოკითხვას ცდილობდა.—მე ამას მოველოდი,—თქვა და ქაღალდი უკან დაუბრუნა.

—როგორ?—განცვიფრდა მალიშევი.

—რბილად რომ ვთქვათ, მოვლენათა ამგვარი შემობრუნებით არც ისე განცვიფრებული ვარ.

—არა ხართ გაკვირვებული?—მალიშევი ყურებს არ უჯერებდა.—მე, გამოცდილი ოპერატიული მუშაკი, კინაღამ გადავირიე, როდესაც ეს პასუხი წავიკითხე.

—მე ხომ ოპერატიული მუშაკი არა ვარ, რომ გადავირიო, —ცოტათი აიმაღლა ხმა მოხუცმა—შენთან შედარებით ცოტა მეტი რამ ვიცი იმ კბილანების შესახებ, რომლებიც ჩვენი შესანიშნავი სახელმწიფოს მექანიზმში ტრიალებენ.

—ეს მართალია,—თავი ჩაღუნა მალიშევმა.

მოხუცმა ეჭვით შეხედა.

—ირონიაა?

—ღმერთმა დამიფაროს.

ყოველგვარი სერიოზული დანაშაულებანი,—ხმადაბლა დაიწყო ლაპარაკი მოხუცმა—როგორც ეს „ოქროს მაძიებელთა“ შემთხვევაში მოხდა, ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობის არასრულფასოვნების გამო იძირება. ყოველი უწყება სუვერენული სახელმწიფოა. შინაგან საქმეთა სამინისტრო არაფრად აგდებს სუკის ინფორმაციას, პროკურატურა ვერ იტანს სასამართლოთა ნომინალურ დამოუკიდებლობასაც კი. ამიტომ მაღალი რანგის საქმოსნები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთ უწყებათა კომპენტენციის ფარგლები, დაუსჯელად მოქმედებენ.

—ზოგჯერ უნიჭო მოთამაშის ხელში უმაქნისი პაიკი მგონია თავი.

—კარგია, თუ მხოლოდ ზოგჯერ, ეს ნორმალურია.

—იცით, როგორ მონათლეს ჩემმა კოლეგებმა თავისი სამსახური? „სასაცილო კონტრდაზვერვა“.

მოხუცმა საათს დახედა და ადგა.

—ურალში?—ჰკითხა ოფიციალურად და დასამშვიდებლად ხელი გაუწოდა.

—ურალში—გაეღიმა მალიშევს.—ზონის ძმობილები მომენატრა.

# ზონა. „სურათები გამოფენიდან"

ზონის საკონტროლო გამშვებ პუნქტთან მალიშევს, როგორც ყოველთვის ოდნავ გააჟრჟოლა. ცოტა უგუნებოდ იყო, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ამჟამინდელი სტუმრობის გამო. რკინის ალაყაფის კარის ღრჭიალი-იქ, ამ კარების მიღმა იწყება ყოველივე იმისაგან აბსოლუტურად განსხვავებული, რაც ადამიანს ადამიანად ყოფნის აგრძნობინებს. იქნებ ყველაზე საშინელი, რაც სტალინის დროიდან მემკვიდრეობით გადმოგვეცა, ციხეები და ბანაკები იყო. აქ შენ სისხლმოწყურებული მხეცი ხარ, ან ჩვარი, ნებისმიერ დროს რომ შეიძლება გადაიქცე ცხოველად, აიჭრა ჭკუაზე-ცოტაა ისეთი, ვინც ჩვენს სამამულო პატიმრობაში ადამიანური ღირსების შენარჩუნება შეძლო.

სიძულვილით გასწია საკონტროლო გამშვები პუნქტის რკინის კარი, ვიწრო, რკინის ალაყაფშემორტყმულ შესასვლელში შევიდა და საყარაულოსთან დამაკავშირებელ ზარს დააჭირა ხელი. ავტომატურად გაიღო რკინის გისოსებიანი ლობე. მალიშევი ოკუტელ სერჟანტს მიესალმა და საშვი აჩვენა.

—ამხანაგო კაპიტანო, ისევ გვესტუმრეთ?!

—მალიშევმა გუნებაში შეუკურთხა, მაგრამ სახეზე არ შეიმჩნია და რაც შეიძლებოდა, მხიარულად უპასუხა:

—გესტუმრეთ, ძმაო, გესტუმრეთ.

ალაყაფის შიგნით გისოსი რომ დაიხურა, მალიშევმა, როგორც ყოველთვის, ფანჯარაში გაიხედა, საიდანაც მთელი ზონა მოჩანდა. უნდოდა შეემოწმებინა, იდგა თუ არა შტაბის შესასვლელთან მორიგე პატიმარი. ჩვეულებისამებრ მალიშევი მას რამდენიმე სიტყვას ეტყოდა ხოლმე მისცემდა სიგარეტს და პატიმრის თვალებში მადლიერებას ამოიკითხავდა. თუმცა დღეს სულ სხვაგვარი გუნება-განწყობილება ჰქონდა. ზონის შესასვლელ კიბეებზე დაეშვა, მაგრად მიუხურა კარი და ფართო ნაბიჯებით გაემართა შტაბისაკენ. მორიგემ შორიდან შენიშნა მალიშევი და დაფაცურდა, ცოტა ხანს შეჩერდა, რომ რამოდენიმე წამი დალაპარაკებოდა და, როგორც ყოველთვის, „ძღვენი" მიეღო, მაგრამ მალიშევმა ნაბიჯს არ მოუკლო და მოკლედ მოუჭრა: „შემოხვალ ჩემთან, ოთახში. „გა-ვო-გე", მიუგო კაპიტანს.

კოლონიის ოპერატიული ნაწილის უფროსის, სერდიუკოვის კაბინეტში ორი ოპერმუშაკი — ლეიტენანტი გალკინი და მაიორი მიხეევი ისხდნენ და, როგორც ყოველთვის, მაგარ ჩაის სვამდნენ. საფერფლე სიგარეტის ნამწვით იყო სავსე. მალე მალიშევიც შემოვიდა. სერდიუკოვი გულთბილად მიესალმა მალიშევს, მერე მის კითხვას არ დაელოდა და პირდაპირ მოახსენა:

— დილით, განთიადისას, კოლონიის მორიგე თანაშემწემ შეგვატყობინა, რომ სამრეწველო ზონაში საღამოს ცვლაში დამზადებულ ჭურვის ყუთებზე ჩანს წარწერები მოწოდებებით: „ჩამოვახრჩოთ ფორმიანები“ და ამისთანები. გალკინმა უკვე გადაიღო ეს წარწერები, ფირი გამჟღავნებულია და შრება, „მიხეიჩმა“ კი დაჰკითხა ბრიგადა და ბრიგადირი, თან გააფრთხილა: პროდუქცია „დაპატიმრებულია“, განაწესები არ დაიხურება, თუ მწერალი ნებით არ გამოცხადდება, ყველა დაისჯება. პატიმრები დაფიქრდნენ, მაგრამ იხტიბარს არ იტეხენ, თითქოს იციან, ვინ გააკეთა წარწერები. ალბათ, ვინმე ღამის ცვლიდან იყო. მე ვესაუბრე ერთ-ერთ „ავტორიტეტს“ ზელენსკის, იგი შემპირდა, რომ თავის „მურიებს“ რაზმებში დააქსაქსავს, რომ შეიტყოს, თუ რას ამბობენ „დივერსიის“ შესახებ. მას შეგიძლიათ თქვენც შეხვდეთ, იმნაირი „ულმერთოა“, ოღონდ მუცელი ამოიყოროს და უშიშროების თანამშრომელთან კონტაქტზეც დათანხმდება.

მალიშევმა „უმცროს ძმათა“ (ასე უწოდებენ თავიანთ თავს შსს თანამშრომლები, გულისხმობენ, რომ „უფროსი ძმები“ უშიშროებაში მსახურობენ) სტუმართმოყვარეობით ისარგებლა, მადუღარიდან შავი სითხე დაისხა, დაიღმიჭა და ისე მოსვა.

— რა საზიზღრობაა! ამას რა გასმევთ!

გალკინმა მიუგო:

— საზიზღრობაა, მაგრამ შველის, როცა ზონაში ყოფნის გამო თავი გიბრუის. პატიმრები ტყუილად კი არ სვამენ ჩიფირს, სპირტს შეიცავს. დალევ, გავა ცოტა ხანი და გამხიარულდები.

მალიშევმა ნახევარი ჭიქა დალია და ტუჩები მოილოკა.

— ჰო, ამაში მართლაც რაღაც არის, „ძრავა“ უკეთესად ამუშავდა, — მკერდზე დაიკრა და სხვა კილოზე დაამატა: — კეთილი, შევუდგეთ მუშაობას, წავიდეთ, „ღამის მხატვრობა“ ვნახოთ.

როცა გალკინის თანხლებით მალიშევი სამრეწველო ზონაში შევიდა, შეამჩნია, პატიმრები, ყუთებთან რომ იდგნენ, წამში გაქრნენ, დარჩა მხოლოდ ბრიგადირი, რომელიც მოუთმენლად ტოკავდა ერთ ადგილზე.

— რა სასჯელი გველის, უფროსო? — ჰკითხა მან მალიშევს.

— ციხე გელით, ვოლკოვ, ციხე! — გაბრაზებულმა გალკინმა გულზე

მჯილი დაჰკრა ბრიგადირს.

—კაი, უფროსო, ნუ გვაშინებ, ყველა ციხეს ერთნაირი სუნი უდის.

მალიშევმა მათი კინკლაობის თავიდან ასაცილებლად წარწერებს დახედა და თითქოს თავისთვის თქვა:

—მუშაობდა ხალხი, აკეთებდა ყუთებს, ახლა კი მათ მხოლოდ ღუმელში თუ შეყრი. ვის გააკვირვებ ასეთი გამოხტომით? დღეს ეს ხულიგნობაა!

ვოლკოვმა პორტსიგარი ამოიღო, სტუმარს „პრიმა" შესთავაზა. მალიშევმა მადლობა გადაუხადა, თავაზიანად მოწოდებულს ასანთი მოუკიდა, მოსწია და გულმშვიდად წარმოთქვა:

—რა უნდა დაგემართოთ? ღამის ცვლის ხელფასს არ გამოგიწერენ, მეტი არაფერი. პროდუქცია ხომ გაფუჭებულია.

ვოლკოვმა თითქოს თავის გასამართლებლად უპასუხა:

—ვმუშაობდით, ვმუშაობდით, გამოდის, რომ სხვისთვის ვმუშაობდით?

გალკინმა ვერ აიტანა და უყვირა:

—გეყოს თავის მოსულელება, მამა აბრამის ბატკანი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, გამომიჩნდა ეს ახლა მშრომელი. აბზიკე ხომ კუდი, მაგასაც მალე მოგტეხავ. მეორეჯერ მუშაობას არავინ დაგაძალებს.

სანამ გალკინი ბრიგადირს მოძღვრავდა, მალიშევი ნებე-ნება ეწეოდა სიგარეტს და ყუთებს ათვალიერებდა, რომლებზეც უსწორმასწოროდ, მაგრამ გარკვევით იყო გუდრონით გამოყვანილი წარწერები: „მოვსპოთ ურიულ-ბოლშევიკური ხელისუფლება", „რუსეთი—ხალხების ციხეა", „ჩამოვახრჩოთ ფორმიანები" და სხვა ამდაგვარი. ზედა კიდურა ყუთზე ოდნავ შესამჩნევი იყო ნახევარმთვარე, რომელიც ბატისფეხურ ვარსკვლავსაც წააგავდა. იყო თუ არა ეს მაჰმადიანური სიმბოლოები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს ერთად-ერთი სამხილი ლაპარაკობდა, რომ, როგორც სჩანს, „დამნაშავე" თათრების, ჩეჩნებისა და „აღმოსავლეთის სხვა მშრომელთა" შორის იყო საძებნი.

ზონაში ისინი ცოტანი არიან, 2500 პატიმრიდან—200-300 კაცი თუ იქნება.

გალკინი კიდევ რაღაცას უხსნიდა ბრიგადირს, როცა ამ უკანასკნელს მალიშევი შეეკითხა, რამდენია მუსულმანი თქვენს ბრიგადაშიო.

—არცერთი, ყველა ქრისტიანია.—იყო პასუხი.

—ხატავდა თუ არა ვინმე საამქროში ნახევარმთვარეს ვარსკვლავთან ერთად?

—არ ვიცი, არ შემიხედავს.

—ვოლკოვ!—ბრაზიანად უთხრა ლეიტენანტმა,—თვალებში გეტყო-

ბა, რომ იტყუები. რა იყო შენს დაზგაზე დახატული?

—აღარ ახატია, გადაღებეთ—თქვა ვოლკოვმა.

მალიშევი დაინტერესდა:

—რა ეხატა?

ვოლკოვი დაიბნა.

—ასეთივე სისულელე იყო დაწერილი,—და ყუთებისაკენ გაიშვირა ხელი—მაგრამ ეს ჩვენების გაკეთებული არაა. უფრო მესამე ბრიგადის ნახელავია.

—მადლობა,—მალიშევმა ბრიგადირს ხელი ჩამოართვა და გალკინს მიმართა—შევიდეთ საამქროში, იქნებ რაიმე ვნახოთ.

გალკინმა მალიშევი ვოლკოვის დაზგასთან მიიყვანა, რომელსაც ზედა ნაწილზე შავი ლაქები ისევ ემჩნეოდა.

—აქ იყო წარწერა,—მიუთითა გალკინმა.—მესამე ბრიგადა ღამის ცვლაში მუშაობს. ახლა საცხოვრებელ ზონაში არიან.

—მაშ, „მუსულმანები" ისვენებენ,—გაიფიქრა მალიშევმა.—თუმცა, დასვენებისათვის ახლა არავის ცხელა. ზონაში უკვე იციან, რომ სუკის წარმომადგენელი ჩამოვიდა. მუსულმანები მხდლები არიან და შიშით ელიან რა მოხდება. შტაბის კარების მორიგე უნდა დავკითხო, ის ხომ ყველას იცნობს ზონაში, სხვა მის ადგილზე დიდ ხანს ვერც გაძლებდა, ის კი უკვე ერთი წელია ამ ადგილზე დგას. მაშასადამე, რაზმის „ზედამხედველს" კარგად ემსახურება. მის წინ ხომ შეუმჩნევლად ვერავინ გაივლის.

შტაბში დაბრუნებულმა მალიშევმა თავისი პატარა ოთახი გააღო, რომელსაც პატიმართა მისაღებადაც ხმარობდა. ხელი მორიგის გამოსაძახებელ ღილაკს დააჭირა, მაგრამ მის მაგივრად ოთახში პატიმარი ზორინი შემოვიდა.

—დიდი ხანია გიცდით, მორიგე მყავდა გაფრთხილებული, ახლა მითხრა, რომ ეს-ესაა მობრძანდით სამრეწველო ზონიდან, მეც გამოვიქეცი. სასწრაფო სალაპარაკო მაქვს თქვენთან.

## ცნობა პატიმარ ზორინის შესახებ

**ნიკოლოზ ივანეს ძე ზორინი, დაბადებული 1947 წ. რუსი, მოსკოვის მკვიდრი, განათლება საშუალო, სამჯერ ნასამართლევი, უკანასკნელად რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა (ნარკოტიკების გავრცელება). სუკის ინფორმაციით,**

მისი დედა იზაბელა სტოიერი ამერიკელია. 1946 წელს სსრ კავშირში ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. 1945 წლამდე მუშაობდა აშშ-ს სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს სამდივნოში. სუკის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა კოლონიის ადმინისტრაციას დახმარებოდნენ და რაც მთავარია, უზრუნველეყოთ შვილის უსაფრთხოება სასჯელის მოხდის ადგილზე დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტებისაგან.

ამ თხოვნის გამო კოლონიის ოპერატიულმა სამსახურმა ზორინთან პირადი კონტაქტი დაამყარა. გამოირკვა, რომ მას, როგორც წონასწორობას მოკლებულ და თავშეუკავებელ ადამიანს, კონფლიქტი მოუხდა რაზმის ხელმძღვანელ სტეპანოვთან, რომელსაც გამყიდველი და ალკოჰოლიკი უწოდა. სტეპანოვმა შურისძიების მიზნით კოლონიის უფროსის მოადგილეს ტიხონოვს შეატყობინა, რომ ზორინი საზღვარგარეთ გასაგზავნად აგროვებს კოლონიის ადმინისტრაციის საწინააღმდეგო, მაკომპრომეტირებელ მასალებს. ეს გახდა ზორინის უმიზეზო ჩაგვრის მიზეზი. სტეპანოვმა დამნაშავეთა ავტორიტეტები შეაგულიანა ცნობები მოეწოდებინათ ზორინის ქცევის შესახებ, შემდეგ კი ჯიბეში ჩაუგდეს 25 მანეთი, სარეჟიმო შემოწმების დროს ეს ფული პრაპორშჩიკმა ვასილიევმა აღმოაჩინა და გადაწყვიტა, რომ ერთი თვის მანძილზე ზორინს არ ექნებოდა თავისი ხელფასით ჯიხურში კვების პროდუქტების ყიდვის უფლება.

ზორინთან პირადი კონტაქტისა და ტიხონოვთან საუბრის შემდეგ, კონფლიქტი მოგვარდა, თუმცა პროვოკაციები სისხლის სამართლის დამნაშავეთა ავტორიტეტების მხრიდან გრძელდებოდა, რაც შეეხება რაზმის ხელმძღვანელს სტეპანოვს, მან მარტო 1988 წლის თებერვალში ზორინს 8 სასჯელი დაადო. ოპერატიული ნაწილის აგენტის „გუსევის“ ინფორმაციით, მან გადაარჩინა ზორინი, რომელიც თვითმკვლელობას აპირებდა, მას კოლონიის ორსართულიანი საწოლის საზურგეზე უნდოდა თავის ჩამოხრჩობა.

კოლონიის ხელმძღვანელობამ ზორინის ფსიქიური მოშლილობისა და თვითმკვლელობის მცდელობათა თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტა მისთვის ინტელექტუალური ხასიათის სამუშაო დაევალებინა, ის ამზადებდა პრესაში გამოქვეყნებული პოლიტიკური ხასიათის წერილების ანალიზს, რომლის შედეგებზე მოხსენებას აკეთებდა ოპერმუშაკთა

შეხვედრის დროს. ამასთან ზორინთან საუბარი ნეგატიურად განწყობილ პატიმართა ნაწილისათვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებაც იყო. მან არაერთხელ მიაწოდა საინტერესო და მეტად საჭირო ცნობები. აგრეთვე აღმოაჩინა კოლონიაში სამხედრო განაწესის ჯარისკაცთა საშუალებით ნარკოტიკების შემოტანის მექანიზმი, რის შესახებაც ეცნობა ოპერატიული ნაწილის უფროსს.

უფროსი ოპერრწმუნებული კაპიტანი
ძ. ა. მაღლიშვილი

—ამხანაგო კაპიტანო,—აღელვებული ამბობდა ზორინი,—თქვენ იცით, რომ ზონაში არის კანონიერი ქურდი ლაზო. ქურდულმა სამყარომ მისი ჩამოსვლის შესახებ ადრე გააცნობა. როგორც ეტყობა, გარკვეული მიზნის მისაღწევად ქურდული სამყაროს დავალებით ახლა იგი „ბლატნოი“ პატიმრებს თავის ირგვლივ იკრებს, შემდეგ კი დაუპირისპირდება კოლონიის ადმინისტრაციას. „გამოუსწორებლები“ ლაპარაკობდნენ, რომ არმიასთან საბრძოლველად რკინის სალტეებისაგან მუშტების გაკეთებაა საჭირო.

—კოლია, წუხელ ღამით ყუთებზე გაკეთებული წარწერების შესახებ რა იცი?—ჰკითხა მაღლიშვილმა.

ზორინმა მხრები აიჩეჩა.

—მხოლოდ ის ვიცი, რომ მთელი ზონა ამის შესახებ ლაპარაკობს. ჩემი აზრით, ამის უკან ლაზო დგას. გირჩევთ, შეხედეთ და ყურადღებით მას, ნახავთ, უმსგავსო ტიპია. მაგრამ მთელი ზონის პატიმრები მის წინაშე ფეხის წვერებზე დადიან, შთამომავლობით ქურდად მიაჩნიათ. ლაზო კი თბილისში მემწვადეებს ძარცვავდა.

—კოლია, უკეთესი იქნება ის პატიმრები მოგვიძებნო, რომლებსაც სხეულზე მუსულმანური ნიშნების ტატუირება აქვთ, მგონია, რომ წარწერები აღმოსავლეთის ხალხთა ნახელავი უნდა იყოს. ჩხუბი არავისთან მოგინდეს, უმჯობესია წყნარად იყავი, პროკურატურასთან შენი ამნისტიის შესახებ მოვრიგდებით. შტაბში ხშირად ნუ შემოხვალ, აგენტი ეგონებით და შავ დღეს დაგაყრიან.

—გავიგე, ყველაფერს გავაკეთებ, ამხანაგო უფროსო!

ზორინთან საუბრის დროს კარებზე დააკაკუნეს. მაღლიშვილი სწრაფად გავიდა ოთახიდან. ეს იყო შტაბის მორიგე, მაღალი, აწოწილი, ოცდახუთი წლის ახალგაზრდა, კისერზე ჩამოკიდებული ძეწკვითა და ვერცხლის ჯვრით. მორიგემ იგი, როგორც მსუბუქ სამუშაოზე ჯან-

მრთელობის მდგომარეობის გამო, სულ ცოტა ხნის წინათ დანიშნეს. მალიშევს ის ეშმაკად მიაჩნდა, მაგრამ საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ „ჩაქრა". ეტყობა, თანამოძმეებმა „გვირგვინი" ახადეს. საქმე კი ასე იყო: ზაფხულში კარტში 500 მანეთი წააგო, გამოიძახა დედა, რომელმაც ვალის გასასტუმრებელი ფული ჩამოუტანა. ზონაში ფულის შესატანად ჩვეულებრივი ხერხი გამოიყენა. კუპიურები მაგრად დახვია, გამოაბა ძაფი და გადაყლაპა. ჩხრეკას რომ მორჩა, ფულის ამოღება სცადა, მაგრამ ეტყობა ძაფი ისე მაგრად იყო მიკრული კუჭის კედლებს, რომ მუცელში დასუსტდა და გაწყდა. ფული კი დარჩა. საცოდავს ფეხებით ურტყამდნენ მუცელში, ანჯღრევდნენ, აიძულეს აგრეთვე ფურთხისა და ნარეცხით სავსე ვედრო დაელია, რომ ფული ამოელებინებინა, მაგრამ უშედეგოდ. სამი საათი აწვალეს, შემდეგ მიატოვეს და გააფრთხილეს, რომ დილისთვის ფული უნდა ჩაებარებინა. საცოდავმა ამხანაგს სამართებელი მისცა და სთხოვა გაეჭრა მუცელი. მან უარი უთხრა: მოკვდები და მე სასჯელს მომიმატებენო. მაშინ თვითონ დაიწყო მუცლის გაჭრა, მაგრამ გონი დაკარგა და საავადმყოფოში წაიყვანეს. ქირურგმა გაკვეთა, კუჭიდან ფული ამოიღო და ამოკერა. როგორც კი გონს მოვიდა, ექიმს ეცა და იყვირა: „ფული სადაა?" ფული კი, როგორც წესი, აქტით ჩაბარდა ადმინისტრაციას. ამიტომ მევალე იძულებული გახდა ძაღლური საქმისათვის მოეკიდა ხელი, შტაბის კარებში მორიგედ დამდგარიყო. აბა, რა უნდა ექნა? აქ ადმინისტრაციის რაღაცნაირი დაცვის ქვეშ მაინც იქნებოდა, შიგნით კი შეიძლება მოეკლათ.

—გარეთა კარების მორიგე გამოიძახე—უბრძანა მალიშევმა კისერზე ჯვარჩამოკიდებულ პატიმარს. ის სწრაფად წავიდა და მოსახვევში მიიმალა. ამასობაში ზორინმა დრო იხელთა, ტუალეტის კარებს უკან დაიმალა.

ერთი წუთის შემდეგ მალიშევმა კაკუნი გაიგონა.

—მობრძანდით!

გამოძახებული გარეთა კარის მორიგე გამოცხადდა და პატაკი ჩააბარა:

თქვენი ბრძანებით მსჯავრდებული დზენია გამოცხადდა!

## ცნობა
## მსჯავრდებულ დზენიას შესახებ

**სტეფანე ნიკოლოზის ძე დზენია დაიბადა 1960 წელს, არის ივანოვო-ფრანკოვსკის მკვიდრი, ეროვნებით უკრაინელი, განათლება საშუალო, მსჯავრი დაედო რსფსრ სისხლის**

სამართლის კოდექსის 103 მუხლით, თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 10 წლით, სასჯელი უთავდება 1993 წლის 12 დეკემბერს. მკვლელობა ჩაიდინა ტაქსის მძღოლის გაძარცვის მიზნით. კოლონიაში ჩამოვიდა 1987 წელს და თავი გამოაცხადა კანონიერ ქურდად, მაგრამ ქ. გლატოუსტის ციხეში შემოწმების დროს მისი ქურდად კურთხევის ფაქტი არ დადასტურდა, ამიტომ გამოცხადდა თვითმარქვიად და როგორც ასეთს, გაუპატიურება დაუპირეს, მაგრამ მორიგემ გადაარჩინა. ამის შემდეგ თვითონ დანიშნეს მორიგედ. ოპერატიულ მონაცემთა მიხედვით, იგი ადმინისტრაციას პატიმართა მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტების შესახებ, ხოლო ავტორიტეტებს ზედამხედველებზე აწვდიდა ინფორმაციას.

უფროსი ოპერრწმუნებული კაპიტანი
ᲛᲐᲚᲘᲨᲔᲕᲘ

—ზონაში კუთებზე გაკეთებული წარწერების გამო რას ამბობენ?—შეეკითხა მალიშევი დზენიას.

—ამბობენ, რომ სუკმა ყველაფერი იცის.

—რას აკეთებს ახლა ის „მწერალი"?

—არ ვიცი, ვინ გააკეთა.

—მესამე ბრიგადაში ყველას იცნობ?

—სახეზე ყველას.

—არარუსები არიან?

—კი, სამი.

—გვარები იცი?

—არ მახსოვს, წიგნში ვნახავ.

—კეთილი, წადი, ამომიწერე გვარები.

—ახლავე.

დზენია თვალის დახამხამებაში გავიდა ოთახიდან, მაგრამ სანამ სამორიგეოში შევიდოდა და იმ სამი პატიმრის გვარს ამოიწერდა, მალიშევს რომ აინტერესებდა, ჯერ შტაბში შეიარა, შემდეგ კი სანაწილისაკენ წავიდა.

მალიშევმა სერდიუკოვის ტელეფონის ნომერი აკრიბა.

—სერგეი ნიკოლოზის ძევ, ეტყობა, ანონიმი მწერალი მუსულმანთა შორის უნდა ვეძებოთ, ალბათ დროა ლაზოს დაველაპარაკოთ. გამოიძახე, მე შენთან მოვალ.

—მაქსიმ ანდრეის ძევ, გამოსასწორებელ საქმეთა ოპერატიულმა

სამმართველომ ლაზოსთან შეხვედრა ამიკრძალა,—მოისმა პასუხი.

—რატომ?

—ეტყობა, უფროსობას თავისი აზრი გააჩნია. გვაქვს გამოსასწორებელ საქმეთა ოპერატიული სამმართველოს მითითება—სისხლის სამართლის ყველა ავტორიტეტზე ოპერატიული მუშაკის მიმაგრების შესახებ, არსებობს აგრეთვე მითითება, რომ კანონიერ ქურდებთან პირადი კონტაქტის საშუალებით მისჯილთა უარყოფითად განწყობილ ნაწილზე მოვახდინოთ ზეგავლენა ოპერატიული ვითარების გასაჯანსაღებლად. ეს ციტატაა. აი ასე. ოპერატიული განყოფილების უფროსი გრიგორიევი კი ზონაში საღამოს იქნება.

—მოიცა, მოიცა, შენ იმის თქმა გინდა, რომ კანონიერ ქურდებთან ხელშეკრულებები უნდა დავდოთ ვითარების ნორმალიზებისათვის?

—სწორედ ასეა. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში რეკომენდაციას გვაძლევენ აღსაზრდელად ხელახლა „თეთრ გედზე" გავგზავნოთ ეტაპით. გაგიგია რამე ასეთი ზონის შესახებ, ქურდების გამოსასწორებლად სოლიკამსკში რომ არსებობს?

—გამიგონია, მაგრამ კანონიერი ქურდის გამოსწორება და აღზრდა რომ შეუძლებელია, ეს შენც კარგად იცი.

—რას იზამ, ხელმძღვანელობის მითითება, მითითებაა.

## სშსს და შსს-ს 1983 წლის 23—28 მითითებიდან სისხლის სამართლის ავტორიტეტთა შორის ოპერატიული მუშაობის შესახებ

**პატიმართა შორის მტრული და პოლიტიკურად მავნე პროცესების დროულად გამოაშკარავების მიზნით დაწესებულების ოპერატიული განყოფილებებთან თანამშრომლობით გამოვლინდნენ და აღრიცხვაზე იქნან აყვანილნი სისხლის სამართლის ავტორიტეტები. განხორციელდეს მათი კომპრომეტირება თანამოაზრეთა მიერ.**

კარებზე დააკაკუნეს, ჟენია სიით შემოვიდა. მასში სამი გვარი იყო: ალიევი მუსტაფა იბრაჰიმის ძე, მსჯავრდებული ქურდობისათვის, მუსაევი ვალენტინ ირგაშის ძე, მსჯავრდებული ყალბი საბუთების დამზადებისათვის, არუთიუნიანი ვაზგენ არტაშის ძე, მსჯავრდებული ნარკოტიკების გავრცელებისათვის. სამედიცინო კომისიის წარდგინებით სამივეს მოეხსნა სამოცდამეორე მუხლი (ნარკომანებისა და ალკოჰოლი-

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

## ცნობა
## მსჯავრდებულ ზელენსკის შესახებ

ზელენსკი ვიტალი ნიკოლოზის ძე, დაიბადა 1947 წელს, ეროვნებით რუსი, განათლება საშუალო, ხუთჯერ ნასამართლევი, უკანასკნელად 1985 წელს, 144 მუხ. 1 ნაწ., 198 მუხ II ნაწ. (ქურდობა, ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების უხეში დარღვევა) 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ვადა 1992 წლის 10 იანვარს უთავდება. აყვანილია კონტროლზე კოლონიის ოპერატიულ ნაწილში, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე ავტორიტეტი, სამრეწველო ზონაში „ზედამხედველია", ადმინისტრაციის მიმართ ლოიალურადაა განწყობილი. შემჩნეულია, რომ სამრეწველო ზონის პატიმრებს ხელს უწყობს სამრეწველო ზონიდან სამშენებლო მასალის არაკანონიერ გატანაში [illegible]

ტელეფონმა დარეკა. სერდიუკოვი იყო.

—ოპერატიული განყოფილების უფროსი გრიგორიევი ჩამოვიდა. ახლა ლაზოსთან მიდის სასაუბროდ. თუ გცალიათ, შეგიძლიათ ერთად წასვიდეთ.

—მისი შტაბში გამოძახება არ შეიძლება?

—არა, ასოფა, ლაზო ავადმყოფად ითვლება. თუმცა თვითონ ყველა რაზმი შემოიარა და ძნელად გამოსასწორებელი ქურდული ტრადიციის პირებთან უკვე დაამყარა კონტაქტი.

# აგენტის შეგზავნა

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.
შიფროტელეგრამა №_ 22. 07. 88 წ.
ნეგატიურ პროცესებზე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

დანაშაულებათა სტრუქტურასა და დინამიკაში ამჟამად იკვეთება რიგი ნეგატიური ტენდენცია. დაფიქსირებულია სისხლის სამართლის დამნაშავეთა ლიდერების (რომლებიც თავის თავს უწოდებენ კანონიერ ქურდებს) მცდელობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შექმნან რეგიონალური ქურდული ორგანიზაციები და ქურდული სალაროები („ობშიაკი") მატერიალური და სხვა დახმარების გასაწევად იმ პირებისათვის, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან, იქმნება პატიმრებთან კავშირისათვის გამიზნული არალეგალური არხები, არასრულწლოვანებს და ახალგაზრდობას ითრევენ დანაშაულებრივ ქმედებებში, გაიზარდა ქურდული იდეების აგიტაცია და პროპაგანდა, აქტიურად ხორციელდება თანამდებობის პირთა მოსყიდვა.

ხშირად გვივარდება ხელში ქურდული სამყაროს ლიდერთა მიმართვები, წერილები, განმარტებანი, რომლებიც სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის ვრცელდება. ამ წერილებში იმის პროპაგანდას ეწევიან, თუ როგორ უნდა იმოქმედონ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადმინისტრაციასთან ბრძოლის დროს. არ მალავენ, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროს მასობრივი გამოსვლები არსებული წყობილების წინააღმდეგაა მიმართული.

სარატოვსკის ოლქში „ჭეშმარიტ პატიმართა კავშირის" შექმნის ფაქტია დაფიქსირებული, რომელსაც ხელმძღვანელობს რეციდივისტი, კანონიერი ქურდი მეტსახელად „ჯემი". „კავშირის" მოქმედების სტრუქტურაში ჩანს გარკვეული სისტემა. ქურდულ სალაროს საერთო ხელმძღვანელობას უწევენ კანონიერი ქურდები, ადგილებზე კი მათ მიერ დანიშნული—„ზედამხედველები". „კავშირის" საქმიანობას ახასიათებს მკაცრი კონსპირაცია, დამნაშავეთა ჯგუფების მკაცრი დაქვემდებარება საერთო სალაროსადმი, „ობშიაკ"-ზე ურთიერთპასუხისმგებლობა და თანადგომა.

ხულ უფრო შესამჩნევი ხდება სისხლის სამართლის ელემენტთა

ვავლითი და ახალი ყოფიერობის ხელმძღვანე საქმიანობის, „კოლეგი-ვეობის" და თანამდებობის პირებით. არსებული მონაცემებით, დანაშა-ულებრივი ჯგუფების საერთო მოცულობის ბოროტმოქმედების 80% ეკონომი-კის სფეროში მოქმედი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები არიან. სისხლის სამართლის ელემენტები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ „არალეგალურ ბიზნესში", საქმიანობენ ფარულ მეურნეობა-სა და დახლებას. ასეთი მყარი დანაშაულებრივი ჯგუფები, რო-გორც წესი, მოსყიდვისა და ძალადობის გზით, აქტიურად ქმნიან მფარველ-ვებიან სამართალდამცავ ორგანოებს. არსებობს ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ დამნაშავე ელემენტების სასამართლო ორგანოებთან კავ-შირის შესახებ. ასეთი მჭიდრო ურთიერთობანი სასამართლო ორგანო-ების არასასურველ თანამშრომელთა ორგანიზებული დევნისათვის გა-მოიყენება.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მოქმედებისა და ქურ-დული „სამყაროს" („ობშაკ") შექმნის საშიშროების გათვალისწი-ნებით, საჭიროა თვალსაყურებლობის აღკვეთის ასპექტში კავშირის მუ-შაობა სისხლის სამართლის სამყაროს ლიდერთა შორის მაორგანიზე-ბელი ანტისაზოგადოებრივი ქმედების ფაქტების აღმოსაჩენად. გამოვიყენოთ მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი, საიდუმლო თანამშრომლობი-სათვის უნდა მივიზიდოთ პატრიოტულად განწყობილი დამნაშავე ავ-ტორიტეტები, მოვახდინოთ მტრულად განწყობილთა კომპრომეტირება.

სუკის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

სუკის დირექტივა №...

სრულიად საიდუმლოდ

პირადად სუკის სამმართველოს ხელმძღვანელს საქალაქო-რაიონის ოლქში

აგენტ „კოლეგის" გადმოცემის შესახებ.

სისხლის სამართლის ავტორიტეტთა გარემოში ჩვენი ხალხის შეყ-ვანის მიზნით, ზემოთ მითითების გამო თქვენთან იგზავნება ჩვენს მიერ უშიშროების ორგანოების ოპერმუშაკებთან მომზადებული აგენტი „კოლეგი", იგი ადრე კანონიერი ქურდის კულტურის დაჯგუფებაში იყო შეყვანილი და აქვს ამ კატეგორიასთან მუშაობის საკმაო გამოცდი-ლება. „კოლეგთან" კავშირს უზრუნველყოფს თქვენთან მოვლინებული სუკის მე-5 სამმართველოს I განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებუ-ლი პოლკოვნიკი ანატოლი ბორისის ძე ფილიპოვი. გთხოვთ მოაწყო-ოთ აგენტთან კავშირისათვის საჭირო კონსპირაციული პირობები და მასთან მუშაობა განახორციელოთ სპეციალური გეგმით.

სუკის მე-5 სამმართველოს უფროსი-

## ცნობა
## აგენტ „ვოლფის" შესახებ №2007

აგენტი „ვოლფი", სერგეი ნიკოლოზის ძე კრავჩენკო, დაიბადა 1955 წელს. არის ლენინგრადის მკვიდრი, რუსი, განათლება უმაღლესი. სსრკ სპორტის ოსტატი, უპარტიო, უცოლო. დაამთავრა სუკის ფ. ძერჟინსკის სახელობის უმაღლესი სკოლის კონტრდაზვერვის ფაკულტეტი.

უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ „ვოლფი" სამუშაოდ გაიგზავნა „ს" სამმართველოს სპეციალურ ქვეგანყოფილებაში.

1970 წლის დეკემბერში მთავრობის დავალებას ასრულებდა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სამსახურში ხასიათდება დადებითად. დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

1960 წელს, სამსახურებრივი მივლინების დროს, მალარიით გახდა ავად. მკურნალობის შემდეგ უშიშროების ორგანოთა თადარიგში გადაიყვანეს, ლენინგრადში ცხოვრების გამო იყო ამ ქალაქის ოლქის 1 სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელი.

„ვოლფს" სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში ჩაბარების დროს გაეწია დახმარება. სწავლის პერიოდში გაეცნო თბილისში მცხოვრებ კანონიერ ქურდს — კუჩუხურს, „ვოლფი" კუჩუხურს დეფიციტური წამლების შეძენაში ეხმარებოდა და მისი მიპატიჟებით ქ. ფოთში ისვენებდა.

საქართველოს დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებთან კონტაქტების შესახებ „ვოლფმა" ხელმძღვანელობას მოახსენა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კუჩუხური ნარკოტიკების გამავრცელებელია, ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის გამოსავლენად „ვოლფთან" დამყარდა აგენტურული კავშირი და იგი კანონიერ ქურდთა სამყაროში შეაგზავნეს.

საქართველოს სუკის მიერ ჩატარებულ ოპერაციათა მეშვეობით 1984 წლიდან 1986 წლამდე საქართველოში დაპატიმრებული და გასამართლებული იყო 52 კანონიერი ქურდი, ამ ოპერაციაში დიდი როლი შეასრულა „კუჩუხურის ოჯახმა", სადაც „ვოლფი", როგორც თანამოაზრე, ისე იყო მიღებული. ქურდების დაპატიმრების შემდეგ „ვოლფს" ურალში საცხოვრებლად გადასვლაში დაეხმარნენ, სადაც მას ახლო

ნათესავებიც . ჰყავდა.

„ვოლფს“ კავშირი ჰქონდა შემდეგ კანონიერ ქურდებთან:

1. ბარყალაია ვაჟა („ვაჟა“), დაბ 1937 წ.
2. ბუჩუკური თამაზ მათეს ძე („თამაზ“), დაბ. 1962 წ.
3. ბიტკაშა გივი ფადიუმის ძე, დაბ. 1937 წ.
4. ღლონტი რევაზ ვალერიანის ძე („ყაზბეგი“), დაბ 1942 წ.
5. ღუდუშაური პაატა ვალერიანის ძე („სკოტი“), დაბ. 1962 წ.
6. გორგიშელი პაატა ნიკოლოზის ძე („პაატა მალენკი“) დაბ. 1959 წ.

## აგენტ „ვოლფის“ შეტყობინებიდან

18 აპრილს სარეჟიმო ნაწილის შენობაში რაზმის ხელმძღვანელს სტეპანოვს შევხვდი, რომელიც ნასვამი იყო და განაცხადა, რომ მალე საბჭოებს ბოლო მოეღება, კომუნისტებს კი ჩამოახრჩობენ. სტეპანოვი იყო მე-13 რაზმში და ესაუბრა ახლადმოსულ ავტორიტეტს „ლაზოს“ (ჩამოვიდა ირკუტსკის კოლონიიდან). მან მოაწყო პატიმართა ბუნტი—აფეთქება და ხოცვა-ჟლეტის პროვოცირება რუს ავტორიტეტთა შორის. ლაზო ნარკომანია. სტეპანოვმა მიუტანა „სალომკა“, როგორც სჩანს, ნარკოტიკის მიღების შემდეგ ლაზო გულახდილად ესაუბრა სტეპანოვს. ამ უკანასკნელის სიტყვებით, ლაზო განახორციელებს მისჯილთა მომზადებას ადმინისტრაციის წინააღმდეგ გამოსასვლელად, ბუნტს დაიწყებს სანნაწილიდან, სადაც უკვე დააწვინა თავისი თანამემამულეები, რათა ჩაუშვან წითლებისათვის „ტორპედო“, არ შეასრულონ მოთხოვნები, სანამ იზოლატორიდან არ გამოუშვებენ პატიმრებს. საბოლოო მიზანი—ააჯანყონ ზონა.

მალიშევს ეს აგენტურული შეტყობინებაც ახსოვდა და ლოთი და ენატარტარა რაზმის უფროსი სტეპანოვიც, ეს ოფიცერ-აღმზრდელი, ფეხის წვერებზე რომ დარბოდა ქურდთან, ფეხქვეშ ეგებოდა. არა, ის არც მოღალატეა, არც კორუმპირებული ელემენტი, უბრალოდ, ზონაში ყოფნამ გატეხა.

დავალება: გაეცანით ლაზოს, დაიმსახურეთ მისი ნდობა, გამოარკვი-

ეთ მასიური გამოსვლების სტიმულირებისათვის მისი ჩანაფიქრი, განსაზღვრეთ სტეპანოვთან კავშირის ხასიათი, უკანასკნელის მეშვეობით ზონაში ნარკოტიკების შემოტანის, კოლონიის გარეთ წერილებისა და შეტყობინებების (ქურდული ფოსტის) გაგზავნის შესაძლებლობა.

ღონისძიებები: 1. დადგინდეს „ლაზოს" ვინაობა, შემოწმდეს, თუ ამზადებს იგი პატიმართა აჯანყებას. 2. მონაცემები სტეპანოვის ქმედების შესახებ შესაბამისი ზომების მისაღებად. გაიგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

## ცნობა
## სისხლის სამართლის ავტორიტეტის, მეტსახელად „ლაზოს" შესახებ

დადგენილია აგენტ „ვოლფისაგან" შემოსული ინფორმაციის შემოწმებისას შრომა-გამასწორებელი კოლონიის ოპერატიული ნაწილის მიერ:

„ლაზო"—ანზორ ჯალილეს ძე ალოევი დაიბადა 1960 წელს, ეროვნებით არის ქურთი, დაუმთავრებელი საშუალო განათლებით, არსად · მუშაობდა, უკანასკნელად 1960 წელს გაასამართლეს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლით (ნარკოტიკების გავრცელება). სასჯელის ვადა 1989 წლის 10 დეკემბერს უთავდება. შრომა-გასწორების კოლონიის ოპერატიული ნაწილის უფროსის კაპიტან სერდიუკოვის მონაცემით „ლაზო" კანონიერი ქურდია და „ფორთოხლების", ე. ი. თანამედროვე ქურდული წარმოდგენით—სწრაფად მომწიფებულ ქურდთა კატეგორიას მიეკუთვნება. იგი ავტორიტეტის მოსაპოვებლად ადმინისტრაციის წინააღმდეგ გამოსვლების აგიტაციას ეწევა. სერდიუკოვი ესაუბრა ლაზოს, რომელმაც არ დამალა თავისი მტრული დამოკიდებულება არსებული რეჟიმის მიმართ, განაცხადა, რომ საქართველოში მილიციამ ნარკოტიკები ჩაუგდო და ამის გამო გაასამართლეს. ლაზო გამოსასწორებელ საქმეთა მთავარი სამმართველოს ოპერატიულ განყოფილებაში აღრიცხვაზეა აყვანილი. ნათელია, რომ ლაზოს ბოროტი დაუმორჩილებლობის ორიენტაცია გააჩნია.

სერდიუკოვი გაკვირვებულია, რომ ირკუტსკის კოლონიაში მიმაგრებული სვერდლოვსკის გამოსასწორებელ საქმეთა სამმართველოშია ეტაპირებული. ჩვეულებრივ ამგვარი ცვლილე-

[illegible]
ხდება. მაგრამ ლაზოს საქმეში ასეთი [illegible] ფაქტი: იგი რომელიც სიდიდე თანამდებობაში [illegible] შეცდომის გამო მოხვდა. სერიოზულად [illegible] იმაზე, რომ ასეთი ავტორიტეტები პატიმრებს ადმინისტრაციის წინააღმდეგ გამოსასვლელად წააქეზებენ.

და ბოლოს ვეთანხმებით, რომ გამოვიყენოთ აგენტები და [illegible] ცნობები, რომლებიც დაადასტურებენ ლაზოს „ქურდულ-წესიერ" მასიურ არაფორმალური ორგანიზაციის საქმიანობა, შესაძლებელია [illegible] ტერორისტული [illegible]

## აგენტ „ვოლფ"-ის ჩვენებებიდან

დაკავების შესასრულებლად 21 აპრილს საპატიმროში მოვედი. სადაც უფროსი ექიმის კაბინეტში იმყოფებოდა ლაზო, ის ვიღაცას, როგორც ეტყობა, საქალაქთაშორისო ტელეფონით, არარუსულ ენაზე ცოცხლად ელაპარაკებოდა. დაქირავებული უფროსი ექთანი გალინა სტეპანენკოვა [illegible] იმყოფებოდა. ლაპარაკის შემდეგ ლაზომ მას ტელეფონის გამორთვა, ამისგან პატიმრები ნარკოტიკს ყიდიან, შემდეგ საცხოვრებელი ზონისაკენ წავიდა, შეიარა სასადილოში, სამზარეულოში მას ელოდებოდა სამეურნეო მწარმოებელი ბაჟაღრდილი პოლიგაილო. მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

ლაზო: დიდება ქურდს!

პოლიგაილო: გამარჯობა ბატონო...

ლ: ტერიტორიის ხუთშაბათამდე უნდა გავაგზავნოთ სატვირთო სადგურზე, მანქანას დახვდებიან, მერე შველერი და ხუთი ათასი ცალი აგური იქნება საჭირო.

პ: აგური ლევინს უნდა გამოვართვათ, ჩვენ მხოლოდ ლითონი და ხე-ტყე გვაქვს.

ლ: ის აგური აიღეთ, ბინის გარეთ, შტაბის მშენებლობისთვის რომაა გამზადებული.

პ: უკვე გადასახლდით. რამდენი შეიძლებოდა ყოფილიყო. სულ ცოტაოდენი [illegible]

ლ: [illegible]

პ: [illegible]

[illegible]

[illegible] დამთანხმდება. [illegible]

[illegible] გაპირება, რომლითაც [illegible] ვლიდა.

პრემიერმინისტრი და ლაზო სასადილოში სურაცი მიირთვეს და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

მერე ლაზო ჯიხურში შევიდა, სადაც ერთი მწვანე სიგარეტი „სტიუარდესა“ და სამი კოლოფი კამფეტი იყიდა, შინდის [illegible] დაბრუნდა.

დავალება. გააგრძელეთ ლაზოს კონტაქტი, დაადგინეთ კოლონიის თანამდებობის პირებთან მისი კავშირის ხასიათი, დაადგინეთ, კონკრეტულად რაში გამოიხატება მასიური დაუმორჩილებლობის აქციის ჩატარება, რომელ პატიმართა დახმარებით ეწევა ლაზო აგიტაციას.

ღონისძიებები: 1. სვერდლოვსკის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის შს სამმართველოს ხელმძღვანელობის ინფორმირება მე-5 კოლონიაში ლითონისა და აგურის დატაცების შესახებ.

2. კოლონიის ოპერატიულ განყოფილებასთან ერთად მომზადდეს ღონისძიებები, რათა თავიდან ავიცილოთ მასიური დაუმორჩილებლობა და მსჯავრდებულ ავტორიტეტთა გარემოცვასა და ადმინისტრაციასთან დაახლოებულ პატიმართა შესაძლო შეჯახება.

ლაზო სასადილოში [illegible]

[illegible]

სამაგიეროდ კი, რას აძლევდა მათ ეს „არისტოკრატი"? ყოველდღიური ჩხუბის სამართლიან გარჩევას? ასწავლიდა, როგორ უნდა იცხოვრო ლამაზად? მაგრამ ვის ხარჯზე?

„აი პარაზიტი!"—გაიფიქრა მალიშევმა—ზონაში ჩამოსვლისთანავე რატომ გაუშვეს ლაზო სანაწილში? პირად საქმეში აღნიშნულია, რომ ის ტუბერკულოზითაა დაავადებული, მაგრამ ამ კატეგორიის პატიმართათვის აქ სპეციალური რაზმია შექმნილი და ისინი მსუბუქ სამუშაოს ასრულებენ. შესაძლებელია, დაავადება გაუმწვავდა, მაგრამ ჯანღონით სავსე ლაზოს გარეგნულად არაფერი ეტყობა. მაშ, რამ აიძულა კოლონიის ხელმძღვანელობა, რომ ჩამოსვლისთანავე სანაწილის მყუდრო პალატაში მოათავსეს? დიალოგის დროს ამ კითხვებს პასუხი უნდა მოეუძებნო, თუმცა გრიგორიევს ლაზოს გულახდილი საუბრის მოსმენა ალბათ არ ესიამოვნება.

—ანზორ,—დაიწყო საუბარი გრიგორიევმა—როგორ მოეწყვე ამ ახალ ადგილზე?

—გმადლობთ, ვლადიმერ გრიგორის ძევ, ყურადღებისათვის. როგორც ხედავთ, არც თუ ისე ცუდად.

—ტელევიზორი საიდანაა, წესით იგი აქ არ უნდა იდგეს?

—მე რომ მოვედი, აქ იყო.

გრიგორიევი კართან მივიდა, სანიტარი ქალი იხმო და „ყუთის" გატანა უბრძანა, ამ საქმისთვის შემოსულმა ორმა პატიმარმა „კრისტალ-2" პალატიდან გაიტანა.

—ანზორ, უნდა იცოდე,—გააგრძელა საუბარი გრიგორიევმა,—შენთან ლოლიაობას აღარ ვაპირებთ. რაც მოხვედი, მას შემდეგ ზონა რაღაცნაირად, გაურკვეველი მიზნით ამოძრავდა. ისეთი მოწოდებებიც გამოჩნდა, პატიმრებს ძალის გამოყენებისკენ რომ უბიძგებს. ღამის ცვლის პროდუქცია გაფუჭდა, ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, რომ ზონაში სრული წესრიგი იქნებოდა და შენ ქურდის სიტყვა მომეცი. მაშ როგორ გავიგოთ ეს ყველაფერი?

—ვლადიმერ გრიგოლის ძევ, რა პრეტენზიები გაქვთ ჩემთან? რა თქმა უნდა, წესრიგს ვერ დაარქმევ, როცა ეს ლორები ჩეფირს სვამენ და საერთო ქონებას იტაცებენ, სამრეწველო ზონაში კი მამა კარლოსავით მუშაობენ, მაგრამ მე ამ საქმეში არ ვერევი. ჩემი პრინციპი თქვენ იცით: იცხოვრე და სხვასაც მიეცი ამის საშუალება, პოლიტიკა სულაც არ მაინტერესებს.

—ჩვენ კი გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ—დამაჯერებლად თქვა მალიშევმა—რომ თქვენ პატიმრებს დაუმორჩილებლობისა და ადმინისტრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყობთ, ძალისმიერი მო-

წოდება—პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით. თქვენი სიტყვით, თითქოს გული შეგტკივათ სამრეწველო ზონაში მომუშავეებზე, სინამდვილეში კი მათ ლუკმა პურსართმევთ.

—ეს როგორღა?—ალბათ, მხოლოდ სცენაზე თუ შეუძლიათ ასეთი გაკვირვების გამოხატვა.

—ჩვეულებრივად. ღამის ცვლამ პროდუქცია დაამზადა, გეგმა შეასრულა, თქვენი „შესტიორკებიდან“ კი ვიღაცამ „იცელქა“. ხალხმა ამის გამო ჯამაგირი დაჰკარგა. იცით კიდევ რა? სანამ ამის ჩამდენს არ მოვძებნით, ყოველდღე ამ მთელ ზონას ისე გადავაქოთებთ, ამ ამბავს დიდხანს დაგამახსოვრებთ.

ლაზომ მხრები აიჩეჩა.

—წუხანდელი არასასიამოვნო ამბავი უკვე გავიგე, მაგრამ ვიმეორებ, პოლიტიკასთან არანაირი დამოკიდებულება არა მაქვს. აქ მე უძლური ვარ.

მალიშევმა ჩაიცინა:

—მაშ რა ქურდი ხარ, თუ ფრაერებზე, როგორც ამ ხალხს თქვენ უწოდებთ, არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეგიძლია.

—ბატონო უფროსო! ჩვენ ერთმანეთის არ გვესმის, თქვენ სხვა კანონები გაქვთ, ჩვენ—სხვა. თქვენ თქვენი კანონებით ცდილობთ ჩვენი ცხოვრების გაგებას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვა. ყრუ-მუნჯივით ვსაუბრობთ, სხვათაშორის, თქვენ, რუსებს, ერთი კარგი გამოთქმა გაქვთ: სხვის მონასტერში საკუთარი ადათ-ჩვევებით არ დადიან.

—კარგად ვიცი, რომ თქვენი ქურდული წესები ჩვენი მონასტრისათვის არ ვარგა, ერთნი ღობის იქეთა, მეორენი კი აქეთა მხარეს ვდგავართ. ამიტომ გადაწყვიტეთ, ან საერთო ენას გამოვნახავთ, ან „თეთრ გედში“ წაბრძანდებით. გინდათ, გითხრათ, რა მოგელით იქ? თქვენ შესანიშნავად გაატარებთ დროს ახალგაზრდა მამაკაცთა საზოგადოებაში, შეიძლება ნამეტანი ნაკითხი არ იყვნენ, მაგრამ უამრავი სხვა ღირსებით არიან შემკულნი. ეს ურთიერთობა კი იმდენად კეთილგანწყობილს გაგხდით, რომ თქვენ თვითონ მოგვცემთ ხელწერილს ქურდული ტრადიციების უარყოფაზე, უფრო მეტიც, ჩვენთან თანამშრომლობასაც ისურვებთ.

—მე ქურდი ვარ და მაგას სიკვდილი მირჩევნია.

—ზერელე სიტყვები რა საჭიროა—გააჩერა მალიშევმა,—ფაქტიურად უკვე დათანხმდით თანამშრომლობაზე. თქვენ კონტაქტი გქონდათ უფროსობასთან: პირობა დადევით, ხელი შეუწყოთ ადმინისტრაციას წესრიგის დამყარებაში. სხვა საქმეა, რომ დაპირებას არ ასრულებთ, ეშმაკობთ. ჩვენ კი, პირიქით, სიტყვას არ ვტეხთ, აბა დააკვირდით,

[illegible]

[illegible] კარგი ხალხი, კარგი ცხოვრება [illegible] [illegible]

[illegible] თავის ბუნებაში არ შვრება.

## ცნობა
## კოლონიაში ანონიმის ძებნის შესახებ

1986 წლის 22 აპრილს კოლონიის ოპერატიული სამსახურის უფროსის მიმართო მსჯავრდებულმა კუმიკოვმა (დაბადებული 1959 წ. ქ. გროზნოს მკვიდრი, ჩეჩენი, ორჯერ ნასამართლევი, უკანასკნელად 1984 წელს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლის I და 244 მუხლის II ნაწილით ქურდობა, ნარკოტიკული ნივთიერებების არაკანონიერი შენახვა); მიესაჯა 4 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელი 1988 წლის 2 ივნისს უთავდებოდა, ბრალის აღიარების დროს მან განაცხადა, რომ 1989 წლის 20 აპრილს 30 ყუთზე გააკეთა ძალისმიერი მოწოდების შემცველი წარწერები (წერილობით განცხადებაში მან ჩამოთვალა ყველა წარწერა, კალიგრაფიულმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ კუმიკოვის განცხადება და ყუთებზე გაკეთებული მოწოდებანი ერთი ხელით იყო დაწერილი), თავის მოქმედებას კუმიკოვი ხსნიდა კოლონიაში არსებული აუტანელი პირობებით, ადმინისტრაციის მხრიდან უსამართლო მოთხოვნებით. კითხვაზე, ჰქონდა თუ არა მას სხვა პატიმრებთან კონფლიქტი, კუმიკოვმა უარყოფითად უპასუხა დანაშაულის აღიარება ახსნა იმით, რომ ანტისაბჭოური

აგიტაციისა და პროპაგანდისათვის განმეორებითი დაჭერის შეეშინდა.

ოპერატიული წყაროების მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ კუმიკოვს უშუალო კავშირი არსებული სისტემისადმი უარყოფითად განწყობილ პატიმრებთან არ გააჩნდა, თუმცა აგენტ „გუსიევის" შეტყობინებით. იგი აპირებდა იმ პატიმართა მხარდაჭერას, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ მასობრივი დაუმორჩილებლობის აქციაში. მოწოდების დაწერით ის აპირებდა დამნაშავეთა სამყაროს ლიდერის ლაზოს გულის მოგებას და იმავე წლის 2 ივნისს, განთავისუფლების შემდეგ, მისგან, როგორც კანონიერი ქურდისაგან, გარკვეული უფლებების მიღებას.

ბრალის აღიარებისა და ოპერატიულ მუშაკებთან და გამომძიებელთან საუბრის დროს კუმიკოვს თავი მშვიდად ეჭირა, ყველა კითხვაზე სცემდა პასუხს, ახსნა-განმარტებითი მასალების შეფასებისა და შემოწმების შედეგების გათვალისწინებით კუმიკოვის მოქმედებაში დანაშაული არ დადასტურდა, ამიტომ გადაწყდა, რომ პროფილაქტიკური ღონისძიებებით შემოფარგლულიყვნენ.

უფროსი ოპერრწმუნებული
კაპიტანი მალიჩევი

სსრ კავშირის სუკის ქ. სვერდლოვსკის
საოლქო სამმართველოს უფროსს

2.06.88 წ. №2210-ზე

თქვენი 1988 წლის 2 ივნისის №2210 მიმართვის — კუმიკოვის ოპერატიული დაკვირვების საქმის შესახებ მოგახსენებთ, რომ ოპერატიული დაკვირვების ობიექტი კუმიკოვი თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების შემდეგ გამოცხადდა ქ. გროზნოში. შემდგომი დაკვირვება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რადგან საცხოვრებელ ადგილზე ჩამოსვლის შემდეგ, სულიერად დაავადებული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ ქ. გროზნოს
სუკის განყოფილების უფროსი

დავალების შესასრულებლად მჭიდრო კავშირი დავამყარე შემოწმების ობიექტთან ლაზოსთან. კონტაქტის საბაბად გამოვიყენე ნარკოტიკების ხმარება. კოლონიაში ჩამოსვლისას ობიექტი უქეიფოდ იყო. გრძნობდა საერთო ფიზიკურ სისუსტეს, რაც შეიძლება ტუბერკულოზის გამწვავებით აიხსნას. ეს მისი სანნაწილში გადაყვანის საფუძველი გახდა და ამან მასზე დაწესებული კონტროლის უკეთ განხორციელების საშუალება მოგვცა.

სანნაწილში ლაზოს ანაშომი შევთავაზე. მან უარი არ თქვა და რეგულარულად დაიწყო ამ პრეპარატის მიღება. ჯანმრთელობის გაუმჯობესების შემდეგ ლაზო ხშირად ასრულებდა ჩემს პირად თხოვნას.

იმისათვის, რომ ლაზო მთლიანად დამყრდნობოდა და ამავე დროს თავისი ავტორიტეტის ძალა ეჩვენებინა, კოლონიაში, შეხვედრებისათვის გამოყოფილ ოთახში იგი გავაცანი თქვენთვის ცნობილ ადგილობრივ იატაკქვეშა საქმოსანს იგორ ტარლანოვს (დაიმახსოვრეთ ეს სახელი. მოგვიანებით იგი ეკატერინბურგში დატრიალებულ გახმაურებულ მკვლელობათა ერთ-ერთი მსხვერპლი გახდება).

ტარლანოვს სვერდლოვსკში „კატალებთან“ (ადამიანები, რომელთა შემოსავლის წყაროს კარტის თამაში წარმოადგენს) და მათ ლიდერ ჩერეპანოვთან გაუმწვავდა ურთიერთობა. ამიტომ იგი სისხლის სამართლის დამნაშავეთა წრეში ეძებდა ძლიერ მხარდაჭერას. ლაზოს ტარლანოვისათვის ფაქტიურად შეეძლო იატაკქვეშა მეწარმის ინტერესების დამოუკიდებელი დამცველის როლი შეესრულებინა.

შეხვედრაზე ტარლანოვმა ლაზოს ზონის საერთო სალაროსათვის (ობშიაკის) სოლიდური მატერიალური მხარდაჭერა შესთავაზა. სამაგიეროდ მას თავისი კონტროლისათვის უნდა დაექვემდებარებინა უკვე ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის დამნაშავეთა დაჯგუფებანი, რომლებიც რეკეტს ეწეოდნენ და ამით „კატალებისათვის“ დამნაშავეთა სამყაროში საყრდენი მოესპოთ.

ლაზომ ამ წინადადებაში მისი თავკაცობით ძლიერი ქურდული დაჯგუფების შექმნის მოულოდნელი შესაძლებლობა დაინახა. შეხვედრის შემდეგ მან თავისი გეგმები

გამიზიარა. მისი თქმით, დაჯგუფება, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა, საქართველოს კანონიერი ქურდების ერთ-ერთი უძლიერესი წარმომადგენლის ანზორ აგაიანის ხალხმა „მეთევზეებთან", სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებთან „ჩაუშვა", რადგან კუჩუურის ინტერესების დამცველ გურიელოვის მოკვლას აპირებდა. გურიელოვი უშუალო კავშირებს ურალის, ძირითადად, პერმისა და სვერდლოვსკის ოლქების ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ინსტანციებთან და ხელმძღვანელებთან ამყარებდა. მისი ხალხი ადგილობრივი სისხლის სამართლის ვიგინდარებთან კი არ იჭერდა საქმეს, არამედ უშუალოდ მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელებთან დაახლოებას ცდილობდა. ისინი შინაგან საქმეთა სამმართველოსა და უშიშროების საოლქო ხელმძღვანელების თვისებებსაც სწავლობდნენ, რათა საჭირო შემთხვევაში ისინი თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ (მოგვიანებით კანონიერმა ქურდებმა სვერდლოვსკის სუკის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო ქვეგანყოფილების უფროსის შვილის „ლამაზი ცხოვრებით" გატაცება შეძლეს. მართალია, ამ ფაქტიდან პრაქტიკულად ბევრი ვერაფერი იხეირეს, მაგრამ გარკვეული შედეგი მაინც იყო: მამა ვადაზე ადრე გაუშვეს პენსიაში, შვილი კი ციხეშია). კუჩუურის „ოჯახმა" ერთ-ერთმა პირველმა დაანება თავი „წვრილმან საქმიანობას" და „მსხვილი ჰორიზონტით" დაიწყო მუშაობა, რომლის მიზანიც ნებისმიერი იატაკქვეშა გარიგებიდან ოქროს აღებასა და ფოთში გაგზავნაში მდგომარეობდა.

ირკუტსკის 47-ე კოლონიაში მომხდარი მასიური არეულობის შემდეგ ლაზო ერთ-ერთ ჩინოვნიკს მოელაპარაკა სვერდლოვსკში მისი ეტაპირების შესახებ. ის აპირებდა ურალის ერთ-ერთ ზონაში გამაგრებას და თავიდან ეს კარგად გამოუვიდა. ახლა კი ჩემი მხარდამჭერის იმედი აქვს, რომ ტარლანოვთან განამტკიცოს კონტაქტები. სამაგიეროდ იგი მპირდება, რომ ზონიდან უზრუნველყოფს სოჭში მშენებარე ჩემს აგარაკს სამშენებლო მასალებით (როგორ და ვისი დახმარებით ახერხებს სამშენებლო მასალათა მიტანას, ამის შესახებ უკვე შეგატყობინეთ).

მაგრამ ლაზომ ერთი შეცდომა დაუშვა. მან გადაწყვიტა თავისი ავტორიტეტი პატიმართა უკმაყოფილების ხარჯზე — ადმინისტრაციის შანტაჟითა და მასიური არეულობებით

[illegible] სიტუაციაში [illegible]ისა, რომ [illegible]
მხარი დაუჭირა, იგი ამით ფაქტიურად მაინც დაუპირისპირდა ადგილობრივ ავტორიტეტებს, რომლებიც ადმინისტრაციასთან დამოკიდებულების გამწვავებით არ არიან დაინტერესებულნი. მრავალი მათგანი, როგორც იტყვიან, აქაა „ჩაწერილი" და ამიტომ ფაქტიურად კოლონია მათთვის მშობლიური სახლია. ლაზომ კი სიმშვიდის დარღვევა ვადაწყვიტა, შედეგიც სახეზეა. მათ გამოიყვანეს კუმიკოვი და თავისებურად დაამუშავეს იგი. ლაზოს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, საკუთარი ტყავი რომ გადაერჩინა, კუმიკოვს უბრძანა, ბრალის აღიარებით ადმინისტრაციაში გამოცხადებულიყო.

რაც შეეხება ოპერატიული განყოფილების ხელმძღვანელობას, მათ იმდენად იმ მღელვარებისა და არეულობის კი არ ეშინოდათ, ლაზოს გამოჩენას რომ მოჰყვა, არამედ საქმეში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ჩარევისა, რადგანაც ფიქრობდნენ, ისინი მასალათა დატაცებას, მიწერებს და სხვა არასასიამოვნო ფაქტებსაც გამოჩხრეკდნენ, სწორედ ამიტომ 25 აპრილს ლაზო ურალის ოლქის ფარგლებს გარეთ გაიყვანეს.

დავალება: 1. გააგრძელეთ ნეგატიურად განწყობილ პატიმართა შორის მიმდინარე პროცესების კონტროლი. 2. განამტკიცეთ მეგობრული კონტაქტები იგორ ტარლანოვთან, შეისწავლეთ მისი გარემოცვა, სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროსთან მისი წინააღმდეგობის ხასიათი.

ღონისძიებები: დამნაშავეთა სამყაროში პოლიტიკურად მავნე პროცესების საერთო პროფილაქტიკისათვის გამოიყენეთ აგენტურული შეტყობინებები.

აგენტის შეტყობინებაზე სუკის სამმართველოს უფროსის რეზოლუცია.

„ელიფის" შეტყობინებაში მოყვანილი ფაქტები მოითხოვს სერიოზულ შესწავლას, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს დამნაშავეთა სამყაროში მიმდინარე ისეთ პროცესებთან, რომლებიც პერსპექტივაში პირდაპირ საფრთხეს შეუქმნიან სახელმწიფო უშიშროებას, კერძოდ, [illegible]
[illegible] [illegible] სწორი მოთხოვნის [illegible]
[illegible]

მუშაობის დროს, რადგან ყველა საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ დამნაშავეთა სამყაროს ფილოსოფიის წინაშე ჩვენი დაუცველობის შესახებ. ჩნდება კომპრომეტირების ან პროვოკაციის რეალური შანსი. სისტემატურად შეამოწმეთ ინფორმაციის წყაროები.

## აგენტ „ვოლფის" შეტყობინებიდან

1988 წლის 17 ივნისს, იმ პატიმრებთან ერთად, რომლებიც 62-ე მუხლის მოსახსნელად კომისიაზე გაიგზავნა, მეც გავემგზავრე. იქ საავადმყოფოს უფროსისაგან, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკ დალისაგან შევიტყვე, რომ ირკუტსკიდან ჩამოვიდა კანონიერი ქურდი მამუკა — შალვა ვალიკოს ძე თათიაშვილი. დაიბადა 1967 წელს, ნასამართლევია რამდენიმე დანაშაულისათვის, უკანასკნელად — კოლონიის ადმინისტრაციის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის გამო.

საავადმყოფოში მამუკამ ადმინისტრაციასთან კონფლიქტის გასაჩაღებლად თავის გარშემო იქ მყოფ პატიმართა შემოკრება დაიწყო, დალის აზრით, ამას შეიძლება მსჯავრდებულთა მასიური დაუმორჩილებლობა მოჰყვეს. მამუკამ დალის მოთხოვა მსჯავრდებულთა გამგებლობის სადავეები მისთვის გადაეცა, სამაგიეროდ, წესრიგისა და დისციპლინის გარანტიას პირდებოდა. სინამდვილეში კი ატარებდა ადმინისტრაციაზე უკმაყოფილო პატიმართა შეხვედრებს. აგროვებდა მაკომპრომეტირებელ მასალებს ხელმძღვანელობაზე, დაიახლოვა ახალგაზრდობა, რომლებიც იმ ზონებიდან იყვნენ ეტაპირებულნი, სადაც მასიური არეულობები იყო მომხდარი.

ამგვარი სიტუაციის გამო საავადმყოფოს უფროსი დალი ორცეცხლშუა აღმოჩნდა. საავადმყოფოში ხშირი იყო დარღვევები, სამრეწველო უბანზე კი დატაცების ფაქტები, რაშიც ადმინისტრაციის ხელმძღვანელებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. მაშასადამე, დადგებოდა დალის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი მაღალი ინსტანციების წინაშე, მეორე მხრივ, მას ეშინია, რომ მამუკას ქმედების გამო სიტუაცია არ დაემორჩილებოდა კონტროლს და არეულობის აღმოსაფხვრელად ჯარის გამოყენება გახდებოდა საჭირო.

დაზონსიიან „ახლობლობით" ვისარგებლე და გავეცანი

მამუკას. ორივე ავტორიტეტი კარგად იცნობს ერთმანეთს. მე საკუთარი ინიციატივით ვუთხარი მამუკას, რომ ლაშოს, ადგილობრივ ლიდერებთან მეტოქეობის გამო, დიდი უსიამოვნებანი ჰქონდა. მან ყურიც არ გააპარტყუნა. განმიცხადა: მე ხომ შთამომავლობითი ქურდი ვარ და ამ ღორებს მალე დავაჩოქებო. „ლაპარაკის ხასიათზე რომ დამდგარიყო", ქირურგიული განყოფილებიდან აღებული სპირტი შევთავაზე, მაგრამ მითხრა, რომ არ სვამს, თუმცა სპირტი „ობშიაკისათვის" მაინც აიღო.

მეორე დღეს საუბარი გავაგრძელეთ. ახლა მამუკა უფრო მიმნდობი იყო. პატიმრების მიერ გაკეთებული მცირეკალიბრიანი ორი პისტოლეტის ზონის ტერიტორიიდან გატანა შემომთავაზა. მე უარი ვუთხარი, განვუცხადე, რომ ასეთი „თამაში" არ მიყვარს და სხვა საშუალებისა და არხის მოძებნა ვურჩიე. მამუკამ მიპასუხა, გეხუმრეო, სხვა დროს ამ თემაზე აღარ უსაუბრია.

დავალება: შეისწავლეთ სააღმყოფოს საწარმოო ზონაში ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების საშუალებები, გამოავლინეთ ისინი, ვინც ამას აკეთებენ. განამტკიცეთ კონტაქტი მამუკასთან, გაუწიეთ მას წვრილმანი სამსახური და ეძებეთ მისი ნეიტრალიზების გზები.

ღონისძიებები: 153-ე საბადრაგო დივიზიის საგანგებო განყოფილების მეშვეობით ჩატარდეს სარეჟიმო ჩხრეკა საწარმოო და საცხოვრებელ ზონებში დამზადებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ამოსაღებად.

# ზონა და ავტორიტეტები

მამუკა, წინამორბედ ლაზოსთან შედარებით, უფრო ფრთხილად და ტაქტიანად მოქმედებდა. ამიტომ ადგილობრივ ავტორიტეტთა შემორიგება ადვილად მოახერხა და მყარად დამკვიდრდა ზონაში. მალე ადმინისტრაციამ პატიმართა აჯანყების რეალური საშიშროება იგრძნო და ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, ისე წავიდა კანონიერ ქურდებთან შეთანხმებაზე (მალიშევი კბილებს ალჭიალებდა). მათ განუცხადეს — ადმინისტრაციისაგან შეუმჩნევლად, რაც გინდათ, რაც გსურთ, ის გააკეთეთ, გარეგნულად კი სიჩუმე და სიწყნარე იყოსო.

მამუკას სწორედ ეს ჭირდებოდა. ძალაუფლება თანდათან სისხლის სამართლის დამნაშავეთა ხელში გადადიოდა: ახლა ისინი ჩაგრავდნენ ე. წ. სამკლაურიანებს. დაიწყეს სხვადასხვა დაჯგუფებათა შექმნა. რაც შეეხება „სიჩუმეს და სიწყნარეს", კანონიერი ქურდისათვის ღირსების საქმეა გააცუროს,/ მოატყუოს ყველა და მითუმეტეს — საძულველი სახელმწიფოს წარმომადგენლები. მამუკა ადმინისტრაციას მასიურ არეულობათა სტიმულირებითა და შანტაჟით ემუქრებოდა და ამიტომ ხელმძღვანელობა 1988-1989 წლებში იძულებული გახდა ხუთჯერ შეეყვანა კოლონიაში ჯარის ნაწილები. ბოლოს ყველას გამოელია მოთმინება და იგი ოლქის ფარგლებს გარეთ გააგზავნეს.

თუმცა ქურდულ შეკრებათა გადაწყვეტილებების შემსრულებელი კრიმინალური ელემენტები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ „გაეყინათ" შუა ურალის ზონები. პირდაპირ რომ ვთქვათ, ცდილობდნენ კოლონიათა დაპატრონებას. ვითარება სულ უფრო მეტად მწვავდებოდა და ფეთქებადი ხდებოდა. ადმინისტრაცია შიშმა მოიცვა. გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ აქამდე მათთან „სხვაგვარი" კანონიერი ქურდები ხვდებოდნენ. ახლანდელები კი მატყუარა და სიტყვის გამტეხნი აღმოჩნდნენ, იმის მაგივრად, პატიოსნად შეასრულონ შეთანხმება და ამით ზონაში პრივილეგირებული მდგომარეობა მოიპოვონ, ეს ვაჟბატონები ცდილობენ, საწყალ ადმინისტრაციას საბოლოოდ დაუკარგონ სიმშვიდე და მოსვენება. ყველასაგან მოულოდნელად, ამ მუქ ღრუბლებში ნანატრი სინათლის სხივიც გაკრთა. ეტყობოდა, ეს ის სხივი იყო, ადმინისტრაციას რომ სჭირდებოდა.

# ცნობა
# მსჯავრდებულ ვ. ი. ნორკინის შესახებ

დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტი „სედოი“, ვიტალი იაკობის ძე ნორკინი დაიბადა 1953 წელს, ტაჯიკეთის სსრ ქ. ლენინაბადის მკვიდრია, ეროვნებით არის რუსი, აქვს საშუალო განათლება. არაერთგზისაა ნასამართლევი: 1968 წ. 154 მუხ. II ნაწილითა და 145 მუხ. II ნაწილით, განაჩენი— თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 1971 წელს—206 მუხ. II ნაწ. განაჩენი—თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, 1973 წელს—206 მუხ. III ნაწ. განაჩენი—თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, 1978 წელს—210 მუხ. II ნაწ. განაჩენი—თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, 1983 წელს—188 მუხლით, განაჩენი—თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, 1985 წელს—103 მუხ. (მკვლელობა) განაჩენი—თავისუფლების აღკვეთა 9 წლით. ეს სასჯელი 1985 წლის 29 აგვისტოს მიესაჯა, უთავდებოდა 1994 წლის 29 აგვისტოს.

1989 წლის დეკემბერში იგი პატიმართა შორის ავტორიტეტის გამო, ვითარების ნორმალიზებისა და მასიური არეულობის წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, მე-17 კოლონიაში გადმოიყვანეს. ადმინისტრაციასთან, კერძოდ—გამოსასწორებელ საქმეთა სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროს გრიგორიევთან შეთანხმებითა და ურალის კანონიერი ქურდების თანხმობით, სედოი სათავეში ჩაუდგა ტაგილის სისხლის სამართლის დამნაშავეთა დაჯგუფებას: მოკლე ხანში მან კოლონიაში უზრუნველყო პატიმართა შრომით საქმიანობაში ჩაბმა, აკრძალა ლოთობა. დადებითი ზეგავლენა მოახდინა მე-8 და მე-40 კოლონიებში მყოფი კანონიერი ქურდების ცლოტასა და ბასას ქცევაზე, აკრძალა სამრეწველო ზონიდან ტყვის დატაცება და, კომპრომეტირების გზით მოახერხა სისხლის სამართლის დამნაშავეთა ლიდერის შილნიკის ნეიტრალიზება. ეს უკანასკნელი ტაგილის ყველა ზონაში ერთდროულ მასიურ არეულობათა მომზადებაში ღებულობდა მონაწილეობას.

დამნაშავეთა სამყაროზე გარკვეული გავლენის მიღწევის შემდეგ სედოის კანონიერ ქურდად „კურთხევა“, „გვირგვინის დადგმაც“ შესთავაზეს, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა.

ე. წ. „პატრიცალოვკის“ ნაწილი უკმაყოფილო იყო ჯალარას მოქმედებით, რაც ზონაში დისციპლინისა და წესრიგის დამყარებაში გამოიხა-

ტერორი. ამიტომ მისდამი მტრულად განწყობილი დაჯგუფების შექმნასაც ცდილობდნენ.

გადავდოთ გვერდზე ეს ცნობა: იგი თითქმის არაფერს გვეუბნება. ჯერ ერთი, რას ნიშნავს: „შექმნასაც ცდილობდნენ"? სიტუაცია იმდენად გამწვავდა, რომ გონიერი ადამიანი სედოის ერთი კოლონიდან სიგარეტისთვისაც კი სიამოვნებით მიაბრძანებდა. ეს კოლონიის „დამაწყნარებელმაც" კარგად იგრძნო და გაახსენდა საკმაო გავლენის მქონე კანონიერი ქურდი ხაზარი, სწორედ მას შეეძლო ახლა სედოისთვის დახმარების გაწევა.

ისინი ერთმანეთს 1989 წლის ბოლოს, საოლქო იზოლატორში გაეცნენ. ხაზარმა ახალი ნაცნობის მიმართ აშკარა ინტერესი გამოამჟღავნა. კანონიერი ქურდი კი ისეთი ჩიტი არ გეგონოთ, ტყუილად დაფრინავდეს, და 100 ქულას მოწინააღმდეგეს წინასწარ აძლევდეს, ამიტომ საკითხავია, რამ განაპირობა ხაზარის ასეთი დაინტერესება? ეს რომ გავიგოთ, უფრო კარგად უნდა გავიცნოთ სედოი.

იგი არაჩვეულებრივი პიროვნებაა, 14 წლის შემდეგ, საუკუნის მეოთხედზე მეტი ციხეებსა და კოლონიებში გაატარა. დამნაშავეთა სამყაროში მაწანწალა-ბრადიაგადაა მიჩნეული—(ასე ეძახიან სხვანაირად კანონიერ ქურდებს), იცნობენ, როგორც უშიშარ მებრძოლს. აქვს მშვენიერი მეხსიერება, საუკეთესოდ, ქურდული ტრადიციების დაცვით ატარებს საქმეების გარჩევებს, მის ხასიათში თითქოს ორი შეუთავსებელი რამაა შერწყმული ურთიერთს—მოწინააღმდეგის მიმართ გამოჩენილი სისასტიკე (ამ ბოლოს ერთ-ერთი სისხლის სამართლის დამნაშავე არაადამიანური სისასტიკით მოკლა—თითქმის ასო-ასო აქნა დანით და ამისათვის გაასამართლეს) და გულისხმიერი, კეთილი დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც პატივს სცემს და უყვარს. იგი კოლონიიდან გულთბილი, ლამაზი ხელით დაწერილი მისალოცი ბარათების გაგზავნასაც არ ივიწყებდა ხოლმე.

„ძამიკო, მთელი სულითა და გულით გილოცავ დამდეგ დღესასწაულს შენ და შენს საყვარელ მეუღლეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ყოველგვარ სიკეთეს, წარმატებებს.

სიყვარულითა და პატივისცემით
ვიტალიკ სედოი

დამნაშავეთა სამყაროში მას იმითაც იცნობდნენ, რომ კარგად შეეძლო საკუთარი თავისა და მეგობრების დაცვა. ყოველთვის ამხანაგები

ერტყა გარს, ეხმარებოდა მათ გაჭირვების ჟამს, იყო ხელგაშლილი, უყვარდა ფულის ფანტვა. ერთ-ერთ ზონაში, სადაც მორიგ სასჯელს იხდიდა, მის ახლო მეგობარს უბედურება შეემთხვა. ადგილობრივმა ავტორიტეტებმა, „მუჟიკებს" რომ ეძახიან, გაუპატიურება დაუპირეს, მეგობარმა ძლივს უშველა თავს და საჯარიმო იზოლატორში ჩაიკეტა. ღირსების დაცვის მიზნით (პარადოქსალურია, მაგრამ ქურდულ წრეებ-შიც ამ ცნებას ისე თავისუფლად იყენებენ, როგორც სარაკეტო გვარ-დიული კრეისერის ოფიცერთა შეკრებაზე) ჭაღარამ ზონაში დარბევის მოწყობა გადაწყვიტა. ამისათვის ორივემ, მან და მისმა მეგობარმა რკინის ჯოხები დაითრიეს, გამოცვივდნენ საჯარიმო იზოლატორიდან, გავიდნენ რაზმებში და დაიწყეს პატიმრების ამოხოცვა. ამის გამო პატიმრობის ვადა ორივეს გაუგრძელეს, მაგრამ სედოის ავტორიტეტი ამით კი არ დაცემულა, კიდევ უფრო ამაღლდა.

კოლონიის ხელმძღვანელობამ სწორედ ამ სისასტიკისა და ავტორი-ტეტის გამოყენება გადაწყვიტა, როდესაც მას კოლონიაში, ყველა ქურ-დული წესის მიხედვით, წესრიგის დამყარება შესთავაზა. სამაგიეროდ, აღუთქვა ზონაში მოქმედების თავისუფლება, სპეციალურად გამოყო-ფილ შენობაში ახლობლებთან თუ სხვა პირებთან შეხვედრის შე-უზღუდავობა, ოღონდ კონტროლის ქვეშ.

რა თქმა უნდა, სედოი, როგორც ყველა „ბრადიაგა", უფროსობისათ-ვის ამ დაპირების მიცემის დროს თავის გეგმებზე ფიქრობდა. მათი მხარდაჭერით მას საკუთარი ავტორიტეტის ამაღლება უნდოდა, სურ-და დაემორჩილებინა ადგილობრივი ვიგინდარები, გავლენა მოეხდინა ქალაქის ახალგაზრდობაზე რეკეტს რომ ეწეოდნენ (კავშირი არ გაუ-ჭირდებოდა, რადგან ამგვარი შეხვედრებისათვის საგანგებო ოთახი ჰქონდა გამოყოფილი). სედოისთვის—დაბადებით ლიდერისა და ხელ-მძღვანელისათვის, ლიდერობის შეგრძნება ისეთივე აუცილებელი იყო, როგორც ჰაერით სუნთქვა. ის ნამდვილ სიამოვნებას განიცდის, როცა თანამოაზრეთა ჯარი ახვევია, რომელთა თვალწინაც საკუთარი ჭკუის, მოხერხებულობის და ქურდული კეთილშობილების დემონსტრირება შეუძლია.

მე-17 კოლონიაში ჩამოსვლიდან სულ მოკლე ხანში თავის ირგვლივ ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდები შემოიკრიბა, შემდეგ დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტი შილნიკი გალახა, რომელიც პატიმრებს დაუ-მორჩილებლობისაკენ აქეზებდა, განსაკუთრებული სიმკაცრით იმ პა-ტიმრებს უსწორდებოდა, რომლებიც ლოთობდნენ და არ გამოდიოდნენ სამუშაოდ, ყოველთვის ყველას თვითონვე უსწორებდა ანგარიშს, ვერ იტანდა, როცა ასი ერთს სცემდა. როგორც წესი, ყბაში თავბრუდამხვე-

ვი დარტყმის შემდეგ, ფეხებით პირდაპირ თელავდა ადამიანს, ამიტომ ხშირად მოჰქონდათ საკაცე და ცოცხალმკვდარი პატიმარი სანაწილში მიჰყავდათ. ამნაირი, არაადამიანური ცემით სედოიმ ოცამდე პატიმარი დაასახიჩრა. ასეთი ზომების გამოყენების შემდეგ მასიური ლოთობა და სამუშაოზე გამოუცხადებლობა ერთ თვეში შეწყდა.

მაგრამ მის თავზეც ჩამოწვა შავი ღრუბლები. სტიქიურად ჩნდებოდა და რაზმებად იკვრებოდა გაავთრებული, ყველაფრისათვის მზადმყოფი პატიმართა ჯგუფები.

აქ კი ოდნავ უკან დახევა იყო საჭირო. გაურკვეველი მიზეზით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოსასწორებელ საქმეთა სამმართველომ სვერდლოვსკში სასჯელის მოსახდელად რამდენიმე კანონიერი ქურდი გააგზავნა. ამავე სამმართველოს ოპერატიული განყოფილება სიტყვიერად შეუთანხმდა ქურდული სამყაროს გამორჩეულ ლიდერს, კანონიერ ქურდს ხაზარს, რომ მას გამოეყენებინა თავისი ძალა და ავტორიტეტი და უზრუნველეყო წესრიგისა და დისციპლინის დამყარება ტაგილის შრომა-გამასწორებელ კოლონიაში (ქალაქში სულ შვიდი ზონა იყო, სადაც სასჯელს 15 ათასამდე პატიმარი იხდიდა).

შემდეგ რაღაც გაურკვეველი მოხდა — როგორც ეტყობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამსახურების მიერ კანონიერ ქურდებთან მიღწეული ყველა შეთანხმება ჩაიფუშა. უშიშროების სამსახური ქურდულ ავტორიტეტებზე კონტროლის სფეროში ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე დარჩა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1990 წლის სექტემბერში სუკის თავმჯდომარის კრიუჩკოვის მისაღებიდან მოსკოვის სუკში გადაიცა შს მინისტრის ბაკატინის ზეპირი საჩივარი. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო იყო იმით, რომ სუკის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლები კოლონიის კანონიერ ქურდებზე კონტროლის განხორციელებას ცდილობდნენ და ამისათვის ოპერატიულ ღონისძიებებსაც (ამას მოფიქრება არ უნდა) კი გეგმავდნენ.

სუკის აგენტთა მონაცემებით, კოლონიათა ოპერატიული განყოფილების ოფიცრებს მათი ხელმძღვანელებისაგან მიეცათ ზეპირი განკარგულება, რომ არ ჩარეულიყვნენ ზონაში მყოფი კანონიერი ქურდების საქმიანობაში.

რა თქმა უნდა, იგივე ხაზარმა არ დააყოვნა და ასეთი უპრეცედენტო შესაძლებლობა რეგიონში თავისი ძალაუფლების სფეროს გაფართოებისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის გამოიყენა. ვფიქრობთ, დაცვა

დრო, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ დამნაშავეთა სამყაროს, დღეისათვის კი ცხადია, რომ არამარტო ამ სამყაროს, მართლაც რომ გავლენიან ფიგურაზე.

მაშ ასე, ხაზარი, ასლან თემურის ძე ტონაიანი, დაიბადა 1937 წელს, ეროვნებით ქურთი, ყოფილი პროფესიონალი—ვალუტით მოვაჭრე, 1963 წელს კანონიერი ქურდის „გვირგვინი" იყიდა. 1984 წელს თბილისში რამდენიმე მუხლით გაასამართლეს—ნარკოტიკების უკანონო შენახვა, ყალბი დოკუმენტების დამზადება და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მაშინ ხაზარი უკვე 48 წლის იყო. ჰყავს მეუღლე. აქვე უნდა ვთქვათ, რომ კანონიერი ქურდის წოდების შენარჩუნება დაოჯახების შემდეგ პირველად კავკასიელებმა დაიწყეს. ჩრდილოვანი საქმოსნობა უზარმაზარ შემოსავალს იძლეოდა. საჭირო იყო მისი საიმედო პირებისათვის გადაცემა, რომელთაც სხვადასხვა იატაკქვეშა წარმოებებში დაბანდებით უნდა გაემრავლებინათ კაპიტალი. ასეთ ოპერაციათა შესრულების საიმედო გარანტი კი მხოლოდ ოჯახია. ყოველივე ეს კი საშუალებას აძლევდა კანონიერ ქურდებს მშვიდად შეხვედროდნენ სიბერეს, რა თქმა უნდა, ვინც მიაღწევდა მას, და აი—მკვეთრი კონტრასტი—უკანასკნელ ხანამდე რუსი ქურდებისათვის უპირველესი—ძალაუფლების უგულვებელყოფა, ქურდული ძმობა და რა თქმა უნდა, თავისებურად გაგებული პიროვნების სრული თავისუფლება იყო. ამიტომ ზონებში თავის გადარჩენის მრისხანე სკოლაგამოვლილი რუსი კრიმინალური ელემენტები თავიანთ ერთადერთ სიმდიდრედ ქურდულ ავტორიტეტსა და დამოუკიდებლობას თვლიდნენ.

კავკასიელი კანონიერი ქურდების ოჯახის შექმნისაკენ მიდრეკილება მნიშვნელოვანწილად მათ ურთიერთდახმარებას, თანამშრომლობასაც კი განაპირობებდა. ამიტომ ისინი ხშირად იყვნენ „ნათლიმამები", თუმცა ასეთ დანათესავება-დამოყვრებას უკუშედეგებიც ახლავს. გამდიდრების სურვილის გამო მკაცრი საკონკურენტო ბრძოლა გაჩაღდა ოჯახურ კლანებს შორის. სწორედ ამ ბრძოლის მსხვერპლი გახდა ხაზარი. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ უძლიერესი კლანების ერთმანეთთან უმკაცრესმა ბრძოლამ არც თუ ისე ცოტა ნავთი დაასხა კავკასიასა და ამიერკავკასიაში გაჩაღებული ეროვნებათაშორისი კონფლიქტების ცეცხლზე.

ხაზარი, როგორც კანონიერი ქურდი, თავდაპირველად სასჯელს პერმის ოლქის სპეცზონაში, ე. წ. „თეთრ გედში" იხდიდა. აქ კი, „აღზრდის" კურსის დამთავრების შემდეგ, დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტები ხელწერილს დებდნენ ქურდულ ტრადიციებზე უარის თქმისა და მილიციასთან თანამშრომლობის შესახებ, რაც მათ საშუალებას

ადვილად შედარებით მსუბუქი რეჟიმის კოლონიებში მოხვედრილიყვნენ.

ასე, ამგვარი ხელწერილის მიცემის შემდეგ, ხაზარი ომსკის კოლონიაში აღმოჩნდა, მაგრამ ომსკი რუსი ქურდების ტრადიციული მხარეა, აქ ძლიერია ადგილობრივ ავტორიტეტთა პოზიციები და ხაზარმა მალე იგრძნო, რომ აქ ფრთების გაშლის საშუალება არ მიეცემოდა.

საიდუმლოდ რჩება, თუ როგორ მოხვდა ხაზარი შუა ურალში. თუმცა ის კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ეტაპირება მიზნობრივად, სსრკ შს სამინისტროს ოპერატიულ განყოფილებასთან შეთანხმებით შესრულდა (მინისტრი ვ. ბაკატინი).

ზონებში შექმნილი დაძაბული ვითარება, რასაც ხელს უწყობდნენ ლაზო და მამუკა, მოხერხებულად გამოიყენა ხაზარმა. მან დაჯერა უფროსობა, რომ ლოიალური იქნებოდა ხელისუფლების მიმართ, ზონაში დისციპლინას განამტკიცებდა და შეწყვეტდა პატიმართა მასიურ დაუმორჩილებლობას. ხაზარი თავდებად დაუდგა თავის თანამემამულეს, კანონიერ ქურდს მე-40 კოლონიიდან, ბასას, სადაც ასევე საჭირო გახლდათ წესრიგის დამყარება. მე-5 კოლონიაში გადაიყვანეს „ხორი", რომელმაც ლაზოს ყაჩაღობათა შემდეგ „მართვა" თავის ხელში აიღო. ადგილობრივ მე-17 კოლონიას კი რიგრიგობით მამედი და ოთარი კურირებდნენ.

რეზო მურზაბეკის ძე გვენცაძე, დაბადებული 1952 წელს. უკანასკნელად 1978 წელს, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის III ნაწილით (კოლონიის ადმინისტრაციისადმი ბოროტგანზრახვით დაუმორჩილებლობა) იქნა გასამართლებული და 13 წლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. სასჯელი 1991 წლის 13 ივლისს უთავდებოდა.

სასჯელს სახალინის კოლონიაში იხდიდა და მონაწილეობას ღებულობდა პატიმართა მასიური დაუმორჩილებლობის აქციებში. ოპერატიულმა განყოფილებამ მოახერხა მისი კომპრომეტირება, რის შედეგაც ამ უკანასკნელმა თანამშრომლობაზე მისცა თანხმობა. სამაგიეროდ, ჯილდოს სახით, ადმინისტრაცია შუა ურალში, მე-40 კოლონიაში გადაყვანას დაპირდა, სადაც იმ დროისათვის არ იყო ისეთი დიდი ქურდული ავტორიტეტი, რომელსაც პატიმრებში ძალადობის შემთხვევების აღკვეთა და მასიურ უკმაყოფილებათა ხშირი გამოვლინების ჩაქრობა შეეძლებოდა, მართალია, იმ დროს კოლონიაში სასჯელს კრივში მსოფლიო ჩემპიონი ოლეგ კარატაევი იხდიდა(1994 წლის 12 იანვარს ო. კარატაევი ნიუ-იორკში მოკლეს), მაგრამ იგი ქურდული გაგებისაგან განზე იდგა არც პატიმართა ადმინისტრაციისათვის სასარგებლოდ მართვა

შეძლო და გავლენაც არ გააჩნდა.

1990 წელს კანონიერი ქურდის ბასას მოსვლის შემდეგ ვითარება ზონაში გაუმჯობესდა. რა თქმა უნდა, არავინ იცოდა, რომ მან შინაგან საქმეთა სამინისტროს მისცა ხელწერილი თანამშრომლობის შესახებ. იგი საქმის გარჩევებს დინჯად ატარებდა და ვითომდა სხვათაშორის, მისდევდა თავის ჩვეულებრივ ხელობას — ძვირფასი ლითონების დაგროვებას.

პატიმრობა, რა თქმა უნდა, მოქმედების თავისუფლებას გარკვეულწილად ზღუდავდა, მაგრამ მას ამ საქმეში „ქალაქის მასშტაბის" სისხლის სამართლის ავტორიტეტები ეხმარებოდნენ. ბასამ დაიახლოვა ისინი და გარკვეული უფლებამოსილებანიც გაუნაწილა.

ერთ-ერთი ასეთი ავტორიტეტი ვინმე ყაზბეგი იყო, რომელიც ზონაში მატერიალურად უზრუნველყოფდა თავის შეფს — ჩამოჰქონდა მისთვის ჩაი, საჭმელები, ფული. სამაგიეროდ ბასამ ყაზბეგს შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე თავისი ქურდული კავშირები ჩაუკაკლა. მისი მითითებით ყაზბეგმა პროგრამული მართვის ჩარხების პლატინისა და ოქროს შემცველი დეტალების დატაცებათა კონტროლი დაიწყო. ძვირადღირებულ ლითონებს სამხრეთში ასაღებდა.

კავკასიის ქურდების მხარდაჭერის გამო ყაზბეგი ადგილობრივ ავტორიტეტებს არ ექვემდებარებოდა, დაუსჯელობის ილუზია შეეპარა და კოოპერატორებისაგან წილში გაყვანა მოინდომა, უფრო მეტიც, მათ ვაგონების ქარხნისა და ქალაქის ხელმძღვანელობასთან კავშირის მისთვის გადაცემა მოსთხოვა.

იგი ისე გათავხედდა, კოოპერატორ დოლოტოვს ფული რომ გამოსძალა, მერე მისი ცოლის გაუპატიურებაც მოინდომა. ეს უკვე ნამეტანი იყო, დოლოტოვი სვერდლოვსკში გაემგზავრა და კანონიერ ქურდ ანტიპთან იჩივლა. მან საჩივარი მიიღო და საქმის გასარჩევად ტაგილში ჩავიდა, მაგრამ ყაზბეგმა, რომელიც ბასას მძლავრ მხარდაჭერას გრძნობდა, არაფრად ჩააგდო ანტიპი. ეს იყო საბედისწერო შეცდომა. საჭიროა, გესმოდეს, რას ნიშნავს კანონიერი ქურდი. სატანკო დივიზიაც რომ იდგეს შენს ზურგს უკან, მის წინაშე მაინც ფრთხილად უნდა იყო — ყაზბეგს იქვე, ადგილზე, უყოყმანოდ გამოსჭრეს ყელი. 1990 წლის მარტში, ტაგილში, პირველად მოხდა დანაშაულებრივი ავტორიტეტის ხალხმრავალი გასვენება. ჩამოვიდნენ წარმომადგენლები კავკასიიდან, პროცესიას 200-მდე მსუბუქი ავტომანქანა მიაცილებდა. ყაზბეგი საუკეთესო, შემაღლებულ ადგილზე, სატანკო ქარხნის ცნობილი დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის ოკუნევის გვერდით დაასაფლავეს.

„ხორი", ალექსი ვასილის ძე ზაგრებენიკოვი, დაბადებული 1956 წელს, გასამართლებულია 1984 წელს რსფსრ სისხლის სამართლის 144 მუხლის III ნაწ. 198 მუხ. II ნაწ. მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, არის ნარკომანი. 1989 წლის 2 დეკემბერს ქ. ზლატოუსტის ციხეში დაიდგა კანონიერი ქურდის გვირგვინი. 1990 წლის თებერვალში ნიჟნი ტაგილის მე-5 კოლონიაში გადმოიყვანეს. ადმინისტრაციისადმი განწყობილია ლოიალურად, კიცხავს ძალადობას.

1991 წელს, სარეჟიმო ღონისძიების ჩატარების დროს, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა გალახეს და აიძულეს, მთელი ზონის თვალწინ ფეხშიშველს ერბინა მოედანზე. ამიტომ ეგზეკუციით დაშინებული იყო და ხელმძღვანელობას თავისი სამსახური შესთავაზა. უნდოდა დაერეკა მე-40 კოლონიაში და გაეფრთხილებინა იქაური ავტორიტეტები, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებისათვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ, მაგრამ „სპეცრაზმის" ოფიცერმა, იქვე ახლოს რომ აღმოჩნდა, და არც თუ ისე კარგ გუნება-განწყობილებაზე გახლდათ, მადლობის მაგივრად ხორს ყბაში მაგრად უთავაზა. ჩხრეკის დროს მას 100 ფილა შოკოლადი, რამდენიმე ბოთლი კონიაკი და დიდი რაოდენობით სიგარეტი ჩამოართვა. ხორი ცდილობდა ჩხრეკის საწინააღმდეგოდ პროტესტი განეცხადებინა, როგორც კანონიერ ქურდს, მაგრამ კვლავ ცემეს სპეცნაზელებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, ქურდულ იერარქიაში ცუდად ერკვეოდნენ.

რას იზამ, არც თუ ისე კარგი დღე იყო.

მამედი—მამედ ილიადი, ქრონიკული ალკოჰოლიკი. ერთ-ერთი ქეიფის დროს სედოიმ გალახა, მაგრამ შემდეგ შერიგდნენ. ზონაში აქტიობას არ იჩენდა. გატაცებული იყო ძვირადღირებული ღვინოების შოვნით. საკუთარ თავს ყურადღებას არ აქცევდა. ფართო კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთ.

ოთარი—ოთარ მუსაბეკის ძე ოთაროვი—დაიბადა 1959 წელს, გაასამართლეს 1983 წელს საქ. სსრ სისხლის სამართლის 207 მუხ. II, და 228 მუხ. II ნაწ. მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლითა და 6 თვით. კანონიერ ქურდად აკურთხეს ქ. ზლატოუსტის ციხეში. ამჟამად განთავისუფლებულია.

დასახელებული კანონიერი ქურდები უსიტყვოდ აღიარებდნენ ხაზარის, როგორც ყველაზე უფროსი და გამოცდილი ქურდის ავტორიტეტს. მე-17 კოლონიაში ჭკლარას მხარდასაჭერად დამნაშავეთა სამყა-

როს ეჭვსი განთქმული ავტორიტეტისაგან შეიქმნა ჯგუფი.

თავისი მოქმედებების კოორდინირებისათვის მათ მუდმივი კონტაქტი სჭირდებოდათ და მალე ასეთი კავშირიც ამოქმედდა.

ადმინისტრაციის ნებართვით, ზონიდან ზონაში შეიძლებოდა დარეკვა. საჭიროების შემთხვევაში, საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირითაც სარგებლობდნენ. კიდევ კარგი, ნიუ-იორკში არ რეკავდნენ. ამ კომფორტს ზონის კავშირგაბმულობის მუშაკი—ერთ-ერთი პატიმართაგანი უზრუნველყოფდა. მან იცოდა ადმინისტრაციისა და დაქირავებული პერსონალის ტელეფონის ნომრები. მათთან შეთანხმებით ხდებოდა კავშირის გადართვა შიგა ზონის აპარატებზე, რომელიც ყოველი კანონიერი ქურდის ოთახში იდგა.

იყო შემთხვევები, როცა მნიშვნელოვანი შეტყობინებები ან ინსტრუქციები იყო გადასაცემი. მაშინ დახურული ტიპის კავშირს (თავისებური „ფელდკავშირი") მიმართავდნენ. წერილებს საქალაქო საავადმყოფოში მიმავალ პატიმრებსაც ატანდნენ. ნაკლებად მნიშვნელოვანი შეტყობინებები კი ბადრაგის გარეშე მოსიარულე, ქალაქში მომუშავე პატიმრებს გადაჰქონდათ, ამ მიზნისათვის ნებით დაქირავებულ მოსამსახურე პერსონალს, ძირითადად ქალებსაც იყენებდნენ.

ქურდები თავიანთ ფოსტას კორუმპირებულ მუშაკებს არ ანდობდნენ. ადმინისტრაციის ჩინთა მოსყიდვის შესაძლებლობა მათ გაუტანლობაზე მეტყველებდა. მათთან დამოკიდებულება სანდო არ იყო, ამიტომ ავტორიტეტები ცდილობდნენ უფრო მჭიდროდ ჩაებათ ისინი დამნაშავეთა სამყაროს ინტერესების განხორციელების საქმეში.

•

1989 წელს ოლქის დამნაშავეთა სამყაროში ძალაუფლების დეფიციტი დამკვიდრდა. სწრაფად ვითარდებოდა რეკეტი, რომელშიც ადგილობრივი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი იყო ჩათრეული. ყველაზე ძლიერმა, ურალმაშის დაჯგუფებამ გრიგორი ციგანოვის ხელმძღვანელობით, უგულვებელყო ქურდული ავტორიტეტები და უარი თქვა „ობშაკში" წილის შეტანაზე. მათ მაგალითს სხვებიც ბაძავდნენ. ახალგაზრდული დაჯგუფებები სწრაფად ძლიერდებოდნენ, ზონიდან მოსული დამნაშავე ელემენტები კი დაცალკავებული იყვნენ.

ხაზარის წინაშე რთული ამოცანა იდგა. ჯერ კიდევ საჯარიმო იზოლატორში ყოფნის დროს მან კანონიერ ქურდად აკურთხა თავისი ნათესავი, მეტსახელად თემური და იგი ზედამხედველად დანიშნა. ამ

აქციით ხაზარი იმედოვნებდა, ქურდული ტრადიციის გავრცელებას და დამნაშავეთა სამყაროს შეკავშირებას შეუწყობდა ხელს, რისი მიღწევაც არც ისე ადვილი იყო. სვერდლოვსკელებს ქურდული ტრადიციები არ იტაცებდათ, ისინი მხოლოდ უხეშ ფიზიკურ ძალაზე „ლოცულობდნენ".

ქურდების პაპა ხაზარი თავის ნათესავზე ამყარებდა დიდ იმედებს. თემურმა შეიფერა ლიდერის როლი, მას მეომრის ხასიათი ჰქონდა, აფასებდა მეგობრობას. მისი მუდმივი ადგილსამყოფელი რესტორანი „კოსმოსი" იყო, სადაც ავტორიტეტით სარგებლობდა და თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად წარმატებით ეწინააღმდეგებოდა „ჩეამებს" (არაორგანიზებულ ხულიგნებს).

კურთხევა 1989 წლის შემოდგომაზე ციხის ერთ-ერთ სათავსოში მოხდა. ხაზარმა სთხოვა იზოლატორის პასუხისმგებელ მუშაკებს შეეხვედრებინათ მისთვის ნათესავი. ამას ხელს უწყობდა ხაზარის თანამემამულე ოპერატიული ნაწილის თანამშრომელიც. კურთხევა ფაქტიურად ორი კავკასიელი ავტორიტეტის მოლაპარაკება გახლდათ, რომლის მიზანი ადგილობრივი ახალგაზრდობის დამშვიდება, მათზე და ახლად წარმოშობილ კოოპერატორთა სექტორზე მაქსიმალური ზეგავლენის მოპოვება იყო. თემურმა გაამართლა თავისი უფროსი ნათესავის იმედები. მან შეძლო ადგილობრივი ავტორიტეტის ჩერეპანოვის „ობშიაკისაგან" ჩამოშორება და ამ საქმის ხელმძღვანელობა თვითონ დაიწყო, ახალგაზრდობა თავის მხარეზე გადაიყვანა. კოლონიებში ტარდებოდა კანონიერ ქურდთა შეკრებები, რომლებზეც წყდებოდა დანაშაულებრივი აქტივობის საკითხები. ადგილობრივი „ჩრდილოსნები" (ე. წ. ჩრდილოვანი ეკონომიკით ფულის მშოვნელები), კოოპერატორები, „მეცეხეები" და ლეგალური და ნახევრადლეგალური ბიზნესის, მათ შორის რეკეტის წარმომადგენლები, აკითხავდნენ პატიმრობაში მყოფ კანონიერ ქურდებს და უწევდნენ მათ ფინანსურ დახმარებას, რის შედეგადაც „წერილფეხა" დამნაშავეებისა და გამომძალველებისაგან საიმედოდ იყვნენ დაცული (სვერდლოვსკის დაუკითხავად, თავისი მეთვალყურეები განაწესა ნიჟნი ტაგილში, ჩელიაბინსკსა და ზლატოუსტში). კანონიერი ქურდების ირგვლივ დაირაზმნენ კოოპერატორები, „ჩრდილოვანი ეკონომიკის" კავკასიელი წარმომადგენლები.

მე-17 კოლონიაში ყოფნის დროს ხაზარმა ადგილობრივი ავტორიტეტის, მეტსახელად სვერდლოვსკის კურთხევა გადაწყვიტა, რომლის ქურდული კარიერა მოკლედ ასეთი იყო: 1989 წელს იგი პატიმართა მასიური უკმაყოფილობის აქციაში საიდუმლოდ მონაწილეობდა, გარეგნულად კი არავერს იმჩნევდა. ოპერატიული განყოფილების უფ-

რისთვის, გრიგორიევთან მოლაპარაკების შემდეგ რაზმებში აგიტაციას ეწეოდა, რომ უარი ეთქვათ განზრახულ შიმშილობაზე, არ გამოეყენებინათ ძალა ადმინისტრაციის წინააღმდეგ და დაეწყოთ მუშაობა.

1990 წელს, განთავისუფლების შემდეგ სვერდლოვსკის თავი მოჰქონდა, როგორც დამნაშავეთა სამყაროს კურიერს. პატიმართა შორის მყოფი ავტორიტეტების მხარდასაჭერად ოლქის სხვადასხვა ქალაქებში დადიოდა, სვდებოდა ადამიანებს, რომლებიც კოლონიას „სათბობით" (ფული, ნარკოტიკი, კვების პროდუქტები და სხვა) უზრუნველყოფდნენ.

მისი კურთხევა 1991 წლის ზაფხულში კოლონიაში შესვედრების ოთახის გამოყოფილ ოთახში ჩატარდა. ამჯერად ყველა ქურდული წესი იქნა დაცული. კურთხევაში, ხაზარს გარდა, მონაწილეობა მე-40 კოლონიიდან დროებით გადმოყვანილმა ბასამაც მიიღო. ხაზარმა სწორედ მის გადმოსაყვანად მოიმიზეზა: საჭიროა ერთად ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან პატიმართა მასიური უკმაყოფილებანიო. კურთხევის დროს მიენიჭა ამ ავტორიტეტს მეტსახელი „სვერდლოვსკი": სინამდვილეში მისი გვარი ზაოსტროვსკი იყო.[1]

კანონიერი ქურდები, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში რომ იმყოფებოდნენ და ერთმანეთთან მუდმივი კავშირი ჰქონდათ, მკაცრად აკონტროლებდნენ შუა ურალის დამნაშავეთა სამყაროში შექმნილ ვითარებას. ზონები ფაქტიურად დამნაშავეთა აქტივობის შტაბ-ბინებად იქცნენ. ძაფის თავი და ბოლო კი ხაზარს ეჭირა ხელში, რომლის, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ლიდერის ავტორიტეტში ეჭვი არავის ეპარებოდა. მისი მარჯვენა ხელი იყო სედოი, ხაზარი არ მალავდა, რომ დამნაშავეთა სამყაროს ამ ერთ-ერთი ლიდერის ავტორიტეტზე, ორგანიზატორულ ნიჭსა და ნებისყოფაზე დიდ იმედს ამყარებდა. გყავს ასეთი პიროვნება თანაშემწედ—ნახევარი საქმე გაკეთებულად ჩათვალე. გეგმები კი ხაზარს მართლაც რომ მასშტაბური ჰქონდა. სურდა ურალში ნარკოტიკების გასასაღებელი ბაზრის გახსნა, უნდოდა თანდათან გაეფართოებინა გავლენა იმ სტრუქტურებზე, რომლებიც ოქროს მოპოვებასთან იყვნენ დაკავშირებული. თავის ხელში სურდა მოექცია ის უზარმაზარი თანხები, რომლებიც რეგიონში დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული, მერე კი— ამაზე უკვე არაფერს ამბობდა,

1. ალექსი ზაოსტროვსკი 1993 წლის ნოემბერში, ეკატერინბურგის კაზინოში ძაბრჯნით გასროლით მოკლეს.

თავისთავის ოცნებობდა, სადმე საზღვარგარეთ, პალმებით დაფარულ მდიდრულ ადგილას უზრუნველ ცხოვრებას ნატრობდა. მომავალი კე-თილდღეობის საფუძველი კი ნარკოტიკებს უნდა შეექმნა. ნარკოტიკები ოქროს ფსკერი, ამოუწურავი სიმდიდრეა. სედოი რომ უფრო ჩაერთოს საქმეებში, ხაზარმა ტაშკენტის „ქსიეყი" გადასცა, მაგრამ მან დადე-ბით პასუხს თავი აარიდა, არც „ჰო" უთხრა, არც „არა". ალბათ ეს უნდა ყოფილიყო ხაზარისათვის პირველი საგანგაშო „ზარი", თუმცა მათ შორის შავი კატის გარბენამდე კიდევ დიდი დრო გავიდა.

ჯერჯერობით სედოი სვერდლოვსკის რეკეტიორთა დაჯგუფებებთან კავშირს თვითონ ახორციელებდა. სინამდვილეში ეს ის ბანდები იყო, რომელთა მეთაურები მასთან შესახვედრად სისტემატიურად ჩამოდი-ოდნენ მე-17 კოლონიაში. ჩამოჰქონდათ „საწვავი", ატყობინებდნენ ქა-ლაქის დამნაშავეთა სამყაროში ძალთა განლაგების შესახებ. „ობშიაკ-საც" ეს ავტორიტეტი განაგებდა. მის გარეშე კოლონიებში არ შეიძლე-ბოდა გადაწყვეტილიყო საკითხები ვადაზე ადრე განთავისუფლების, პატიმრის ახლობლებთან შეხვედრისა, თუ სხვა შეღავათების შესახებ.

შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ სედოი დამნაშავეთა სამყაროს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანიზატორის (სხვათა-შორის ბრწყინვალე ორგანიზატორის) მოვალეობასაც ასრულებდა, ჰქონდა ფართო აგენტურული ქსელი, მოსმენისა და დაკვირვების ტექ-ნიკური საშუალებები. მუდმივად აკვირდებოდნენ ზონის შტაბს, ფიქ-სირდებოდა იქ პატიმართა და ხელმძღვანელთა გამოცხადებაც კი. გან-საკუთრებულ ყურადღებას კი უშიშროების სამსახურის მიმართ იჩენ-დნენ.

სედოის მიერ გამოყენებული მოსასმენი მოწყობილობა ძალიან მარ-ტივი, მაგრამ საკმაოდ ეფექტური იყო. ასეთი მიმღებ-გადამცემი მოწყო-ბილობა სიგარეტის შეკვრისოდენა კოლოფში მონტაჟდებოდა. სედოის ვინმე ახლობელთაგანი შევიდოდა რომელიმე მათთვის საინტერესო შენობაში და ამ ერთცახე კოლოფს ისეთ ადგილას მოისვრიდა, რომ თვალში არავის მოხვედროდა. სედოი კი თავის ოთახში ტრანზისტორს ჩართავდა და მაგნიტოფონზე იწერდა ყველაფერს. ეს რადიოგადამცემი მოწყობილობა სატელეფონო საუბრის მოსმენის საშუალებასაც იძლე-ოდა.

რაც შეეხება ტელეფონებს, სედოის ტექნიკური კონტრდაზვერვა იმო-დენა ორგანიზებულობით გამოირჩეოდა, რომ მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა მუდმივად ეკონტროლებინა ის ტელეფონები, რო-მელთაც პატიმრები კოლონიიდან შორს მყოფ ახლობლებთან საუბრის დროს იყენებდნენ. ეს აძლევდა საშუალებას სედოის ჰქონოდა ყოველ-

გვარი ინფორმაცია და აქედან გამომდინარე მიღლო ზომები, როგორც ადმინისტრაციის, ასევე მისი მოწინააღმდეგე პატიმრების მიმართ.

სედოის მეხსიერებაში ასობით სახელ-გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, მოვლენა და ფაქტი იყო დალექილი, მათ იგი საკუთარი, განსაკუთრებული ხერხის საშუალებით იმახსოვრებდა. არასდროს არაფერს არ ინიშნავდა, ადამიანი კი არა, ცოცხალი კომპიუტერი იყო.

მალიშევი განსაკუთრებით მისი აგენტურული საქმიანობის მეთოდით ინტერესდებოდა. მას ჰყავდა თავისი ინფორმატორები, როგორც სამართალდამცავ ორგანოთა, ისე დამნაშავეთა სამყაროში. კოლონიის სისხლის სამართლის სამძებროს ზოგიერთი თანამშრომელი იმავდროულად სედოის ინფორმატორიც იყო. ამიტომ ისინი დამნაშავეთა სამყაროს ამ ლიდერს დაწვრილებით მოუთხრობდნენ იმ დავალებათა შესახებ, რომლებსაც ისინი ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან ღებულობდნენ.

აი, მაგალითი, რომელიც სედოის შესაძლებლობებსა და მისი, როგორც „კონტრმზვერავის" მუშაობის სტილს ნათელყოფს. სვერდლოვსკის შინაგან საქმეთა სამმართველომ დააპატიმრა ვინმე ავტორიტეტი კ. დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებლის კაბინეტში შევიდა სედოის კაცი (რომელიც, რა თქმა უნდა, იმავდროულად მილიციის ინფორმატორიც იყო) და ნაგვის ყუთში ჩააგდო მოსასმენი რადიოგადამცემი მოწყობილობა. მთელი დაკითხვა გამომძიებლის კაბინეტის ფანჯრების ქვეშ მდგომ ავტომობილში მოთავსებული მაგნიტოფონის ფირზე იქნა ჩაწერილი. დაკითხვის შემდეგ კი იგივე მსტოვარი ჯიქურ შეიჭრა გამომძიებლის კაბინეტში, თითქოს მას ფრიად საყურადღებო ინფორმაციის გადაცემა სურდა მისთვის. შემდეგ კი ყველაფერი ხელის სისწრაფესა და ტექნიკაზეა დამოკიდებული და შეუმჩნევლად შეგიძლია მოსასმენი მოწყობილობის ამოღება. თუმცა ისიც შეიძლებოდა, რომ საღამომდე მოეცადათ და თვალყური ედევნებინათ, თუ როგორ გამოიტანდა ნაგავს ცნობილი დამლაგებელი ნინა დეიდა და ეზოში მდგომ ნაგვის დიდ ყუთებში ჩაყრიდა. მაგრამ საღამომდე დაცდა არ უნდოდათ. ამიტომ სულმოუთქმელად იქცეოდნენ. ამის შემდეგ სედოის შსს ოპერატიულმა თანამშრომლებმა ჩამოართვეს ფირი და გაანადგურეს, რა თქმა უნდა, მათ არ იცოდნენ, რა იყო ჩაწერილი იმ ფირზე.

მეორე და არც თუ ისე ნაკლებ საინტერესო მაგალითი: სედოის ეჭვი შეეპარა ერთ ახლობელ პიროვნებაში, ხომ არ თამაშობდა ეს საიმედო კაცი ორმაგ თამაშს? ერთ-ერთი შეხვედრისას ჰკითხა მას, ვის ურეკავდა ერთ-ერთი პინიდან საქალაქო ტელეფონით. მან დაასახელა 5 ნომერი. კავშირგაბმულობის მუშაკმა, სედოის თხოვნით, საცნობების დაზუსტ-

რებით შეამოწმა საქალაქო ატს-ში, რამდენად მართალი იყო პასუხი და გამოიკითხა, თუ იყო ამ ბინის ტელეფონიდან კიდევ სხვა ნომრებზე გასვლის ფაქტები. შემდეგ ისიც შეამოწმა, თუ ვის ეკუთვნოდა დასახელებული ტელეფონის ნომრები. მუშაობის ასეთი მეთოდი პროფესიონალისთვისაც ურიგო არ იქნებოდა.

სედოი თავისი ძმაკაცების— კანონიერი ქურდების კონტროლსაც არ თაკილობდა. როგორც იტყვიან, ენდობოდა, მაგრამ ამოწმებდა, მას ერთი მყარი პრინციპი გააჩნდა. თუნდაც უახლოესი ძმაკაცის საიმედოობას იმით აფასებდა, იყო თუ არა ეს უკანასკნელი მასზე დამოკიდებული და ჰქონდა თუ არა მაკომპრომეტირებელი მონაცემები.

ინფორმაციის სიმრავლემ და მისი განსჯის არაჩვეულებრივმა უნარმა სედოის ხაზარის ჩანაფიქრის (ამის შესახებ დედამიწის ზურგზე არავინ არაფერი იცოდა) ამოკითხვის საშუალება მისცა, რაც ქურდული კავშირის დაშლისა და ღრმა კონფლიქტის დაწყების მიზეზი გახდა. ურალის ქალაქთა ქუჩებში დღისით, მზისით, ავტომატები „ალაპარაკდნენ“. ყუმბარმტყორცნების სროლის ხმაც გახშირდა, ღამით სნაიპერი-პროფესიონალები „მუშაობდნენ“, რომლებიც ლაზერულ სამიზნეებს იყენებდნენ. ორი ტყვია ზედიზედ ერთსა და იმავე წერტილში ხვდებოდა, რომ შედეგი გარანტირებული ყოფილიყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა ბანდამ სატანკო ქარხნიდან ტანკი გაიტაცა და მოწინააღმდეგეებთან საქმის გასარკვევად გაემართა.

# რეკეტი: სატანკო რეიდი

მალიშევი შვებულებაში იყო, როცა პანიკა გაძლიერდა და ქალაქის ქუჩებში გაიქროლა თანამედროვე ტანკმა. დაბრუნების შემდეგ კაპიტანს არაერთი დღე დასჭირდა იმისათვის, რომ მომხდარი ამბავი სრულყოფილად აღედგინა.

ივლისის კოკისპირული წვიმების შემდეგ აგვისტო შედარებით თბილი და მზიანი დაიჭირა. სწორედ რომ ხილეულით ვაჭრობის დრო დადგა და კავკასიიდან ურალის ქალაქებისაკენ აიღეს გეზი მძიმეწონიანმა ავტოფურგონებმა.

„ხილეულის ბიზნესის" სათავეში ასლახან ყურბანოვი იდგა. თანამემამულე ინგუშები მას ენდობოდნენ იმიტომ, რომ კომერციის უნარიც ჰქონდა და არც ალალბედზე, მოუფიქრებლად გააკეთებდა რამეს. ახლა კი, სანამ თვითონ გაემგზავრებოდა ურალში, წინასწარ კომერციული დაზვერვა გაუშვა, რომელმაც შეატყობინა, რომ სჯობს ჩელიაბინსკში არ გამოჩნდეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ფულიანი ხალხია, კავკასიელები თვალით არ დაენახვებათ, იქაურმა ბანდიტებმა ამის თაობაზე არაორაზროვნად გააფრთხილეს, თუმცა ეკატერინბურგსა და სეროვის შორის არის პატარა ქალაქი, სადაც სიმშვიდე და სიწყნარეა. მაფიოზები აქაც არიან, მაგრამ მათ მხოლოდ ოქრო და ფერადი ლითონები აინტერესებთ, ხილბოსტნეულით ვაჭრობას კი ყურადღებას არავინ აქცევს.

ასლახანი თავის დაზვერვას ენდობოდა. ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ყველა პრობლემა უცებ მოაგვარეს, ვაჭრობის უფლება აიღეს და საქმე პირველი დღიდანვე ისე აეწყო, რომ არც ელოდნენ.

ასლახანი სიამოვნებით უცქერდა კუპიურებით სავსე პოლიეთილენის პაკეტებს. კარგად ქაფავდნენ! და რაც მეტი და მეტი ავტოფურგონი ჩამოვა, შემოსავალიც მით უფრო გაიზრდება. მერე კი საზამთროს ნაჭრებში ჰაშიშისა და კანაფის ჩადებაც შეიძლება, ეს მისი პირადი საქმე იქნება. რეკეტი? ასლახანს ძმებ ბურუნდოკოვების სახელიც გაეგონა, მაგრამ ისინი მხოლოდ უძრავი ქონებით ვაჭრობას აკონტროლებდნენ, ქუჩის რეკეტი უკვე აღარ აინტერესებდათ.

კარებზე დააკაკუნეს: ასლახანმა პაკეტები შეინახა და კარი გააღო. ზღურბლთან მისი თანაშემწე და ორი „ამბალი" იდგა, მათ ალიკს

უბიძგეს, ძლივს შემოეტიენ შემოსასვლელში და სავარძელში შინაურულად მოკალათდნენ.

—შენ მგონი ასლახანი გქვია!—დაიწყო ერთმა გოლიათმა,—შენ ჩამორეკე აქ ეს შავგვრემანები, მშრომელ ხალხს ძარცვავ. ახლა კარგად მომისმინე: ხვალ თქვენ აღარ იქნებით, დახურეთ ბაზარი და აქედან მოშორდით, შემოსავალი კი ჩვენ დაგვიტოვეთ.

ალიკი კარადას მივარდა პისტოლეტისათვის და იმავე წუთში იატაკზე დავარდა. ტყვიამ სამუდამოდ დაამშვიდა იგი.

—მოამზადე ფული,—ერთ-ერთმა სტუმარმა ნაგანის ლულა მიარტყა სახეში ასლახანს.

—ნახვამდის,—მრავალმნიშვნელოვნად უთხრა მეორემ და ბნელ დერეფანში გაუჩინარდნენ. გონს რომ მოვიდა, ასლახანმა შეკრიბა თანამემამულეები. ყველას მიაჩნდა, რომ გოლიათები ფირმა „აკროპოლიდან" იყვნენ, დღისით ამ ფირმის ხალხმა ყველა სავაჭრო წერტილი შემოიარა და ინგუშებს მოსთხოვეს, ხილი ბითუმად ჩაებარებინათ. ეს საქმე სერიოზულად არ ჩაუთვლიათ და ყურადღებაც არ მიაქციეს, მაგრამ შეცდნენ.

ინგუშებმა თათბირის შემდეგ ალიკის გვამი ქუჩაში, შტაბ-ბინიდან მოშორებით გაიტანეს. ერთ-ერთი მილიციაში წავიდა იმის გასაცხადებლად, რომ ალიკი ვიღაც უცხო პირებმა მოკლეს, სხვები კი, ავტომატებით შეიარაღებულნი, ავტომანქანით „აკროპოლისკენ" გაემართნენ. გეგმა უბრალო იყო: ყველა უნდა დაეხვრიტათ, ვინც ოფისში აღმოჩნდებოდა.

მაგრამ ასლახანს ტყუილად არ თვლიდნენ გონიერ კაცად, მას ესმოდა, რომ ძალები არათანაბარი იყო, ადგილობრივი ბანდიტები კომბოსტოსავით დაჩეხავენ მათ. საჭირო იქნებოდა თანამემამულეები გამოეძახებინათ ტიუმენიდან, ნიჟნევარტოვსკიდან. ჯერჯერობით კი.

ავტომანქანამ ენთუზიასტთა პროსპექტი გაიქროლა, ტროტუარზე ავიდა და გაჩერდა. ასლახანმა ავტომატის ლულა გადმოჰყო ფანჯრიდან და „აკროპოლის" ვიტრინებს ჯერი მიუშვა.

შაბათისათვის გამოძახებული ინგუშები ჩამოფრინდნენ. დანიშნეს შეხვედრა ადგილობრივ რეკეტიორებთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ მანამდე ყოველლამ არღვევდა მყუდროებას სროლის ხმა, ქუჩებში გამოჩნდნენ ჯავშნოსანი ომონელები, ისინი ყველა მანქანას ამოწმებდნენ, რომლებშიც მზიური რესპუბლიკების წარმომადგენლები ისხდნენ. ხალხი უბოდიშოდ გამოჰყავდათ მანქანებიდან, სველ ასფალტზე აწვენდნენ და ისე საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ, რომ იარაღს კი არა, მანიკურის

მკრატელსაც ვერ დამალავდა.

ასლახანი ლენინის პროსპექტზე გააჩერეს. დარტყმით პირქვე დააწვინეს, წიხლისკვრით გააწევინეს ფეხები განზე და ხელები ზურგზე დააწყობინეს. ჩხრეკისას მან ვიღაცის ბრძანება ვერ გაიგონა და ამისათვის მაგრად მიარტყეს მკერდში. მერე მანქანით მიიყვანეს მაღალგალავნიან ეზოში. იქ უკვე იყო მისი ათიოდე შეშინებული თანამემამულე.

გოლიათები, რომლებმაც ალიკი მოკლეს, საღამოს პიხტოვკაზე დანიშნულ შეხვედრაზე მივიდნენ. საზღვარგარეთული მანქანებით დამცავი კარე მოაწყვეს. ვოვა ჩალდონი ხელებს იქნევდა და იგინებოდა: „მე მაგათი დედა! ამ მედაფნეებს ყველას წესს ავუგებ!"

ახალმოსულებმა გაიგეს, რომ მოხდა ოფისზე თავდასხმა. ქალაქში მანქანებია გაგზავნილი „შავების" დასაჭერად. რამდენიმე კანონიერ ქურდ არტურთან წავიდა სასჯელის სანქციის მისაღებად.

დაბრუნებულებმა არტურის პასუხი მოიტანეს:

„ასლახანის ხალხს შეხვედრა დაუნიშნეთ—ორივე მხარემ გამოთქვას თავისი პრეტენზიები".

—სროლა თუ არ შეიძლება, მოდი ისე დავაშინოთ კავკასიელები, რომ მეორედ ჩვენს ქალაქში ჩამოსვლა არ იფიქრონ,—შესთავაზა ჩალდონმა.

გეგმა ასეთი ჰქონდა: ჩალდონს გაახსენდა, როგორ მსახურობდა ჯარში, სამშენებლო ბატალიონში, ბაიკანურის სტეპში. ძველი ნამსახური ჯარისკაცები აწვალებდნენ ახალწვეულებს, პაშა კორჩნევმა, რომელიც, ვინ იცის, რამდენჯერ ცემეს „ძველებმა", ერთხელ დაინახა, როგორ წავიდნენ ისინი სტეპში დასალევად. მან „კამაზი" გამოიყვანა და დაედევნა. სტეპი ხელისგულივით სწორი და გაშლილია, თავს ვერსად შეაფარებ. პაშამ დაიწყო ნადირობა და ხუთივე გასრისა უზარმაზარი ბორბლებით.

—აქ კი,—განავითარა აზრი ჩალდონმა—უფრო კარგი რამის გაკეთება შეიძლება. ისინი, ცხადია, შეიარაღებულნი მოვლენ, ჩვენ კი უფრო მაგრად უნდა დავხვდეთ.

—შენ რაზე ლაპარაკობ?—ჰკითხა ვიღაცამ.

—ტანკზე!—მშვიდად, თვალის დაუხამხამებლად უპასუხა ჩალდონმა.

—ეს როგორ?

—ჩვეულებრივად. მოველაპარაკოთ გამომცდელს, რომელსაც ტანკი ქარხნიდან ტანკოდრომზე მიჰყავს. რა, ძნელია?

—კონკრეტულად, უოტსონ!

—რაზეა ლაპარაკი. მას ყოველთვის შეუძლია, თავი იმართლოს, იტყვის, დამემუქრნენო. თუ ფართხალს დაიწყებს, „ლიმონკას" ვაჩვე-

ნებთ და მორჩა, იქით წავა, საითაც ვუბრძანებთ.

—ჭკუის კოლოფი ხარ!—მოუწონეს ამხანაგებმა.

დილით „ჟიგულებით“ გავიდნენ ტანკოდრომისკენ მიმავალ გაზაზე და დადგნენ, ვითომ ძრავა გაუფუჭდათ. დიდხანს ლოდინი არ დაჭირვებიათ, შორს, გზაზე მტვრის კორიანტელი ავარდა, მანქანის ნაცნობი ხმაც მოისმა და ნელა მომავალი „ტ-80“ მოახლოვდა.

დანარჩენი მოხერხების საქმე იყო. ტანკი მოაბრუნეს და სამხრ ქალაქისკენ გაემართა. ისინი პირდაპირ „აკროპოლის“ ოფისს მიადგნენ. დაე ყველამ დაინახოს, ვის ხელშია ნამდვილი ძალა, თანამედროვე ტანკი ხომ „კალაშნიკოვი“ არაა.

●

ამ დემარშმა ბევრზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და თუ აწი ბანდიტები სტრატეგიული დანიშნულების რაკეტას გაატარებენ დემონსტრაციულად ქალაქის ქუჩებში, აღარავის გაუკვირდება: რეკეტიორებს ყველაფერი შეუძლიათ.

იმ დროს, როდესაც ტანკი ქალაქში მიჰქროდა, კანონიერი ქურდი არტური ინგუშების აქსაკალებს ღებულობდა. არტურს ესმოდა, რომ უნდა ჩააქროს კონფლიქტი, თუ არა ურალში გაიხსნება ანტიკავკასიური ფრონტი, ადგილობრივებს, თუ ისინი შეიარაღდებიან, ვეღარაფერი შეაჩერებს, მერე ქურდებიც ვერაფერს გახდებიან.

აქსაკალებთან საუბარი გაჭიანურდა, სტუმრები უსაზღვროდ წუწუნებდნენ, ნუთუ არ შეიძლება რეკეტიორთა ალაგმვაო. მათ გამო ვაჭრობა ჩავარდა, არადა სახლში ოჯახები ელოდებათ, რომელთაც რჩენა უნდათ.

არტურმა ამ საქმის გასარკვევად ჩამოსული ყველა ინგუშის უკან გაბრუნება მოითხოვა. თქვა, რომ ქუჩებში მძვინვარებს „ომონი“, მე თვითონ ვიყავი გარეთ და მცემეს,—არტურმა პერანგი გადაიწია და სხეულის დალეჟილი ნაწილი უჩვენა. —დანარჩენს მე ვკისრულობ.

და მართლაც, მოაშორა რეკეტიორები. სწორედ მაშინ მიხვდა მალიშევი, რომ კანონიერი ქურდის სიტყვას ტანკის ლულაზე უფრო დიდი ძალა გააჩნია.

# სუკის საიდუმლო იარაღი

კაპიტან მალიშევის ფიქრები დიდხანს დასტრიალებდა სედოის პიროვნებას, რა თქმა უნდა, იგი არაჩვეულებრივი ვინმეა, მაგრამ არც ერთადერთად და გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს.

ავტორიტეტი ავტორიტეტისაგან განსხვავდება. მათი პროფესია მავნეა, ყველა ვერ უძლებს ნერვულ დაძაბულობას. მრავალი, მათ შორის ყველაზე გამორჩეულნიც კი, ან წამალზე სხედან, ან ჩეფირით ბრუვდებიან. ასეთები ვერასდროს ავლენ ქურდული ოლიმპის მწვერვალზე. მათი აღსასრული არცთუ ისე შორსაა, კანონიერი ქურდი „მავნე" ჩვევებისგანაც უნდა იყოს თავისუფალი. დამნაშავეთა სამყაროს ლიდერები ერთმანეთს იმით გვანან, რომ ახლოსაც არ იკარებენ სულელებს, თავიანთ ახლობლებზე ერთი თავით მაღლა დგანან. ამიტომ კანონიერი ქურდის „მომწყვდევა" ხშირად ძუ მგლის დაჭერაზე უფრო ძნელია.

სუკი უძლიერესი ორგანიზაცია იყო, თუმცა ტრაქტორიც მძლავრი მანქანაა, მაგრამ სანადიროდ იგი არ გამოიყენება. როგორც იტყვიან, ერთ მშვენიერ დღეს პროფესიონალები მიხვდნენ, რომ დამნაშავეთა სამყაროსთან საბრძოლველად, უფრო ახალი, დახვეწილი მეთოდები იყო საჭირო.

გარკვეული დროის შემდეგ ქურდული სამყარო სულ უფრო ახლოს გრძნობდა სუკის სუნთქვას. ვიწრო ქურდულ წრეებში კი უშიშროების აგენტები ელანდებოდათ, ფიქრობდნენ, ეს-ესაა ხელს გვტაცებენ და დაგვაპატიმრებენო. ზოგჯერ „უპატიოსნეს" ბოროტმოქმედს სუკის აგენტად აცხადებდნენ და სატიკად უსწორებდნენ ანგარიშს.

ეს ეჭვები უსაფუძვლო არ იყო. კანონიერ ქურდებს ყნოსვა არ ღალატობდათ. მაგრამ ერთია—საშიშროების ინსტიქტური შეგრძნება, და მეორე კი იმ წყაროს ზუსტი ამოცნობა, საიდანაცაა იგი მოსალოდნელი. დამნაშავეთა სამყარო ბევრს ცოდავდა. ავტორიტეტთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ვაიმარის განთქმული მეძებრებიც უძლურნი აღმოჩნდნენ, როცა მსგავსი მეთოდი ანტიფაშისტური იატაკქვეშა ორგანიზაციის შესაქმნელად გამოიყენეს (ასე რომ, ცისქვეშეთში ახალი არაფერია).

უნდა ითქვას, მალიშევი ისეთ უნიკალურ ოპერაციაში მონაწილეობდა, ამ ბოლო ხანებამდე სრულიად საიდუმლოდ რომ იყო მიჩნეული.

გენერალური მდივნის მკვლელობის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ განიზრახეს შეემოწმებინათ დამნაშავეთა სამყაროს ზოგიერთი ლიდერი. უნდა გაერკვიათ, იყვნენ თუ არა ისინი დაკავშირებული ცენტრალურ ტერორთან. პირველად ამგვარი ოპერაციები სსრ კავშირის სამხრეთში, კერძოდ—სომხეთში, საქართველოში, მოლდავეთში უნდა ჩატარებულიყო, რადგან სწორედ აქ გამომჟღავნდა ქურდული კლანების სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან საოცარი სიახლოვისა და შერწყმის პროცესი.

განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო აგრეთვე ურალის ზონა, რომელიც რუსეთის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილს აერთიანებდა. იმ დროისათვის გაზეთის მოწინავეებში ტყუილად კი არ უწოდებდნენ ამ მხარეს „მრეწველობის სამჭედლოს". ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში, რომელიც „აგრეთვე შრომა-გამასწორებელი დაწესებულებებითაც იყო მდიდარი", 80-იანი წლებიდან სწრაფად ვრცელდებოდა ქურდული ტრადიციები. ამიტომ მკაცრ ოპერატიულ კონტროლზე აიყვანეს მთელი ეს მხარე.

კონტროლის შემუშავებული სიტემა მარტივი იყო და თვით დამნაშავეთა სამყაროს სტრუქტურულ ორგანიზებულობაზე დაფუძნებული. სახელმწიფო ორგანოებისათვის ყველაფერი გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო, საყრდენი ბაზა საქმის შესრულების დროს იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეთა სამყარო, და არ უნდა დაეშვათ ლიდერების მონაწილეობა კონკრეტულ აქციებში.

მარტო 1988 წელს ოთხი რეგიონალური ოპერატიული ჯგუფი შეიქმნა: „ბიზანი", „ვულკანი", „ვერა" და „ტაია". სახელწოდებები შემთხვევით არ შერჩეულა. ისინი შეიცავდნენ კურატორების დახასიათებებს. საერთო ხელმძღვანელი ღებულობდა მთელ ინფორმაციას და პირადად იცნობდა ყოველ კურატორს. მაგრამ ცნობები ერთი და იგივე მოვლენის შესახებ ერთდროულად და სხვადასხვა წყაროს მიერ შემოდიოდა. ამიტომ ისინი ერთმანეთში რომ არ არეულიყო, ყველა ინფორმაციას უნდა ჰქონოდა მისთვის დამახასიათებელი ნიშანი.

„ბიზანი"—გემის სადაზვერვო რადიოლოკაციური სადგურის დასახელებაა, ამ ჯგუფის კურატორი წარსულში საზღვაო მზვერავი იყო. „ვერას" და „ტაიას" კურირებდნენ ქალები, „ვულკანს" კი—ყოფილი მეცნიერი ვულკანოლოგი. ყველა ესენი პროფესიონალი ჩეკისტები იყვნენ და სუკის ტერიტორიული სამმართველოების ხელმძღვანელ პოსტებზე მსახურობდნენ. მანამდე კი საგარეო დაზვერვაში მუშაობდნენ და შესაბამისი მომზადებაც გააჩნდათ.

კურატორები ხელმძღვანელობდნენ თავიანთ ჯგუფებს ორი სანდო,

გამოცდილი ოპერატიული მუშაკის დახმარებით, რომლების სუკის სასწავლო ცენტრში მოამზადეს. ეს მუშაკები მეთაურობდნენ ხუთეულებს, რომლებშიც საიდუმლოდ შედიოდნენ მილიციის (ძირითადად, სისხლის სამართლის სამძებროს) თანამშრომლები, პროკურატურის სანდო მუშაკი და სუკის ყველაზე გამოცდილი აგენტები, რომელთაც თავისი კავშირის არხები ჰქონდათ დამნაშავეთა სამყაროსთან. ხუთეულის ყოველ წევრს ჰყავდა საკუთარი ხუთეული, რომელსაც უწოდებდნენ ჯიბის აგენტურას. ეს ადამიანები იყვნენ ამა თუ იმ ინსტანციიდან, დამნაშავეთა სამყაროდან და სხვ. მათ იყენებდნენ ინფორმაციის მიღებისა და შემოწმებისათვის, იმ ხუთეულის წევრები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ოპერატიული მუშაკები, ერთმანეთს, როგორც ჯგუფის აგენტები, არ იცნობდნენ, მაგრამ ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი თავიანთი როლი და შეგნებულად ეხმარებოდნენ სუკს.

ოპერატიული ჯგუფები დამოუკიდებლად მოიპოვებდნენ და ამოწმებდნენ საინტერესო ინფორმაციებს, რომელთაც კურატორი მხოლოდ პირადი შეხვედრების დროს გადასცემდა საერთო ხელმძღვანელობას. იშვიათად გამოიყენებოდა „ვჩ" კავშირი ან საქალაქთაშორისო ტელეფონები, საუბრის დროს ხმარობდნენ მხოლოდ დაშიფრულ ფრაზებს, მათ კაცი შემთხვევით მოჰკრავდა ყურს თუ განგებ მოუსმენდა, არაფრით დააინტერესებდა.

შექმნილ ჯგუფებს, როგორც ვთქვით, მკაცრი კონსპირაციის პირობებში უნდა ემოქმედათ, რა თქმა უნდა, მათ ფუნქციაში ადგილობრივ ხელმძღვანელთა საიდუმლო კონტროლი არ იგულისხმებოდა, მოქმედების სფერო მკაცრად იყო განსაზღვრული, მხოლოდ—დამნაშავეთა სამყაროს ლიდერები. ინფორმაციის გაჟონვა არასდროს არ მომხდარა. თუმც ჯგუფმა „ბიზანმა" ურალში გარკვეული კვალი მაინც დატოვა, რაც სვერდლოვსკის „განგსტერების" ზედმეტი აქტიურობით იყო განპირობებული.

„ბიზანი" ურალში დამნაშავეთა პირველი დაჯგუფების ჩამოყალიბებამდე შეიქმნა. ამიტომ იგი თავიდანვე აფიქსირებდა ბანდიტური დაჯგუფების ფორმირების პროცესს და ბევრი რამ იცოდა ლიდერებზეც და შემსრულებლებზეც.

ხაზარს, რომელსაც შუა ურალის მთელი მაფიის ხელმძღვანელად მოჰქონდა თავი, შესაძლოა ეგრძნო ასეთი ჯგუფის არსებობა. და, როდესაც 1990 წელს ეკატერინბურგში დაიწყო კრიმინალური კომერსანტებისა და სხვადასხვა დამნაშავე დაჯგუფებათა რიგითი წევრების მკვლელობები, ხაზარმა, ვინმეს მასში რომ არ შეპარვოდა ეჭვი (ღმერთს ნუ ექნა, საძმოს შეეტყო, რომ იმ სროლებში, დღედაღამ რომ გაისმოდა,

მისი ხელიც ერია), გაავრცელა ხმა, თითქოს ეს მკვლელობები საიდუმლო ჯგუფის „ალფას" მიერ იყო ჩადენილი. „ბიზანმა" შეძლო ტყვიისა და დანისაგან დაეცვა დამნაშავეთა სამყაროს ფუნქციონერები, რომელთა სიცოცხლისათვის ავტორიტეტებს უკვე „ჯვარი" ჰქონდათ დასმული. ამ საქმეში მას თავისი მუშაობის მანძილზე არც ერთი შეცდომა არ დაუშვია.

თავის საქმიანობაში „ბიზანი" საგანგებო საბრძოლო-ოპერატიულ მეთოდებსაც იყენებდა. ვთქვათ, თუ დამნაშავეთა სამყაროს რომელიმე გავლენიანი პირის ინფორმატორად გადმოსაბირებლად აუცილებელი იყო მისი კომპრომეტირება, უზრუნველყოფდნენ ხოლმე მებრძოლი ჯგუფების კონსპირაციულად, საიმედოდ მოფიქრებული მიზეზით ჩამოყვანას. ყველა ოფიცერს ჰქონდა დოკუმენტი, რომელშიც მისი ვინაობა იყო დაშიფრული. ჩვეულებრივ, ისინი ერეოდნენ ხოლმე მწვავე სიტუაციებში, სადაც აუცილებელი იყო განსაკუთრებული თვისებების გამომჟღავნება—არაფერი დაუთმონ სისხლის სამართლის დამნაშავეთა „ტორპედოებს" (სისხლის სამართლის დამნაშავენი, რომლებიც კარტში წაგების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, ვალდებული არიან სიკვდილის შიშით, ვიღაცის მკვლელობა ან სხვა რაიმე დანაშაული ჩაიდინონ).

ჯგუფები თავის მუშაობაში ფართოდ იყენებდნენ ფარულ ვიდეორადიო და მისაყურადებელ ტექნიკას, როგორც წესი, შეიარაღებული იყვნენ სტეჩკინის პისტოლეტით. თუმცა აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საბრძოლო-ოპერატიული საშუალებანი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებოდა.

ვერ ვიტყვით, რომ სუკის საიდუმლო ჯგუფების მოღვაწეობა რაიმე განსაკუთრებული რამ იყო. საბჭოთა დაზვერვაში არსებობდა ქვედანაყოფები, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ საზღვარგარეთ. მაგ. 50-იანი წლების მე-4 სამმართველო. დასავლეთის სპეცსამსახურებს დღესაც ჰყავთ ასეთი ჯგუფები და მათი გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო ნარკობიზნესის და ტერორიზმის გავრცელების გამო. შეიძლება ვიკამათოთ ამ ჯგუფების საქმიანობის, მეთოდების კანონიერებაზე, მაგრამ ზედმეტია ამის მტკიცება, როცა საქმე ნაციონალურ უშიშროებას ეხება. ცნობილია, რომ 1963 წელს საფრანგეთის „აქსენსერვისმა" სწორედ ოპერატიულ-საბრძოლო მეთოდების გამოყენებით მოუღო ბოლო ტერორისტული ორგანიზაციის „OAC"-ის მოღვაწეობას, რომელიც ცდილობდა მესამე რესპუბლიკის დამხობას და გენერალ დეგოლის ფიზიკურ განადგურებას.

და ბოლოს: „ბიზანის", „ვულკანის", „ვერას", „ტაიას" და სხვა ამგვარი ჯგუფების წინაპარი იყო სემიონ ნიკოლოზის ძე როსტოვსკი, რო-

მელსაც დასავლეთში იცნობდნენ ჟურნალისტ ერნსტ ჰენრის სახელით. ჩეკისტის კარიერა მან დაამთავრა 1988 წელს, სუკის მე-5 სამმართველოში მუშაობისას. განა აზრად მოუვიდოდა იმ შორეულ წლებში, რომ მის მიერ შემუშავებული ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და სამთავრობო წრეებზე ზეგავლენის მეთოდები, რომლებსაც ჩეკისტები იყენებდნენ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის წინ, ათეული წლების შემდეგაც აქტუალური იქნებოდა და კვლავ მიუბრუნდებოდნენ, მაგრამ უკვე არა სხვაგან, არამედ, საკუთარ ქვეყანაში,—გაყიდული და დაღუპული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

# სათადარიგო ვაზნა

ქაღალდების გროვა–კოლონიებში გამაფრთხილებელ მასიურ არეულობათა საერთო პროფილაქტიკის ამსახველი მასალები–რა უცნაური ენით ვსარგებლობთ ჩვენს მუშაობაში, ჩვეულებრივ, ცხოვრებაში ასე არ ლაპარაკობენ, თუმცა, ცხოვრებაში უფრო უცნაურ რამეს გაიგონებ–

ამგვარი ფილოლოგიური ფიქრები ტრიალებდნენ კაპიტან მალიშევის თავში, როცა ბოლო ფურცელს დაარტყა ბეჭედი. ლაიჩოს, ალბათ, არაერთხელ გაახსენდება უშიშროების თანამშრომლების გაცნობა. რას იზამ, ღმერთმა უბოძოს ის, რისი ღირსიც არის.

მალიშევმა დაამთავრა ეს მართლაც რომ სუფთად რუტინული საქმე, თითები მოისრისა და სიგარეტის მოწევა დააპირა, როცა შიდა კავშირის სელექტორი ახმაურდა. სუკის საქალაქო განყოფილების უფროსის ფომინის ხმა გაისმა: „მაქსიმ ანდრეევიჩ, გამოიარეთ ჩვენთან. ცენტრიდან ამხანაგები ჩამოვიდნენ. №100 საქმის ოპერატიულ მასალათა გაცნობა უნდათ, გთხოვთ, საქმეც წამოიღოთ“.

ფართო კაბინეტში, საქალაქო განყოფილების უფროსის პირისპირ, მაგიდასთან უფროსული გამომეტყველების ორი შუახნის მამაკაცი იჯდა. კოხტად შეკერილი კოსტუმები, თოვლივით თეთრი პერანგები და ამ ფერთან შეხამებული ჰალსტუხები მეტყველებდა, რომ მაღალი თანამდებობის „ჩიტები“ უნდა ყოფილიყვნენ. იმის გათვალისწინებით, მათ მალიშევის შემოსვლაზე რეაგირება რომ მოაცდინეს, ნათელი გახდა, რომ რაღაც ცუდთან უნდა ყოფილიყო საქმე. მალიშევი მიხვდა, რომ საუბარი იქნებოდა მასალებზე, რომელთა არსებობა მხოლოდ ფომინმა და მან იცოდა. როგორც ეტყობა, ინფორმაციას ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში გავრცელებული კორუფციის შესახებ, სუკის თავმჯდომარის მისაღებში მაინცდამაინც დიდი აღტაცება არ გამოუწვევია.

მალიშევს არავინ მისალმებია. ტიპმა, რომელიც ფომინის მარჯვნივ იჯდა, თვალებით „გაბურღა“ კაპიტანი და შეეკითხა:

—რა მასალებია დაფიქსირებული საქმეში პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელთა შორის კორუფციის შესახებ?

—ასეთი მასალები არა გვაქვს,—უპასუხა მალიშევმა. არსებობს მხოლოდ ცალკეული მონაცემები პასუხისმგებელ მუშაკთა მხრიდან სოციალისტური კანონმდებლობის შესაძლებელ დარღვევათა შესახებ. ინ-

ფორმაცია შესამოწმებელია.

— თქვენთვის ცნობილია თუ არა, რომ აკრძალულია ამგვარი ინფორმაციის შეკრება და რომ ამით უნდობლობას უცხადებთ სახელმწიფოს ხელმძღვანელ ინსტანციებს?—ეს კითხვა, მეორე, მაღალი თანამდებობის „ჩინმა" ჩამოარაკრაკა.

მალიშევი ცოტათი აღელდა და პასუხის გაცემამდე ათიდან ერთამდე დაითვალა.

— პირუთვნელად მესმის, რომ ხელმძღვანელ პირთა შესაძლო დანაშაულის შესახებ ინფორმაცია უნდა დავმალოთ. ჩემი მიზანი, რა თქმა უნდა, მსგავსი ფაქტების შეკრება არ ყოფილა. მაგრამ ამგვარ ფაქტებს თანდათანობით ვაწყდებოდით იმ საიდუმლოს მცოდნე პიროვნებათა ოპერატიული კონტროლის დროს, რომლებიც სასჯელს იხდიან ჩემს საკურატორო სპეცკოლონიებში.

— თქვენ აღარ ხართ კურატორი, თქვენი სამმართველოს უფროსს უკვე მიეცა შესაბამისი განკარგულება, აიღეთ ქაღალდი და დაწერეთ ყველაფერი, რაც იცით, საქმე კი ჩვენ დაგვიტოვეთ, გავეცნობით. თავისუფალი ბრძანდებით.

რა უნდა ექნა მალიშევს? მკაფიოდ უპასუხა „არის", მხედრულად შემობრუნდა და გავიდა.

პირველი, რაც ამგვარი „სასიამოვნო" საუბრის შემდეგ გაახსენდა კაპიტანს, იმ მოხუცი მილიციის პოლკოვნიკის სიტყვები იყო, „შეცდომის წყალობით" სასჯელს რომ გალიბერალებული რეჟიმის კოლონიაში იხდიდა. „ჩეკისტს ჯიბეში ყოველთვის უნდა ჰქონდეს შემონახული სათადარიგო ვაზნა". მაშინ ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და თვითმკვლელობა იგულისხმა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ სათადარიგო ვაზნა—ესაა უკანასკნელი კოზირი. სასიკვდილო და აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაცია, რომელიც რაღაც ხანამდე, დრომდე არავისათვის არ იქნება ცნობილი. მალიშევს აქვს ასეთი ინფორმაცია. ვნახოთ, თუ როგორ „გადახარშავენ" მას ეს თავმდაბალი ბიჭები, ვნახოთ, თუ მაღალ წრეებში ვინმეს „კუჭი არ აეშლება".

## ახსნა-განმარტებითი ბარათი

**მე, სუკის საოლქო სამმართველოს კაპიტანი მ. ა. მალიშევი, სამი წლის მანძილზე ვმუშაობდი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმ პატიმართა და სპეცკონტინგენტის საკონტრდაზვერვო უზრუნველყოფისათვის, რომლებსაც მსჯავრის დადებამდე ეჭირათ ხელმძღვანელი თანამდებობები ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში. ესენი**

არიან ყოფილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, სამეურნეო სტრუქტურისა და ეკონომიკის მაღალი რანგის მოსამსახურეები.

ამ პირებისაგან მიღებულ ინფორმაციას რომ არ გაეჟონა, კონტრდაზვერვის შედეგები დაფიქსირებულია №100 საქმეში. აღმოჩენილი და აღკვეთილია მოსკოვის პროკურატურის ყოფილი პროკურორის საროვატოვისა და სხვა პირების მიერ საზღვარგარეთის სპეცსამსახურისათვის შპიონური მასალების გადაცემის ფაქტი, თავიდან იქნა აცილებული სომხეთის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამდებობის პირთა მიერ ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნის ცდები.

გარდა ამისა, ჩემს მიერ სუკის ინფორმაციის შემოწმების მიზეზით გაწეული ოპერატიული მუშაობის დროს აღმოჩენილია ზოგიერთ თანამდებობის პირზე უკანონო მსჯავრის დადების შემთხვევები. ისინი მიზანმიმართული ცილისწამებისა და დეზინფორმაციის მსხვერპლნი გახდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ პატიოსნად ცდილობდნენ გამოეაშკარავებინათ რიგი სერიოზული დანაშაულობები. ნამდვილ დამნაშავეებს კი დღემდე უპირავთ სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელი თანამდებობები. გარდა ამისა, დაგენილია, რომ უკანონო დაპატიმრების გზით პატიოსანი მუშაკების მოცილებაში წინარად მონაწილეობდნენ დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები და ამით უზრუნველყოფდნენ კორუმპირებულ ჩინთა ინტერესების დაცვას.

ასე მაგალითად, ქრთამის აღების გამო ნასამართლევი სომხეთის პროკურატურის ყოფილი მუშაკის სეროზიანის საქმის ოპერატიული შემოწმების დროს გამოირკვა შემდეგი:

1976 წელს ვინმე გარიკ ტიგრანის ძე ქათეალიანმა, სხვა ორ ვეტერანთან ერთად, მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათი თანამემამულეების ჯგუფი ამზადებდა ფეთქებად მოწყობილობას მოსკოვში აფეთქებების მოსაწყობად. ეს ინფორმაცია წერილობით, დამზადებული პირებისა და დამზადების ადგილის მითითებით, გადაეცა სომხეთის სუკსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ რეაგირება არ მომხდარა, შედეგი—აფეთქებების სერია მოსკოვის მეტროში და სხვა ადგილებში, რასაც მრავალი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. ქათვალიანმა მიმართა სომხეთის პროკურატურას

მუშაკს სერობიანს და დახმარება სთხოვა სერიოზულ დანაშაულობათა დამალვაში შემჩნეული რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელი პირების, მათ შორის ცკ-ის პირველი მდივნის დემირჭიანის და სომხეთის პროკურორის მხილების საქმეში.

რესპუბლიკაში მომხდარ მსხვილ ბოროტმოქმედებებზე სერობიანის დახმარებით შეადგინეს წერილი, რომელიც გაეგზავნა სკკპ ცკ-ს და სსრკ სუკის თავმჯდომარეს ი. ანდროპოვს. შედეგი მოულოდნელი იყო. წერილის შედგენაში მონაწილე ყველა პირი, მათ შორის სერობიანიც, ფალსიფიცირებულ სისხლის სამართლის საქმეთა საფუძველზე გაასამართლეს და გრძელვადიანი სასჯელის მოსახდელად გადააგზავნეს ურალში, ქ. ირკუტსკში. კოლონიაში სასჯელის მოსახდელად მოყვანის შემდეგ სერობიანი, სომხეთის სუკის თავმჯდომარის იუზბაშიანის ინფორმაციით, კონტროლზე აიყვანეს იმ მოტივით, თითქოს იგი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობის შერყევის მიზნით აგროვებდა ცილისმწამებლურ მასალებს პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებზე.

1987 წლის იანვარში კოლონიაში სერობიანთან შესახვედრად კრასნოიარსკის მხარეში მსჯავრმოხდილმა, სომხეთის დამნაშავეთა ავტორიტეტმა, მეტსახელად პაილაკმა გამოგზავნა ვინმე მალენკოვი, რომელმაც სერობიანს უამბო, რომ თავის დროზე მის კომპრომეტირებაში მონაწილეობდა პაილაკის ხალხიც, თვით ეს უკანასკნელი, არასასურველი ადამიანების მოცილების მიზნით, ხშირად ხვდებოდა დემირჭიანს და სხვა ხელმძღვანელ პირებს. ეს საუბრები პაილაკმა, როგორც წინდახედულმა ადამიანმა, ჩაწერა ფირზე და შესაბამისად გადასცა მალენკოვს, აქედან გამომდინარე, პაილაკმა ძალზე ბევრი რამ იცოდა და იგი საშიში გახდა დემირჭიანისათვის და 1981 წელს მიიღო ზომები მისი იზოლირებისათვის. პაილაკი დააპატიმრეს ხანგრძლივი ვადით. მალენკოვისაგან სერობიანმა გაიგო, რომ ამჟამად პაილაკი ეძებს მაგნიტოფირზე ჩაწერილი ძვირფასი მასალების მარჯვედ გამოყენების საშუალებას და წინადადებას აძლევს სერობიანს მონაწილეობა მიიღოს დაწყებულ „თამაშში", მაგრამ სერობიანმა პროვოკაციის შიშით უარი განაცხადა.

როგორც ჩანს, ჩანაწერების არსებობის შესახებ ინფორ-

მაცია შემდეგში სხვისთვისაც გახდა ცნობილი. სომხეთის სუკის თავმჯდომარემ იუზბაშიანმა მიიღო დემირჭიანის ბრძანება, ყოველ მიზეზგარეშე მოეძებნათ ეს ფირები. ამ მიზნით, როგორც ჟურნალისტი, სერობიანს მიუგზავნეს აგენტი, მექრთამეობისათვის დაპატიმრებული სომხეთის სუკის ყოფილი თანამშრომლის მეუღლე, იმ პირობით, რომ ქმრის განთავისუფლებაში დაეხმარებოდნენ. სერობიანთან ამ შეხვედრის ოპერატიულ უზრუნველყოფაში მონაწილეობდნენ ჩვენი თანამშრომლებიც, რომელთაც საქმის ნამდვილ არსზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. იუზბაშიანის აგენტმა სერობიანისაგან ვერ მიიღო დასტური მკომპრომეტირებელი მასალების არსებობის შესახებ. მათ შორის საუბარი ფაქტიურად არ გამოვიდა.

შემდგომში სომხეთის სუკიდან იუზბაშიანის ინიციატივით მე ხშირად ვღებულობდი ორიენტაციას სხვა პატიმართა მიმართ, რომელთა შემოწმება უკუშედეგებს იძლეოდა. მაგრამ ერთმა ინფორმაციამ ძალიან დამაინტერესა. საქმე ეხებოდა აშშ-ში მუდმივ საცხოვრებლად გასასვლელი საბუთების უკანონო გაფორმებას ვინმე მარტიროსიანისათვის, რომელსაც მეგობრული კავშირი ჰქონდა ლაოსში სუკის რეზიდენტის ყოფილ მოადგილე ხაჩატურ არტაშის ძე ავაკიანთან, ეს უკანასკნელი შემდეგ ქრთამის აღებისათვის გასამართლდა და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 15 წლით. დამნაშავეთა წრეებში, საკუთარი წყაროების მეშვეობით, გავარკვიე, რომ კოლონიაში, სადაც ავაკიანი იხდიდა სასჯელს, არალეგარულად იყო ჩამოსული სომხეთის სუკის ინსპექციის თანამშრომელი ცეითურიანი, მან სთხოვა პატიმარ ნ-ს შეაგროვოს ინფორმაცია ზონაში ავაკიანის ქცევის შესახებ, ამასთან ქარაგმულად უთხრა, თითქოს ავაკიანი აშშ-ში მილიონების დროს იქაურმა დაზვერვამ გადაიბირაო.

ავაკიანის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესასწავლად მე მოვითხოვე საქმე ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალიდან. ოქმის ყურადღებით გაცნობის დროს გასაგები გახდა იუზბაშიანის ინტერესი პატიმრობაში ავაკიანის ყოფაქცევისადმი. საქმე ისაა, რომ აშშ-ში მუდმივ საცხოვრებლად არაკანონიერ გასვლასთან უშუალო დამოკიდებულება აქვს სომხეთის სუკის თავმჯდომარეს იუზბაშიანს. ძიების დროს ეს ფაქტი საფუძვლიანად იყო მიჩქმალული. ავაკიანის

საქმეში არის მეუღლის წერილი: „შენი უბედურება დაიწყო იმ დროიდან, როცა თომა მარტიროსიანი დაიჭირეს. მის საქმეს იხილავდნენ მოსკოვში და ბუნებრივია დადგა საკითხი: ვინ და როგორ გამოუშვა იგი აშშ-ში? მე მჯერა, რომ შენ არ გადაგიწყვეტია ეს საქმე, რა თქმა უნდა, იგი გადაწყდა „ზემოდან", მათ ვერ შეეხენ, აქ კი შენი სახელი ფიგურირებდა და აი ნახეს განტევების ვაცი".

მარტიროსიანის საზღვარგარეთ გასვლის გარემოებების გარკვევის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ მან საჭირო საბუთები გააფორმა სომხეთის სუკის ხელმძღვანელობის დახმარებით. საბუთების გაფორმების დროს დამალეს, რომ მარტიროსიანი ადრე ნასამართლევი იყო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, აშშ კანონმდებლობით კი ასეთი პირები მუდმივ საცხოვრებლად არ მიიღებიან. ამის გარდა, იუზბაშიანს არაპირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა მარტიროსიანის ნათესავ ქალთან უნჯანთან, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა აშშ-ში. გამოირკვა, რომ იგი დაინტერესდა იმ მასალებით, რომლებიც სომხეთის სუკის მე-10 განყოფილებაში უნჯანზე ინახებოდა. უნჯანი და მარტიროსიანი შეიძლებოდა „დფბ"-ს მხედველობის არეში მოხვედრილიყვნენ და მას, ვინც მონაწილეობდა მარტიროსიანის გასვლის მოწყობაში, არ შეიძლება ეს არ გაეთვალისწინებინა, აქედან გამომდინარე, მაშასადამე, ეს პირი თვითონ იყო აშშ-ს სპეცსამსახურის „მიზიდვის სფეროში".

ეს მოსაზრებები გავუზიარე სუკის ერთ-ერთ მაღალი თანამდებობის მუშაკს, მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების უზრუნველყოფაში მონაწილეობის დროს. ამ ეჭვების შესახებ გენერალმა მოახსენა სუკის თავმჯდომარის მოადგილეს აგეევს. მალე იუზბაშიანი პენსიაზე გაუშვეს. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, შემდგომში ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ იუზბაშიანის სანქციით ერევნის აეროპორტის საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით საზღვარგარეთ გადაჰქონდათ კატალოგებში მხატვრულ იშვიათობათ აღრიცხული ნუმიზმატიკური იშვიათობანი, და ეს კეთდებოდა თითქოს საზღვარგარეთ მომუშავე აგენტების მატერიალური უზრუნველყოფისათვის, არ არის აუცილებელი ოპერმუშაკი იყო, ეჭვები რომ გაგიჩნდეს! როგორ შეიძლება სახელმწიფო ქონების ხარჯზე საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა?

თავისთავად ეს უკვე მძიმე დანაშაულია. ასეთი მოქმედების მიღმა შეიძლება იმალებოდეს ბანალური სურვილი საზღვარგარეთ სავალუტო ფასეულობების გატანისა.

ამ ვერსიის შემოწმება ძნელი არ იყო იმ პირთა დახმარებით, ვინც სასჯელს იხდიდა სავალუტო ფასეულობათა კონტრაბანდისათვის. ამაში დახმარება გამიწიეს კოლეგებმა სომხეთის სუკიდან, რომლებსაც მივმართე ავაკიანის რეკომენდაციით და პირველი, რაც გავიგე, ეს იყო სომხეთის სუკის თავმჯდომარის იუზბაშიანის უცნაური მოქმედება. მან დაუმალა საკავშირო სუკის ხელმძღვანელებს ინფორმაცია რესპუბლიკაში საერთაშორისო სომხური ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. ეს ორგანიზაცია—სომხეთის საიდუმლო განმათავისუფლებელი არმია „ასალა“ შეიქმნა „დაშნაკცუთუნ“-ის მაგიერ. სწორედ ამ ორგანიზაციამ მოაწყო 1977 წლის ზამთარში აფეთქება მოსკოვის მეტროში.

იუზბაშიანი ყოველნაირად უშლიდა ხელს რესპუბლიკაში, ეკონომიკის დაცვის ხაზით, შესამოწმებლად სუკის კურატორების ჩამოსვლას. ეს გასაგებ ნერვიულობას იწვევდა სსრკ სუკის შესაბამის სამსახურთა ხელმძღვანელებში. ერთ-ერთ გენერალთან შეთანხმებით მე გავაგრძელე იმ გზების ძიება, რომლითაც სავალუტო ფასეულობები იგზავნებოდა საზღვარგარეთ.

პირველ რიგში, „ავანტურისტის“ და „დაშნაკის“ შესახებ შექმნილი საქმეების შემოწმებით მე დავადგინე „ასალა“-ს აქტიური ფუნქციონერები: ზემოთ ხსენებული მარტიროსიანი, რომელიც ლაოსში რეზიდენტის მოადგილის, ავაკიანის კომპრომეტირებაში მონაწილეობდა და ოგანესიანი—„ასალა“-ს ბოევიკი, შემდეგში პატიმარი მცირე დანაშაულისათვის, წინათ ორივენი ვალუტით კონტრაბანდას ეწეოდნენ.

„ავანტიურისტისაგან“ მიღებული მასალების ანალიზი მოწმობდა იმას, რომ იუზბაშიანი, როგორც გავლენიანი აგენტი, ფაქტიურად გადაბირებული იქნა „ასალა“-ს მიერ ორგანიზაციის წევრების უსაფრთხო მოქმედების პირობების შექმნისათვის. აი ამიტომ „ასალა“, რომელსაც მრავალმხრივი კავშირები აქვს სომხეთის ხელისუფლებისა და პარტიულ ინსტანციებში, პრაქტიკულად არავისათვის არაა ცნობილი. მისი გენერალური გეზია—სომხეთში არსებული ხელისუფლე-

ბის მშვიდობიანი გარდაქმნა საიმედო მექანიზმად, რათა მიღწეული იქნას დასახული პოლიტიკური მიზნები: ტერიტორიის გაფართოება, სსრ კავშირიდან გამოყოფა, პარალელურად მიმდინარეობს სეპარატისტთა ძალების კონცენტრირება მთიან ყარაბაღში. ეჭვი არაა, რომ პირველი დარტყმა ამ რეგიონში იქნება მუსულმანებზე. „ასალა"-ს მიზნებშივეე შედის შურისძიების აქციები სომეხი ხალხის გენოციდისათვის 1918–1919 წლებში.

ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ „ასალა"-ს ბოევიკები აქციების შესრულების დროს სუკის ორგანოების სანქციებით სარგებლობდნენ. გადმობირება ხდება სომხეთის სუკის მუშაკთა სახელით. მაგალითად, საგამოძიებო იზოლიატორში მყოფმა პატიმარმა მარტიკიანმა მიიღო წინადადება პირებისაგან, რომლებიც თავს ასაღებდნენ, როგორც სუკის თანამშრომლები. მათ თხოვეს მარტიკიანს მაკომპრომეტირებელი მასალების მიცემა ცნობილ მსახიობ ქალზე, სამაგიეროდ, პირდებოდნენ მისი საქმის გადახედვას და განთავისუფლებას. მარტიკიანმა უარი თქვა ამ წინადადებაზე. მისი აღწერით თუ ვიმსჯელებთ, საეჭვოა მასთან მისული პირები სუკის თანამშრომლებად მივიჩნიოთ.

ზემოთ ხსენებული მარტიროსიანიც, რადგანაც ორგანოებისა და პირადად იუზბაშიანის დავალებებს ასრულებდა, თავს გულწრფელად თვლიდა სუკის აგენტად. ზონაში არსებულ მძიმე პირობებს იგი ძნელად იტანდა, ამიტომ დახმარებისა და დაცვის იმედით ადვილად წამოვიდა ჩემთან კონტაქტზე.

„ასალას" მითითებით იუზბაშიანმა სანქცია გასცა საზღვარგარეთ სავალუტო ფასეულობათა გადაზიდვის შესახებ, პირები კი, ვისაც ფასეულობები უნდა გაეტანათ, თითქოს სუკის აგენტები იყვნენ. ამდენად, მათ ერევნის აეროპორტის საკონტროლო პუნქტებზე არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ, ასე გაემგზავრნენ იუზბაშიანის პროტეჟეები ლიბანში მუდმივ საცხოვრებლად.

ერევნის საბაჟოს ყოფილმა თანამშრომელმა წარმოადგინა იმ ფასეულობათა ნუსხა, რომლებიც პირადად ნახა გამსვლელთა შემოწმების დროს.

უფროსი ოპერრწმუნებული
კაპიტანი მ. ა. ბალიშევი

მოგვიანებით მალიშევს მოუთხრეს, რომ მოსკოველ მაღალ სტუმრებს „მოხსენებითი ბარათის" კითხვის შემდეგ ფერი შესამჩნევად ეცვალათ, ასეთი დოკუმენტის დამალვა მათ არ შეეძლოთ. საბუთმა თავისი როლი ითამაშა დედაქალაქში პოლიტიკური ძალების განაწილებაში.

რაც შეეხება კაპიტან მალიშევის „დანაშაულს", იგი რეაგირების გარეშე დასტოვეს.

დადგა სისხლიანი მოვლენებით უჩვეულოდ მდიდარი 1993 წელი. როგორც გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა" იუწყებოდა, ტერორისტები ოგანესიანი და მარტიროსიანი ჩავიდნენ ლონდონში, რათა სისრულეში მოეყვანათ ძმებ უციევებისათვის გამოტანილი განაჩენი. სამუშაო პროფესიულად შესრულდა—ერთი სასიკვდილო გასროლა თავში იყო, ხოლო დანარჩენი ორი —თავის დასაზღვევად.

სკოტლანდ-იარდმა დაიჭირა მკვლელები. ოგანესიანს ოლდ-ბეილში ჩატარებულ სასამართლო პროცესზე ღირსეულად ეჭირა თავი, ძნელი სათქმელია, რისი იმედი ჰქონდა, არადა, მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს. ალბათ ფიქრობდა, იქნებ, მოხდეს სასწაული, სომხეთში ინგლისელი ჯაშუში დაიჭირონ და გაგვცვალონო. მარტიროსიანი კი სულით დაეცა, იგი იმდენად შთამბეჭდავი ყმაწვილი იყო, რომ იოლად ენდობოდნენ, ის კი ყოველთვის ჰყიდდა მეგობრებს სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების შემწყნარებლობის იმედით. მან აღიარა, რომ სუკის აგენტია, თუმცა სინამდვილეში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მალე მიხვდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და ბრიტანეთის ციხის საკანში ჩამოიხრჩო თავი.

იუზბაშიანსაც ცუდად წაუვიდა საქმე—იგი 1993 წლის აგვისტოში მოკლეს ერევანში, დაუდგენელმა პირებმა.

## სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შეფები

ზოგჯერ მალიშევი რკინიგზის სადგურთან ახლოს პატარა რესტორანში შედიოდა ხოლმე სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებთან ერთად. იქ ვინმე კლავა მუშაობდა მიმტანად. ძნელი სათქმელია, რამ მოიყვანა ასეთი წმინდა თვალების გოგონა აქ. მალიშევს ამ კითხვაზე, უნებურად რომ გაუჩნდა, ბევრი არც უფიქრია, საკუთარი პრობლემებიც უამრავი ჰქონდა. ერთხელ კლავა მის მაგიდას მიუჯდა და ისეთი რამ ჰკითხა, რასაც მისგან არ ელოდა: აი, თქვენი, სუკის, ყველას ეშინია. მაშ, როგორ მოხდა, რომ ამ ქურდებმა ლამის ყველაფერი ჩაიგდონ ხელშიო.

ეჰ, კლავა, კლავა! მაგ კითხვას ეგრე იოლად ვერ უპასუხებ. ისე კი, ყველამ იცის, რომ თევზი თავიდან ყროლდება. იქნებ, ამაშია საქმე?

1967 წელს სუკის თავმჯდომარის პოსტი ი. ვ. ანდროპოვმა დაიკავა. ბერიას შემდეგ ის იყო სახელმწიფო უშიშროების პირველი შეფი, პოლიტბიუროს შემადგენლობაში რომ შეიყვანეს. ბრეჟნევს სურდა პარტიას ემბრძანებლა სუკზე და ამიტომ თანდათან კატასტროფულად უკუღმართდებოდა ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული მუშაობის პროფესიული სტილი. თავისი სულისკვეთებით სუკი ნახევრად მოქალაქეობრივ ორგანიზაციად იქცა, თუმცა მისი თანამშრომლები სამხედრო ფორმას ატარებდნენ და ხელმძღვანელობაც თითქოს ცდილობდა სამხედრო წესები დაემკვიდრებინა. პარტიული ხელმძღვანელების ზეგავლენით გავრცელდა მაღალი ჩინების ზედმეტი პატივისცემის სენი, უფროსების წინაშე საკუთარი აზრის გამომჟღავნების შიში, ყველაფერმა ამან კი პირადი შემადგენლობა ყრუ და ბრმა გახადა, აიძულა ისე მოქცეულიყო, თითქოს ვერ ამჩნევდა რეალურ მდგომარეობას.

ბრეჟნევის ორი პროტეჟე — ს. ცვიგუნი და ვ. ჩებრიკოვი ფაქტიურად მისი ჯაშუშები იყვნენ და პარტიული პრინციპულობისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების დაცვის სადარაჯოზე იდგნენ. ცდილობდნენ, პარტიის და მისი ხელმძღვანელობის საიდუმლოებანი არ გამოაშკარავებულიყო, ფართო მასების ყურამდე არ მიეღწია. სწორედ ამ მიზნისათვის იყენებდა ანდროპოვი და მისი გარემოცვა სუკის პოტენციალს.

პარტიული ბატონობის ურყეობის უზრუნველსაყოფად ანდროპოვი თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა შეთქმულების თეორიით, რომლებიც, მისი თქმით, გარედან ემუქრებოდა სახელმწიფოს. 1968 წლის ოქტომბერში, სუკის ცენტრალური აპარატის კომკავშირლების წინაშე გამოსვლისას, მან განაცხადა: „მტერი ყოველგვარ დახმარებას უწევს კონტრრევოლუციურ ელემენტებს, აწყობს იდეოლოგიურ დივერსიებს, ქმნის ყოველგვარ ანტისაბჭოურ, ანტისოციალისტურ და სხვა მტრულ ორგანიზაციებს. ამის მკაფიო დასტურია მოვლენები ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მშრომელთა სოციალისტური თანამეგობრობის ძმური მხარდაჭერით აღკვეთეს კონტრრევოლუციის მცდელობა, გადაეხვია ჩეხოსლოვაკიას სოციალისტური მშენებლობის გზიდან."

ანდროპოვის აზრით, ძალთა თანაფარდობის შეცვლა სოციალიზმის სასარგებლოდ აუცილებლად გამოიწვევდა იმას, რომ დასავლეთი შეეცდებოდა ჩვენი წარმატებების შეფერხებას. ეს სტალინის იმ პოსტულატს ჰგავდა, რომ ქადაგებდა, სოციალიზმის განმტკიცებასთან ერთად კლასობრივი ბრძოლა ძლიერდებაო. რა გამოიწვია ამ დებულებამ, ცნობილია. ასევე ანდროპოვის შეთქმულებების თეორიასაც ადამიანთა ტრაგედია მოჰყვა ავღანეთში.

შეთქმულებების ფსიქოზს ვერც კონტრდაზვერვის პირადი შემადგენლობა ასცდა. ზემოდან უამრავი ბრძანება და მითითება მოდიოდა—ეძებნათ ჯაშუშები და ანტისაბჭოურად განწყობილი ხალხი მილიციის ორგანოებში. ყველას ესმოდა ამ მითითების უაზრობა, მაგრამ არ შეეძლოთ არ შეესრულებინათ, უფრო სწორად, თითქოს ასრულებდნენ. ყოველივე ეს იწვევდა პროფესიონალიზმის დაქვეითებას. ყოველგვარი აკრძალვისა და პირველ რიგში სიმართლის აკრძალვის მომხრე იყო თვით ანდროპოვი. ვინც განკარგულებებს არ ასრულებდა, შეუბრალებლად უსწორებდა ანგარიშს, მიუხედავად დამსახურებისა. ცნობილია ასეთი შემთხვევა: 1970 წელს განთქმულ მზვერავს კონონ ტრიფიმის ძე მოლოდის შეხვედრა მოუწყვეს ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. ის გაეცნო წარმოებას და განცვიფრებული დარჩა შრომის მოუხერხებელი ორგანიზაციით, რადგან თვითონ საზღვარგარეთ არალეგალურად მუშაობის დროს იყო რამდენიმე ფირმის თანამფლობელი, გამოცდილი მეწარმე. კოლექტივის წინაშე თავის გამოსვლაში მან გამოთქვა მოსაზრება, თუ როგორ შეიძლებოდა წარმოების სანიმუშოდ გამართვა. მეორე დღეს ანდროპოვის მითითებით მოლოდი გაათავისუფლეს სამსახურიდან.

მას შემდეგ, რაც ანდროპოვი სკკპ ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს, სუკის თავმჯდომარის ადგილი მცირე ხანს ვიტალი ფედორჩუკმა და-

იკავა, ისიც უყოყმანოდ უჭერდა მხარს ანტისოვეტიზმთან ბრძოლის გაძლიერების კურსს. ამ პოსტზე იგი რამდენიმე თვის მანძილზე მუშაობდა, 1982 წლის მაისიდან დეკემბრამდე, მაგრამ ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სუკის ზეგავლენის გასაძლიერებლად. ფედორჩუკი გამოკვეთილი ბიუროკრატი იყო და შეურიგებლად ებრძოდა ყველაფერს, რაც პარტიული ნორმების ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა. იგი მთელ ენერგიას დისციპლინის განმტკიცების საქმეს ახმარდა.

ამ პერიოდში შს მინისტრმა შოლოკოვმა თავი მოიკლა და მის ნაცვლად ფედორჩუკი დანიშნეს მილიციის ორგანოებში წესრიგის დასამყარებლად.

უნდა ითქვას, რომ სწორედ ფედორჩუკის დაუფიქრებელმა მხარდაჭერამ მისცა საშუალება სსრკ გენერალური პროკურატურის საგამომძიებლო ჯგუფის ხელმძღვანელს თ. გდლიანს და მის მარჯვენა ხელს ნ. ივანოვს „გადაეხნათ" უზბეკეთის შს სამინისტრო, დაეპატიმრებინათ მისი ხელმძღვანელობა და ამით რესპუბლიკის მილიციის ორგანოები დაესუსტებინათ.

იდგა რა ანდროპოვის თვალსაზრისზე, რომლის მიხედვით ქვეყანას ემუქრებოდა მრავალრიცხოვანი შეთქმულებები, ფედორჩუკმა ეს „თეორია" ახალი შინაარსით შეავსო — მთავარი დარტყმა უნდა მიემართათ ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებში მოკალათებული მექრთამეებისაკენ, ამ დროს კი არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იყო ამ ქრთამების წყარო და ვინ იდგა მის უკან. არავინ ახსენებდა მთავარ საკითხს: ვინ არის იმ უზარმაზარი კრიმინალური კაპიტალის მფლობელი, ქრთამებით რომაა შეგროვილი.

ფედორჩუკის მხარდაჭერით დაწინაურებულ გდლიანთან დაკავშირებით არ შეიძლება ზოგი რამ არ გავიხსენოთ. სამსახურმა მოახვედრა კაპიტანი მალიშევი ტაშკენტში, სწორედ იმ დროს, როცა იქ ჩამოვიდა გდლიანი. ერთი შეხედვით, თითქოსდა ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მალიშევს ვერ გაეგო — რესპუბლიკის ხელმძღვანელებს აპატიმრებდნენ, კანონიერი ქურდი კაგრამანიანი კი უშიშრად და თავისუფლად სეირნობდა. იქნებ გდლიანი იმდენად იყო დაკავებული ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კორუფციის ძიებით, რომ კანონიერი ქურდებისათვის არ ეცალა? ყველაფერი შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ოთხმოციანი წლების ბოლომდე, სანამ იქ გდლიანის ჯგუფი მუშაობდა, კაგრამანიანი ტაშკენტის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იყო.

1986 წელს, როცა თანდათან აშკარავდებოდა გდლიანის საძრახისი ამბები, ფედორჩუკი დამსახურებულ პენსიაზე გაუშვეს.

სუკის თავმჯდომარის თანამდებობა 1982 წლის დეკემბრიდან ვ. მ. ჩებრიკოვმა დაიკავა და ამ პოსტზე 1988 წლამდე იმუშავა. მან მნიშვნელოვანი „წვლილი" შეიტანა მილიციის ორგანოებში ჯაშუშებისა და მექრთამეების გამოვლინების საქმეში. მანვე ვირტუოზულად აქცია დაზვერვის თანამშრომელი ბორის იუჟინი ჯაშუშად, „მამაშვილურად" დაარწმუნა იგი ეღიარებინა, რომ აშშ-ს „დფბ" ცდილობდა მის გადაბირებას.

ჩებრიკოვის ერთ-ერთი „გენერალური ხაზი" იმ დამნაშავე დაჯგუფებათა შესახებ არსებული მასალების გასაიდუმლოება იყო, რომლებიც, როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, თავისი ინტერესებისათვის თვითონ ებრძოდნენ მსხვილ მექრთამეებს. ეს მექრთამეები, მიუხედავად მაღალი პოსტებისა, სინამდვილეში დამნაშავეთა ცრუმაგიერი პირები იყვნენ. იგივე კანონიერი ქურდი კაგრამანიანი, საკმაოდ საფუძვლიანი ვერსიით, მოკლეს სომხეთის სისხლის სამართლის დამნაშავეებმა იმისათვის, რომ მან ძალიან ბევრი იცოდა.

ამ პერიოდში გდლიანის უზბეკეთში მოღვაწეობამ და მისმა სენსაციურმა განცხადებებმა „კრემლის მაფიაზე" ხელი შეუწყო პარტიის წინაალმდეგ ახალი შეთქმულების შესახებ მორიგი ვერსიის გაჩენას კორუფციასთან ბრძოლის საბაბით.

ამ იდეის ავტორია ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კრიუჩკოვი, რომელმაც ჩებრიკოვი შეცვალა სუკის თავმჯდომარის თანამდებობაზე 1988 წელს. უშიშროების სამსახურის ახალი შეფი ანდროპოვის აღზრდილი იყო. თუ შეიძლება ასე ითქვას, ანდროპოვს „მოჰყავდა" იგი 1956 წლიდან, უნგრეთის მოვლენების შემდეგ, სადაც ელჩად მუშაობდა. როცა ანდროპოვი სუკის ხელმძღვანელი გახდა, მან კრიუჩკოვი დანიშნა ყველაზე საიდუმლო განყოფილების—სამდივნოს უფროსად, 1974 წელს კი პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო პოლიტიკური დაზვერვა) უფროსის თანამდებობა ანდო პროფესიონალი მზვერავის ფეოდორ მორტინის ნაცვლად.

დაახლოებული პირების გადმოცემით, კრიუჩკოვი ენერგიული და გაულიმარი კაცი იყო. არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობით გამოირჩეოდა. არ სვამდა და არ ეწეოდა, სხვებისაგან განსხვავებით, ყურადღებასაც არ აქცევდა ფესვგადგმულ ტრადიციას, ახალი წოდებისა და დაწინაურების „დასველების" თაობაზე. ამასთან ისეთი ორგანიზატორული ნიჭი და პოლიტიკური მოქნილობა ჰქონდა, მეფის გამოცდილ კარისკაცს რომ შეეფერებოდა. სპორტი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, მას ერთი დღეც კი ვერ წარმოედგინა ფიზიკური ვარჯიშის გარეშე. არასდროს ჰკარგავდა მხნეობას. „მატროსკაია ტიშინაშიც"

კი, პუტჩის ჩაშლის შემდეგ, ცხოვრების წესი არ შეუცვლია. დილით, ორმოცი წუთის მანძილზე, ოფლისღვრამდე ვარჯიშობდა, მერე პრესს კითხულობდა.

კრიუჩკოვმა თავისი ტაქტიკა და სტრატეგია იმ კონცეფციაზე ააგო, რომელიც ანდროპოვისაგან გადმოიღო და იმას გულისხმობდა, რომ ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მოქმედებენ შეურიგებელი მტრული ძალები. ის გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ ყველაფერი უარყოფითი, რაც თვით პარტიაში და მის ირგვლივაა, ამ ძალების მიერ დაგეგმილი ოპერაციების შედეგია. საოცარია, მაგრამ ამ აბსოლუტურად სალი გონების კაცს ვერც წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა პარტიას საზოგადოებაში ლიდერის როლი დაეკარგა. რწმენა მტრული ძალების ვერაგობის შესახებ გამომდინარეობდა საკუთარი ვერაგობიდან: სუკი ხომ თვითონ გეგმავდა და აქტიურად ატარებდა საზღვარგარეთ ღონისძიებებს. თვით კრიუჩკოვი „ა" სამმართველოს კურირებდა და ლიდ კავშირების გაფართოებას ცდილობდა. მოვლენების სასურველი კალაპოტით წარსამართავად ფართოდ იყენებდნენ ყალბ წერილებსა და დოკუმენტებს. მაგრამ ყოველივე ეს ეხებოდა სუკის საზღვარგარეთულ მუშაობას.

ამასთან არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ სწორედ კრიუჩკოვმა დაინახა გდლიანის ჯგუფის საქმიანობაში დანაშაულებრივ სამყაროსთან კავშირი, უკვე პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაკენ რომ ისწრაფვოდა. სწორედ კრიუჩკოვმა, 1989 წელს, შსს-გან დამოუკიდებლად „მწვანე შუქი" მისცა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეს. მისი აზრით, ორგანიზებული დანაშაული სახელმწიფო ხელისუფლების საძირკვლებს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობას ემუქრებოდა.

ასეთი მდგომარეობა, მისი ფიქრით, აქტიურ საიდუმლო მოქმედებას მოითხოვდა, რომ მოვლენები საჭირო კალაპოტში მოექციათ. საამისოდ მას აწყობილი მექანიზმი ჰქონდა — დაზვერვა და კონტრდაზვერვა.

ამასობაში გდლიანის აქტიურობა სულ უფრო და უფრო ახალ სიმაღლეებს იპყრობდა და კარგს არაფერს მოასწავებდა. თავისი შეტევებით სკკპ ცკ-სა და პოლიტბიუროზე მან თითქოსდა აიღო ინიციატივა, საამისოდ მოხერხებულად იყენებდა პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კორუფციის შესახებ, ამ ფაქტებმა საზოგადოებრიობა ალაშფოთა და გდლიანმა გარკვეული პოლიტიკური კაპიტალი დააგროვა. ახლა იგი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობისათვის ემზადებოდა სომხეთის რესპუბლიკიდან.

კრიუჩკოვს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გდლიანი ტყუილ-მართლით

მიისწრაფოდა ხელისუფლებისაკენ. ოღონდ საკითხავი იყო, ვინ იდგა მის უკან?

კრიუჩკოვი მომწიფებული შეთქმულების სწორ შეფასებას მიუახლოვდა, უკანასკნელი გადამწყვეტი ნაბიჯისათვის აუცილებელი იყო პარტიული დოგმებისაგან გაეთავისუფლებინა თავი. ეძებდა და ვერაფრით პოულობდა, სად იყო ამ ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ცენტრი. მაგრამ ცენტრი, როგორც ასეთი, სინამდვილეში არც არსებობდა. რეალური ძალების შეთქმულება კი იყო, მასში კრიუჩკოვმა თავისი პარტიული სქოლასტიკური შეხედულებების გამო ვერ დაინახა სერიოზული მეტოქე — დამნაშავეთა სამყარო, რომელიც დიდი ხანია ელოდებოდა სახელმწიფოში რადიკალებსა და კონსერვატორებს შორის მასშტაბურ დავას. ხოლო ცენტრს, ამაოდ რომ ეძებდა კრიუჩკოვი, წარმოადგენდა თავისი ჟამის მომძლავრებული კრიმინალური სამყაროს უზარმაზარი კაპიტალი. კრიუჩკოვს რომ საქმისათვის უბრალო სახელმწიფო მოღვაწისა და ეკონომისტის სალი თვალით შეეხედა, მიხვდებოდა, ორგანიზებული დანაშაული არც დროებითი და არც შემთხვევითი მოვლენა არაა, იგი ყალიბდებოდა კომუნისტური ნომენკლატურის მმართველობის სამოცდაათი წლის მანძილზე. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ თავის დროზე შინსახკომი ხელს უწყობდა დამნაშავეთა სამყაროს ჩამოყალიბებას, შემდეგ კი, პარტიული ინტერესების გამო, თავი მიანება მის კონტროლს და გადასცა ნაკლებად განათლებულ შსს ორგანოების თანამშრომლებს.

ანდროპოვის მიერ გაწვრთნილი პარტიული ფუნქციონერის რეპუტაცია ხელს უშლიდა კრიუჩკოვს უშიშროების სამსახურის შეფის სასურველი იმიჯის შექმნაში. მაგრამ ერთი რამ უდავოა: კრიუჩკოვი იყო მაღალი კლასის პროფესიონალი და სწორედ ამიტომ სთხოვა გორბაჩოვმა მას 1985 წელს, მაშინ ჯერ კიდევ დაზვერვის უფროსს, გარკვეულიყო უზბეკეთში გდლიანის ჯგუფის მუშაობის საქმეში. სუკის თავმჯდომარეს ჩებრიკოვს და შს მინისტრს ფედორჩუკს ის არ ენდობოდა, პირველი თავს არიდებდა გდლიანის საქმეს, მეორემ კი თავად „აკურთხა" უზბეკეთის კადრების განადგურებაში გდლიანის მოღვაწეობა.

შეიქმნა სამარცხვინო და თან სასაცილო სიტუაცია. ამბობენ, „კატაზე ძლიერი ცხოველი არ არსებობსო". გდლიანის, პროკურატურის რიგითი გამომძიებლისა, ყველას ეშინოდა. ამის მიზეზი კი იყო, რომ სრულიად არ იცოდნენ, როგორაა გავრცელებული ქვეყანაში ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია: „თეთრ საყელოებს" ერჩივნათ, ხელი არ გაესვარათ ამ სიბინძურით, არ ჩასწვდომოდნენ დამნაშავეთა სამყაროს ნამდვილ არსს. ხოლო გდლიანი ამ ფონზე გმირად გამოიყუ-

რებოდა, საერთო აზრით, მხოლოდ მან შესძლო ჩამოეგლიჯა საიდუმლოების ფარდა დანაშაულებრივი კლანების მალული ოპერაციებისათვის, სინამდვილეში კი მაფიების „ნათლიმამები" იყენებდნენ მას თავისი ინტერესებისათვის.

გდლიანისათვის ასეთი ფართო უფლებები არავის მიუცია. ჩებრიკოვის განკარგულებით უზბეკეთის სუკს მიეცა დავალება, მისთვის კომიტეტის შენობაში გამოეყოთ ცალკე კაბინეტი, ავტომანქანა, დაპატიმრებულები საგამომძიებლო იზოლატორში მოეთავსებინა. გდლიანმაც მაქსიმალურად გამოიყენა ეს საშუალებანი.

მალიშევი შეხვდა და ესაუბრა გდლიანს, რომელიც მასში მოკავშირეს ეძებდა. კაპიტანი კი უსმენდა და ველარ ხვდებოდა, თუ სად იყო ამდენი მიამიტი ხალხი, ასე რომ სჯეროდათ ამ „ლაპარაკის ოსტატისა".

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ კრიუჩკოვის მაღალმა პროფესიონალიზმმა და ადამიანურმა სისპეტაკემ აცილა მრავალი ტრაგედია ქვეყანას და არ მისცა მაფიას საშუალება დაეუფლებოდა სახელმწიფოს მართვის ბერკეტებს. ფაქტიურად კრიუჩკოვმა გადაარჩინა გორბაჩოვი პატიმრის ტანსაცმელს.

ოპერაცია, რომელიც კრიუჩკოვმა დაიწყო 1985 წელს, მსოფლიოს სპეცსამსახურების ოქროს ფონდში შეტანას იმსახურებს. იგი ექვს წელიწადს გრძელდებოდა და შთამბეჭდავი შედეგები მოჰყვა: გაამართლეს და გაათავისუფლეს ასეულობით მილიციის, პროკურატურის, სასამართლოს, სამეურნეო და პარტიული მუშაკი. გადასინჯეს ათასობით სისხლის სამართლის საქმე, შეიცვალა განაჩენები. პატიმართა რაოდენობა ოთხი მილიონიდან 800 ათასამდე შემცირდა. საზოგადოებრიობამ შეიტყო დამნაშავეთა სამყაროს ღრმად კონსპირირებული იატაკქვეშა ჯარის შესახებ. ყოველივე ამას, და კიდევ ბევრ რამეს ყოველგვარი რეკლამის გარეშე აკეთებდა სუკი. შეიძლება არაერთი მაგალითი მოვიტანოთ იმის დასტურად, თუ ზოგიერთ ჟურნალისტს, რომლებმაც სუკის „ხრიკების" გამოაშკარავებით გაიკეთეს კარიერა, თვითონ როგორ იყენებდა ეს ორგანიზაცია დემოკრატიული მიზნების მისაღწევად, თავად კი არც იცოდნენ ეს და ვერც ხვდებოდნენ. სუკი ამას იმიტომ შვრებოდა, რომ ჭეშმარიტი ინფორმაციის საფრთხეში ჩაგდებას ერიდებოდა.

მხოლოდ კრიუჩკოვის ერთმა შეცდომამ, რომელიც, როგორც ამბობენ ხოლმე, დანაშაულზე უარესია, ჩაშალა 1991 წელს ოპერაციის აწყობილი მსვლელობა და საბოლოო ჯამში თვით სუკი დაანგრია. კრიუჩკოვთან ერთად წავიდნენ ის თანამშრომლებიც, ადრე დანაშაულებრივ ჯგუ-

ფებში რომ ჰყავდათ შეყვანილი. ისინი გადაიქცნენ „მფრინავ ჰოლანდიელებად", და დროდადრო ახსენებდნენ თავს გასროლებით დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებს.

ვადიმ ბაკატინმა სუკის თავმჯდომარის თანამდებობა სსრ კავშირისათვის ტრაგიკულ პერიოდში დაიკავა, 1991 წლის აგვისტოს შემდეგ, ფაქტიურად გამოსტყუა იგი გორბაჩოვს. რატომ სურდა მას გალანძღული და დამცირებული სამსახურის ხელმძღვანელობა? ბევრი ფიქრობდა, რომ მის დანიშვნას ერთი მიზანი ჰქონდა — სუკის დარღვევა. დამრღვევის როლში მან მართლაც გამოიჩინა თავი, მრავალი სახელმწიფო საიდუმლო გასცა, მაგრამ ეს საქმის გარეგნული მხარეა — შესაძლოა მაღალი რანგის ჩინოვნიკი გარკვეულ სამუშაოს ასრულებდა გარკვეული ხელფასისათვის. მაგრამ მარტო ხელფასისათვის ხომ არ სურდა ბაკატინს სუკის თავმჯდომარის ადგილის დაკავება? არა, მას სხვა ინტერესები ამოძრავებდა.

ბაკატინს ჰქონდა შიშის მიზეზი. მან გაიგო, რომ კრიუჩკოვის მითითებით მოქმედებდა საიდუმლო ჯგუფი, რომელმაც ბევრი რამ შეიტყო პირადად მასზე და შსს თანამშრომლობაზე კანონიერ ქურდებთან კონტაქტების შესახებ. უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გამოიტანეს ერთადერთი და, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, სწორი დასკვნა: 1990 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტიურად დამნაშავეთა სამყაროს მიმართ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. ბაკატინის გარემოცვაში დაფიქსირდა დიდი რანგის კრიმინალური ავტორიტეტები.

რა გასაკვირია, რომ როგორც კი გახდა ბაკატინი სუკის თავმჯდომარე, საიდუმლო მასალები მოითხოვა და საკუთარი გვარის ძებნა დაიწყო. განსაკუთრებული მღელვარებით კითხულობდა ცნობებს ფარული სმენითი კონტროლის შესახებ. ეს იყო ისეთი ბომბი, რომელიც მისი პოლიტიკური რეპუტაციისაგან ნიშანწყალსაც არ დატოვებდა. გადაწყვეტილება სწრაფად მიიღო, მაგრამ როგორ ემოქმედა? ჩუმად? ასე ხომ გამარჯვებული დემოკრატიის ზეიმის დროსაც შეიძლებოდა ვინმე მისგან სამშობლოს ღალატში დაეჭვებულიყო. ე. ი. ოფიციალური საშუალებებით უნდა გაეკეთებინა ეს, მთავარია, რაც შეიძლება მეტი და გამაყრუებელი ხმაური ამტყდარიყო პოლიციურ სახელმწიფოზე, ტოტალიტარიზმზე, იმპერიაზე, ხალხთა საპყრობილეზე, მოქალაქეობრივ უფლებებზე. ამ პოლიტიკური რახარუხის დროს ჩაბარდა ამერიკელებს აშშ-ის საელჩოს შენობის ელექტრონული მონტაჟის სქემა. სა-

კურიერი კვალიც კარგად წაიშალა.

იმ დროის მანძილზე როდესაც ბაკატინი სუკის სათავეში იდგა ყველა მოქმედი ქვეგანყოფილება ფაქტიურად ცენტრალური მართვის გარეშე დარჩა. დაახლოებით ერთ წელიწადს ქვეყანაში არ არსებობდა უშიშროების სისტემა. ყოველივე ამას ისეთი ზარალი მოჰყვა, რომ ძნელია შეაფასო. ქვეყანა ისე გაიძარცვა, როგორც მტრის თავდასხმის დროს. უშიშროების ოპერატიული სამსახური დამბლადაცემულია და შეიძლება შეადარო იმ სიტუაციას, როცა მუშების მიერ მიტოვებული ბრძმედი გაიყინება, მისი ხელახლა გაშვება კი ძალზე ძნელია. მართალი იყო პრეზიდენტი ელცინი, მრავალი მოსაზრების გამო რომ გაათავისუფლა ბაკატინი თანამდებობიდან და გზა გადაუკეტა სახელმწიფო საიდუმლოებისაკენ.

# გამოუცნობი სამმართველო

ეს ამბავი მალიშევს უშიშროების სამსახურის ძველმა გამომძიებელმა უამბო, რომელიც საცაა პენსიაზე უნდა გასულიყო. ისინი ხასიათებით გავდნენ ერთმანეთს. გარდა ამისა, კიდევ იყო რამდენიმე აუხსნელი მიზეზი, ერთმანეთისაკენ რომ იზიდავდათ. ამიტომ სამუშაო დრო რომ გავიდოდა, სიამოვნებით რჩებოდნენ ხოლმე ერთად სამსახურებრივ საიდუმლო ბინაზე, არც სასმელზე ამბობდნენ უარს, საუბრობდნენ. ერთხელ სიტყვას მოჰყვა და მოხუცმა ის ამბავი მოიგონა.

—ერთი ეს მითხარი,—ჰკითხა მალიშევმა,—ის პოლკოვნიკი ლოთი იყო?

—ხომ გეუბნები, ის მთელი ჩვენი ცენტრალური აპარატის კადრებთან მუშაობდა.

—რა, კადრებში არ სვამენ?

—სუნსაც ვერ იტანდა. საკუთარ იუბილეზე, რომელიც, სხვათა შორის, „მეტროპოლში" აღნიშნეს (მაგრამ ეს საქმეს არ ეხება) დიდხანს ეხვეწნენ და იმანაც სათითით დალია, მეტი არა. ასეთი დოზა ბეღურასაც ვერ დაათრობს, მაგრამ დათვრა, საწყალი. მას პორტფელში კონიაკის რამდენიმე დარჩენილი ბოთლი ჩაუწყვეს: ეგეც შენ, ბებერო ეშმაკო, არ გინდოდა დალევა? ათრიე ახლა სახლამდე. არადა, იგი ხომ მეტროს ბოლო სადგურთან ცხოვრობდა, ჟდანოვსკაიაზე.

—ახლა ვიხინო ჰქვია, არა?

—ეშმაკმა დალახვროს ეს ახალი სახელწოდებანი, ვიბნევი ხოლმე. შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ჟდანოვსკაია ჟდანოვსკაიაა.

—გააგრძელე, რა.

—მანამ ცოტა დავლიოთ!

—აუცილებლად!

დალიეს, წაიხემსეს.

—დაიჯერებ?—განაგრძო ამბის მოყოლა გამომძიებელმა,—ამ ბოთლებმა დაღუპა კაცი.

და მალიშევს თვალწინ წარმოუდგა სურათი, როგორ ბრუნდებოდა ხანდაზმული, სრულიად უწყინარი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ქვრივი პოდპოლკოვნიკი თავის ერთოთახიან ბინაში თოვლით დაფარული მოსკოვის ბოლოს.

უკანასკნელი მატარებელი, ცარიელი ვაგონი, რამდენიმე წუთში მეტროს ბოლო სადგური ჟდანოვსკაია. ზის სკამზე და ოდნავ ქანაობს, პორტფელიდან ისმის სავსე ბოთლების წკარუნი.

და მაინც ჩაეძინა. ერთი წამით გაახილა თვალები, ვიდრე კარი დაიკეტებოდა, გამოსვლა მოასწრო, და მატარებელი დეპოში წავიდა. მეტროდან ქუჩაში გასული ყინვამ უმალვე გამოაფხიზლა და გაახსენდა, რომ ვაგონში პორტფელი დარჩა. გული დასწყდა. არა, კონიაკის გამო არა, პორტფელში მეგობრების ნაჩუქარი ნივთები ჰქონდა.

რამდენიმე წუთს იფიქრა და დაბრუნება გადაწყვიტა. მეტრო დაკეტილი დახვდა, დიდხანს აკაკუნებდა. ბოლოს უკმაყოფილო ქალი გამოჩნდა, რაღაც უყვირა, ცოტა ყოყმანის შემდეგ კაცმა მოწმობა ამოიღო. ქალმა ხმა გაკმინდა და კარი გააღო.

—სად არის მილიციის პუნქტი?

—იქ—მიუთითა მორიგემ და დაამატა, რომ ყველა მთვრალია.

—არა უშავს, გავერკვევით.

—პირველი, რაც თვალში ეცა მილიციის სამორიგეო ოთახში შესულს, ეს იყო მისი პორტფელი და ცარიელი ბოთლები. ოთახში სამი თუ ოთხი ახალგაზრდა იყო—დათვლა ვერ მოასწრო.

—როგორ მოგეწონათ კონიაკი?—ჰკითხა მან.

მილიციელები გააკვირვა ასეთმა გაუგონარმა თავხედობამ.

—რას ბურტყუნებს ეს ყიამყრალი?—წამოიძახა ერთმა.

—ჩემი კონიაკი იყო,—თქვა მან,—კეთილი, პორტფელი დამიბრუნეთ და მე წავედი.

—წახვედი? სად წახვედი?—შეამჩნია, რომ ვიღაცა უახლოვდებოდა გვერდიდან და უცებ თავში კაშკაშა, დამაბრმავებელმა შუქმა გაკვესა.

ასე კლავდნენ მას:გამოექანებოდნენ და, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, წიხლებს ურტყამდნენ წაქცეულს. ბოლოს დაიღალნენ.

—მგონი, სული ამოძვრა ბებერს,—თქვა ვიღაცამ.

—არა უშავს, მოვა გონზე,—უპასუხა მეორემ.

—მორიგეობა დამთავრდა! სახლში წასვლისას ესეც წავიძღვანოთ, მოვათავსებთ სადმე. თუ გამოვა მდგომარეობიდან, ხომ კარგი, თუ არა და, გზაც იქით ჰქონია.

მოსკოვში ყოველდღიურად იკარგებიან უკვალოდ ადამიანები—კაცები, ქალები, ბავშვები, თვეში უგზო-უკვალოდ დაკარგულთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს და დიდი პირმოთნეობა იქნებოდა მტკიცება იმისა, რომ ეს მწარე სტატისტიკა ძილს უფრთხობდეს შესაბამისი სამსახურების და უწყებების ხელმძღვანელებს.

მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებული შემთხვევა იყო. ზემოთ აღწერილიდან ორი დღის შემდეგ ანდროპოვმა მიიღო ინფორმაცია, რომ დაიკარგა პოდპოლკოვნიკი, სუკის ცენტრალური აპარატის კადრების განყოფილების თანამშრომელი. მის საძებნად დაუყოვნებლივ გამოყვეს სუკის საგამომძიებლო განყოფილების საუკეთესო ძალები და უკვე ორი კვირის შემდეგ ანდროპოვი მკვლელი მილიციელების ჩვენებებს კითხულობდა.

1982 წელსვე მას, ამჟამად უკვე სკკპ ცკ-ის გენერალურ მდივანს, პირადი ტრაგედია დაატყდა თავს. ბევრმა არ იცოდა, რომ ანდროპოვს პირველი ქორწინებიდან შვილი ჰყავდა. მისი ცხოვრებაც ბევრი მისი მოსკოველი თანატოლების ცხოვრების მსგავსად აეწყო—ქუჩაში ისწავლა ქურდობა, ლოთობდა. ანდროპოვი ცდილობდა დაემალა ოჯახის უბედურება, ყველაფერს აკეთებდა, რომ როგორმე შემოებრუნებინა შვილი, ცოლიც შერთო უბრალო, მშრომელი ოჯახიდან, მაგრამ ანდრეი მაინც არ იშლიდა თავისას და ძველებურადვე აგრძელებდა ქურდობას და ლოთობას. ერთხელ კი, ტირასპოლში, მილიციასთან შეტაკებისას მას მხეცურად სცემეს და მოჰკლეს.

ანდროპოვი მანამდე ბეჯითად აკვირდებოდა მილიციის ორგანოების მუშაობას, იგი არც თუ უსაფუძვლოდ ეჭვობდა, რომ მილიცია კორუფციაში იყო ჩართული და ახლა შვილის მხეცურმა მკვლელობამ მილიციის ჩინების მიერ, როგორც იტყვიან, მოთმინების ფიალა აუვსო.

1983 წელს ი. ვ. ანდროპოვის უშუალო მითითებით სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სისტემაში, მესამე მთავარ სამმართველოში შეიქმნა ერთ-ერთი ყველაზე საოცარი სამსახური—„B" სამმართველო.

მესამე მთავარი სამმართველოს შესაბამისად, ტერიტორიულ სამმართველოებში, საქალაქო და სარაიონო ორგანოებში ყალიბდებოდა ე.წ. ოპერატიული მოქმედების მესამე ხაზები. მათი მთავარი მიზანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში კონტრდაზვერვის გაშლა. ძირითადი ამოცანები—შსს-ში უცხოეთის სპეცსამსახურთა აგენტების (!), მოღალატეთა და სხვა მტრულად განწყობილ პირთა გამოვლინება, სამინისტროს მიერ სახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩადენის აღკვეთა, საიდუმლო სახელმწიფო ფაქტების გაცემის თავიდან აცილება, ჩეკისტური მეთოდებით (იგულისხმება სუკის მიერ გამოყენებული ყველა ხერხი) შსს-ს ხელმძღვანელებისა, პოლიტორგანოებისათვის დახმარების გაწევა ქვეგანყოფილებებში ყველა იმ ნეგატიური პროცესის თავიდან აცილების საქმეში, რომლებსაც შეიძლება არასასურველი პოლიტიკური პროცესები და მოქალაქეთა უარყოფითი განწყობილება გამოეწვია.

მარტივად რომ ვთქვათ, „B" სამმართველოს ამოცანად დაუსახეს მილიციის კადრებში ჯაშუშების (აშკარა სისულელე!) და კორუმპირებულთა (შესაძლოა) გამოვლენა.

შემდგომში მისი ფუნქცია გააფართოვეს და გაუქმების მომენტამდე (1991 წლამდე) მის მუშაკებს ევალებოდათ უშუალო მონაწილეობა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში შს სამინისტროს მე-6 სამმართველოს ქვეგანყოფილებასთან ერთად, სუკისა და მისი სამმართველოების ყველა ქვეგანყოფილების ინფორმაციის ანალიზი, ინფორმაციის დაგროვება და შეფასება, რომელიც დანაშაულებრივი მოქმედების ფაქტებს, სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში ნაკლოვანებებს, მოქალაქეთა უფლებების დარღვევებს ეხებოდა, მისი ამოცანა იყო ოპერატიულ-ტექნიკური ხერხებით მილიციის ორგანოებისათვის დახმარების გაწევა, პროკურატურის ინფორმირება მილიციის მუშაკების საქმიანობაში დანაშაულობათა ფაქტების აღმოჩენის შესახებ; საიდუმლო (!) და ოფიციალური კონტროლი შსს ორგანოებისათვის გადაცემული ინფორმაციის გამოყენებაზე.

ალბათ ი. ვ. ანდროპოვს სხვებზე უკეთ ჰქონდა წარმოდგენილი კორუფციის მასშტაბები. როგორც კი საქმე ორგანიზებულ დანაშაულს შეეხებოდა, იქვე აუცილებლად აღმოჩნდებოდა მილიციის მუშაკი ან სახელმწიფო დაწესებულების გავლენიანი ჩინოვნიკი. მაგ. 1970 წელს მოსკოვში აღმოაჩინეს დიდი დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ავტორიტეტები „მონღოლი" და „კაციჭამია". დაჯგუფება მნიშვნელოვან სასხრებს სძალავდა იატაკქვეშა საქმოსნებს, საამისოდ ძალადობის უკიდურეს ხერხებს იყენებდა. ბანდის აქტიური წევრები იყვნენ მილიციის თანამშრომლებიც. 1970 წელს მოლდავეთის სსრ შსს-მ ამხილა დამტაცებელთა ჯგუფი, რომელსაც უნივერმაღის დირექტორი მანდელი ხელმძღვანელობდა. საქმეში ჩათრეული აღმოჩნდა რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო აპარატის ასზე მეტი მუშაკი. მსგავსი ფაქტი უამრავი იყო და მათი რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. რეგისტრაციაში გატარებულ დანაშაულთა რიცხვი 1970 წლიდან 1980 წლამდე ორჯერ გაიზარდა, ძირითადად ეს მოხდა დატაცების ფაქტების გამოვლენის ხარჯზე. თუ 1976 წლამდე 5 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოდენობის მხოლოდ 986 დატაცება გამოავლინეს, შემდეგ ხუთწლედში უკვე 6920, 1987-მდე კი 13314 აღირიცხა. სტატისტიკა თავად ღაღადებს სსრ კავშირში კორუფციის გავრცელების კატასტროფულ მასშტაბზე. 1980-1986 წ. წ. პერიოდში თანამდებობის ანგარებით გამოყენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ათჯერ მეტი პირი, ვიდ-

რე წინა ოც წელიწადში.

ჯერ კიდევ „B" სამმართველოს შექმნამდე ანდროპოვმა ისარგებლა სახელმწიფოში პირველი კაცის ძალაუფლებით და უშიშროების სამსახურს დაავალა მაკომპრომეტირებელი მასალები შეეგროვებინათ სსრკ შსს ხელმძღვანელებზე. შედეგები ყველასათვის კარგადაა ცნობილი. მინისტრმა შჩოლოკოვმა თავი მოიკლა, მის პირველ მოადგილეს 12 წლით, ხოლო სამინისტროს სამეურნეო სამმართველოს უფროსს კალინინს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ანდროპოვს მართლა სწამდა, რომ საბჭოთა ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის მხოლოდ შრომის დისციპლინის ამაღლება იქნებოდა საკმარისი. ამასთან ისიც ესმოდა, რომ ეს შეუძლებელია კორუფციის აღმოფხვრის გარეშე. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო იყო პირველ რიგში სამართალდამცავი ორგანოები გაეწმინდათ კორუმპირებული მუშაკებისაგან, რადგან სახელმწიფოს საკონტროლო მექანიზმს, უპირველეს ყოვლისა, შსს-ს ორგანოები წარმოადგენდა. მის გარეშე თავის ფუნქციებს ვერ შეასრულებდა ვერც პროკურატურა, ვერც სასამართლო და ვერც სხვა ინსტანციები.

თუ გავაანალიზებთ და დავაჯგუფებთ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლით (თანამდებობის ბოროტად გამოყენება) და სხვა რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლებით გასამართლებულ თანამდებობის პირებზე სტატისტიკურ მონაცემებს 1981-1988 წ. წ. პერიოდში, პროფესიათა მიხედვით ასეთი რიგი წარმოგვიდგება:

1. შსს თანამშრომლები — გამასწორებელი კოლონიების მუშაკებისა და შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეების გარდა;

2. სამეურნეო მუშაკები, ვაჭრობის მუშაკები, პარტიულ და სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელები;

3. პროკურატურის თანამშრომლები;

4. სასამართლოს თანამშრომლები;

5. სუკის მუშაკები.

ეს ადვილად გასაგებიცაა. რაოდენობრივად მილიცია სხვებთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია, მილიციელს ყველაზე ხშირად აქვს საქმე დამნაშავესთან და მის გადაწყვეტილებაზეა უპირატესად დამოკიდებული კანონის დამრღვევთა უსაფრთხოება. ისინი ფაქტიურად შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობენ საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო საკუთრების დაცვის სფეროში. მილიციონერები ყოველთვის დგანან ცდუნების წინაშე, ქრთამის გულისათვის თვითონ არ ჩაიდინონ დანაშაული. სამართლიანობისათვის კი მაინც უნდა აღვნიშ-

ნოთ ერთი ძირითადი რამ, რითაც ბევრი განსასჯელი მილიციელი იმართლებს ხოლმე თავს—სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სახელმწიფოსაგან ისინი იურიდიულად დაუცველნი არიან. დამნაშავეებმა კი კარგად ისწავლეს მათი თავიდან მოცილება, ვისგანაც საშიშროება ემუქრებათ, საამისოდ შესანიშნავი საშუალება აქვთ—კომპრომეტირება და ცილისწამება. როდესაც კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო, ორგანიზებულ დამნაშავეთა ეს თვისება არ გაუთვალისწინებიათ და აი შედეგიც—ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაისაჯა და გაუბედურდა. ეს ხომ საბჭოური ტრადიციაა—ნებისმიერი საშუალებით მიაღწიო მიზანს, თუნდაც ადამიანის სიცოცხლის ფასად.

კოლონიები, როგორც სტალინის დროს, სწრაფად ივსებოდა პატიმრებით, 1986 წელს მათმა საერთო რაოდენობამ 4 მილიონს მიაღწია. უნდა ითქვას, რომ ეს შრომა-გამასწორებელი დაწესებულებანი, „გულაგის" პირდაპირი მემკვიდრენი, ამდენი პატიმრის დასაქმებას ვერ უზრუნველყოფდნენ, შრომა და აღზრდა კი, უბრალოდ, ფიქცია იყო. აქ ყველაფერი აგებულია მკაცრ რეჟიმზე, დასვენების პირობების უქონლობაზე, პიროვნების განუსაზღვრელ დამცირებაზე. ამას ემატება აგრეთვე პირადი შემადგენლობის დაბალი დისციპლინა, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება, შრომა-გასწორების კანონმდებლობის დარღვევები, რაც ამგვარ ადგილებში კრიმინოგენურ ფონს ქმნის.

მალიშევს არაერთხელ უკითხავს თავისი თავისთვის, ხომ არ იყო შეცდომა შსს-ს საკონტროლოდ „B" სამმართველოს შექმნა, როცა შესწავლილი არა გაქვს, არ იცნობ დანაშაულებრიობის განვითარების პირობებს, მის სტრუქტურას, საორგანიზაციო საწყისებს. როგორც ჩანს, მესამე ხაზით სუკის მუშაობამ კიდევ უფრო გააუარესა საქმის მდგომარეობა. დასაწყისში არ ითვალისწინებდნენ მილიციის მუშაობის პოზიტიურ მხარეს, განსაკუთრებით ოპერატიული მუშაკების გამოცდილებას. ამის გამო 80-იანი წლების შუახანებში ერთობ დაიძაბა ურთიერთობა პროკურატურას, შს სამინისტროსა და სუკს შორის. ამ უკანასკნელთაგან დავისას ხშირად გაიგონებდით: „კიდევ გაგახსენებთ ანდროპოვის დროსო!" მერე და მერე ეს დაძაბულობა თანდათან კინაღამ მტრობაში გადაიზარდა.

მილიციის ორგანოებში, ფაქტიურად, ნამდვილი ნადირობა დაიწყო სუკის აგენტებზე. ზოგჯერ ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც არ ერიდებოდნენ. ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: შსს-ს ოფიცერი, რომელიც

ფარულად იყო დაკავშირებული სუკთან, სასტიკად ცემეს და უბრძანეს, აეკრიბა სუკის თანამშრომლის ნომერი, ვისთანაც საქმე ჰქონდა, მისალმებოდა და დაესახელებინა მისი გვარი. ლაპარაკს პარალელური ტელეფონით უსმენდნენ, მაგრამ ვისაც დაურეკეს, მან ვითომ ვერ გაიგო, ვინ ურეკავდა. გამოაშკარავების მცდელობა ჩაიშალა. ამისი ახსნა ადვილია: ოპერმუშაკი გამოცდილი კაცი იყო და ალბათ მსგავსი სიტუაცია წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული—ჩვეულებრივ, დარეკვისას ის არ ესალმებოდა ხოლმე, მხოლოდ გარკვეულ ფრაზას ამბობდა.

სხვა შეცდომებიც დაუშვეს. რადგან მე-3 ხაზი „საჩქაროდ" იქმნებოდა, მიუხედავად მითითებისა, რომ იქ საუკეთესო კადრები გადაეყვანათ, ასე როდი ხდებოდა: იშვიათი იყო უფროსი, ვინც ნებით გაუშვებდა სხვაგან თავის საუკეთესო მუშაკს, ამიტომ ყველა ცდილობდა მე-3 ხაზისათვის „ბალასტი" გადაეცა.

ბუნებრივია, მილიციის ორგანოების დაპირისპირებამ სუკის საპასუხო რეაქცია გამოიწვია. მის ოპერატიულ შემადგენლობაში განმტკიცდა აზრი, რომ მილიციის ნდობა შეუძლებელია, დიდია ინფორმაციის გაჟონვის და პირადი ღალატის საფრთხე. აღარ ხერხდებოდა ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებები, პრაქტიკულად შეწყდა ოფიციალური ინფორმაციების გაცვლა, სუკი იძულებული გახდა მილიციის საიმედო მუშაკები გადაებირებინა, მათ შორის ხელმძღვანელებიც- ზოგი საკუთარი ინიციატივით თანხმდებოდა თანამშრომლობაზე, ზოგი დაწინაურების იმედით, მაგრამ უმრავლესობა სავსებით უანგაროდ დგამდა ამ -ნაბიჯს, რადგან ესმოდათ, რომ მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ამ ორი უწყების დამოკიდებულების გაჯანსაღება.

ხუთ წელზე მეტ ხანს, 1983 წლიდან 1989 წლამდე არსებობდა ეს ეჭვიანობისა და კონფრონტაციის ატმოსფერო, უნდა ითქვას, რომ სუკის აგენტების გამოვლინებაში მონაწილეობდნენ მილიციის არა მარტო კორუმპირებული, არამედ პატიოსანი მუშაკებიც. რას იზამ, ვის უხარია, როცა მის კოლეგებს შორის ინფორმატორები არიან-და მაინც, ყველას როდი ესმოდა სწორად სუკის ამოცანები ამ სფეროში.

უნდა ითქვას, რომ ყოველი ცივილიზებული ქვეყნის პოლიციის სამსახურში არსებობს უშიშროების ორგანოები—ეს ნორმალური, მსოფლიოში აღიარებული პრაქტიკაა. უშიშროების სამსახურის მთავარი იარაღი კი ინფორმატორები არიან.

1980-იანი წლების შუა ხანებში სუკს მწვავე კრიზისი დაუდგა—გახშირდა საგარეო დაზვერვის მუშაკთა ღალატის, საზღვარგარეთ გაქცევის შემთხვევები. 1979 წლიდან ოცზე მეტი ასეთი ფაქტი აღირიცხა. მას არც კორუფციის ვირუსი ასცდა: 1981 წლიდან ათზე მეტი

პასუხისმგებელი მუშაკი დააპატიმრეს ქრთამის აღებისათვის.

კრიზისმა თავი იჩინა აგრეთვე სახელმწიფოს უშიშროებისათვის შერჩეული მიმართულებების შეუსაბამობაში რეალურ შიდა და საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებასთან. „ერთგული ლენინელები“ ანდროპოვი და უსტინოვი ემორჩილებოდნენ ჭკუადაკარგულ სკკპ-ს ლიდერს და თვითონაც ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, პარტიულ ნომენკლატურას ვარსკვლავეთის ომებით აშინებდნენ. სუკის სტრატეგია გამომდინარეობდა პირველ რიგში ანდროპოვის მიერ ჩამოყალიბებული ამოცანიდან—არ დაეუშვათ „ნატოს“ ბირთვული თავდასხმა და ვამხილოთ ჩვენში საზღვარგარეთის სპეცსამსახურების საქმიანობა.

რა თქმა უნდა, ეს პრობლემები გადასაწყვეტი იყო, მაგრამ მათ სხვათა საზიანოდ ძალიან დიდი ყურადღება ეთმობოდა, რაც ხელს უშლიდა კორუფციასთან ბრძოლის კამპანიის გაჩაღებას—სუკის ორგანოებს ცალკეული მექრთამეებისა და დამტაცებლების გამოვლენის იქით აღარ უშვებდნენ, ასეთი ინფორმაციები გადაეცემოდა შსს ორგანოებს ან პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფებს, ან, უკეთეს შემთხვევაში, სეიფებში ინახებოდა.

საოცარია, მაგრამ კანონიერი ქურდების დაჯგუფებებსაც ისე უყურებდნენ, როგორც მათ, ვინც ანტისაბჭოურ მუშაობას ეწევა და ეს ხალხი თავს პროფესიონალებს უწოდებდა. შესაძლოა, იშვიათად ანტისაბჭოური განწყობილებაც იყო მათ შორის, მაგრამ კრიმინალური სტრუქტურებისათვის მთავარი სულ სხვა რამეა: გამორჩენა, კორუფციის გაფართოება და სახელმწიფოს ღონისძიებებისადმი წინააღმდეგობა.

ასეთი უაზრობა შეუძლებელია არ დაენახათ რიგით ოპერატიულ მუშაკებს თუ ქვეგანყოფილებათა უფროსებს. ისინი ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ, არ შეესრულებინათ ზემოდან დაშვებული დოქტრინები და ძირითად ყურადღებას ორგანიზებულ დანაშაულს, ცივილიზაციის მთავარ მტერს უთმობდნენ. ყოველივე ეს უნდობლობას ბადებდა ხელმძღვანელობისადმი და „ორმაგი ბუღალტერიის“ გაჩენას უწყობდა ხელს—ერთი ოფიციალური სტატისტიკისათვის, მეორე—მომავალში სერიოზული მუშაობისათვის.

ვითარება საშუალებას არ იძლეოდა ეფექტურად აღეკვეთათ დანაშაული ეკონომიკის სფეროში, მხოლოდ ჩრდილოვან ბიზნესზე ნაწილობრივი დაკვირვება და იმის გაგება ხერხდებოდა, თუ რა ძალები იდგნენ მათ უკან.

სუკის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფილიპ ბობკოვი პირველი მიხვდა, რა საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფოსათვის მაფია და გარკვეულ რისკზე წავიდა—მან მისცა სანქცია დანაშაულებრივ სამყა-

რომში ოპერატიულ მუშაობას. მთავარი სირთულე ცალკეული ორგანოების ხელმძღვანელთა დამორჩილება იყო, რადგან მათ მუშაობის ძველებური სტილი ჰქონდათ, რომლის ენერგიული დამცველიც იყო ძველი კონსერვატორი, სუკის თავმჯდომარე ჩებრიკოვი.

მსოფლიოს ვერც ერთი სპეცსამსახური ვერ ფლობდა ისე ვირტუოზულად აგენტურულ ტაქტიკას და სტრატეგიას, როგორც სუკი. საქმე მარტო აგენტების რაოდენობაში როდია, ამერიკის სპეცსამსახურებს ფართო საგენტო ქსელი აქვთ როგორც ქვეყანაში, ისე მის გარეთ, ისინი მდიდრები არიან, ფულის გადახდა შეუძლიათ, მაგრამ ტაქტიკა სულ სხვაა, სამამულო სპეცსამსახურებს აგენტების შეყვანის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ვთქვათ, თუ ობიექტისადმი აგენტურული მიდგომა არ ხერხდებოდა, მაშინ პრობლემას სხვაგვარად და სრულიად უბრალოდ წყვეტდნენ: ან ვინმეს მოისყიდდნენ მისი გარემოცვიდან, ან უფრო მაღალი კლასის აგენტს ჩართავდნენ საქმეში. ეს ტექნიკა უწვრილმანეს ნიუანსებამდეა დამუშავებული და ოსტატობის უმაღლეს დონემდე აყვანილი.

აგენტებისაგან წვეთწვეთობით მიღებული საინფორმაციო მასალები ბევრად განსაზღვრავდა არა მარტო სუკის მუშაობის მიმართულებებს, არამედ სახელმწიფოს შიგაპოლიტიკურ აქციებსაც. სამწუხაროდ, უშიშროების ორგანოები ხშირად მისდევდნენ ხოლმე არასწორად შერჩეულ სტრატეგიულ გეზს, რომელიც ინფორმაციის არასწორი შეფასებით ყალიბდებოდა. ეს „დაავადება" ყველა სპეცსამსახურისათვისაა დამახასიათებელი. ალბათ, ამით აიხსნება ანდროპოვის არასწორი წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ კორუფციის მოსპობით თითქოს სულ იოლად გადავჭრიდით ეკონომიკურ პრობლემებს. ან ავიღოთ ბირთვული რაკეტებით შესაძლო თავდასხმაზე დაკვირვების პროგრამა. რამდენი სახსარი ჩაიყარა წყალში, ნაცვლად იმისა, რომ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის, ორგანიზებულ დანაშაულთან მიზანდასახული ბრძოლისათვის მიექციათ მეტი ყურადღება.

საბჭოთა ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ პროფესიონალ დამნაშავეთა სამყარო 50-იან წლებში აღესრულა. არადა, ამ დროს ეს „პატივცემული საზოგადოება" სულ არ ჩქარობდა სიკვდილს. მრავალ ანგარიშში უკვე დასაფლავებული დამნაშავეთა სამყარო ვითარდებოდა, მერე კი თანდათან დაიწყო მისი აღორძინება, როგორც მძლავრი კრიმინალური ორგანიზაციისა, ბევრად უფრო გაწაფულის, ვიდრე აშშ-ს „კოზა ნოსტრაა". 80-იან წლებში ამ მონსტრმა დასავლეთისაკენ გაიკვალა გზა და იქ „რუსული მაფიის" სახელწოდება მიიღო.

## „გულაგის" სკოლა

„B" სამმართველო ფაქტიურად ყოფილი შინსახკომის ერთ-ერთი განყოფილების მემკვიდრე გახდა დამნაშავეთა სამყაროსთან და კორუფციასთან ბრძოლაში.

შინსახკომის იმ განყოფილებას 1931 წ. 8 მარტის №108-65 ბრძანება ავალებდა, მოეწყო მილიციის პირადი შემადგენლობისა და, კერძოდ, სისხლის სამართლის სამძებრო ჯგუფების წმენდა, აღეკვეთა მილიციის აგენტურულ აპარატში დამნაშავე ელემენტების შეღწევის ფაქტები.

საინტერესო ისაა, რომ ბრძანება რეკომენდაციას იძლეოდა ამ მიზნით პროლეტარიატსა და გლეხობასთან კლასობრივად ახლო მდგომი ადამიანები გამოეყენებინათ. პრაქტიკულად ეს მითითება ესმოდათ როგორც ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში სისხლის სამართლის დამნაშავეთა გამოყენების შესაძლებლობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი: მილიციის სამძებრო ორგანოებს სასტიკად აეკრძალა დამნაშავეებთან რაიმე შეთანხმება, ეს კანონის დარღვევად ითვლებოდა, ამიტომ მილიციას არც შეეძლო და არც ცდილობდა ახლოს შეესწავლა დამნაშავეთა სამყარო. მასზე ძალიან ზერელე წარმოდგენა ჰქონდათ, როგორც ქურდებისა და რეციდივისტების ბრბოზე, დანაშაულებრივი საქმიანობით რომ შოულობენ ფულს. მილიციას და სისხლის სამართლის სამძებროს სწორედ ამგვარი დანაშაულის მიკვლევა ევალებოდა. სისხლის სამართლის დამნაშავეებთან კონტაქტი, მის წიაღში შეღწევა სამშობლოს ღალატად ითვლებოდა.

ეს საქმიანობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პრეროგატივა იყო, კერძოდ, სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი ინსპექციისა, რომელიც ამუშავებდა და პრაქტიკაში ნერგავდა დანაშაულებრიობასთან ბრძოლის ახალ მეთოდებს.

1929 წლის შემდეგ სსრ კავშირში დაიწყო მასიური რეპრესიების ახალი ეტაპი. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღება, ტროცკი-ზინოვიევის ბლოკის განადგურება წინააღმდეგობას აწყდებოდა, რომელსაც ულმობლად ახშობდნენ და მალე პატიმართა რაოდენობამ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კოლოსალურ ციფრს მიაღწია. იმავე 1929 წელს შეიქმნა პატიმართა ბანაკების მთავარი სამმართველო („გულაგი"). ამ უწყების

ხელმძღვანელობას დაევალა ბანაკებში სისხლის სამართლის დამნაშავეებზე ოპერატიული ზედამხედველობა, საკონტროლო ფუნქციები შინსახკომის მთავარმა ინსპექციამ იკისრა.

მთავარ ინსპექციაში კარგად ესმოდათ, რომ ხალხის ეს უზარმაზარი მასა, რომელიც აუტანელ პირობებში იმყოფებოდა, აუცილებლად აჯანყდებოდა. ამიტომ დაიწყო ე. წ. „ურკაგანების"—სისხლის სამართლის პროფესიონალ დამნაშავეთა სასწრაფოდ გადმობირება აგენტებად. მათთან ურთიერთობისათვის საგანგებო ინსტრუქციებიც შეიმუშავეს. უნდა შეექმნათ დაჯგუფებები, რომელთაც სათავეში გადმობირებული ავტორიტეტები ჩაუდგებოდნენ. ისინი თავის თანამზრახველთა დახმარებით უზრუნველყოფდნენ დისციპლინის დაცვას „ტროცკისტებში" (ასე ეძახდნენ 58-ე მუხლით გასამართლებულთ). აკრძალული იყო, ავტორიტეტს უფლება არ ჰქონდა თვითონ მიეღო მონაწილეობა დამნაშავის დასჯაში, არც პირადი ნივთები უნდა ქონოდა იმაზე მეტი, რამდენიც რიგით პატიმარს ეკუთვნოდა, ოღონდ რეჟიმი მათთვის უფრო თავისუფალი იყო. გადმობირებულები არ მუშაობდნენ, თავისუფლად დადიოდნენ ბანაკის ტერიტორიაზე, უფლება ჰქონდათ შეხვედროდნენ საჭირო ხალხს და მიეღოთ ინფორმაცია. ადმინისტრაცია ყოველნაირად უწყობდა ხელს მათი ავტორიტეტის ამაღლებას, ამიტომაც შეარქვეს ზედმეტსახელად „ბლატნიე", ჟარგონის ენაზე—„ბლატარი".

მაგრამ მალე მათ საკუთარ თავს „კანონიერი ქურდი" უწოდეს. თუ დღეს რომელიმე მათგანს ჰკითხავ, რას ნიშნავს ეს გამოთქმა, ამაყად გიპასუხებენ: „კანონიერი" ნიშნავს, რომ ავტორიტეტი აღიარებულია კანონიერად და თავადაც ამ ქურდულ „კანონებს" იცავს. ასეც იყოს, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, ვინ მისცა ამ „ბლატნოებს" ნება, თავი საერთო მასისაგან გამოერჩიათ და რა მიზნით იყენებდნენ მათ.

ბანაკის უფროსისათვის „კანონიერი" ნიშნავდა, რომ ავტორიტეტი აგენტადაა გადმობირებული, ამიტომ მათ მეტ თავისუფლებას აძლევდნენ, კონტაქტებს არ ერიდებოდნენ, რადგან იცოდნენ, შინსახკომი ამისთვის არ დასჯიდათ. ყოველი ბანაკის უფროსი იმავე დროს ოპერატიული უფროსიც იყო, ისინი რეგულარულად იბარებდნენ ანგარიშს პატიმართა შორის აგენტურულ მუშაობაზე. „კანონიერ ქურდებსაც" ოპერატიული კონტაქტი ჰქონდათ მათთან. ესაა სიმართლე.

ომის წინა წლებში უშიშროების სამსახური, „კანონიერი ქურდები" რომ შექმნა, ყურადღებითაც მეურვეობდა მათ. ავტორიტეტის ყოველ ნაბიჯს მიღმა, ზოგჯერ სავსებით უანგაროდ რომ გამოიყურებოდა, სინამდვილეში ინსტრუქციის შესრულების აუცილებლობა იმალებოდა.

აი, ორი მაგალითი: „საბჭოთა კოსმონავტიკის მამის" ს. კოროლიოვის პატიმრობის ადგილზე მალულად მეურვეობდა კანონიერი ქურდი „ბატია" („ბატიას" ერთ-ერთი თანაშემწე ვიქტორ სიდორენკო—„კუკლა"—ახლაც იხდის სასჯელს შუა ურალის ბანაკში). სწორედ მან გადაარჩინა კოროლიოვი სიკვდილისაგან—საშინელ ყინვაში თავად გაიხადა ცხვრის ქურქი და მეცნიერს აჩუქა. მიზეზი: იგი გააფრთხილეს, რომ საკუთარი თავით აგებდა პასუხს „პროფესორის" (ასე ეძახდნენ ბანაკში კოროლიოვს) სიცოცხლისათვის. მეორე მაგალითი: ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე ქურდების ყრილობამ გადაწყვიტა, არ გაეძარცვათ სამხედროები, რაც განუხრელად, ზუსტად სრულდებოდა, რადგან ასეთი იყო ქურდული ბრძანება—მის უკან ოპერატიული სამსახურის ნება იგულისხმებოდა.

დამნაშავეთა ხელში დასაჭერად ავტორიტეტებს ეხმარებოდა 30-იან წლებში შემუშავებული დაუწერელი ქურდული კანონი. ეს იყო კრიმინალური პრაქტიკის საფუძველზე აგებული ქცევის წესები, რომელიც განუხრელად უნდა დაეცვა ქურდს. იმ წლებში ყველა ცდილობდა პირველ რიგში პოლიტიკური რეპრესიისაგან დაეზღვია თავი. საოცარია, როგორ ჰგავს მთავარი ინსპექციის რეკომენდაციები ქურდული ცხოვრების წესებს. ყოველ შემთხვევაში, ამ რეკომენდაციების სარჩული სავსებით შეესაბამება ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ქურდული ეთიკის პრინციპებს. იმ წესების მიხედვით ყველაზე მთავარი პოლიტიკაში ჩაურევლობაა. იმ დროს ეს პრინციპი იძლეოდა გარანტიას, რომ ავტორიტეტები, რომლებიც თავისირგვლივ სისხლის სამართლის დამნაშავეებს იკრებდნენ, ანტისაბჭოთა და სხვაგვარად მოაზროვნეთა ორგანიზაციებზე მონადირე შინსახკომის ყურადღებას არ მიიქცევდნენ.

მაგრამ ბანაკში მყოფი ვერც ერთი ქურდი ვერ რჩებოდა პოლიტიკის მიღმა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩეკისტების მითითების შესრულება უწევდათ. სხვათა შორის, პირიქითაც ხდებოდა—ბანაკების უფროსებიც ექცეოდნენ მათი გავლენის ქვეშ, რადგან კანონიერ ქურდს არა მარტო დისციპლინის ამაღლება შეეძლო, არამედ ზონისათვის საჭირო დეფიციტური მასალების შოვნაც და ბოლოსდაბოლოს, ბანაკის უფროსისთვის ფულის მიცემაც. ასე რომ, მექრთამეობა კოლონიებში სტალინურ დროშიც ჰყვაოდა.

კანონიერი ქურდები ცდილობდნენ,შორს დაეჭირათ თავი ხალხის დანარჩენი მასისაგან: მათი ცხოვრება აბსოლუტურად ჩაკეტილი იყო, საზოგადოების ყველა კანონს უგულებელჰყოფდნენ, აღიარებდნენ მხოლოდ შიდა ძმობასა და ურთიერთდახმარებას, თუმცა გასულ ათწლეულებში ბევრი რამ შეიცვალა მათ ქცევაში.

# „ფირთოხლები". ტაქტიკის შეცვლა

ძველი ქურდული ტრადიციების მომხრეები თანდათან თმობდნენ პოზიციებს, ამავე დროს, სულ უფრო დიდ როლს თამაშობდა დამნაშავეთა სამყაროს ლიდერების (უპირატესად კავკასიური წარმოშობის) ახალი გენერაცია—„ფირთოხლები". ეს „რეფორმატორები" არც ისეთ მეთოდებს უარყოფდნენ, როგორიცაა ძალადობა, რეკეტი, ქრთამის მიცემა და სხვა. მათ სამართალდამცავ ორგანოებსა და მთლიანად სახელმწიფოსთან ბრძოლის პოლიტიკური მეთოდებითაც შეავსეს არსენალი.

ასეთი ტაქტიკის გამოყენებას დასაბამი ალბათ 1988 წელს მიეცა, როცა „ძმა თენგიზმა" (ჭიჭინაძე თენგიზ გურამის ძე, დაბ. 1962 წ.) გაავრცელა ტექსტი „მიმართვა სსრკ-ის ყველა ნასამართლევ პირს". ამისათვის მას სცემა ძველმა ავტორიტეტმა ამირანმა, რადგან ქურდული ტრადიციებით მიღებული არაა წერილობით მიმართო „ხალხს და ქვეყანას", თუნდაც ყველა პატიმარს. ამ მოწოდებას წითელ ზოლად გასდევდა აზრი: „სანამ წითლები ერთმანეთში ჩხუბობენ, დროა ხელისუფლება ავიღოთ ხელში და პირველ რიგში—ვაიძულოთ სამართალდამცავი ორგანოები, შეასრულონ დამნაშავეთა სამყაროს ყველა მოთხოვნა".

1989 წლის სექტემბერი. ზონებში ლაზოსა და მამუკას ვოიაჟების შემდეგ ურთიერთდამოკიდებულება პატიმართა შორის გამწვავდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, „ერთმანეთს სცემენ, კლავენ, სასიკვდილოდ ჭრიან, აუპატიურებენ". აი, როგორ აბარებდნენ ოპერმუშაკები ანგარიშს უფროსებს: „პატიმართა უარყოფითი ნაწილი „ატრიცალოვკა", რომელიც გამოსწორების გზას არ ადგას, გააქტიურდა. იმ პატიმრებს, რომლებიც ადმინისტრაციის მხარეზე არიან, აძალებენ შეწყვიტონ მუშაობა, დალიონ სპირტიანი სასმელები, ილოთონ, გაიფიცონ. ამავე დროს ქალაქის სისხლის სამართლის დამნაშავეთა დაჯგუფებებიც გააქტიურდნენ ზონაში მყოფი ლიდერების მხარდასაჭერად: მკვეთრად გაიზარდა სპირტიანი სასმელებით, ნარკოტიკებით და კვების პროდუქტებით მათი მომარაგება. შესაძლოა პირველები მილიციელები შეეჩეხონ დამნაშავეთა სამყაროს ასეთ აშკარა წინააღმდეგობას".

## „ვოლფის“ აგენტურული შეტყობინებიდან

1989 წლის 10 ოქტომბერს კაფე „ოქროს რგოლში“ ქალაქის ავტორიტეტები შეიკრიბნენ. მას „ინსპექციის“ უფლებით ესწრებოდა კანონიერი ქურდი. შეკრებაზე მოილაპარაკეს, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა „გაათბონ“ (მოამარაგონ) ზონები, დააჩოქონ „მენთები“ და აიძულონ ისინი შეასრულონ დამნაშავეთა სამყაროს ყველა მოთხოვნა. მილიციის მოსასყიდად ფული არ დაინანონ, უარის მთქმელებზე გამოიყენონ ფიზიკური მეთოდები.

დავალება: შეხვდით შეკრების მონაწილეებს, ჩაწერეთ საუბარი მაგნიტოფონზე.

ღონისძიებები: ორგანიზებულ იქნას „ვოლფის“ შეხვედრების ოპერატიული კონტროლი, დადგინდეს მათი საცხოვრებელი ადგილები, სხვა მონაცემები.

ჩანაწერი:

თქვენი № დავალების შესრულების თაობაზე მოგახსენებთ: წინადადება შსს-ს თანამშრომელთაგან სპეცდანიშნულების ჯგუფების შექმნის შესახებ განხილულია. დამნაშავეთა დაჯგუფებების ლიდერების საერთო გააქტიურების გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხილული იქნას საკითხი სპეცდანიშნულების საშტატო ქვედანაყოფების მომზადებისა და მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის. ამასთან უნდა გამოიგზავნოს ინსტრუქტორი სასწავლო ცენტრიდან. თქვენი წინადადებები ყოველივე ზემოთაღნიშნულის თაობაზე მოხსენდება შს მინისტრს.

5 ოქტომბერს სვერდლოვსკის ოლქის შს სამმართველოს უფროსის მოადგილე ვოლოსიუკი სასწრაფოდ მოსალაპარაკებლად ეწვია სუკის სვერდლოვსკის განყოფილების უფროსს. მოახსენა, რომ 7 ზონაში, ერთდროულად 7 ნოემბრისათვის განზრახულია აჯანყების მოწყობა, მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის დამნაშავეთა დაჯგუფებები. ამ მონაცემებს მრავალი შეტყობინება და წყარო ადასტურებდა.

## აგენტ „ვოლფისაგან“ კავშირის სასწრაფო არხით მიღებული ინფორმაციიდან

სისხლის სამართლის ავტორიტეტს შილნიკს მიუტანეს წერილი (ქსივა) საერთო „ბანკეტის“ (ბუნტი) მომზადების შესახებ. მიზანი—ძალის დემონსტრირებით აიძულონ სამარ-

თალდამცავი ორგანოები წავიდნენ მოლაპარაკებაზე კანონიერ ქურდებთან. „ბანკეტი" დანიშნულია 7 ნოემბრისათვის.

## ამონაწერი აგენტ „მოლფისათვის" მიცემული წერილობითი დავალებიდან:

**6-7 ნოემბერს აუცილებლად უნდა შეძლოთ შილნიკის ნეიტრალიზება. გამოიყენეთ თქვენთან დაახლოებული ხალხი, გადაკეტეთ მისი კავშირის ყველა საშუალება.**

ზონაში საქმე მას შემდეგ გაუმჯობესდა, რაც სპეცდანიშნულების ჯგუფის ხუთმა ოფიცერმა ლოიალურ პატიმრებთან ერთად დაამუშავა „გამოუსწორებლები" (ატრიცალოვკა), ოფიცრებმა კოლონიის ყველა ადგილი შეამოწმეს. მათმა მოსვლამ შედეგი გამოიღო.

6 ნოემბერს შილნიკის სატელეფონო საუბარი მოისმინეს ქალაქის აბონენტთან: „ზონებში 7-8-ში ნუ ჩამოხვალთ, „მენთებმა" ყველაფერი გადაკეტეს".

„ატრიცალოვკა" ახლა აღარ უშლიდა „გლეხებს" ხელს და ისინი კვლავ თავისუფლად გადიოდნენ სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე, ამუშავდა დაზგები, მოწესრიგდა საწარმოო ციკლი. ეს ყველაფერი კარგი იყო, 10 ნოემბერს რომ რაღაც არნახული არ მომხდარიყო. მომხდარმა აიძულა ბევრი ოპერატიული მუშაკი დაესვა კითხვა: „რა არის ეს—ღალატი? შეტაკება ქურდულ სამყაროსთან? როგორც ამბობენ, იმ დღეს სრულიად უმიზეზოდ შეკრიბეს კლუბში 1000-მდე პატიმარი—ყველა, ვინც არ მუშაობდა. მათ წინაშე გამოვიდა გამოსასწორებელ საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე. იგი ბევრ რამეს დაჰპირდა პატიმრებს: „ამხანაგო პატიმრებო! ვკისრულობ თქვენი მოთხოვნების შესრულებას, რაც დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან. კოლონიის მუშაკები, რომლებიც ფიზიკურ ზემოქმედებას მიმართავენ, მკაცრად დაისჯებიან".

იმავე დღეს, საღამოს „პატრონთან" მივიდნენ „გამოუსწორებელთა" წარმომადგენლები. მათ ზონაში ლოკალური უბნების მოხსნა და მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი, უკონტროლო სიარულის უფლება მოითხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილობით იმუქრებოდნენ.

10 ნოემბერს ღამით დაუდგენელმა პირებმა მორიგის ჯიხური დაწვეს

მესამე ლოკალურ უბანზე სამ ცეცხლს წაუკიდებდნენ, მათ ისე გადაკეტეს მავთულით კარების სახელური, რომ გუშაგი ვერ გამოსულიყო. ასეთი შემთხვევები გრძელდებოდა ერთი კვირის მანძილზე. ხუთი პატიმარი გუშაგი მძიმედ დაიწვა ცეცხლმოკიდებული შენობებიდან გამოსვლისას.

წესრიგის დასამყარებლად სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრეს, ისევ ქურდული ავტორიტეტი მოიშველიეს. სვერდლოვსკელ კანონიერ ქურდს უფლება მიეცა კოლონიის ადმინისტრაციის სახელით მოლაპარაკებოდა „ატრიცალოვკას". ახლა ზონაში წესრიგს სისხლის სამართლის დამნაშავენი ამყარებდნენ. ყველა პატიმარი, ვინც ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდა, უფრო წყნარ ზონებში, ოლქის ფარგლებს გარეთ გაგზავნეს ეტაპით—მათაც სხვა რა გზა ჰქონდათ, თუ წინააღმდეგობას გასწევდნენ, სიკვდილი ემუქრებოდათ. შუა ურალს ქურდული ძალაუფლების ჩრდილი ეფარებოდა. მალე კოლონიის თანამშრომლები რეჟიმის დამრღვევებზე რაიმე გადამჭრელ ზომებს აღარც ღებულობდნენ, ოფიცრები უსალისოდ შედიოდნენ კოლონიის ტერიტორიაზე. ბევრმა მათგანმა გადაწყვიტა, პირდაპირ მოლაპარაკებოდა კრიმინალური სამყაროს ლიდერებს. კოლონიის ყველა შიდა პრობლემების მოგვარებაში მთავარ როლს საერთო სალაროები—„ობშაკები"—თამაშობდა, რომელშიც მკვეთრად იმატა თანხების შემოსვლამ.

ერთ-ერთი კოლონიის ეკონომიური მონაცემებით, 3 მილ. მან. (1989 წ. კურსით) ყოველწლიურად შედიოდა ქურდულ სალაროებში ჩრდილოვანი წარმოებისა და დატაცებისაგან. და ეს გამონაკლისი როდი იყო. ზონები ყველგან იქცა დანაშაულებრივი შემოსავლის წყაროებად და პატიმართა ნებისმიერი დაუმორჩილებლობა ავტორიტეტების მიმართ ფიზიკურად ისჯებოდა. გაიზარდა მკვლელობების რაოდენობა და ისინი ხდებოდა ავტორიტეტების პირდაპირი მითითებით. ფაქტიურად თავისუფალი კავშირი დამყარდა კრიმინალური სამყაროს ლიდერებთან კოლონიის გარეთ: ძალების შეერთებითა და დარაზმვით დამნაშავეთა სამყარო ახალ-ახალ პოზიციებს იგდებდა ხელთ. კანონიერმა ქურდებმა უკვე იმაზე დაიწყეს სერიოზული მსჯელობა, რომ დროა პოლიტიკური ძალაუფლება აიღონ ხელში ამ რეგიონში.

ღამე, ზონაში მუშაობა დამთავრდა. ტექნიკას არ უღალატნია: ქურდების საუბრის ჩანაწერი მშვენიერად გამოვიდა. ახლა ნათელია, რა უნდა გაკეთდეს. მალიშევმა, რომელიც დაღლილობისაგან ძლივს იდგა ფეხზე, სახლში წასვლა დააპირა.

—ახლა ზონის ახლოს სიარული ყოვლად სახიფათოა,—როგორც შეძლო, თავაზიანად გააფრთხილა მალიშევი კოლონიის ოპერმუშაკმა—შილნიკის „ტურები" დაბაში დაძრწიან, ყველას თავს ესხმიან, ვინც ცოტათი მაინც წაგვაგავს, შენ კი შუბლზე გაწერია, ვინც ხარ, მოდი, დარჩი, ჩაი დავლიოთ და დავიძინოთ. დილით კი—თქვენი ნებაა.

—ეს როგორ—არ დაეთანხმა მალიშევი—დილით ისევ მოსასვლელი ვარ.— და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მოულოდნელად თქვა:—იცი, ერთხელ ცოლი მეკითხება: რატომ იცინი ხოლმე, როცა შენს საქმეებზე ლაპარაკობო. რომ არ ვიტირო, ძვირფასო, რომ არ ვიტირო-მეთქი, ვუპასუხე.

—რა არის გაუგებარი,—ნაღვლიანად უპასუხა ოპერმუშაკმა—ჩვენი საქმიდან მაგის გარდა სხვა რა ხეირი გვაქვს, შეიძლება პირდაპირ ჩაისველო სიცილისაგან.

—აბა, წავედი, თუ გამიმართლა, ტაქსს დავიჭერ, თუ არა და, როგორმე ფეხითაც ჩავალ ქალაქში, კარგად, ივან პეტროვიჩ!

—ეჰ,—გადააქნია თავი ოპერმუშაკმა—როგორც ამბობენ ხოლმე, მამაცთა სიგიჟეს ვუმღერთ!

დაბა რუდნიკი ღამით თითქოს კვდება. ირგვლივ სიბნელეა, თან საშინელი ქარი უბერავს, სახეში სცემს. უცებ მალიშევი კინაღამ დაეჯახა სამეულს. კისერთან დანის გაყინული ფოლადი იგრძნო. არ გაუგონია, რა უთხრეს, საფრთხემ მასში მხეცი გააღვიძა, რომელსაც ადამიანური ენის გაგების უნარი აღარ ჰქონდა. წამით ნავარჯიშევი სხეულის სრული მოშვება იგრძნო, როგორც ჩვეოდა ხოლმე სუკის სასწავლო ცენტრში „რეინჯერებთან" უთვალავი და ულმობელი ბრძოლისას და უცებ სხეული მანქანად იქცა, ამის უნარი მრავალი წლის მძიმე და სპეციფიკურმა ვარჯიშმა ჩამოუყალიბა.

კისრის კუნთები დაძაბა, სწრაფად გადახტა უკან და ფეხი მძლავრად დაარტყა მეტოქეს. ჩექმის წვერი დანიანი კაცის წვივში შეერჭო. ბანდიტი ყვირილით ჩაიკეცა. ამ ყვირილმა მალიშევი რეალურ სამყაროში დააბრუნა. „აბა, დაიწყო. ჩეხვა!"—გაიფიქრა მან. ეს მართლაც ჩეხვა იყო. ასე კლავდნენ საქონელს. მეორედაც რომ ჩაარტყა წაქცეულს, მალიშევი უმალვე ინერციით შემობრუნდა და იმწამსვე უკან მდგომი დაანარცხა მიწაზე. მერე წამის რაღაც მონაკვეთში მესამესაც ჩაარტყა და ყველაფერი დამთავრდა. ნელა მივიდა ტელეფონავტომატის ჯიხურთან, „02" აკრიფა და ჩახლეჩილი ხმით თქვა: „აქ დაბა რუდნიკში სამი გვამია, გამოიძახეთ „სასწრაფო", იქნებ რომელიმეს ცოცხალს მოუსწროთ". უკანასკნელად გაიხედა იქით, სადაც სიბნელეში ეყარნენ ისინი, რამდენიმე წუთის წინ ამაყად რომ დადიოდნენ ამ მიწაზე და სოფლის გზით გასწია ქალაქისაკენ.

# პირველი სისხლი. განხეთქილება დამნაშავეთა სამყაროში

1990 წლის ივნისის ცხელი დღე იდგა. ხაზარი შეხვედრების ოთახში თავის „ნათესავებს“—თემურს და აზიზს ლებულობდა. საუბარს სედოი ესწრებოდა. მთავარი თემა—კაზინოს გახსნა რესტორან „კოსმოსში“ და თვით რესტორნის ყიდვის პრობლემა 1 მლნ. მანეთად. საქმეს ის ართულებდა, რომ ამ სანუკვარ „სამოთხეს“ სხვა პრეტენდენტებიც ჰყავდა. მათგან ყველაზე საშიში გრიგორი ციგანოვი იყო, ურალმაშის დაჯგუფების მეთაური, რომელიც ქალაქის ავტორიტეტებს არ ცნობდა. ურალმაშის გავლენის ზონა სადგურზე და მის მახლობლად აგებულ „კოსმოსზეც“ვრცელდებოდა.

ისინი, რა თქმა უნდა, სერიოზული მეტოქეები იყვნენ, მაგრამ თემური, რომელსაც არც თუ ისე ცოტა ჩხუბისთავი ჰყავდა, კაზინოს უშიშროების გარანტიას კისრულობდა. რაც შეეხება აზიზს, ის პროექტის ინტელექტუალური ავტორი იყო და კაზინოს თანამფლობელთან, იგორ ტარლანოვთან შედიოდა წილში. ეს გაქნილი საქმოსანი თავის შვილთან პაველსთან ერთად ხშირად სტუმრობდა კოლონიაში. ხაზარი მათ ყოველთვის გულთბილად ლებულობდა. გავლენიანი კანონიერი ქურდი სერიოზულ იმედს ამყარებდა ტარლანოვზე, მისი დახმარებით დიდი ფულის კეთება შეიძლებოდა. თავის მხრივ, ტარლანოვიც იყო დაინტერესებული ხაზართან კავშირით, აბა მილიციას ხომ არ დაიხმარდა რეკეტიორების მოცილებაში.

„ნათესავებმა“ მოილაპარაკეს და მანქანებით გაემგზავრნენ შინ, თან დათქვეს, რომ ტელეფონით შეატყობინებდნენ, როგორ იმგზავრეს. აქ დიდხანს ელოდნენ ზარს, ტელეფონი კი დუმდა. ბოლოს სედოიმ თვითონ დაურეკა აზიზს. „აზიზი მისი სახლის სადარბაზოში მოკლეს დანით“—ჩახლეჩილი ხმით უპასუხა ვიღაცამ.

„ცუდი ამბავია, ხაზარ!“—სანნაწილის პალატაში შესვლისთანავე უთხრა სედოიმ ხაზარს.

„რა, აზიზი მოკლეს?“

სედოის ცოტა გაუკვირდა ეს წინასწარმეტყველება, მაგრამ გაკვირვება არ შეიმჩნია. „ზუსტად მოარტყი!“—უთხრა წყნარად.

გვიან შეიტყვეს, როგორ მოხდა ყველაფერი. ჩანს, გამოცდილი მკვლელი მიეგზავნათ. ხაზარმა შურისძიების ფიცი დადო. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სწორედ გრიგორი ციგანოვმა ბრძანა აზიზის მოკვლა. ცხადია, ამ მკვლელობის მიზეზი კაზინო იყო. ფაქტიურად იმ საღამოს გადაწყდა ციგანოვის ბედი, ახლა შემსრულებელი უნდა მოეძებნათ. სე-

დოისთვის ამის თაობაზე არაფერი უთქვამს. უკვე მაშინ აწყობდა ხაზარი თანამებრძოლის მოცილების გეგმას, რომელმაც უკვე ნამეტანი ბევრი იცოდა. აზიზის სიკვდილიც დაეხმარა სედოის ზოგიერთი დასკვნის გაკეთებაში. ხაზარის ამ ნათესავის და ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწის სიკვდილი ადასტურებდა იმ ინფორმაციას, რომელიც სედოის მანამდე ჰქონდა ზონის იმ შენობების ოპერატიული კონტროლის წყალობით, რომლებშიც მისი მეტოქეები ცხოვრობდნენ. ხაზარი ცდილობდა, მყარად მოეკიდებინა ფეხი ურალში, მაგრამ ადგილობრივი კრიმინალური მეწარმეებისა და „სპორტსმენების“ მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა.

ერთ-ერთ შეკრებაზე ზონაში პატიმრებმა სედოის მოშორება მოითხოვეს, ამბობდნენ, თითქოს იგი „მენთებს“ ემსახურებოდა, აკრძალა სასმელების მიღება, მკაცრად ცემს „მუჟიკებს“ ლოთობისა და სამუშაოზე გამოუსვლელობისათვის. ამაზე ხაზარმა უპასუხა, რომ ჯერ არ არის სედოისთვის ანგარიშსწორების დრო, მაგრამ სიტყვა მისცა, ადრე თუ გვიან ბოლო მოეღებაო. თვით სედოი გულგრილად და შეიძლება ითქვას, ზერელედ მოეკიდა ხაზარის მუქარას—აბა რისი უნდა ეშინოდეს, ინფორმაციის არხები მის ხელშია, ურყევი ავტორიტეტი აქვს, უკან სვერდლოვსკელი „ვოლონტიორები“ უდგანან და ბოლოს, როგორც მას ეჩვენებოდა, მის აზრებს ძალიან აფასებდა ოპერატიული განყოფილების ხელმძღვანელობა, მისი რამდენიმე სიტყვა და ხაზარს ეტაპით გააგზავნიდნენ აქედან, ოლქის საზღვრებს იქით, სადაც არავითარი მხარდაჭერა აღარ ექნებოდა. სედოის იმედი ჰქონდა, რომ იმ ძალების დამორჩილებასაც შეძლებდა, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ ხაზარს, ხელს უშლიდნენ ურალში დამკვიდრებაში. სედოიმ ავტორიტეტები, თავისი მომხრეები—ალუნინი და ტრიფონი გამოიძახა მოსალაპარაკებლად. ისინი უყოყმანოდ აღიარებდნენ მის ავტორიტეტს.

ეს, საბედისწერო შეკრება 1991 წლის 21 სექტემბერს მოეწყო შეხვედრების ოთახში, სადაც იგი ისვენებდა თავის ქურდული „მასტის“ ცოლთან, რომელიც მას ნამდვილად უყვარდა და როგორც შეეძლო იცავდა კიდეც. ქალი კარგად იცნობდა დამნაშავეთა სამყაროს. სედოისთან შეხვედრამდე ის სხვა კანონიერ ქურდებს „ათბობდა“ ზონებში და გარკვეული ავტორიტეტიც ჰქონდა დამნაშავეთა სამყაროში. მან გააფრთხილა სედოი, რომ ხაზარი შეთანხმებულია კოლონიის უფროსთან, რომ ორივეს სედოი უშლის ხელს, ყელზე ადგათ. „პაპა“ არწმუნებდა „პატრონს“, სედოი უშიშროების დავალებით მოქმედებსო. პოდა, აბა რომელი კოლონიის უფროსი აიტანს გვერდით სუკის აგენტს?

ამ შეხვედრაზე ავტორიტეტები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა კავკასი-

ური ექსპანსიის შეჩერება. იქვე ხაზარი თავის სვერდლოვსკელ რიგით „ნათესავებს“ ღებულობდა. ტრიფონი „პაპას“ ერთ-ერთ სანდო პირს დერეფანში შეხვდა, ოთახში შეათრია და ასალაპარაკებლად „მკაცრი დაკითხვა“ მოუწყო, საცოდავს შარვალი გახადეს და უძლოდ უკანა ტანში შამფური შეუყვანათ. ეგზეკუცია სედოის ცოლმა შეაჩერა.

ეს ამბავი რომ შეიტყო, ხაზარმა ღამით თავისი ხალხი დაიბარა და სედოის სასიკვდილო განაჩენი გამოაცხადა. მან თავის ხელქვეითებს დაავალა, ფეხზე დაეყენებინათ სედოის ყველა მეტოქე. მათ მოახერხეს იმ პატიმართა ნეიტრალიზება, ვინც ცდილობდა რუსი ავტორიტეტისთვის დაეჭირა მხარი. გააფრთხილეს, თუ ზონაში გასვალთ, თქვენც ისევე მოგექცევიან, როგორც სედოის. ბევრმა იფიქრა, სედოი უკვე მკვდარიაო და ხაზარის ხალხმა გაიმარჯვა.

მხოლოდ ერთმა ადამიანმა შეაღწია სედოისთან, რომელიც შეხვედრების ოთახში გამაგრდა. მან არასასიამოვნო ამბავი მიიტანა — ერთ საათში, შეიძლება უფრო ადრეც, შეხვედრების ოთახს შეუტევდნენ. რამდენ ხანს გაუძლებს — 5 წუთს? ათს? მაგრამ ხაზარმა, როგორც წინდახედულმა კაცმა, ოლქში წერილი გაავრცელა, რომ სედოი ქვეწარმავალია. ამაზე უარესი სახელი აღარ არსებობს. „ქვეწარმავალი“ უფრო საზიზღარია, ვიდრე „ძუკნა“, ამ სიტყვებით გმობენ იმას, ვინც უღალატა დამნაშავეთა სამყაროს და სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი. ეს იგივე კეთროვანია, ყველას ეკრძალება მისთვის დახმარების გაწევა, მასთან ურთიერთობაც კი არ შეიძლება. ყოველი სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც მის საკანში მოხვდება, ვალდებულია მოკლას იგი, თორემ თვითონ მიუსჯიან სიკვდილს. მხოლოდ სასწაული თუ იხსნიდა სედოის.

ოპერატიული ჯგუფი საბაზო საიდუმლო ბინაში მოეწყო. ახლა ერთ რამესღა ნატრობდნენ — შხაპს, ცოტა არაყს და ძილს, ისე დაიღალნენ სამდღიანი უწყვეტი სმენითი კონტროლით, მაგრამ კმაყოფილების გრძნობასაც არ მალავდნენ. მკაცრი რეჟიმის ზონაში ეტაპირებული კანონიერი ქურდების დაჯგუფებაში შეყვანილი აგენტი ვირტუოზულად მუშაობს, თითქოს ოქმს წერდეს, ავტორიტეტები დაწვრილებით უყვებიან, თუ რა ბოღმა დაუგროვდათ ბანაკებში წლების მანძილზე. როცა ისეთ რთულ საქმეს კიდებ ხელს, როგორიც ქურდული შეკრებების ოპერატიული დოკუმენტირებაა, წარმატებას იშვიათად უნდა ელოდე, ამჯერად კი არაჩვეულებრივი „თევზი დაიჭირეს“ — სრულყოფილად ჩაწე-

რეს მაგნიტოფონზე ლიონკა ზაბოლოტსკის „კურთხევა", ახლა ის კანონიერი ქურდია, მეტსახელად „ბალოტი".

ოპერჯგუფმა მასზე დაკვირვება ერთი წლის წინ დაიწყო, როცა ქურდული ავტორიტეტების დავალებით დამნაშავეთა სამყაროს „ზედამხედველად" დასრიალებდა ნიკელითა და ოქროთი მდიდარ შუა ურალის ჩრდილო რაიონებში. დინჯად იკეთებდა კანონიერი ქურდის კარიერას, ავტორიტეტს იხვეჭდა ადგილობრივ დამნაშავეთა სამყაროში და აქაური ზონების „გლეხებთან". ყველა საქმის გარჩევას იგი მშვიდობიანად ამთავრებდა, მაგრამ არ ავიწყდებოდა შეეხსენებინა მათთვის, რომ საჭირო იყო სალაროს შევსება, თვითონ კი საერთო ფულს ხელს არ ახლებდა. ერთხელ ზაბოლოტსკი სუროვოში ქენია ლისტოჩკას დაჯგუფების ხალხთან არჩევდა საქმეს. იგი დაიჭირეს და ოპერატიულმა მუშაკებმა ძლივს გამოსტაცეს ხელიდან „მაესტრო" გამოუცდელ მილიციელებს, მერე კი კაფეს დირექტორის კაბინეტში ჩაკეტეს, რომელთანაც წინასწარ იყვნენ შეთანხმებული. ზაბოლოტსკი ძირს დავარდა და თავს იატაკზე ურტყამდა, ეპილეფსიის სიმულაციას ცდილობდა. ოპერატიულმა მუშაკმა „კრუტოი ვოვამ", გარე დაზვერვის სამსახურის უფროსმა მზვერავმა, ზაბოლოტსკის სილა გააწნა და უპატრონო ძაღლივით გააგდო ქუჩაში, გააშვებინა. ახლა ის კანონიერი ქურდია, რა სამწუხაროა, რომ საშუალება არა აქვთ მიულოცონ.

ზაბოლოტსკის გვირგვინი ხაზარმა დაადგა. იგი მოხერხებული ურალელი ბიჭების მიმხრობას ცდილობდა. ლიონკა კი, გარდა იმისა, რომ ადგილობრივი იყო, ბევრ ვინმეს იცნობდა, ვისაც ოქროსთან ჰქონდა საქმე.

კურთხევა ოპერმუშაკებთან შეთანხმებით ბლიმმა უზრუნველყო. მას სხვა გზა არც ჰქონდა, ეშინოდა, სასჯელი არ დამიმატონ ან იმ ორი მკვლელობისთვის დახვრეტა არ მომცენო. იფიცებოდა, რომ უნდა ამ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტა და ცოლის შერთვა. ეს სიმართლეს ჰგავდა, მისი მეგობარი ქალი ხშირად მოდიოდა ბანკში და უფროსებისაგან ქორწინების ნებას ითხოვდა.

კურთხევაზე სვამდნენ ჩეფირს, მსურველებისათვის იყო ყავა და კონიაკიც. ვიწრო ქურდულ წრეში აღნიშნა ლიონკას შესანიშნავი გმირობები, ციხეში მისი სწავლების შედეგები და ყველაფერი ფირზე ჩაიწერა. ხაზარი მოკლე სიტყვით გამოვიდა, გზადაგზა განცხადებებს აკეთებდა: ვიღაცა გაკიცხა ქურდული ტრადიციების დარღვევისათვის, სასიკვდილო განაჩენი გამოუცხადა მეტოქეებს და ა. შ.

მაგრამ ლიონკას „კურთხევა" ეს ეგზოტიკაა და მხოლოდ ეგზოტიკა. ღონისძიების მთავარი მიზანი სედოის შემოწმება იყო, რომელმაც ადრე

ხელი მოაწერა მოწოდებას, აჯანყებები დაეწყოთ ზონებში მილიციისა და „წითლების" წინააღმდეგ.

ის იყო, ოპერატიულმა მუშაკებმა აღჭურვილობა მოიხსნეს, რომ მოულოდნელად სასწრაფო გამოძახების სიგნალი გაისმა. საფრთხის შესახებ რადიო „რადუგით" იტყობინებოდნენ. სპეცდანიშნულების ჯგუფი 25 ოფიცრის შემადგენლობით წინასწარ მომზადებული გზებით შევიდა ზონაში და ალყა შემოარტყა საერთო საცხოვრებლის მთავარ კორპუსს. ქარიშხალივით ჩამოირბინეს შენობები, სადაც „გამოუსწორებლები" ჩაიკეტნენ და უკვე 24 წუთის შემდეგ 600 პატიმარი მოიყვანეს პლაცის ცენტრში, აქ ისინი შედარებით უშიშრად იყვნენ და შორიდან უცქერდნენ, როგორ თავზარდაცემულნი სტოვებდნენ „გამოუსწორებლები" შენობას და სირბილით შეიჭრებოდნენ პატიმართა ჯგუფში თავის შესაფარებლად. მერე თანდათან ყველამ პლაცის გასწვრივ მოიყარა თავი. მარცხენა ფლანგს რამდენიმე პატიმარი გამოეყო და სპეცრაზმელებს მიუახლოვდა. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ პირდაპირ უთხრა ოფიცერს:„უფროსო, ჩვენ თქვენთან ვართ, თუ საჭიროა, დაგეხმარებით, დროა დაწყნარდეს ცხოვრება, პირდაპირ სული გაგვიმწარეს".

უცებ ცენტრი გაიშალა, თითქოს ბრძანებას დაემორჩილნენ და მსუქანი ტანის, ხის მოჩუქურთმებულ ხელჯოხიანი კაცი ნელი ნაბიჯით, თითქოს ირწეოდა, გამოვიდა წინ. ეს გასლდათ ხაზარი, მას თან თავისი წვრილფეხობა ახლდა. იგი უფროსთან მივიდა და უთხრა: ტყუილად შეწუხდით, უფროსო, ყველაფერი რიგზე იქნება. თუ ეს ძუკნა ძაღლები გამოსვლას დააპირებენ,—მან ხალხზე მიუთითა,—თქვენეში ყველას ჭკუას ასწავლიან, მე კი ბარაკებში გავივლი და დანარჩენებს მოვუვლი.

სანამ სპეცდანიშნულების რაზმელები ზონაში წესრიგს ამყარებდნენ და მთელი ყურადღება მოედნისკენ იყო მიპყრობილი, სამსახურებრივი შემოსასვლელიდან შეხვედრების ოთახში შინაგანი ჯარების ფორმიანი ოფიცერი შევიდა. ის კატასავით ჩუმად, ფეხაკრეფით მიუახლოვდა №2 ოთახს, მორზეს ანბანით დააკაკუნა ციფრი 7 და სწრაფად დაიმალა ბნელ ტამბურში.

კარი იმწამსვე გაიღო და პატიმრის სამოსიანი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა—ეს უგოლიოკი იყო. მან გულმოდგინედ დახურა კარი და ტამბურში ოფიცრის შემდეგ შევიდა. არ მისალმებია, არც გაუხედავს მისკენ, ისე უთხრა:

—იძულებული ვიყავი განგაშის სიგნალი მომეცა. კარგად მოიფიქრეთ, თქვენი ხელსაწყო რომ ჩემს ლეიბში ჩადეთ. საიმედოდ მუშაობს, თქვენმა ხალხმა სწრაფად დააწყნარა ზონა.—მერე გაჩუმდა, ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო—სედოის ბედი გადაწყვეტილია, ხაზარმა ღამით შეკრება მოაწყო და ქვეწარმავლად გამოაცხადა. ახლა მისი ზონაში გამოსვლა არ შეიძლება. მისი კაცი, რიჟი, ხაზარისას გადავიდა—მერე ხელი ძირს ჩამოუშვა და ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით ამოიღო წინდიდან 357 კალიბრიანი რევოლვერი „რუგერი"—წაიღეთ, „შმონი" იქნება.

—ვინ მოგცა?

უგოლიოკმა თავი ასწია და ჩაიქირქილა:

—დარწმუნებული ხართ, რომ ყოველთვის მომისწრებთ და დამეხმარებით? მე კი როგორმე უნდა დავიცვა თავი ამ მგლებისაგან.

ოპერმუშაკი რევოლვერს დააცქერდა.

—ბევრია ასეთი სათამაშო ზონაში?

—ქვეყნის იარაღი აქვთ, მე ხომ გამოგიგზავნეთ ორი თვითნაკეთი რევოლვერი.

—გასაგებია.

—როგორც ჩანს, სედოის პარტიამ წააგო, ახლა კავკასიელები „მუჟიკების" შევიწროებას დაიწყებენ. ხალხი დაშინებულია, თქვენი სპეციდანიშნულების რაზმიც ველარ უშველის საქმეს. თქვენ წასვლით, კავკასიელები კვლავ თავის საქმეს გააგრძელებენ. ამ კვირაში ხაზარმა ხუთი კაცი ქვეწარმავლად გამოაცხადა, თვითონ კოლონიის უფროსთან სვამს ჩაის, ატყვილებს, საწარმოო მაჩვენებლები ცამდე გაიზრდებაო, ამ დროს კი ლიონკა ზაბოლოტსკის დახმარებით ნარკოტიკებთან და ოქროსთან აქვს საქმე. ნუთუ თქვენი უფროსები ჯერ ვერ მიხვდნენ, რომ კავკასიელებს ურალი მთლიანად სჭირდებათ?

ოპერმუშაკს გაეღიმა.

—უფროსები მიდიან და მოდიან. დღეს ჩვენ უნდა შევისწავლოთ, დავაკვირდეთ, ხვალ კი მოქმედების დრო დადგება.

უგოლიოკს რაღაცა გაახსენდა და გამოცოცხლდა.

—იცით თუ არა, რომ ხაზარს აქედან ერევნელ კანონიერ ქურდ რაფთან აქვს კავშირი. რაფი კი მოსკოვში (მოსკოვის ქურდებისა და კავშირის მონაცემებს მოგცემთ) ატარებს სავალუტო ოპერაციებს ბერლინთან. იქაც ფართო მასშტაბით აქვს გაშლილი საქმე.

—ვინაა ეს რაფი?

—რაფი „ოჯახის მამა" მოსკოვში. მოსკოვის ყველა, ათიოდე უმსხვილესი დაჯგუფება ემორჩილება.

—შენ რა იცი!

კვლავ შეუმჩნეველი მოძრაობა.

—აი, რადიოსანიშნე და ფირზე ჩანაწერი. ხაზარის ბევრი საინტერესო ლაპარაკი მაქვს ჩაწერილი.

ხაზართან ჩხუბის შემდეგ სედოი ზონიდან ციხეში გადაიყვანეს. თვეზე მეტ ხანს მარტო იჯდა საკანში, მერე კი ოლქიდან გაიყვანეს. სულ ცოტა ხნის წინ ამ ძლევამოსილმა ავტორიტეტმა სცადა ცნობები შეეკრიბა ხაზართან დამნაშავეთა დაჯგუფებების დამოკიდებულების თაობაზე. გამოირკვა, რომ მას ვერავინ დაეხმარებოდა—ხაზარი უფროსის პრივილეგიებით სარგებლობდა და მისი სიტყვა კანონი იყო. ამ დროს დამნაშავეთა სამყაროში არევ-დარევა მოხდა. მათ შორის ბზარი გაჩნდა. სედოისთან მხოლოდ მისი ერთგული მეგობრები—ელუნინი და ტრიფონი დარჩნენ, რუსეთის დამნაშავეთა სამყაროს ყველაზე კაშკაშა „ვარსკვლავები". მათ მიზნად დაისახეს „აზიელთა ქურდული სალაროების დაბომბვა". ასე გაანადგურეს ნარკოტიკების გასაღებით შექმნილი სალარო (ობშიაკი) ტაშკენტში, რომელიც ხაზარს ურალში უნდა გადაეტანა. ელუნინი და ტრიფონი სედოის მსგავსად ქვეწარმავლებად გამოაცხადეს, მაგრამ მათ უფრო ინტელიგენტურად მოექცნენ—მილიციას გადასცეს. ტრიფონი დაიჭირეს, ხოლო ელუნინი გაიქცა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

# „ქურდბაცაცა გამოვიდა ნისლიდან“... ინტრიგები და ხოცვა-ჟლეტა

ინტერპოლის მონაცემებით, რუსეთი მსოფლიოში ყველაზე კრიმინოგენური ქვეყანაა. სამამულო სპეციალისტების ცნობებით, ეკატერინბურგი ქვეყანაში ყველაზე განგსტერული ქალაქი გახდა, სვერდლოვსკის ოლქს კი პირველი ადგილი უჭირავს რუსეთში მკვლელობებისა და სხვა მძიმე დანაშაულთა რაოდენობით. უკანასკნელ ხანს აქ განხორციელდა ე. წ. „დაკვეთით“ მკვლელობების მთელი სერია. ტერორისტული აქტები კლასიკური საფარების მოწყობის მეთოდით, ავტომატური იარაღის უხადო, პროფესიული ხმარება, გულგრილი მოქმედება, კონსპირირების უმაღლესი ჩვევები, უგზო-უკვლოდ მიმალვის უნარი,—ყოველივე ეს მეტყველებს, რომ „კილერები“ უცნობ ადგილებში გადიან სპეციალურ მომზადებას.

ამ მკვლელობებმა, რომელთა რაოდენობა ასზე მეტია და მათგან არც ერთი არაა გახსნილი, ნამდვილი პანიკა გამოიწვია კომერციულ წრეებში, რეგიონში სოციალური დაძაბულობა გაძლიერდა.

არსებობს რამდენიმე ოფიციალური ვერსია: მეტოქეობა ყოფილი პარტიულ-კომკავშირული ნომენკლატურის კომერციულ სტრუქტურებში მოთავსებულ კაპიტალზე და კრიმინალური გზით შეძენილი კაპიტალი. კავკასიის დანაშაულებრივი კლანები ცდილობენ განდევნონ ადგილობრივი მეწარმეები ურალის მდიდარი ბაზრიდან (ფერადი ლითონების, ოქროს, ხე-ტყის, ძვირფასი თვლების) და შექმნან რეგიონალური ქურდული საერთო სალარო, რომელიც კავკასიელ და ამიერკავკასიელ კანონიერ ქურდებს დაექვემდებარება. და ბოლოს, ცენტრალური ქურდული სალარო (მოსკოვის) ცდილობს დაიმორჩილოს შუა ურალის კრიმინალური სტრუქტურები და ადგილობრივი ბიზნესი.

ყველა ეს ვერსია ცალმხრივია და შედგენილია რეგიონის დანაშაულებრივ სამყაროში 1990 წ. შექმნილი ვითარებისა და კრიმინალური ძალების განლაგების გაუთვალისწინებლად.

„ნადირობის“ სეზონი 1990 წლის ივნისში გაიხსნა, როცა სახლის სადარბაზოში ხაზარის უასლოესი თანაშემწე აზიზი მოკლეს.

1991 წლის ივნისში კლავენ ურალმაშის დაჯგუფების ლიდერს ციგანოვს. მას ღამით, თოფით ესროლეს ფანჯარაში. 1992 წ. 2 აპრილს ღამით უგზოუკვლოდ დაიკარგა პავლე ტარლანოვი, გამოცდილი საქმოსნის, სვერდლოვსკის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანის შვილი. უმცროსი ტარლანოვის დაკარგვის შემდეგ ხაზარი მივიდა აზიზის საფლავზე, მუსულმანური წესით გადააქცია ხარის სისხლი და თქვა: „მე შენთვის შური ვიძიე" (ამ ღამის ვიზიტის ვიდეოჩანაწერი ინახება ეკატერინბურგის შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებაში). მაგრამ ხაზარმა იჩქარა, პავლე ტარლანოვს აზიზის სიკვდილთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და ამიტომ მასზე შური არ უნდა ეძიათ.

უფროსი ტარლანოვი ყველა ზომას ღებულობდა შვილის მკვლელის მოსაძებნად და 1992 წ. მაისში ისიც მოკლეს — სნაიპერმა მეზობელი სახლის სახურავიდან ესროლა.

1992 წლის ივნისში, საკუთარ ბინაში, ფანჯრიდან, პისტოლეტიდან გასროლით მოკლეს კანონიერი ქურდი ხორიოკი, რომელიც ორგანოებს წინა მკვლელობების გამოძიებაში ეხმარებოდა.

1992 წლის სექტემბერში „ვოლვოს" სალონში მაკაროვის პისტოლეტით მოკლეს ეკატერინბურგის ცნობილი მეწარმე „ევრო-აზიური კომპანიის" პრეზიდენტი ვიქტორ ტერნიაკი და მისი მცველები.

1992 წლის ოქტომბერში ეკატერინბურგის ცენტრში, დღისით, მზისით ავტომატით დემონსტრაციულად დახვრიტეს ოლეგ ვაგინი, კრიმინალი მეწარმე ურალის სასაქონლო-სანედლეულო ბირჟის თანამფლობელი.

1993 წლის მარტში, ავტომანქანაში ავტომატით მოკლეს ვაგინის თანაშემწე კრიმინალურ საქმეებში მალოფეევი.

სწორედ ამ მკვლელობებმა, რომელთაგან არც ერთი არ გახსნილა, ჯაჭვური რეაქციის წესით ახალი მძიმე დანაშაულობანი გამოიწვია და საგონებელში ჩააგდო შინაგან საქმეთა ორგანოები. დიდი ავტორიტეტის მქონე კანონიერი ქურდებიც ვერ გაერკვნენ, რა ძალები ათამაშებდნენ ამ სისხლიან დრამებს.

მოდი, ვცადოთ და დამნაშავეთა სამყაროს კულისებში შევიხედოთ.

გსურს მდიდარი იყო? — კი, პატრონო, ოღონდ გადაიხადე! ეს რუსული კომერციის პირველი ოქროს წესია. სხვანაირად მდიდარი ვერ იქნები — გაგატყავებენ რეკეტიორები.

იგორ ტარლანოვს მხოლოდ კი არ გაეგონა სამამულო მეწარმეობის

წესები, არამედ ყველაფერი მშვენივრად იცოდა. ესმოდა, რომ სჯობს ტყუილად არ იფართხალო. პატიმართა ძმობის კანონებმა იგი პურის ნაჭრის გაყოფას მიაჩვია და არა მარტო პურის. ახლა კი, სვერდლოვსკის ყველაზე მდიდარი კომერსანტი რომ გახდა, არ შეეძლო დამნაშავეთა სამყაროს „გენერლების“ კეთილდღეობაზე არ ეზრუნა. ოღონდ საკითხავია, ვინ აერჩია მფარველად. დრო არ იცდიდა. ტარლანოვი ყველაფერს აკეთებდა, რომ რესტორან „კოსმოსში“ კაზინო მოეწყო. ჩანაფიქრი მარტივი იყო: მილიონ მანეთად იყიდის რესტორნის შენობას, დადგამს სათამაშო მაგიდებს და საქმეც აეწყობა — ფულის შოვნის უფრო საიმედო წყარო დღეს არ არსებობს. კაპიტალს რომ დააგროვებს, მიწას შეისყიდის ქალაქის ცენტრში, ძველი, რევოლუციამდე აშენებული ნაგებობებით, ვაჭარ იპატიევის იმ სახლის ჩათვლით, რომელშიც მეფის ოჯახი მოკლეს.

ასე ემზადებოდა იგი ფართომასშტაბიანი ბიზნესისათვის. იპატიევის სახლის ირგვლივ, ცარიელ ადგილზე აპირებდა ბანკის, სასტუმროს კომპლექსის, ჩამოსული საქმოსანი ხალხისათვის საცხოვრებელი სახლების აშენებას — მალე ხომ მთელი კომერციული სამყარო ურალისაკენ გამოემართება.

მაგრამ არსებობდა ერთი პრობლემა — რეკეტი. ამ ადამიანების სიხარბე და თავხედობა, პარაზიტულად რომ ცხოვრობენ, კარგადაა ცნობილი. სვერდლოვსკის ხულიგნურ გარემოში ისინი ყოველთვის გამოირჩეოდნენ დიდგულობით, დამოუკიდებლობით, ქურდული წესების უგულვებელყოფით. მათაც უნდა მიუჩინო თავისი ადგილი, თორემ ფული წყალში გადაგეყრება.

ტარლანოვს განსაკუთრებით ორი მათგანი აღელვებდა — ურალმაშელთა ლიდერი გრ. ციგანოვი და რეკეტიორების ცენტრალური ჯგუფის ხელმძღვანელი ოლეგ ვაგინი. ციგანოვი თავის მხარეზე იბირებდა ყოფილ პატიმრებს, რომლებსაც ბანკებში ჩაგრავდნენ ავტორიტეტები, ასევე იმხრობდა სპორტსმენებსაც. მისი ავტორიტეტი უკვე ძალიან დიდი იყო დამნაშავეთა სამყაროში.

რაც შეეხება ვაგინს, ეს იყო მძვინვარე და შეუბრალებელი მხეცი. მან თავისი კაპიტალი რეკეტით დააგროვა. როცა დამნაშავეთა ახალგაზრდულ დაჯგუფებას ჩაუდგა სათავეში, თავისი გავლენა აზარტული თამაშების ბიზნესზეც გაავრცელა და ახლა უკვე ლეგალურ მეწარმეებთან გაერთიანებას ცდილობდა. მოახერხა და ურალის სასაქონლო-სანედლეულო ბირჟის თანამფლობელი გახდა, რომლის ირგვლივაც კრიმინალებმა დაიწყეს თავმოყრა.

1992 წლის აპრილში ვაგინმა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის

სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ა. პარაბანჩიკოვს გამოუცხადა, რომ ის და მისი თანამოაზრეები მალე ქალაქის ბატონ-პატრონები გახდებიან. მან საქველმოქმედო მიზნებით სვერდლოვსკის შს სამმართველოს 10 მლნ. მან. გადაურიცხა, ხოლო ქალაქს 2 ტროლეიბუსი აჩუქა. „ქალაქის მამამთავრებმა" კარგად იცოდნენ, ვინ იყო ვაგინი, როგორ დააგროვა თავისი კაპიტალი (ყაჩაღობა, ძალადობა, ძარცვა) და ის ფაქტი, რომ მათ მიიღეს საჩუქრები, ერთობ პიკანტური დეტალია და ცალკე მსჯელობის საგანია.

ვაგინის ერთადერთი ეკონომიკური მეტოქე იყო ვიქტორ ტერნიაკი, „ევროპულ-აზიური კომპანიის" პრეზიდენტი, რომელიც ყოფილი პარტიულ-კომკავშირული ნომენკლატურის ინტერესებს გამოხატავდა. მისი კომპანია წარმატებით ამყარებდა საქმიან კავშირებს სვერდლოვსკის ყველა მსხვილ სამრეწველო საწარმოსთან და დიდი შემოსავალიც ჰქონდა. ყველაზე დიდ მოგებას ჰპირდებოდათ თავდაცვითი მრეწველობის გიგანტთან—კალინინის სახელობის ქარხანასთან კონტრაქტი დასავლეთში საექსპორტოდ ფერადი ლითონების მიწოდების შესახებ.

ტერნიაკმა ვაგინს უარი უთხრა რესტორან „სტარაია კრეპოსტ'ში" სასმელების იატაკქვეშა გაყიდვისაგან მიღებული შემოსავლის გაყოფაზე, ამიტომაც, ერთ-ერთ ბანკეტზე, რომელიც ტერნიაკმა გადაიხადა, მოულოდნელად ვაგინი შეიჭრა თავისი ბიჭებით და სასტიკად სცემა იგი.

ჰოდა, ასეთი ხალხისათვის, როგორიც ვაგინი და გრ. ციგანოვი იყო, მხოლოდ კანონიერ ქურდებს შეეძლოთ ჭამის მადა დაეკარგათ.

—ვინ ავირჩიოთ?—ფიქრობდა ტარლანოვი—კანონიერი ქურდი ჩერეპანი, „საერთო სალაროს" მფლობელი, რომელიც მძიმედაა დაავადებული კუჭის კიბოთი? ანტიპი? თავისუფალია, მაგრამ ისიც უძლურია, ტუბერკულოზი სჭირს, მაშ, ვინღა დარჩა? მხოლოდ ხაზარი!

ტარლანოვს ესმოდა, რომ კანონიერი ქურდები ურალში ჩამოსული ხალხია, უწინ ისინი იატაკქვეშა მეწარმეთა საამქროების საქმეებში ჩარევას ვერ ბედავდნენ, როგორც ამას სამხრეთში ახერხებდნენ, თანაც ტარლანოვი სტალინური წრთობის ზოგიერთ ჩეკისტთან მეგობრობდა. აქ, ქვეყნის თავდაცვით ცენტრში, მათ დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ.

მაგრამ ახლა სულ სხვა დრო დადგა. „მედაფნეებმა" (კავკასიელი კანონიერი ქურდები) თითქოსდა შორიდან იგრძნეს ურალის ოქროს საბადო. და აი, ხაზარმა დასვა თუ არა თემური ზედამხედველად სვერდლოვსკში, დაიწყო რეგიონში დამკვიდრება. ის „ჩაგრულთა და დამაშვრალთა" დამცველის როლს კისრულობდა, უარყოფდა ნაციონა-

ლიზმს. „მუჟიკებს“ პირდებოდა ზონებში თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას, ემუქრებოდა რეკეტიორებს: „ისინი ცოცხლად შევწვათ და შევჭამოთ“.

ამ დროს კანონიერი ქურდების მხარდასაჭერად ვლადიმირის ცენტრიდან მიმართვა გავრცელდა დამნაშავეთა სამყაროსადმი: „ამჟამად ვლადიმირის დახურულ ზონაში შვიდი ქურდი იმყოფება. ახლა ქურდების მიერ ყველგან უნდა აღიკვეთოს სიბინძურის გავრცელება და ქურდების გაკიცხვა, როგორც ცოცხლების, ასევე გარდაცვლილებისა, განსაკუთრებით იმ პირთა მიერ, ვინც ნაციონალისტურ ინტერესებს იცავს, კერძოდ, რუსეთში სამხრეთიდან მოსულებისაგან.

ეს ბოზური გამოვლინება და ქვეწარმავალთა აზრებია. ქურდები მოუწოდებენ ქურდულ სამყაროს, საფუძველშივე აღმოფხვრან მსგავსი სიბინძურე და ქურდების გაკიცხვა. ჩვენი რჩევაა, აუხსნათ ეს ყველა პატიოსან ადამიანს და ახალგაზრდობას.

გისურვებთ სიკეთეს ცხოვრებაში.

ვლადიმირის ქურდები (1989 წ. დეკემბერი).

ბოლოს ტარლანოვმა არჩევანი ხაზარზე შეაჩერა. საჭირო იყო მასთან ზონაში ჩასვლა. იგორ პავლოვიჩს ჰყავდა კაცი, ვინც მასთან მიიყვანდა.

## აგენტ „ვოლფის“ შეტყობინებიდან

თქვენი დავალების შესასრულებლად წყარომ მეგობრული დამოკიდებულება დაამყარა პავლე ტარლანოვთან, თქვენთვის საინტერესო ობიექტის შვილთან. გაცნობა მოხდა რესტორან „კოსმოსში“. პაშა დარბაზში იჯდა, მაგიდასთან, ვარიეტეს სცენის მახლობლად. მან გალანძღა ოფიციანტი ვალოდია. ოფიციანტი ბარიდან გავიდა. იმედი ჰქონდა, კანონიერ ქურდს თემურს ნახავდა და მასთან უჩივლებდა. რადგან თემური ვერ იპოვნა, მალოფეევთან უჩივლა. იგი ვაგინის კაცია. მალოფეევი წაეჩხუბა ტარლანოვს, პაშაც დაპირდა, თავის ბიჭებს გამოიყვანდა „ხალიჩაზე“ და იქ გაუსწორდებოდა. მალოფეევმა ამოიღო სტეჩკინის პისტოლეტი და იგი ტარლანოვს შუბლზე მიადო სიტყვებით: შენ და შენი მამიკო აქ ვერასდროს ვერ შემოხვალთო. მაშინ მე ვუბრძანე ჩემს კაცს, მეტსახელად „ტესაკს“ (თქვენ იცნობთ)

მისულიყო მალოფეევთან. ტესაკმა პისტოლეტის ლულა გააწევინა მალოფეევს და თითიც მიატეხა, რადგან იგი ხელს არ უშვებდა იარაღს.

ინციდენტი ამით დამთავრდა და ჩვენ, პაშასთან ერთად, რომელიც ძალიან ღელავდა, წავედით მამასთან. ტარლანოვის ბინიდან დავრეკეთ ზონაში და დავნიშნეთ შეხვედრა სახლში. პაშას ისტერიკა აუვარდა, მოითხოვდა, წავიდეთ და ვაგინის ხალხს გავუსწოროთ ანგარიში, თვითონ ვაგინი კი ჩამოვახრჩოთო. წყარომ გააფრთხილა უმცროსი ტარლანოვი, რომ ასეთი ლაპარაკი სახიფათოა იყო.

ამასთან გატყობინებთ, რომ სვერდლოვსკში ტრიფონმა „ფრაერების“ კოალიცია ჩამოაყალიბა. მასში ავტორიტეტების უფლებებით შედიან ოლეგ ელუნინი (თქვენ იცნობთ) და ტესაკი, ამ დაჯგუფებას გადაწყვეტილი აქვს შეიარაღებული ბრძოლა კავკასიელ ქურდებთან. გათვალისწინებულია ტაშკენტის „ქურდული სალაროს“ ხელში ჩაგდება. საერთო ჯამში, დაჯგუფებაში 100-მდე კაცი შედის, ესენი სპორტსმენები და სხვადასხვა ჯურის ხულიგნები არიან. მის ბირთვს 5 კაცი შეადგენს.

ტესაკმა წყაროს უთხრა, რომ ამას წინათ მათ ბაზარი გაძარცვეს რიგაში. ამან გამოიწვია ზოგიერთი ავტორიტეტის უკმაყოფილება, ისინი ბაზარს საკუთარი მოქმედების სფეროდ თვლიან. ტრიფონმა დაუდასტურა წყაროს, რომ როცა ერთმა ქურდმა ამ ფაქტზე ტესაკი დასალაპარაკებლად მიიწვია, მან მიაწოდა პისტოლეტი სიტყვებით: „აჰა, მომკალი იმისათვის, რომ სპეკულიანტებს ვძარცვავ“. ქურდი ამას არ ელოდა და შეშფოთებულმა უთხრა უარი. მაშინ ტესაკმა თვითონ მიაშვირა მას ლულა და ჩახმახს გამოკრა.

დავალება: დაადგინე, სად არის ტრიფონი. განაგრძეთ მამა-შვილ ტარლანოვების შესწავლა.

ღონისძიებები: ტრიფონის დაჯგუფების მოღვაწეობის ფაქტებზე დაიწყოს დაკვირვება, ინფორმაცია მიეწოდოს შს სამინისტროს.

ჩაზარი ყურადღებით მოეკიდა ტარლანოვის წინადადებას, გამხდარიყო კაზინოს თანამფლობელი და „ჩამოეცილებინა მომგებიანი საქმიდან რეკეტიორები და ხულიგნები“, ჩაზარმა მოჩვენებითი გულგრილობით

თქვა უარი ფულზე, ბრძანა: გადაეცით საერთო სალაროში. შეხვედრა, როგორც წერენ ხოლმე გაზეთები, სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩატარდა და ტარლანოვის მიერ ჩაფიქრებულ საქმეს შესანიშნავი პერსპექტივა გაუჩნდა. მისი შვილი პაშა, რომელსაც ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდების თავისი ჯგუფი ჰყავდა, დაუმეგობრდა ქურდს თემურს და რესტორანი „კოსმოსი" ახლა მათ განუყოფელ სამფლობელოდ ითვლებოდა. მაგრამ, ჩვეულებრივ, რასაც ასეთი სიმწრით აღწევენ მამები, შვილები არ აფასებენ ხოლმე. რაკი პაშამ შურისძიება გადაწყვიტა, აღარც დაიშალა და ვაგინთან შეტაკების დროისა და ადგილის ძებნა დაიწყო. თან უზომოდ თვრებოდა და გაიძახოდა, მე და მამაჩემი ქალაქის მფლობელები ვართ, ქურდები ჩემს ოჯახს ემსახურებიანო.

უმცროსი ტარლანოვის ნალაპარაკევიდან ვაგინმა დროულად შეიტყო, რომ ხაზარი თავისი გუნდით აპირებდა მყარად მოეკიდებინა ფეხი სვერდლოვსკში. კანონიერი ქურდების აქ დამკვიდრება მის გაელნას ემუქრებოდა კრიმინალურ გარემოზე. მაშინ მან აზიზის მკვლელობის გეგმა მოიფიქრა: იქნებ ქურდები ჩამოშორებოდნენ სათამაშო ბიზნესს. მკვლელი, „მოსკოველი სტუმარი", რომელსაც ვაგინმა შეკვეთა მისცა, აზიზს „კოსმოსში" ელოდა, იცოდა, რომ პაემანის შემდეგ აუცილებლად გამოივლიდა აქ. დანარჩენი ყველაფერი მარტივად გადაწყდა: გაუსწრო, დაელოდა სადარბაზოში და გულგრილად მოკლა. ვაგინმა ისარგებლა არეულობით, რომელიც აზიზის მკვლელობას მოჰყვა და მოელაპარაკა ტარლანოვს, რომ მისი დაჯგუფება უზრუნველყოფს რესტორან „კოსმოსისა" და მიმდებარე ტერიტორიის დაცვას. პერსპექტივაში ვაგინი კაზინოს თანამფლობელი გახდებოდა.

ამ დროს გამალებით ეძებდნენ აზიზის მკვლელობის ორგანიზატორებს. ადგილობრივმა შს ორგანოებმა კვლავ უუნარობა გამოიჩინეს, ეძებდნენ ქურდები, თემური და უფროსი ტარლანოვი არაერთხელ მსჯელობდნენ ამის თაობაზე. საუბარში ვაგინიც მონაწილეობდა ხოლმე და აქტიურად უჭერდა მხარს იმ აზრს, რომ მკვლელობის მიღმა ურალმაშის დაჯგუფება იდგა ციგანოვის ხელმძღვანელობით. აკონტროლებდა რა რკინიგზის სადგურს და „კოსმოსის" ტერიტორიის ნაწილს, ციგანოვს ალბათ პრეტენზია ჰქონდა კაზინოს შემოსავლის ნაწილზე. ამის გარდა, ციგანოვი „მახნოველი" იყო, ე. ი. არაფრად აგდებდა ქურდულ წესებს. ამგვარად, ვაგინის ვერსია ირწმუნეს. ქურდებმა დაასკვნეს, რომ ყველა ფაქტი ამ ვერსიას ადასტურებს (ყოველ შემთხვევაში, ოქროს საბადოსთან სახიფათო კონკურენტის მიშვება მათ არ აწყობდათ). ციგანოვის ბედი გადაწყვეტილი იყო და ივნისის ერთ ღამეს

დაქირავებულმა მკვლელმა წერტილი დაუსვა მის „ბრწყინვალე" კარიერას.

ამ მკვლელობის მომზადებაში თემური მონაწილეობდა. მხილების და შურისძიების შიშით მან გადაწყვიტა თავი ხაზარის ფრთის ქვეშ შეეფარებინა. მან რესტორან „კოსმოსში" ჩხუბი გაითამაშა, მილიციას აქტიური წინააღმდეგობა გაუწია და საბოლოოდ სწორედ ისე გამოვიდა, როგორც ჩაიფიქრა. ის დააპატიმრეს, გაასამართლეს და „ნათლიმამის" მიაბარეს კოლონიაში.

დამნაშავეთა სამყარომ გაავრცელა ვერსია, თითქოს თემური სედოიმ გასცა, მაშ როგორ მოხდა, რომ კანონიერი ქურდი ასე ადვილად ჩაუვარდა ხელში ორგანოებს.

სუკმა სედოის მითითებით მოაწყო ჩხუბის პროვოცირება, სხვანაირად როგორ დააპატიმრებდნენ კანონიერ ქურდს?

ამით ერთდროულად ორ კურდღელს იჭერდნენ: საიმედოდ იჩქმალებოდა იმისი ნამდვილი მიზეზი, ასე ადვილად რატომ მოხვდა პატიმრობაში თემური და სედოიც საბოლოოდ იყო პროვოცირებული.

1992 წლის მარტში ხაზარი ვადამდე გაათავისუფლეს პატიმრობიდან. ყოფილ ნიკოლო-პავლოვსკოიეში მოეწყო პიკნიკი მის განთავისუფლებასთან დაკავშირებით. სინამდვილეში ეს იყო შეხვედრა, რომელსაც სვერდლოვსკის ოლქის ყველა ცნობილი ავტორიტეტი ესწრებოდა. შეხვედრაზე ტარლანოვმა გააფრთხილა ხაზარი, ურალში გამაგრების იმედი არ ჰქონოდა. სანამ პატიმარი იყო, მას ეხმარებოდნენ, როგორც კანონიერ ქურდს, ახლა კი იგი მხოლოდ სტუმარია და არ უნდა ჩაერიოს ადგილობრივ ბიზნესში. არც კაზინოს საქმეში შესთავაზეს კომპანიონობა. ტარლანოვმა გასაგებად თქვა თავისი აზრი.

მოგვიანებით, სვერდლოვსკში ცხოვრებისას, ხაზარს ჰქონდა საშუალება დარწმუნებულიყო, რომ ტარლანოვს ყოველთვის იფარავენ ის რეკეტიორები, რომლებიც საიმედოდ იცავენ „კოსმოსის" ტერიტორიას. ხაზარის დახმარება აქ საჭირო არ იყო. ფაქტების დაპირისპირების საფუძველზე ხაზარმა დაასკვნა, რომ სწორედ მამა-შვილი ტარლანოვები მონაწილეობდნენ აზიზის მკვლელობაში, რადგან აზიზი უნდა ყოფილიყო ტარლანოვის კომპანიონი კაზინოში, მაგრამ ზედმეტი აღმოჩნდა.

მაშ,—შურისძიება. კანონიერმა ქურდმა სვერდლოვსკიმ, რომელიც ხაზარის მიერ იყო „ნაკურთხი", ურალმაშის დაჯგუფებას მიაწოდა ინფორმაცია, გრ. ციგანოვის მკვლელობა ტარლანოვებმა დაუკვეთესო. შურისძიებამ არ დააყოვნა. ჯერ პავლე მოიტაცეს და მოკლეს, ხოლო შემდეგ ციგანოვის ხალხმა ურალმაშელ სპორტსმენს, სპორტის ოს-

ტატს ბიატლონში დაავალა უფროსი ტარლანოვის საქმისათვის მიეხედა.

ტარლანოვის მოცილებაში თავისი როლი ითამაშა ვაგინმა, რომელსაც უნდოდა კაზინოს ერთადერთი მფლობელი ყოფილიყო. მან განამტკიცა აზრი ტარლანოვების მონაწილეობის შესახებ ციგანოვის მკვლელობაში.

ტარლანოვების მკვლელობის შემდეგ სვერდლოვსკის საქმიანი წრეები პანიკამ მოიცვა. ქალაქიდან ყველა ავტორიტეტი გაქრა. იმ დროს რუსეთის დამნაშავეთა სამყაროს ცნობილმა კანონიერმა ქურდებმა კუკლამ და ბოჟენკამ ყურადღება მიაქციეს იმას, რომ რეგიონს ძალადობის ტალღამ გადაუარა და შეკრების ჩატარება გადაწყვიტეს. საინტერესოა ერთი დამახასიათებელი დეტალი, რომელიც გვიჩვენებს, რომ დიდი შეცდომა იქნებოდა ვიფიქროთ კანონიერ ქურდებზე როგორც უპრინციპო ადამიანებზე, რომელთათვისაც უმთავრესი და უპირველესი „ტკბილი ცხოვრებაა". იმისათვის, რომ სვერდლოვსკში გადაეყვანათ და შეკრებაში მონაწილეობა შეძლებოდა, კუკლამ ოფიცერზე თავდასხმის იმიტირება გააკეთა და დამატებითი ოთხწლიანი სასჯელი მიიღო. ამ დროს იგი უკვე 64 წლის იყო, მაგრამ ნახეთ როგორ მოიქცა! ეს ქურდული „არისტოკრატიის" ნორმაა. აქ ძალზე განვითარებულია მოვალეობის მაღალი გრძნობა. კანონიერი ქურდი — ეს ხომ უმაღლესი მსაჯულია, რომლის წინაშეც ქედს იდრეკენ სისხლის სამართლის დანარჩენი დამნაშავენი, მისი ავტორიტეტის მოვალეობის პატიოსან შესრულებას და სამართლიანობას ემყარება.

შეკრება 1992 წლის 25 აგვისტოს ჩატარდა სვერდლოვსკის № 1 საგამოძიებო იზოლატორში. კუკლა და ბოჟენკა განიხილავენ ურალში თავისი გავლენის განსამტკიცებლად ხაზარის მოქმედებას, რადგან ამან გამოიწვია ძალადობის ტალღის მომძლავრება. კომერცია კი, საერთო აზრით, არ არის კანონიერი ქურდების საქმე, მათი მოვალეობაა: უზრუნველყონ უფლებების დაცვა და ნორმალური შრომა ზონებში. ამისათვის საჭიროა ბოლო მოეღოს იმ განუკითხაობას, რომელიც გავრცელებულია როგორც კოლონიებში, ისე გარეთაც.

ბოჟენკა ცდილობს მოახერხოს, რომ შუა ურალის ერთ-ერთ კოლონიაში გადაიყვანონ. იქ მას შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს კანონიერი ქურდის ავტორიტეტი საქმეების სამართლიანი გარჩევის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ამას ფული სჭირდება. კუკლას და ბოჟენკას სურთ დაუკავშირდნენ „სუფთა" მეწარმეებს, მოელაპარაკონ ურთიერთდახმარებაზე. გარდა ამისა, ცდილობენ დაარწმუნონ სვერდლოვსკის შსს ხელმძღვანელობა და ოპერატიული განყოფილება თავიანთ ლოია-

ლუროპაში, ამტკიცებენ, რომ გმობენ ძალადობას სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროში.

საბოლოოდ მათ მიაღწიეს ურთიერთგაგებას ევროპულ-აზიური კომპანიის პრეზიდენტთან ვიქტორ ტერნიაკთან, რომელსაც ხშირად „აწუხებდნენ" ვაგინის რეკეტიორები. ბოყენკასთან შესახვედრად საგამოძიებო იზოლატორში ტერნიაკის წარმომადგენელი მივიდა. მოილაპარაკეს, როგორ შეიძლებოდა ვაგინის ნეიტრალიზება და მისი სამართალდამცავი ორგანოებისათვის ჩაბარება.

ვაგინი კი სულ გათავხედდა. დაიმორჩილა სპორტსმენები და იმდენად დაკარგა რეალობის გრძნობა, რომ საქვეყნოდ მიაყენა შეურაცხყოფა კანონიერ ქურდ „სევერენკას", რათა ყველას დაენახა, კანონიერი ქურდები არაფერს წარმოადგენენ, ქალაქის ბატონ-პატრონი მხოლოდ მე ვარო. როგორც იტყვიან ხოლმე, ძირმაგარა მომწიფდა, მაგრამ ტერნიაკის გაუფრთხილებლობით ვაგინმა შეიტყო, რომ ყალიბდება ტერნიაკის კავშირი რუს კანონიერ ქურდებთან, ამიტომ, 1992 წლის 9 სექტემბერს დაქირავებულმა მკვლელმა ტერნიაკი ავტომანქანაში მოკლა.

ამის შემდეგ კუკლა და ბოყენკა საკუთარ გამოძიებას იწყებენ, შედეგები ცნობილი ხდება ციგანოვის ჯგუფისათვის: ყველა მკვლელობასთან ასე თუ ისე ვაგინია დაკავშირებული.

## აგენტ „ვოლფის" შეტყობინებიდან

წყაროს მიმართა დაახლოებით ოცდაათი წლის მამაკაცმა, თქვა, რომ გენადი ჰქვია, გადასცა მოკითხვა ტესაკისაგან და გააფრთხილა, ვაგინთან და მალოფეევთან ანგარიშსწორება მზადდებაო. ამ აქციას მეთაურობს კოსტია ციგანოვი, გრიგორის ძმა. კოსტია გამუდმებით ეძებდა იმათ, ვისი მიზეზითაც დაიღუპა მისი ძმა, ამასთან იგი იმ მონაცემებით სარგებლობდა, რომლებსაც ის მეგობრები აწვდიდნენ შს სამინისტროდან, ვისთან ერთადაც თავის დროზე ფეხბურთს თამაშობდა.

ციგანოვის ხალხი წუხდა, რომ ვაგინის ინტრიგების გამო მთელი ოჯახი დაიღუპა (ტარლანოვებს გულისხმობდნენ). ეს ტრაგიკული შეცდომაა, ვაგინს, ვინც ეს ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, ჯვარი დაესვა.

გენადიმ ამიხსნა, რომ ამ მონაცემებს მაძლევს ბიზნესმენებთან სოლიდარობის გამო. ამასთან, მზად არის მომავალ-

ში მომაწოდოს ინფორმაციები და უზრუნველყოს ურალის მსხვილ ბიზნესმენთა დაცვა. მისამართი არ დაუტოვებია. თქვა მხოლოდ, რომ თვითონ მოძებნის წყაროს და თუ კლიენტები იქნებიან, მზად არის მოელაპარაკოს მათ.
გენადის ნიშნებია: 30-35 წლის, 185 სმ-ზე მაღალი, სახე მოგრძო, ცხვირი ჩატყხილი, ყურები განიერი, აგებულება ათლეტური, მარჯვენა ხელის შუა თითზე ყვითელი ლითონის ბეჭედი აქვს.

ოპერმუშაკის შენიშვნა: გენადი, როგორც ჩანს, ოლეგ ელუნინია.

## ცნობა
## ოლეგ ვაგინის მკვლელობაზე

1992 წლის 28 ოქტომბერს დაუდგენელ პირთა ჯგუფმა სამი კაცის შემადგენლობით მარშალ ჟუკოვის ქუჩის ერთ-ერთ ეზოში კალაშნიკოვის სისტემის ავტომატებით მოკლა დამნაშავეთა ლიდერი ოლეგ ვაგინი და მისი სამი მცველი.
ეკატერინბურგში მომხდარ მკვლელობათა შემდეგ ვაგინის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. თვითმხილველთა ცნობით, 1992 წლის სექტემბრიდან, მას მუდამ ახლდა თან სამი მცველი და არც ჯავშანჟილეტს იხდიდა.
28 ოქტომბერს ნაშუადღევს ის სამ მცველთან ერთად დაბრუნდა თავის სახლში. ამ დროს ოფისიდან მდივანმა დაურეკა ტელეფონით. მასთან ლაპარაკის შემდეგ ვაგინმა ოფისში წასვლა დააპირა. ამ დროს სახლთან ფურგონიანი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ გაჩერდა, გადაკეტა ეზოდან გასასვლელი და ძარით სადარბაზოსკენ შებრუნდა. როცა ვაგინი გამოვიდა, ფურგონიდან სამი კაცი გადმოხტა და ავტომატებით სროლა დაუწყეს. ვაგინმა და მისმა მცველებმა დამალვა სცადეს, მაგრამ სასიკვდილოდ დაიჭრნენ. მკვლელებს წუთზე ცოტა მეტი დრო და 80-90 ვაზნა დასჭირდათ.

1993 წლის მარტში ვაგინის თანამოსაქმის, მალოფეევის ჯერიც დადგა. მის ავტომობილს მანამ სდიეს, სანამ ძრავა არ გაუჩერდა. მალოფეევი არც ცდილობდა მდევარს შემობრუნებოდა და რაიმე ელონა, გრძნობდა,

რომ განწირული იყო და შიშისაგან ჭკუადაკარგული გარბოდა. სანამ ავტომატიანი დაქირავებული მკვლელები უკანასკნელ მეტრებს გადალახავდნენ, შეშინებული მალოფეევი დაჭრილი კურდღელივით კიოდა — რა მამაცად თვლიდა ერთ დროს თავს! ტყვიებმა დაცხრილა მისი სხეული და ეს ყველაფერი ხდებოდა დღისით-მზისით, ქალაქის ქუჩებში.

# ქურდული სამყარო

უშიშროების თანამშრომლები, მათ შორის კაპიტანი მალიშევიც, სამ წელზე მეტხანს ეძებდნენ მყარი სტრუქტურისა და მართვის ორგანიზაციას, რათა საკუთარ თავში დარწმუნებულიყვნენ, რომ რუსეთში მაფია ნამდვილად არსებობს.

დაამუშავეს დამნაშავეთა სამყაროს განთქმული ლიდერები, დაადგინეს ხელისუფლების ორგანოებში მათი დამქაშების ვინაობა — კორუმპირებული ხალხი, შეისწავლეს შემსრულებელთა საბრძოლო ჯგუფები, გამომჟღავნდა წყაროები, საიდანაც იკრიბებოდა უზარმაზარი სახსრები და რისი გულისთვისაც ღამით სროლები გაისმოდა, მაგრამ საჭირო იყო მიეძებნათ რუსეთის „კოზა ნოსტრას" მკაფიო სქემა, რომელიც აერთიანებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს — არადა, უკვე იმედი ეწურებოდათ, რომ საერთოდ მიაგნებდნენ ერთიან, კარგად აწყობილ მექანიზმსა და სტრუქტურას, რომელიც ცივილიზებულ საზოგადოებაში ამგვარი ორგანიზაციისათვისაა დამახასიათებელი. სტრუქტურა იგრძნობოდა, მაგრამ წალექილი იყო და ნისლივით ქრებოდა, როცა რამდენიმე ჯგუფის მოქმედების ერთ სქემად წარმოდგენას ცდილობდნენ. დამნაშავეთა სამყაროს ლიდერები მსაჯულის როლს ასრულებდნენ. თვითონ დანაშაულს არ ჩადიოდნენ, საერთო მოქმედებებს არ ხელმძღვანელობდნენ. ლიდერები იყვნენ ეს „ნათლიმამები", კრიმინალური სამყაროს „ინტელექტუალები", რომლებიც გონებაჩლუნგი სისხლის სამართლის დამნაშავეთა ხარჯზე მდიდრდებოდნენ? მექრთამეებიც არ შედიოდნენ მაფიოზთა რიცხვში. რა თქმა უნდა, ყველა რანგის ჩინოვნიკი იღებდა ქრთამს, მაგრამ მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, საიდან მოდიოდა ეს ფული. საბრძოლო რაზმები კი — ეს ხულიგნებისა და ჩვეულებრივი ბანდიტების ჯგუფებია, რომლებიც ძარცვავენ, კლავენ, ძალითართმევენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მომგებიანი საქმეა.

ბოლოს მიხვდნენ, რომ უაზრობაა სამამულო მაფიის სქემების ძებნა იტალიური ან ამერიკული ორგანიზაციების მაგალითით. რუსეთის „კოზა ნოსტრა" არსებობს არა თეორეტიკოსების თავებში, არამედ რეალურ ცხოვრებაში და ნებისმიერი წარმატებით მოქმედი კომერციული ორგანიზაციის ანარეკლია, სხვაობაა მხოლოდ დივიდენდების მიღებისა და განაწილების ხერხებში. უფრო სწორად, რაც ქურდულ „რეკეტს"

ესება, აქ არავითარი განაწილება არ არსებობს, მთლიანი თანხა საერთო სალაროს ბარდება. სხვებისათვის პრინციპი ასეთია: კრიმინალური მეწარმეები შემოსავლის ნაწილს აბარებენ სალაროს, სამაგიეროდ ლებულობენ ძარცვით, ქურდობით, ნებისმიერი უკანონო ხერხით გამდიდრების უფლებას, ფაქტიურად ძარცვავენ სახელმწიფოს. თუ სალაროს წილს არ გადაუხდის, ქურდობის საშუალებასაც არ მისცემენ. თუ არ გადაიხდის, მოკლავენ, „ყელში" სწვდებიან, ვისაც საგადასახადო ინსპექციისაგან დამალული ფული ექნება. ამას კარგად გრძნობენ კრიმინალურ სფეროში, მათ შესანიშნავი ყნოსვა აქვთ, არავისთვის საიდუმლო არაა, რომ რუსეთში ყველა კერძო ჯიხური და კერძო ავტოსადგომი რეკეტიორების მოხარკეა და იხდის ყველა, ვისაც კარგად აქვს აწყობილი საქმე ნახევრადლეგალურ ბიზნესში — იგულისხმება ის სფერო, სადაც ადვილად შეიძლება დაიმალოს ნამდვილი შემოსავალი ბეგარისაგან.

მეწარმემ უნდა იცოდეს ფასები: თუ თქვენ სახელმწიფოს უჩვენებთ შემოსავლის 90 პროცენტამდე, შეგიძლიათ არ გეშინოდეთ ბოევიკების თავდასხმისა. მაგრამ თუ სახელმწიფოსაგან 30 პროცენტზე მეტი დამალეთ, ელოდეთ სტუმრებს, ისინი თქვენს ფარულ შემოსავალს საერთო სალაროში მიიტანენ.

დასკვნა ერთია: სისხლის სამართლის დამნაშავენი პარაზიტულად ცხოვრობენ ეკონომიკური დარღვევების ხარჯზე და რაც უფრო მეტი მოქალაქე არღვევს წესს, მით უფრო ძლიერდება კრიმინალური სამყარო.

ერთობლივმა საწარმომ „ლი-იტმა" (ლიტვა-იტალია) 1 მილიარდი მან. საწესდებო კაპიტალით მშვენივრადააწყო ბიზნესი ფერადი ლითონების ექსპორტის საფუძველზე. ლიუბერცის დაჯგუფება „კაჩკი" მიხვდა, რომ ძარცვაზე უფრო მომგებიანი სქელჯიბიანთა დაცვაა და მოსკოვს მიაშურა. იქ ხელგაშლილი შეხვდნენ ბიჭებს — „მადლობა ღმერთს, ახალგაზრდობამ ჭკუა ისწავლა, ბიზნესისაკენ შემობრუნდნენ", მაგრამ საქმე სულ სხვანაირად წავიდა. კანონიერმა ქურდებმა იციან, რომ ქურდბაცაცის სისხლი ყოველ ადამიანშია და უშეცდომოდ წამოაგებენ ანკესზე ყველას, ვინც ერთხელ მაინც გასინჯა არაკანონიერი გზით აღებული მანეთის გემო.

საშა ხოლენკო „ლი-იტ"-ში დაცვას ხელმძღვანელობდა, ესწრებოდა გარიგებებს და მალე მიხვდა, რომ მის ხელმძღვანელს კანონიერების დაცვის თვალსაზრისით არც თუ ისე კარგად აქვს საქმეები, მაშასადამე მისი შანტაჟირებაც შეიძლება. ფირმის მფლობელს საქმეების მოსაგვარებლად მილიციაში, პროკურატურასა და სხვა ინსტანციებში საიარულოდ არ ეცალა. საშა ამას საუკეთესოდ აკეთებდა, თან ფირმის ხარჯზე საჭირო ხალხს გარკვეულ თანხას აძლევდა, შემდეგ მან

არალეგალური კრიმინალური ინსპექტორის ფუნქცია იკისრა. ხოლენკომ თავის ძმაკაცებთან ერთად კარგად მოითბო ხელი და ფულს რეკეტიორების ჯგუფსაც უზიარებდა. რაც უფრო იზრდებოდა საძმოს ძალა, მით უფრო ღრმად წვდებოდა საშა პატრონის ფინანსურ საიდუმლოებებს, ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ „ლი-იტ" დაიხურა, მისი პატრონი კი ამერიკაში გაიქცა.

საქმიან კაცს, რომელმაც წარმატებებს მიაღწია, უჭირს ავტომატების დაცვის ქვეშ ცხოვრება. ავტომატი ზედმეტია, თუ ადამიანს სურს ხულიგნური თავდასხმისაგან დაიცვას თავი და ავსებით უსარგებლო, თუკი სისხლის სამართლის ტერორის მსხვერპლი ხდები. სახელმწიფოსაგან დაცვის იმედი არ უნდა გქონდეს, ტერორი ხომ ჩვენთან ოფიციალურად არ არსებობს, ე. ი. დახმარებას ნუ ელოდებით.

ცნობილია რეკეტიორების მიერ რუსეთის ბანკების დაპყრობის ფაქტები. ასეთ შემთხვევებში ხალად მოაზროვნე თავმჯდომარეები ბანდიტი თანათავმჯდომარეების ბრძანებით რუსეთის საბანკო სცენიდან გადიან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ, უბრალოდ, ხვრეტენ მეავტომატეები, რომელთა ვინაობაც ჯერ არავის დაუდგენია.

როგორ ემორჩილებიან ბანკები და მსხვილი კომერციული სტრუქტურები ბანდიტებს?

ყველაზე საშიში ისაა, როცა წარმოების ხელმძღვანელთა გარემოში სისხლის სამართლის დამნაშავის ბაცილა მოხვდება. ის შეიძლება წმინდად საყოფაცხოვრებო პრობლემებიდან ამოიზარდოს. მაგ. დამნაშავეებს მიმართავენ იმისათვის, რომ ბავშვები დაიცვან ქუჩის ნაძირალებისაგან, ან მოპარული მანქანის მოძებნაში მოეხმარონ. ურთიერთსიმპათიები ერთმანეთისათვის სამსახურის გაწევასთან ერთად თანდათან გადადის ურთიერთდამოკიდებულებაში და თუ რომელიმე ბიზნესმენი ტრაბახობს „მაგარ" ბიჭებთან ნაცნობობით, იცოდეთ, ის უბედური კაცია, მრავალი საქმიანი საზრუნავით დატვირთული. როცა ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრა უხდება, იგი მთლიანად კუნთმაგარ ბიჭებსა და სხვა ნაძირალებზეა დამოკიდებული. ასეთი ხალხის მიღმა კი შეიძლება დამნაშავე სამყაროს მაღალი რანგის პიროვნება იდგეს, რომელიც, თუ დაჭირდა, უბრალოდ „გადაყლაპავს" ხულიგნების ბადეში გაბმულ ამ ბიზნესმენს.

ამგვარი ამბავი გადახდა თავს სრულიად რუსეთის კომერციული ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ალექსანდრე კონანიხინს. ცნობილია, რომ საბანკო საქმე მოითხოვს როგორც საიმედო დაცვას, ისე საინფორმაციო უშიშროების უზრუნველყოფას, უნაკლო რეპუტაციაზე ზრუნვას, მისი თანათავმჯდომარე მშვენიერად უძღვებოდა ამ საქმეს, მაგრამ

არავინ იცოდა, რომ იგი სპეცდანიშნულების რაზმელ მაგარ ბიჭებზე ამყარებდა იმედს, მათ კი, თავის მხრივ, რეკეტიორებთან ჰქონდათ კავშირი და ხშირად „მუშაობდნენ" ერთად.

რა თქმა უნდა, მალე ბანკმა საეჭვო პროგრამების დაფინანსება დაიწყო თავისი ხალხის ინტერესებისათვის, ე. ი. ფინანსები, უძრავი ქონება, ავტომანქანები თანდათან დაიტაცეს. როდესაც კონანიხინმა მოითხოვა ინვენტარიზაციის ჩატარება, თანაშემწემ გააფრთხილა, რომ ნურავინ ჩაერევა ბანკის საქმეებში, თორემ თავს წააცლიან. მაშინ იგი მიხვდა, რომ ბანკი ფაქტიურად რეკეტიორებს დაეტაცნათ. რუსეთის შსს-სა და უშიშროების კომიტეტში ჩივილი უშედეგო აღმოჩნდა. ოპერატიული სამსახურები საბანკო საქმეებში ვერ ერკვეოდნენ, გარდა ამისა, მეტოქეებს იქ „თავისიანები " ჰყავდათ და ისინი პასიურობდნენ. ბოლოს ის სასოწარკვეთილებას მიეცა და სცადა, პირადი სახსრები მაინც ამოეღო და საქმიდან გამოსულიყო, მაგრამ ბანდიტებმა მოსთხოვეს ყველაფერი დაეტოვებინა და „გამქრალიყო". რა უნდა ექნა კონანიხინს? მან „აუდის" მყუდრო სავარძელში დაიკავა ადგილი და ღამით ავსტრიისაკენ გადაფრინდა. მისი გაქცევის შემდეგ დამნაშავეთა სამყაროში ნამდვილი ქარიშხალი ამოვარდა. თურმე არსებობდა ყოფილი პატიმრების რეაბილიტირების პროგრამა, რომლის დაფინანსებაც კონანიხინმა იკისრა. ამიტომ მის თავს გადამხდარი ამბავი ქურდებმა შეაფასეს, როგორც ყოველგვარ ზღვარს გადასული მოქმედება და წესი აუგეს მათ, ვისაც ყოფილი პატიმრების დასახმარებლად გამოყოფილი თანხები შეშურდა.

1988-1992 წ.წ. უშიშროების სამსახურმა, რომელიც საიდუმლოდ თანამშრომლობდა შს სამინისტროს მუშაკებთან, დაკვირვება დაიწყო დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებსა და მათ გარემოცვაზე. დადგინდა 226 კანონიერი ქურდი. ზოგიერთი მათგანი აიყვანეს ოპერატიული დამუშავებისათვის კავკასიის ომში მათი როლის, ასევე ეკონომიკურ სფეროში დანაშაულებრივი მონაწილეობის ფაქტების დასადგენად.

რუსეთის დღევანდელ დამნაშავეთა სამყაროში 300 კანონიერი ქურდი და ე. წ. „ზედამხედველია", რომლებიც მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ კანონიერმა ქურდებმა, რომლებიც კავკასიის, შუა აზიისა და ბალტიისპირეთის მკვიდრები არიან, ძირითადად რუსეთში გადაინაცვლეს, რადგან იქ მკაცრი პოლიტიკური რეჟიმი არ არის, არც ისეთი „რისკის ფაქტორი"

არსებობს, როგორიც სამოქალაქო ომია, სამაგიეროდ საკმაოდ მჭიდრო დანაშაულებრივი გარემო და შრომა—გასწორების მრავალი კოლონია. რუსეთში არარუსი (პირველ რიგში, კავკასიიდან ჩამოსული) ავტორიტეტების დიდმა მოწოლამ ქურდების სამყაროში განხეთქილება გამოიწვია, რაც ძირითადად იდეური უთანხმოების საფუძველზე მოხდა „ტრადიციონალისტებსა“ (რომლებიც უარყოფენ კომერციას) და მოდერნისტებს (რომლებიც კაპიტალიზაციის გზაზე დადგნენ) შორის. ძველი ტრადიციის მომხრეები (როგორც წესი, რუსები) სულ უფრო უკან იხევენ და ეკონომიკური მოღვაწეობის სფეროს ცილდებიან, მათ ავტორიტეტის როლი ძირითადად კოლონიებში რჩებათ. თავის გავლენას „ტრადიციონალისტები“ ახორციელებენ როგორც სამედიატორო მსაჯულები კრიმინალურ დაჯგუფებებს, აგრეთვე ბანდებსა და კომერციულ ორგანიზაციებს შორის სადავო საკითხების გარჩევისას. გარდა ამისა, მათ შეუვალ ძალაუფლებას აღიარებენ ის დამნაშავენი, რომლებიც ქურდული ტრადიციების სულისკვეთებით არიან აღზრდილნი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

მსხვილ სამრეწველო რაიონებსა და იმ ადგილებში, სადაც მნიშენელოვან ადგილს იჭერს კომერციული მოღვაწეობა, ქურდული ძალაუფლება სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური ძალაუფლების პარალელურად არსებობს: რუსი მეწარმეები ცდილობენ, როგორც წესი, გარანტირებული ჰქონდეთ დამნაშავეთა სამყაროს მეუფეთა მხარდაჭერა პარტნიორებისაგან ვალების ამოსაგებად, თუ ისინი ხელშეკრულების პირობებს არ შეასრულებენ, ან იმ შემთხვევისათვის, თუკი ლოკალური დაჯგუფებებისა ან რეკეტიორებისაგან თავის დაცვა გახდება საჭირო. ამისი ახსნა იოლია—როცა წინასწარ გყავს მოძებნილი მფარველი, მაშინ წინააღმდეგობის დაძლევისა და კონფლიქტების გარჩევის ეფექტიანობა საკმაოდ მაღალია.

კანონიერი ქურდების პოზიციების გაძლიერება კრიმინალურ მეწარმეთა მკაცრ წინააღმდეგობას იწვევს. უკანასკნელ პერიოდში ავტორიტეტებს ისე ხოცავენ, როგორც ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დამნაშავეებს. მოჰკლეს ბრილიანტი (სოლიკამსკი), ხორიოკი და სვერდლოვსკი (ეკატერინბურგი), ტულსკი (ტულა), გლობუსა და სვო (მოსკოვი), მოსე (ბრიანსკი) და სხვები, დაიწყო ნადირობა ხასანზე, ხოლო ტრიფონის ეკატერინბურგული დაჯგუფება ულმობლად ხვრეტს ყველას, ვისაც დამნაშავეთა სამყაროსთან აქვს დამოკიდებულება, ან კრიმინალურ მეწარმეობას ეწევა. მისი ხალხი ყოველგვარი ახსნა—განმარტების გარეშე ხოცავს იმათ, ვინც კი თავის კავშირს ახსენებს რომელიმე კანონიერ ქურდთან.

ამბობენ, რომ დამნაშავეთა სამყარო—ეს სისხლის სამართლის იმ დამნაშავეთა ერთობლიობაა, ვინც კლავს, ქურდობს, ძალადობს და სხვა. სინამდვილეში კი ამ სამყაროს მხოლოდ კანონიერი ქურდები ქმნიან. მოსკოვში, ყველაზე კრიმინოგენურ ქალაქში, ისინი ორმოცდაათზე მეტი არ არიან.

კანონიერი ქურდები ძალადობას ისე იყენებენ, როგორც ქირურგები სკალპელს: მაშინ, როცა საჭიროა, იქ სადაც საჭიროა და ზუსტად იმ დოზით, რამდენიც საჭიროა. ეს მკვეთრად განასხვავებს მათ რიგითი გონებაჩლუნგი დამნაშავეებისაგან, რომელთათვისაც ძალადობა იგივეა, რაც ყასბისათვის ნაჯახი, ჩეხავენ და თითქოს თვრებიან დაღვრილი სისხლით.

სხვა პრინციპული განსხვავება: ქურდები ცხოვრობენ ათეული წლების მანძილზე შემუშავებული თავისი „ორდენის" კანონებით. ეს კანონები ზუსტად არის განსაზღვრული—ქურდს არ უნდა ჰქონდეს საკუთარი ქონება, არ უნდა მონაწილეობდეს პოლიტიკაში, უშუალოდ არ უნდა ეწეოდეს კომერციას. ქურდი ვალდებულია: ემსახუროს მხოლოდ კანონიერი ქურდების საძმოს ინტერესებს, სამართლიანი იყოს საქმეების გარჩევისას, ეხმარებოდეს იმათ, ვინც სასჯელს იხდის, დაიცვას ტრადიციული წესები.

დამნაშავეთა სამყაროს ძლიერებისა და თავის დაცვის საიდუმლო იმაშია, რომ ქურდები ვალდებული არიან ერთმანეთს მხარი დაუჭირონ, იზრუნონ ავტორიტეტზე. მათი კანონით, სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც ხელს აღმართავს ქურდზე, მოსპობის ღირსია. უდავოდ იმავე „ორდენის" ინტერესების დაცვის მიზნით, უკანასკნელ დროს, ისინი უახლოვდებიან სამართალდამცავ ორგანოებს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ თვითონ არიან აღელვებული იმ დანაშაულთა უსაზღვროებით, რუსეთში რომ იჩინა თავი გარდაქმნისას და გარდაქმნის შემდეგ პერიოდში.

დამნაშავეთა სამყაროს არ გააჩნია ბნელი საიდუმლოებანი, როგორც ამაზე ზოგიერთი მწერალი და მეცნიერი წერსუფრო მეტიც, ეს ორგანიზაცია კი არა, არამედ ურთიერთდახმარების პრინციპზე აგებული საძმოა, ზოგჯერ ისინი რიგით მოქალაქეებსაც ეხმარებიან, თუ მათ სისხლის სამართლის გარემოსთან რაიმე პრობლემა შეექმნებათ. ასეთი მხარდაჭერა დღეს განსაკუთრებით კომერსანტებს ჭირდებათ.

იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, რომ ქურდი ჩაიდენს დანაშაულს (ასეთი რამ ნებისმიერ მოქალაქესაც შეიძლება შეემთხვეს), მაგრამ ჩვეულებრივი ბოროტმოქმედისაგან განსხვავებით, ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რაღაც მოიხვეჭოს, მიითვისოს (ეს მას არ სჭირდება, საკმა-

რისია თვალის დახამხამება და მას ყველაფერს მიაწვდიან, რასაც ისურვებს), არამედ იმ მოსაზრებით, რომ დაიცვას თავისი პრინციპები. ამიტომ ხშირად კანონიერი ქურდი არც მალავს დანაშაულში თავის მონაწილეობას. თამამად შეიძლება ითქვას, მათ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ეროვნებათაშორის კონფლიქტებთან, მათი ბრალი არაა, კავკასიაში თუ ყოფილი კავშირის სამხრეთ საზღვრებზე რომ სისხლი იღვრება. ქურდებს იქ არაფერი ესაქმებათ, ხოლო ის, ვინც ქურდული კანონი უგულებელჰყო და თავს ასეთ ომებში ჩარევის ნება მისცა, მთელი საძმოს წინაშე აგებს პასუხს.

დამნაშავეთა სამყაროს შეხედულებათა არსს რომ ჩავწვდეთ, უპირველეს ყოვლისა უარი უნდა ვთქვათ უაზრო და სასაცილო ქედმაღლობაზე. ქურდების აზრით, ჩვეულებრივ, ცოდავენ ისინი, ვინც არად აგდებენ ხალხურ სიბრძნეს და ჰგონიათ, თითქოს ციხეში არასდროს მოხვდებიან. საინტერესოა, რომ კანონიერი ქურდები საკუთარ თავს ზნეობრივად რიგით პატიოსან მოქალაქეებზე მაღლა აყენებენ. მცირე გამონაკლისის გარდა, ისინი არც ერთმანეთს ღალატობენ და არც თავის პრინციპებს.

ალბათ ბევრს არაფერს გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ბანაკები და ზონები—ეს უზარმაზარი მუცელია, რომელმაც შობა საბჭოეთის ქვეყანა ყველა მისი საზიზღრობით, საძაგლობით, ძალადობით, პიროვნების ადამიანური ღირსებების პრინციპული უარყოფით. თუ ძველ სამყაროში მონების ხელით გაკეთდა ყველაფერი, სოციალიზმი „ბოლშევიკური სახით" პატიმრებმა ააშენეს და მონები, ალბათ, უფრო ბედნიერნი იყვნენ პატიმრებთან შედარებით, ისინი ვიღაცას ეკუთვნოდნენ, გარკვეული ღირებულება ჰქონდათ, პატიმრები კი, როგორც ყველაფერი ბოლშევიკურ ქვეყანაში, არავისი იყვნენ, იხოცებოდნენ ათასობით, და ამაზე გული არავის შესტკიოდა.

დამნაშავეთა სამყარო სწორედ საზოგადოებრივი ორგანიზმის რეაქციაა სტალინური, შემდეგ ბრეჟნევის, ანდროპოვის დროინდელი კოლონიების „სიმშვენიერეთა" ფონზე. ბუნებრივია, კაცს, ბანაკში რომ მოხვდა, უნდოდა თავი გადაერჩინა. ეს კი დამნაშავეთა ძირითადი მასისათვის დახურულ წრეში შეიძლებოდა. სიცოცხლე შეინარჩუნეს მხოლოდ ყველაზე ჭკვიანებმა, ძლიერებმა, ვისაც საკუთარი თავის დაცვის უნარი ჰქონდა. დამნაშავეთა გარემოს ჭირდებოდა მექანიზმი, შიგნითვე რომ გადაწყვეტდა ყველა სადავო საკითხს და წინააღმდეგობას. იგი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული წინ წამოეწია ყველაზე უნარიანი ლიდერები, ვისაც მსაჯულის როლის შესრულება შეეძლო. ამიტომაა კანონიერი ქურდი კოლექტიურად აღიარებული პიროვნება, და

იყო ვალდებული გაამართლოს ნდობა.

ხასიათითა და ბუნებით თავად დანაშაულებრივმა საბჭოთა სახელმწიფომ თავიდანვე გამოიჩინა ქურდული ტრადიციების განმტკიცებისადმი ინტერესი. ზონებში შერეკილი ხალხის უზარმაზარი მასის, უფრო სწორად, მუშა ნახირის უღელში დაკავების უნარი ჰქონდა მხოლოდ დამნაშავეთა სამყაროს, და არა დაცვასა თუ ოპერატიულ სამსახურს. კოლონიებს დღესაც ქურდული კანონები მართავს და არა ადმინისტრაცია. უეჭველია, სანამ სამრეწველო ქალაქების გარეუბნებში დარჩება ზონები პატიმართა იაფფასიანი მუშა ძალის გამოსაყენებლად, დამნაშავეთა სამყაროს ბურჯი არ შეერყევა.

სტალინურ დროსთან შედარებით ქურდული „ორდენი" მნიშვნელოვნად შეიცვალა: თუ ე. წ. ურკაგანები და ჟიგანები, რომლებიც 20-30-იან წლებში ქმნიდნენ დამნაშავეთა სამყაროს სახეს, სუკის პირველი მთავარი სამმართველოს კონტროლს ექვემდებარებოდნენ, დღევანდელი კანონიერი ქურდები წარმოადგენენ დამოუკიდებელ ძალას, უფრო მეტიც — პოლიტიკურ ძალასაც, ქვეყანაში მომხდარ პროცესებზე საკუთარი წარმოდგენით და მასზე გავლენის საშუალებით.

ძნელია, თითქმის შეუძლებელია ამის დაჯერება, მაგრამ სწორედ დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებმა ატეხეს პირველებმა განგაში გორბაჩოვის „გარდაქმნის" გარიჟრაჟზე. ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ უშიშროებას საერთაშორისო მაფიის ექსპანსია ემუქრება, რადგან იგი მეტისმეტადაა დაინტერესებული საზოგადოების ზნეობრივი დაშლითა და პირველ რიგში პატრიოტიზმის გრძნობის დისკრედიტირებით.

აი, ერთი დასტური:

კანონიერ ქურდ ბრილიანტთან საუბრის ცნობა-მემორანდუმი

ქ. სოლიკამსკი, შ.გ.კ-6, 1986 წ. 30 იანვარი

— ვასილ, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა თქვენი ნახვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოში მალავენ, რომ „თეთრ გედში" ზიხართ და თანაც ცალკე საკანში.

— მე უკვე 40 წელია ციხეებში ვარ, ვიცი, როგორ ეხერხებათ აქ ტყუილების თქმა. ახლა „თეთრ გედში" ჩამკეტეს, ვითომ უნდა „გამოვსწორდე", ხელწერილი დავდო, რომ დამნაშავეთა სამყაროსთან კავშირს გავწყვეტ. სასაცილო არაა?! მე არ გავტყდი 50-იან წლებში, როცა ქურდები გროვა-გროვა მიდიოდნენ ციხეში, ოპერმუშაკები კი ქაღალდს და კალმისტარს აწოდებდნენ ხელწერილისათვის. მაშინ ბევრი სიმწარე ვნახე „პატრონისაგან", მე სახალინზე მოვიხადე სასჯელი, გამიჭირდა, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ბოლომდე მტკიცედ ვი-

დექით. ახლა სამოცდაათის ვარ, სისულელეა უკან დახევა.

აი, რას გეტყვით. ნუ ეცდებით ყველა დანაშაული ჩვენ, ქურდებს დაგვაბრალოთ, ნურც გარტევების კაცებად ჩაგვთვლით. ჩვენ ქურდული ცხოვრების სიწმინდის ჯვარი ვიტვირთეთ. იგი უფრო წმინდაა, ვიდრე თქვენი სახელმწიფოებრივი თავლები. დღეს ჩვენ გვიბიძგებთ მარცხისაკენ, ხვალ, ჩვენ რომ წავალთ, იმ ყულფს თქვენ ჩამოგაცვამენ კისერზე.

მე შემთხვევით არ ვარ ცალკე საკანში: უფროსის ბრძანებით მომაცილეს მეგობრებს, საერთო შეკრების მოწვევას ვაპირებდი და იმიტომ. ყველამ უნდა გაიგოს, რომ დაშლის საფრთხე გვემუქრება, ჩვენს ერთმანეთზე წაქეზებას აპირებენ. საიდან ქრის ეს ქარი? ჩანს, დასავლეთიდან, ეშინიათ ჩვენი იდეური შემჭიდროებისა, ჩვენი განცალკევება უნდათ, ანტისაბჭოელები ჯერ ზონებში ისხდნენ, მერე საზღვარგარეთისკენ გასწიეს, იქ კი უამბეს, რას ნიშნავს რუსეთში ჩვენი ძმობის ძალა. ჰო, გამახსენდა! ბუკოვსკის შევხვდი ვლადიმირის ციხეში, ის მაშინ ჩვენი ძმობის პოლიტიკაში ჩარევას ცდილობდა, რომ დისიდენტებისთვის დაგვეჭირა მხარი, მაგრამ ჩვენ ბატონები არ გვჭირდება, მათი პატრონები კი დასავლეთში არიან. არ მოეწონათ ჩვენი პოზიცია პოლიტიკოსებს, ახლა მათ დამნაშავეთა სამყარო, როგორც მთლიანად რუსეთი, ძვალივით აქვთ გაჩხერილი ყელში.

## ცნობა

**სანდო პირის ცნობით, მე-6 კოლონიის ადმინისტრაციამ წინასწარგანზრახვით შეასუსტა კონტროლი კანონიერი ქურდის ვასია ბრილიანტის გარემოცვაზე და იგი დაქირავებულმა მკვლელმა დაახრჩო, მერე კი თვითმკვლელობის ინსცენირება მოაწყვეს.**

1986 წლიდან ციხეებსა და კოლონიებში შექმნილ ერთიან ქურდულ სამოში დაიწყო განხეთქილება მათი ორგანიზებული დევნის გამო. დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტთა უსამართლო დევნამ, ცალკეული პიროვნებების კომპრომეტირების ხელოვნურმა ორგანიზაციამ კატასტროფული შედეგები მოიტანა. დაიწყო სისხლის სამართლის დამნაშავეთა უკონტროლო სამყაროს სწრაფი ზრდა, ფეხი მოიკიდა ძალადობამ. ეს სიტუაცია გვაგონებს ჩინელების ბრძოლას ბეღურებთან. ჩინეთში გადაწყვიტეს, რომ ბეღურები ზიანს აყენებენ მოსავალს და დაიწყეს

ამ ფრინველების წინააღმდეგ საყოველთაო ლაშქრობა. ბეღურები მოსპეს, მაგრამ ამის გამო ის მავნებლები გამრავლდა, რომლითაც ეს ფრინველები იკვებებიან და მოსავალი უარესად განადგურდა, ამიტომ ჩინელებს მოუხდათ სასწრაფოდ შემოეყვანათ ბეღურები საზღვარგარეთიდან. იქნებ არ დაიჯეროთ, მაგრამ რუსეთს უკვე სჭირდება იმ კანონიერი ქურდების რემიგრირება, რომლებიც მშობლიური სახელმწიფოს თვითნებობისაგან თავის გადასარჩენად გაიქცნენ დასავლეთში. საზღვარგარეთ კი ადამიანის უფლებებს პატივს სცემენ.

## ცნობა

**რუსეთის შსს ორგანოების მოთხოვნას „იაპონჩიკის“ (ვიაჩესლავ კირილეს ძე ივანკოვი) დაკავებისა და რუსეთში რეპატრირების შესახებ აშშ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა უარით უპასუხა მოქალაქეობრივი უფლებების ხელშეუხებლობის მოტივით.**

ის კრიზისი, სახელმწიფოს არაგონივრულმა მოქმედებამ რომ გამოიწვია დამნაშავეთა სამყაროში, სასარგებლო აღმოჩნდა სისხლის სამართლის დამნაშავეთა უზარმაზარი არმიისათვის, რომელმაც აავსო რუსეთის ქალაქები. ამ გონებაჩლუნგ და სისხლმოწყურებულ ძალას, არაფერი რომ არა სწამს, ჯერ კიდევ ეწინააღმდეგება ქურდული კავშირი, მაგრამ მას უკვე ის ენერგია აღარ აქვს, რაც გახლეჩამდე ჰქონდა.

ქურდების ერთი ნაწილი საქმით იცავს ქურდული ცხოვრების წესებს—არ ერევა კომერციაში, მხოლოდ მოსამართლე—მედიატორის ფუნქციებს კისრულობს მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიებს შორის და დანაშაულებრივ სფეროში. ფულს მედიატორობისათვის ისინი არ ითხოვენ (!), იგულისხმება, რომ ეს ადამიანები სამაგიეროდ შემდეგ გაუწევენ დახმარებას. „ტრადიციონალისტები“ სადაო საკითხების გადაჭრის დროს უარყოფენ ძალადობას, მას იყენებენ მხოლოდ მოღალატეების მიმართ, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი იმ პირთა მიმართაც, ვინც არ შეასრულა წაყენებული მოთხოვნები. გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ მიიღება მხოლოდ ქურდების შეკრებაზე.

ქურდების მეორე ნაწილი გარეგნულად იცავს ტრადიციებს, მაგრამ ცდილობს მესამე პირთა მეშვეობით (ნათესავები, მეგობრები, ახლობლები) ჩაერთონ მსხვილ კომერციულ სტრუქტურებში. ისინი მხარს უჭერენ რეკეტის ზოგიერთ ხელმძღვანელს და არც პროცენტის მიღე-

ბას თაკილობენ.

„ტრადიციონალისტები" უმკაცრესად მოჰკითხავენ თანამოძმეთ ორპირობისათვის. ორპირობას ქურდული გარემო ვერ იტანს, რადგან ეს დამნაშავეთა სამყაროს ინტერესების ღალატია. და თუ ქურდულ სამყაროში ჯერ კიდევ არ გაჩაღებულა კონფლიქტები, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორიტეტები ცდილობენ გადაარჩინონ ქურდული საძმო.

დამნაშავეთა სამყაროს განვითარების მომავალი ბევრადაა დამოკიდებული რუსეთის საქმიან წრეებზე. თუ მეწარმეები და კომერსანტები უარს იტყვიან კანონიერ ქურდებთან სალი კონსენსუსის ძებნაზე, რეკეტიორებთან მოილაპარაკებენ, „ტრადიციონალისტების" მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდება. დამნაშავეთა სამყარო არა მარტო გაიხლიჩება, არამედ დაქუცმაცდება კიდეც. აქედან გამომდინარე, აღარ იარსებებს ისეთი მორალური ძალა, როგორიცაა ქურდული იდეა, რომ ამ გონებაჩლუნგი ძალადობის შემოტევა შეაჩეროს. საბოლოოდ კი ეს სისხლისმღვრელ კონფლიქტს გამოიწვევს დამნაშავეთა დაჯგუფებებს შორის. და ეს ომი, მისი არნახული სისასტიკით და მასიური მკვლელობებით, რუსეთის ქალაქების ქუჩებში გაჩაღდება.

დღეს რიგითი კომერსანტისთვის რეკეტზე საშიში არაფერია. რეკეტიორები იღებენ შემოსავლის ნახევარს, ეს კი გაპარტახებით ემუქრება კომერსანტს. იგი იძულებულია მიმართოს ავტორიტეტებს—კანონიერ ქურდებს, მაგრამ როგორ გადააჩვიონ რეკეტიორი მუდმივ საკენკს? ქურდებს ამისი გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ საქმეების მკაცრი გარჩევით. ამ დროს კი სისხლი უეჭველად ორივე მხარეს დაიღვრება.

დღეს მოსკოვში რამდენიმე ათეული ქურდი მძლავრ დაჯგუფებას აყალიბებს. მათი მიზანია, აკონტროლონ დედაქალაქში მოქმედი ბანდები და ცივილიზებულად (ქურდული გაგებით) დაიცვან საქმიანი სამყარო. რეკეტისაგან.

კანონიერმა ქურდებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, ვალებთან დაკავშირებული დავებისა და რეკეტზე საჩივრების განხილვისათვის ფული არ აიღონ, ეს არ ეხება ნებაყოფილობით შეწირულობასა და საჩუქრებს. ყველა კონტაქტი უნდა გამოიყენონ ავტორიტეტის გაფართოებისათვის და საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს რეკეტიორების წინააღმდეგ მიმართონ. და, ბოლოს, ხელი შეუწყონ, რომ მეწარმეთა კომერციული შეთანხმებები წმინდა იყოს.

1988 წლიდან სსრკ შს მინისტრის ბაკატინის (იგი წარსულში პარტიული ფუნქციონერი იყო, ერთ-ერთი მათგანი, ვინც მსგავს სამუშაოზე შეიძინა ჩვევა ყველაფერს უხელმძღვანელოს და პასუხი არაფერზე

აგოს) ძალისხმევით მოსკოვში პრაქტიკულად არ დარჩა კანონიერი ქურდი. ამ თავისებური კრიმინოგენური დივერსიის შედეგად არნახული რაოდენობით გამრავლდა საზიზღარსიფათიანი ხალხი, ყველაფერზე რომ აწერენ ხელს, მზად არიან ერთი გროშისთვის მოკლან, გააუპატიურონ, აწამონ ადამიანები. ავტორიტეტთა „მამაშვილური" ზედამხედველობის გარეშე დარჩენილმა ამ ათასი ჯურის ხულიგნებმა და ნაძირალებმა ქალაქისა და მისი გარეუბნების ბატონ-პატრონებად, სუპერმენებად ჩათვალეს თავი.

მდგომარეობა მხოლოდ უკანასკნელ დროს გამოსწორდა, მაგრამ ეს პროცესი რთულად მიმდინარეობს, კანონიერ ქურდებს უჭირთ სადავეების ხელში დაჭერა და ამის გამო არც თუ ისე ცოტა ტრაგედია ხდება. აი, ერთ-ერთი უკანასკნელი, რომლის მთავარი მოქმედი პირები ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობას „ინტერფორმულას", თავისი კომერციული დირექტორის ანატოლი სემიონოვის წყალობით, მომგებიანი საქმე ჰქონდა წამოწყებული—საბჭოური და იმპორტული ავტომანქანებით ვაჭრობა. მაგრამ ეს ძალიან სახიფათოა იმ ცნობილი პრინციპის გამო—„თუ გსურს ცხოვრება—გაიხადე".

ტოლია სემიონოვი ამაზე უარს არ ამბობდა. ის არც ქრისტე იყო და არც მუჰამედი, ქვეყანა გაესწორებინა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ ნაძირალებისათვის არავითარი კანონი არ არსებობს. აი, მაგალითად, ბალაშიხის ჯგუფმა, როგორც კი საქმე აეწყო, მომგებიანი პარტნიორების დაშინება დაიწყო. ცხადია, კონსენსუსი უნდა მოეძებნათ და ბანდის ყოველმა წევრმა საჩუქრად საზღვარგარეთული მარკის ავტომანქანა მიიღო. ეს ცოტა აღმოჩნდა, ბანდის მეთაურმა პეტრიკამ ყოველ გაყიდულ პარტიაზე ახალი პროცენტი მოითხოვა. არც ეს იკმარეს! როგორც სურდათ, ისე ხმარობდნენ ფირმის სარემონტო ბაზას, პარკში გატაცებული მანქანები შეჰყავდათ და არც ამას დასჯერდნენ!

რა უნდა ექნა?

კომერციული დირექტორი დამნაშავეთა სამყაროს მცოდნე ადამიანად ითვლებოდა, მეტსახელიც ჰქონდა—„რემბო", მაგრამ ბალაშიხის ბანდიტებთან ფრაერი აღმოჩნდა და სიტყვის თქმისაც ეშინოდა.

პეტრიკი კი—ბალაშიხში თავისი სისასტიკით ცნობილი დამნაშავე—თითქოს დაუსჯელობისაგან გაბრუვდა, მაგრამ 1989 წელს დააპატიმრეს. მისი ბანდიტები ნამდვილ ტერორს აწყობდნენ ზელინოგრადსა და ხიმკში, კიროვსა და ასტრახანში.

კაპიტან მალიშევსაც ჰქონდა ბედნიერება გაცნობოდა ამ ხალხს. იგი ახალი ჩამოსული იყო ავღანეთიდან, სადაც სპეცნაწილში მსახურობდა.

ეკრეთწოდებული კარანტინის დროს ის და სხვა ოფიცრები—მსვე-რავები—ხშირად დადიოდნენ სავახშმოდ რესტორან „რადუგაში". პეტ-რიკის შტაბ-ბინაც იქ იყო.

ერთხელ მალიშევი რესტორანში სამოქალაქო კოსტუმით მივიდა, კერძი დაუკვეთა და იქაურობის თვალიერება დაიწყო, ჰალსტუხი შე-ისწორა, ინტერესით აკვირდებოდა სამოქალაქო ცხოვრებას, არაქდა ავ-ღანეთის მთებში ცოტა არ იყოს გადაეჩვია ცივილიზაციას. რა თქმა უნდა, მოენატრა კულტურული გარემო—უნდა სიმებიანი ორკესტრი უკრავდეს, ქალებს ხელზე ჰკოცნიდნენ. აქ კი უყურებს და ვერაფერს გებულობს—თავხედი ახალგაზრდების წივილ-კივილი, ქალებზე ურ-ცხვი გადაკიდება, ფულის ხმაურიანი გაყოფა მაგიდასთან და კიდევ ბევრი რამ.

მალიშევს ნერვებმა უმტყუნა, ადგა, მივიდა ყველაზე უხეშ ჯგუფთან და ნაირ-ნაირ სასმელებიანი ბოთლების გროვას კოლტის მთელი მჭი-დი მიუშვა. ყველანი გაჩუმდნენ, მხოლოდ ისღა ისმოდა, მაგიდიდან როგორ იღვრებოდა იატაკზე სითხე.

—შეკითხვები ხომ არა გაქვთ?—იკითხა მალიშევმა.

ხმა არავის გაუღია.

იმ დღიდან პეტრიკის ჯგუფმა სასწრაფოდ მოინაცვლა ადგილი—რესტორან „პახრაში" გადავიდა და იქ ნებივრობდა, სანამ ადგილობ-რივმა სისხლის სამართლის სამსახურმა არ „დაბომბა".

პეტრიკი ზონაში თვით იაპონჩიკმა აკურთხა კანონიერ ქურდად, რას იზამ, შეუცდომელი არავინაა.

ბალაშიხში იგი იაპონჩიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაბრუნდა—ისეთივე ხარბი, ანჩხლი, მაგრამ—კანონიერი ქურდი.

იმ ხანებში „ინტერფორმულის" დირექტორმა სემიონოვმა ერთ-ერთ კაზინოში გლობუსა გაიცნო. ისინი არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და ბუნებრივია, საუბარი სემიონოვის გასაჭირზეც ჩამოვარდა.

—რაც გინდა, აიღე—ეხვეწებოდა სემიონოვი,—სულ ვალში ვიქნები შენთან, ოღონდ ეს მაიმუნი პეტრიკი ჩამომაცილე!

—ნუ ჩქარობ,—დინჯად ურჩია გლობუსამ—ჯერ ზოგ ვინმეს უნდა მოვეთათბირო!

პეტრიკის უმსგავსოება უკვე ყველა მოსკოველმა ქურდმა იცოდა და ძალიანაც არ მოსწონდათ, ის ყოველთვის აწუხებდა პატიოსან კომერ-სანტებს, იმათაც კი, ვინც არავითარ დანაშაულში არ შეემჩნიათ. ეს ხომ მილიციის გაღიზიანება იყო, ერთ მშვენიერ დღეს აიღებიან, გადა-იყვანენ ისრებს 80-იანი წლების დროზე და კანონიერ ქურდებს მის-დგებიან, ყველაფერს მათ დააბრალებენ.

გადაწყვიტეს, მეგობრულად დალაპარაკებოდნენ პეტრიკს და ჭკუაზე მოეყვანათ. მისი „ნათლია“ იაპონჩიკი უკვე ამერიკაში იყო. მთელი უფლებები გადაეცა რაფიკ ერევანსკის, სვოს. მან მოიწვია პეტრიკი შეხვედრაზე, მაგრამ პეტრიკს შეეშინდა, რომ კანონიერი ქურდის წოდებას ჩამოართმევდნენ და უხეშად უთხრა უარი. თან გადაწყვიტა, თვითონ აეღო ინიციატივა. მისმა წერილფეხობამ სასტუმრო „მინსკის“ ნომერში, სადაც სვო ცხოვრობდა, ავტომატი „უზი“ შეაგდო და მილიციას შეატყობინა. „ოპერაცია“ წარმატებით ჩატარდა, სვო დაიჭირეს. იგი საგამოძიებო იზოლატორში გარდაიცვალა, მისი სიკვდილიც გამოცანად დარჩა.

სვოს გარდაცვალებამდე პეტრიკის ხალხმა გლობუსასაც გაუსწორა ანგარიში, დაქირავებულმა სნაიპერმა მკვლელმა ზუსტი გასროლით დაუსვა წერტილი მის სიცოცხლეს, მერე კი ანატოლი სემიონოვიც მოკლეს მაკაროვის პისტოლეტით.

პეტრიკს ეძებენ. ფიქრობენ, რომ ის უკვე აშშ-შია.

# ბანკირის მკვლელობა

ივლისის საღამოა. ნაცნობი აგარაკი. აქ ისევ ის ორნი არიან და კიდევ ერთი წარმოსადეგი მამაკაცი, რომელიც, თუ სახის გამომეტყველებით ვიმსჯელებთ, ცხოვრებას არც თუ ისე გაუხარებია. იგი მსხვილი ფინანსისტია, ცნობილი კომერციული ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.

—წაიკითხე—მოხუცმა მალიშევს ქაღალდი მიაწოდა—ბანკირების ღია წერილია ხელისუფლებისადმი, ხვალ პრესაში გამოქვეყნდება.

„რუსეთის საქმიანი წრეები შეშფოთებული არიან კრიმინალური სტრუქტურების გააქტიურებით.

უკანასკნელ პერიოდში მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და ეკატერინბურგში მოხდა კომერციული ბანკების ხელმძღვანელების 10—ზე მეტი შეკვეთილი მკვლელობა. უკანასკნელი მსხვერპლი იყო „ინკომბანკის" სანკტ-პეტერბურგის ფილიალის მმართველი.

ცდილობენ რა მოაქციონ კომერციული ბანკები თავიანთი გავლენის სფეროში, კრიმინალური ელემენტები გადავიდნენ პირდაპირ ფიზიკურ განადგურებაზე, განსაკუთრებით იმ კომერსანტებისა, ვინც არ დაემორჩილა. მათ მუქარას კრმინალური სისტემის ზეგავლენა პირველად მცირე და საშუალო ბანკებმა იგრძნეს, ახლა კი ცდილობენ, რუსეთის მსხვილი ბანკების წარმომადგენლები დააშინონ. თანამშრომლები აპყავთ მძევლებად, იმუქრებიან ახლობლების მკვლელობით და სხვა. სამართალდამცავი ორგანოები ცდილობენ, ეს დანაშაულობანი კომერციულ სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის, კონფლიქტების ნიადაგზე ახსნან.

შეიქმნა სიტუაცია, როცა მთელი საზოგადოება და ახალი საფინანსო—სამეწარმეო ინსტიტუტები კარგად ორგანიზებული, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ბანდიტების დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა დაუყოვნებლივ გამოვიყენოთ მთელი ძალაუფლება, ყველა არსებული საშუალება, რომ არ დავუშვათ ქვეყნის გადაგვარება, ნუ დავაყენებთ საფრთხის წინაშე რუსეთის სამართლებრივ სახელმწიფოდ გადაქცევის იდეას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საზოგადოებრივი სტაბილიზაციისა და დემოკ-

რატიული გარდაქმნებისადმი მიმართულ პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა წამოწყებას და მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ ამ გეგმების განხორციელებაში.

ვიმედოვნებთ, ჩვენი მიმართვა არ დარჩება რუსეთის პრეზიდენტის ყურადღების მიღმა და სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს იღონებენ რესპუბლიკის მოსახლეობის სიცოცხლისა და ღირსების დასაცავად.

ს. ეგოროვი, რუსეთის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი,

ა. სმოლენსკი, ბანკ „სტოლიჩნის" პრეზიდენტი,

ვ. გუსინსკი, „მოსტ-ბანკის" პრეზიდენტი,

გ. თოსუნიანი, „ტექნობანკის" პრეზიდენტი,

ე. ნევეროვი, მოსკოვის ბანკ „პერმესცენტრის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე,

ვ. იაკუნინი, „ტოკობანკის" პრეზიდენტი, გამგეობის თავმჯდომარე"

—რას იტყვი?—ჰკითხა მოხუცმა მალიშევს.

კაპიტანმა მხრები აიჩეჩა.

—ყვირილით საქმეს ვერ უშველი, თუგინდ გულწრფელიც იყოს!

—შენ იმის თქმა გინდა...

—მე იმის თქმა მინდა, რომ ამ მიმართვას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვება.

—საინტერესოა!—წამოიძახა ბანკირმა.

—დიახაც, საინტერესოა! ხელისუფლებისაგან კი არ უნდა მოითხოვოთ დაცვა, არამედ თვითონ უნდა წარმოადგინოთ დასაბუთებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი გეგმა, შესაბამისი სახელმწიფო ინსტანციები კი თქვენს დაკვეთას შეასრულებენ, თორემ ისე გამოდის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადავდივართ, ფსიქოლოგია კი ძველი დაგვრჩა: ვინმე მოვა, ვინმე დაგვიცავს...

—ჩვენ არა ვართ სახელმწიფოს კმაყოფაზე, მილიონებს ვხარჯავთ საკუთარი ძალოვანი სტრუქტურების ჩამოსაყალიბებლად.

—ეს უკვე მეორე მხარეა. კერძო ძალოვანი სტრუქტურა კომერციაში ხშირად პირველ რიგში პატრონისათვის ხდება სახიფათო...

—მაშ რას გვთავაზობთ?

—პროფესიონალები უნდა დააინტერესოთ. აი, კონკრეტული მაგალითი: დამნაშავეთა სამყაროს ერთ ავტორიტეტთან კონფლიქტის გამო ფირმა „არგონის" თავმჯდომარეს დიდი უსიამოვნება ჰქონდა, ჯერ სამი მსუბუქი ავტომანქანა მოსტაცეს, შემდეგ თვეში მილიონნასევარი მანეთი მოსთხოვეს, იმუქრებოდნენ, რომ ფირმის ყველა საწყობს დაწ-

ვავდნენ და ბანდიტები მართლა შეასრულებდნენ ამას.

—რამ შეუშალათ ხელი?

—პროფესიონალებმა წაიმუშავეს, მარტივი სვლა გაკეთდა: თავიანთ საქალალდეში მოძებნეს „განაწყენებულ" ავტორიტეტზე გავლენის საშუალება და მესამე პირის მეშვეობით ურჩიეს, თავი დაენებებინა „არგონიისათვის", ჰოდა, ახლა ფირმა აყვავებულია, საწყობები უვნებელი, თუმცა მას გუშაგების მინიმალური რაოდენობით იცავენ.ერთი სიტყვით, პროფესიონალების ამ უნარს, კონტროლი გაუწიონ დამნაშავეთა წრეებს, სახელმწიფო არ ანაზღაურებს, ამიტომ თქვენ შეგიძლიათ რამდენიც გნებავთ წერილი დაწეროთ, შედეგი მაინც არ მოჰყვება.

—თანახმა ვარ, რომ პროფესიონალს მესაკუთრის დაცვისათვის კარგად უნდა' გადაუხადონ.

—თანხა მიზნობრივად უნდა მოხმარდეს კონკრეტულ დანაყოფს, კონკრეტულ პიროვნებას, კონკრეტული მუშაობისათვის, დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება ნებისმიერი რეკეტისაგან, ძარცვისაგან და შეკვეთილი მკვლელობისაგან დაიზღვიოთ თავი.

—შეკვეთილი მკვლელობისაგან დაზღვევა?

—რატომაც არა! იაპონიაში ასეთი ინსტიტუტი არსებობს. თუ მაღაზიის ან ფირმის მფლობელს უნდა დაცული იყოს რეკეტისაგან, ყაჩაღობისაგან, ორგანიზებული გაძარცვისაგან, ის ყიდულობს „კარგი მაფიის" „გერბს"—საუბარია იაკუძებზე, ჩვენებურად კანონიერ ქურდებზე, რომელთა საქმეები რეგისტრირებულია პოლიციაში, თანამშრომლობენ მათთან და იღებენ ვალდებულებას, არ დაარღვიონ კანონი, მათ ყველა საშუალება აქვთ გავლენა იქონიონ დამნაშავეთა წრეებზე და გააკონტროლონ ისინი.

—თქვენ თვლით, რომ ჩვენ შეიძლება ვისწავლოთ მათგან?

—რა თქმა უნდა! ასეთივე საზოგადოებრივი ინსტიტუტი შეიძლება შეიქმნას ჩვენშიც, მილიციისა და უშიშროების ორგანოების გამოცდილი მუშაკებისგან, მაგრამ საჭიროა აგრეთვე შუა რგოლი, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს წარმოადგენს—კრიმინალური წრისა და საქმიანი ხალხისა. გესმით ჩემი?

—არც ისე.

—საჭიროა დაზვერვა, სრული ინფორმაცია იმაზე, თუ სად და ვის წინააღმდეგ მოგიხდება მოქმედება. კრიმინალურ სფეროში ხომ მილიციას არ უშვებენ, სამაგიეროდ კრიმინალურ სამყაროს ჰყავს მილიციაში თავისი ხალხი. ახლა წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვართ, როცა კაპიტალის ან საკუთარი სიცოცხლის დაცვის საკითხი დგება.

—მაშ, რას გვირჩევთ?

—ერთი გამოსავალი გვაქვს: მივმართოთ თხოვნით იმათ, ვისაც შეუძლია დამნაშავეთა დაჯგუფების აქტიურობა გააკონტროლოს, კანონიერ ქურდებს ვგულისხმობ. ნახავთ საერთო ენას?—თქვენი საქმეები გამოსწორდება და საკუთარ უსაფრთხოებაშიაც დარწმუნებული იქნებით, თუკი ვერ შეთანხმდებით, საკუთარი კრიმინალური დაჯგუფების შექმნა და შენახვა მოგიწევთ, მაგრამ მაშინ უკვე უმჯობესია კომუნისტური რეჟიმი აღვადგინოთ.

—პრაქტიკულად?-

—მე შემიძლია გაგაცნოთ ზოგიერთი ცნობილი კანონიერი ქურდი, მოუსმინეთ მათ.

ფინანსისტმა მოხუცისაკენ გაიხედა. მან თავის დაქნევით დაუდასტურა.

—კარგი, ვცდით!—დათანხმდა ბანკირი.

მალიშევმა ტელეფონის ნომერი აკრიბა.

—გისმენთ, ილაპარაკეთ!

—მე ანზორი მჭირდება.

—ვინ კითხულობს?

—მაქსიმ ანდრეევიჩი.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ყურმილში სამხრეთული აქცენტის, ოდნავ ჩახლეჩილი ხმა მოისმა.

რამდენიმე უმნიშვნელო ფრაზის შემდეგ საქმეზე გადავიდნენ და სწრაფად მოილაპარაკეს შეხვედრაზე.

—მე ჯერ არასოდეს მქონია საქმე კანონიერ ქურდებთან,—თქვა ბანკირმა, როდესაც მალიშევმა ლაპარაკი დაამთავრა და ყურმილი დადო.

—ეს შეხვედრა რთულს არაფერს გავალებთ, იმაზე იფიქრეთ, რომ თქვენს წინადადებებს კრიმინალური ელფერი არ ჰქონდეს.

საბურავების შრიალით გაჩერდა შავი „ოპელი" რესტორან „ჰამბურგთან". მანქანიდან ორი მამაკაცი გადმოვიდა. მათ გრძელი, რეგლანის სტილის პალტოები ეცვათ, ვესტიბიულში ახალგაზრდა კაცი შემოხვდათ და პალტოები ჩამოართვათ.

დარბაზის კუთხეში, მაგიდასთან, ორნი ისხდნენ. ახლადმოსულების დანახვისთანავე ერთი წამოდგა და მათ მიეგება. ერთმანეთს მიესალმნენ, დასხდნენ და მიმტანი იხმეს. სტუმრებმა სასმელზე უარი თქვეს, მხოლოდ წვენი და მსუბუქი საჭმელი აირჩიეს.

ერთ-ერთს, რომელიც უფროსი იყო, ანზორი ერქვა, მის მხლებელს კი—აშოთი.

კანონიერ ქურდებში მიღებული ზედმეტსახელით მიმართვა, ეს თავისებური პასპორტია, გვარი კარგავს თავის აზრობრივ დატვირთვას, მითუმეტეს, რომ მათ შსს-შიც ასე იცნობენ.

გაცნობის და მისალმების შემდეგ სტუმრები პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ.

—გისმენთ, რა პრობლემები გაწუხებთ?—ჰკითხა ანზორმა.

—იცით,—უპასუხა ფინანსისტმა,—რაიონში ბანკის ახალი ფილიალი იხსნება. მე, როგორც დამაარსებელი, დაინტერესებული ვარ, თავიდან ავიცილო კონფლიქტები ადგილობრივ დაჯგუფებებთან.

—ახლახან ვესაუბრე მილიციის ერთ-ერთ გენერალს,—თქვა ანზორმა—ჩანს, რომ შსს-ში უნდათ, ჩვენი დახმარებით შეაჩერონ ეს მოუთოკავი ახალგაზრდობა. მაგრამ ჩვენ იმასთან საქმის გარჩევას არ დავიწყებთ, ვინც ბანკებს „აზის" და უკვე უხდიან. არსებობს სხვა, ჩვენი წარმოდგენით, საკმაოდ კარგი საშუალება. მაგალითად, ჩვენ ვთხოვეთ გენერალს, გადმოგვცენ რამდენიმე ციხე და გააკერძოონ ისინი, გარანტიას ვიძლევით, იქ სრული წესრიგი იქნება. ყოველგვარი ძალადობის გარეშე. დაცვა შეიძლება სახელმწიფოებრივი იყოს. განა ეს არ შეაჩერებს განუკითხაობას?

—რა თქმა უნდა,—განაგრძო ანზორმა,—არიან ქურდები, რომლებიც აწყობენ პროვოკაციებს, ახალგაზრდებს ერთმანეთს აჯახებენ და მოგებას ნახულობენ, მაგრამ ასეთები იშვიათია. ჩვენ ყველა ერთმანეთს ვუჭერთ მხარს მოსკოვში, მილიცია კი ბინძური მეთოდებით ცდილობს ჩვენს დაშორებას—დაპატიმრების მიზეზი რომ ჰქონდეთ, ხან ნარკოტიკებს ჩაგვიდებენ ჯიბეში, ხან იარაღს. ჩვენ ვითხოვთ, მილიციამ პირველმა თქვას უარი უკანონობაზე, მაშინ ამ გაგიჟებულ ახალგაზრდობასაც ვასწავლით ჭკუას და იმათაც, ვისაც დღევანდელი მომენტი არ ესმის.

რაც შეეხება კომერსანტებს, ისინი თვითონ არიან დამნაშავენი. ჯერ უხდიან რეკეტიორებს, მიაჩვევენ, მერე კი ჩვენთან მორბიან დახმარებისათვის, მაგრამ უკვე გვიანაა, ფულის კეთების მანქანა გაეშვა და არ არჩევს, ვინ ქურდია და ვინ—ფრაერი. არიან მოსკოვში სერიოზული ბიჭები, არ ვლაპარაკობ კანონიერ ქურდებზე, თავიანთი ბანკები აქვთ, წარმოებები, საკუთარი ადგილი მოძებნეს ბიზნესში და არავის არაფერს უხდიან. რატომ? საკუთარი წესდება აქვთ და ჩვენს ქურდულ კოდექსსაც პატივს სცემენ, მაგრამ ზოგჯერ ისინიც არ არიან მართალნი.

თუ ჩვენთან სერიოზული მუშაობა გინდათ, ყველაფერი რომ წესრიგში იყოს, შეიყვანეთ დირექციაში ჩვენი კაცი. ის ყველა მოლაპარაკებას დაესწრება, უნდა იცოდეს, ვინ იღებს კრედიტს, რომ მერე არ აგატკივოთ თავი მევალემ. არავითარი ქაღალდები მას არ სჭირდება, არც საპროცედურო საკითხებში ჩაერევა, არც ბუღალტერია აინტერესებს. საიმედოობის გარანტია ურთიერთპატივისცემა და ზეპირი შეთანხმება იქნება და არა რაიმე საფინანსო ვალდებულება— დანარჩენი თქვენ გადაწყვიტეთ!

ასეთმა გულახდილმა წინადადებამ დააბნია ბანკირი, სტუმრების წასვლის შემდეგ ადგილს ვერ პოულობდა, ეჭვები ტანჯავდა—ანზორს და მის ხალხს საშუალება მიეცემა, ჩასწვდნენ საბანკო ოპერაციების ყველა საიდუმლოებას და დირექციას თავისი ნება უკარნახონ. ეს საიმედოობის გარანტიაც გაუგებარია: რას ნიშნავს ურთიერთპატივისცემა და ზეპირი შეთანხმება?

—ვიფიქრებ,—უთხრა მან მალიშევს.

რამდენიმე თვეს ფიქრობდა და მხოლოდ 1993 წლის 4 ნოემბერს დაურეკა, ზუსტად იმ დროს, როცა მალიშევი „როსსელხოზბანკის" გამგეობის თავმჯდომარის ნ. ლიხაჩოვის მკვლელობის შესახებ უსმენდა ინფორმაციას ტელევიზიით.

# დასკვნის მაგიერ

ყველგან, სადაც „გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა" იცავდა თავის ინტერესებს, ფარულად ყოველთვის მოქმედებდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურიც და ოპერატიული აღრიცხვის საქმეებში ასეთი გრიფით ტოვებდა კვალს—„სრულიად საიდუმლოდ". იგი ცხოვრების ყველა სფეროს გაკონტროლებას ესწრაფვოდა და რა თქმა უნდა, არ შეეძლო სერიოზული ყურადღება არ მიექცია „სოციალურად ახლობელი" ხალხისათვის. დროთა განმავლობაში გახუნებულ საბუთებს თუ გადავხედავთ, უბრალო საქაღალდეებში რომ ინახება სგულდაგულოდ, დავინახავთ, თუ რა მუშაობას ეწეოდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია დამნაშავეთა სამყაროს კონსოლიდაციისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. თუმცა იგი მხოლოდ ტაქტიკურად დარჩა მოგებული, რადგანაც სხვაგვარად მოაზროვნეთა კონტროლის კარგ საშუალებას კი მიაგნო, მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის სპეცსამსახურმა, საბოლოო ჯამში, სტრატეგიულად მაინც წააგო, რადგანაც საშინელი კრიმინალური მუტანტის—თანამედროვე პროფესიულ დამნაშავეთა სამყაროს გაჩენას შეუწყო ხელი.

და დღეს ეს ურჩხული ემზადება მკაცრად გააკონტროლოს საზოგადოების ყველა ინსტიტუტი. „მსოფლიო პროლეტარიატისაგან" განსხვავებით, რომელზეც კრემლის ავანტიურისტები ბოდავდნენ, ყველა ქვეყნის დამნაშავეთა კლანები საქმით მიისწრაფვიან ნამდვილი გაერთიანებისაკენ. ეს გლობალური კატასტროფა იქნება მსოფლიოსათვის.

ვფიქრობთ, რომ ახალი, დემოკრატიული რუსეთის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა უნდა მოინანიონ თავისი „ისტორიული ცოდვა" და ზღვარი დაუდონ ორგანიზებულ დანაშაულს. ეს არა მარტო უმწვავესი ეროვნული ამოცანაა, არამედ ვალიც მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე.

# კანონიერი ქურდების ქცევის თავისებურებანი

კანონიერი ქურდი—ეს არის ავტორიტეტი სისხლის სამართლის დამნაშავეთა გარემოდან, რომელიც კოლეგიალურადაა აღიარებული დამნაშავეთა სამყაროს სხვა ლიდერების მიერ და გავლილი აქვს „კურთხევის" ცერემონიალი—კანონიერ ქურდთა საზოგადოებაში მისთვის ქურდული უფლებამოსილების მინიჭების ფორმალური პროცესი. „კურთხევას" ატარებს სულ მცირე ორი ქურდი მაინც. ისინი მსჯელობენ „კანდიდატის" კრიმინალური გზის შესახებ, იხსენებენ, რით გამოიჩინა თავი, რწმუნდებიან, რომ იგი ქურდული ტრადიციების ერთგულია, აქვს ქურდული ელემენტების შეკავშირების უნარი, სწორად და „სამართლიანად" ჭრის კონფლიქტებს, სარგებლობს აბსოლუტური ავტორიტეტით თანამოაზრეთა შორის და შეუძლია „ობშიაკის" ორგანიზაცია. განხილვის დროს ირკვევა მთავარი: ხომ არ იყო შემჩნეული კანდიდატი სამართალდამცავ ორგანოებთან კავშირში, მუშაობდა თუ არა იგი სახელმწიფო დაწესებულებებში. შემდეგ ხელის მტევნებს გადააჭდობენ ერთმანეთს და დამნაშავეთა სამყაროსადმი ერთგულების ფიცს წარმოთქვამენ, ბოლოს თანამეგობრობაში მიღებულს ზედმეტსახელს აძლევენ. ცნობა ამ „კურთხევის" შესახებ ქურდული ფოსტით ვრცელდება მთელ ქვეყანაში.

რა თავისებურებებით გამოირჩევა კანონიერი ქურდის ქცევა?

1. კანონიერი ქურდი უნდა ცხოვრობდეს საზოგადოების ინტერესების გარეშე, მის მიმართ არ უნდა ჰქონდეს არავითარი ვალდებულებები, სოციალური კავშირები, არ უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებრივი ინსტიტუტების მუშაობაში, არ უნდა იზრუნოს მისი კეთილდღეობისა და განმტკიცებისათვის.

ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომით ქურდი თავს დამოუკიდებლად გრძნობს და დანაშაულებრივ გარემოში აბსოლუტური ავტორიტეტით სარგებლობს.

2. უარი თქვას სახელმწიფო ხელისუფლების სამსახურზე ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის დროს.

ამის გამოა, რომ არ შეიძლება კანონიერი ქურდი შეგნებულად თა-

ნამშრომლობდეს თავისი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სპეცსამსახურებთან. თუ გამოუვალ სიტუაციაში მოხვდა, ის ყოველთვის ორმაგად თამაშობს და ნებისმიერ შემთხვევაში ცდილობს, დანაშაულებრივი შემოსავალი მიიღოს.

ამით განისაზღვრება კანონიერი ქურდების „ინტერნაციონალიზმი".

3. კანონიერი ქურდი ყველაფერს სხვისი ხელით უნდა აკეთებდეს, უშუალოდ არ მონაწილეობდეს დანაშაულში და გაუფრთხილდეს ქურდული იდეების „კეთილშობილების" კომპრომეტაციას. ამიტომაა, რომ მათ ყოველთვის აკრავთ გარს მათგან დამოკიდებულ შემსრულებელთა წრე.

4. შემგუებულობის უნარი: კანონიერი ქურდები სწრაფად ცვლიან ტაქტიკას გარემოებათა მიხედვით. მაგ. პერმის ოლქში სპეციალურად კანონიერ ქურდებთან მუშაობისათვის შეიქმნა მკაცრი რეჟიმის გამასწორებელი კოლონია. ამან გამოიწვია, რომ ავტორიტეტები განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე დებდნენ ხელწერილს დანაშაულებრივ ტრადიციებზე უარის თქმასა და შსს ორგანოებთან თანამშრომლობაზე, რათა ჩვეულებრივ კოლონიაში გადაეყვანათ.

დამნაშავეთა სამყაროში ასეთი საქციელი ტაქტიკურ ილეთად ითვლება.

5. სიმკაცრე და ანგარიშის გასწორება განდგომილებისადმი.

ქურდულ კანონებზე უარის თქმა ღალატს უდრის და სასჯელი ერთია—სიკვდილი.

6. ურთიერთმხარდაჭერა და პატიოსანი ურთიერთობა— ისინი ერთმანეთისადმი თანასწორნი არიან.

ვინც ამ წესს არ იცავს, მკაცრად ისჯება. ამიტომ კანონიერი ქურდები ერიდებიან კონფლიქტებს, ერთმანეთის ავტორიტეტის შერყევას.

7. კანონიერი ქურდის „გმირული" სახე ხალხში. ის უნდა იყოს მამაცი, მკაცრი, თვითდაჯერებული, მშიშარა და სულით დაცემული ავტორიტეტი კარგავს უფლებამოსილებას.

8. კანონიერი ქურდი ანგარიშიანია, რადგან გამუდმებული კონფლიქტი აქვს გარემომცველ სამყაროსთან.

ავტორიტეტისთვის აუცილებელია მუდმივი ინფორმაცია ჰქონდეს არსებულ ვითარებაზე, თორემ იგი დამნაშავეთა სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე კონტროლის საშუალებას დაკარგავს და საბოლოო ჯამში—თავისი მოქმედების სფეროში გავლენასაც.

9. ყოველგვარი საკუთრების გარეგნული უგულვებელყოფა. კანონიერ ქურდს არა აქვს საკუთრების უფლება, მაგრამ მას შეუძლია განუსაზღვრელად, როგორც სურს, ისე ისარგებლოს დამნაშავე ელემენტების საკუთრებით.

# რეკეტიორების შესახებ

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიხსომოთ, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არასოდეს ექნებათ მოქალაქეების დამნაშავეთაგან ეფექტიანი დაცვის საშუალება. ეს პრობლემა იმდენად ღრმადაა ფესვგადგმული და ფართოდ გავრცელებული ხალხში, რომ მისი გაკონტროლება მხოლოდ ყაზარმული კომუნიზმის პირობებში შეიძლება. და რაც უფრო ადრე განთავისუფლდება საზოგადოება მომხმარებლური ფსიქოლოგიისაგან—ვიღაც მოვა და დაგიცავს, მით ნაკლები იქნება მსხვერპლი.

ზედმეტი არაა, იცოდეთ ქცევის ლოგოტიპები იმ შემთხვევისათვის, თუ რეკეტიორებთან შეხვედრა მოგიწევთ. პირველ რიგში, შიშმა არ უნდა შეგიპყროთ. თქვენ მოგაკითხეს გარკვეული მიზეზით და ეცადეთ დაარწმუნოთ, რომ ეს მიზეზი დაუსაბუთებელია. ოჯახზე, შვილებზე მუქარას მტკიცედ შეხვდით. გახსოვდეთ, რომ მუქარა ჯერ კიდევ არაა შესრულება. ნუ მიეცემით პანიკას. იცოდეთ, რომ რეკეტი —კრიმინალური სპეციალობის უმდაბლესი დონეა, სადაც მხოლოდ ხროვად მოქმედებენ და არა აქვთ ინდივიდუალური ოსტატობა, სიმტკიცე და მამაცობა. სერიოზულ სისხლის სამართლის დამნაშავეს, რეციდივისტს ეზიზღება რეკეტი და რეკეტიორები.

რეკეტისაგან თავის დაზღვევის პირველი საფეხურია ოფისის საიმედოდ დაცვა, კომერციული საიდუმლოების შენახვა, უფრო ეფექტური ხერხია „ამხანაგობაში" ან ელიტარულ კლუბში გაერთიანებულ მეწარმეთა მიერ კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა.

ნუ იჩქარებთ დათანხმდეთ მოთხოვნებს, თუ გრძნობთ, რომ არავისი არაფერი გმართებთ: თუკი ადვილად დაემორჩილებით გამომძალველებს, მაშინ სისტემატიურად მოგაკითხავენ, სანამ საბოლოოდ არ გაგაკოტრებენ. ყველაფერი აწონ-დაწონეთ და ეცადეთ, სანდო პირი მოძებნოთ მილიციისა და უშიშროების ორგანოების თანამშრომელთა შორის. თუ მახლობლად არის ზონა, როგორმე დაუკავშირდით დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტებს. ისინი არასოდეს გეტყვიან უარს, თუკი არაფერი დაგიშავებიათ და ნურც ნურავითარ შემთხვევაში იცრუებთ, რადგან ამით უბედურებას დაიტეხთ თავზე.

ნუ ეძებთ დამცველს იმისათვის, რომ არ გადაიხადოთ ვალი, ან

აღებული ვალდებულება არ შეასრულოთ, ნუ მოატყუებთ იმათ, ვისაც დახმარება სთხოვეთ, თორემ ორმაგად მოგიწევთ გადახდა.

რაკი ბიზნესს მოჰკიდეთ ხელი, დაუკვირდით, ვისთან ჯობს კავშირის დაჭერა.

თუ კაცს საიმედო რეკომენდაცია არა აქვს, საქმეს ნუ ანდობთ.

და ბოლოს, თუ უკვე დიდი ხანია, რაც შემოსავალს რეკეტიორებს უზიარებთ, გვიანაა დახმარების თხოვნა, საქმე დახურეთ.

# დამნაშავეთა სამყაროს ლიდერები *

1. ამოევი ანზორ ჯამის ძე, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „ვაზო", ნარკომანი.

2. ანკუდინოვი ვლადიმერ ანდრიას ძე, დაბადებული 1947 წელს, მეტსახელად „ხაზაიკა", დაავადებულია ტუბერკულოზით.

3. აიბიანი არამ ბროეს ძე, დაბადებული 1962 წელს, მეტსახელად „ჩიზო", ნარკომანი.

4. არუსთუმიანი ბორის თევდორეს ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „ბორია ბაკინსკი" და „ბოკა".

5. არშოკიანი არუთინ ლუდვიგის ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „არუტიკი".

6. ასათურიანი გაჩიკ ამაიაკის ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „გაჩიკი".

7. აჰაევი სოსლანბეკ ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1937 წელს, მეტსახელად „კოსორი" და „მექსიკანეცი", ნარკომანი, სასჯელის ვადა უმთავრდება 5. 09. 1995 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული.

8. ანამუხამედოვი ხოჯა, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ხოჯა", სასჯელის ვადა უმთავრდება 28.06.1997 წ. რეჟიმი—მკაცრი.

9. ალანია ვაჟა ბიქტორის ძე, დაბადებული 1938 წელს, მეტსახელად „კაჩო".

10. აგაფონოვი ალექსანდრე ვიქტორის ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „ტიმოხა".

11. ამილიანი ედუარდ გრიგოლის ძე, დაბადებული 1926 წელს, მეტსახელად „მოსკვა".

---

* ქვეყნდება პირველად. კანონიერი ქურდების ეს მაქსიმალურად სრული სია უკანასკნელ ხანებამდე სამართალდამცავი ორგანოების ოპერმუშაკებსაც არ ჰქონდათ.

რუსული გამოცემის გამოსვლიდან დღემდე აქ ჩამოთვლილთაგან ზოგი უკვე ცოცხალი აღარაა, მათ გვარებს სიაში მაინც ვტოვებთ, ისე, როგორც რუსულ ტექსტშია.

გვარებს, სახელებსა და მამის სახელებს ვთარგმნით, და ვწერთ ისე, როგორც ამას ქართული ენის ბუნება მოითხოვს, ხოლო მეტსახელები უცვლელად გადმოვაქვს.

12. აგრბა რომან ივანეს ძე, დაბადებული 1964 წელს, მეტსახელად „რომა აბხაზსკი".

13. არაქელიანცი არტემ სტეფანეს ძე, დაბადებული 1933 წელს, მეტსახელად „არტემ კრასნოვოდსკი".

14. ალიევი რაფიკ რაშ-ოღლი, მეტსახელად „რაფიკი", სასჯელის ვადა უმთავრდება 22.10.1996 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული.

15. აბესაძე ნიკოლოზ ივანეს ძე, დაბადებული 1966 წელს, მეტსახელად „ნუკრი".

16. არუთინიანი იგორ იურის ძე, დაბადებული 1962 წელს, მეტსახელად „იგორ ბაკინსკი".

17. ამიროვი იური ჯაფარის ძე, დაბადებული 1955 წელს, მეტსახელად „ამირი".

18. ახმედოვი ტოფიკ ალის ძე, დაბადებული 1951 წელს.

19. ბარკალაია ვაჟა ელიზბარის ძე, დაბადებული 1937 წელს, მეტსახელად „ვაჟა", მეორე ჯგუფის ინვალიდი.

20. ბარცოა რაულ ზოსიმეს ძე, დაბადებული 1966 წელს, ზონაში ავტორიტეტი არ ქონია.

21. ბორისოვი ვლადიმერ ანდრიას ძე, დაბადებული 1942 წელს, მეტსახელად „ვერიოვკა".

22. ბურდეინი ალექსანდრე სერაფიმის ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „კაზაჩოკი".

23. ბუხნიკაშვილი რევაზ ვლადიმერის ძე, დაბადებული 1952 წელს, მეტსახელად „პეწო". სასჯელის ვადა უმთავრდება 15.10.2000 წელს, ქართული დაჯგუფების ლიდერი ქ. ვლადიმირის ციხეში.

24. ბურჭულაძე მურად ულის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „მურაშკა".

25. ბასარია გენო არსენტის ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „მილანეცი", სასჯელის ვადა უმთავრდება 13.03.1995 წ. რეჟიმი-მკაცრი.

26. ბიგანიშვილი ვაჟა არჩილის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ვაჟა".

27. ბაშტაპოვი ვალერი ასკარის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ვალერა ტატარინ", სასჯელის ვადა უმთავრდება 9.06.1996 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული.

28. ბეზნოგოვი ალექსანდრე სერგის ძე, მეტსახელად „ოგონიოკი".

29. ბარასამე გივი ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1928 წელს, მეტსახელად „გივი", „დედუშკა".

30. ბაღდასარიანი იური გრიგოლის ძე, დაბადებული 1954 წელს,

დაავადებულია ტუბერკულოზით.

31. ბარგესიანი რუბიკ ინდრონიკეს ძე, დაბადებული 1950 წელს, მეტსახელად „რუბო".

32. ბაჯელიძე ანზორ დავითის ძე, დაბადებული 1941 წელს, მეტსახელად „ანზორი".

33. ბუზულუცკი ვასილ იოსების ძე, დაბადებული 1932 წელს.

34. ბალახმედოვი ალი მამედ-ოღლი, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „იაშა ბაკინსკი".

35. ბუწუკური თამაზ მათეს ძე, დაბადებული 1962 წელს, მეტსახელად „თამაზი".

36. ბალამოვი გურამ მიხეილის ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „გურამი".

37. ბარსანუკაევი ალის დოკკას ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „ალისი".

38. ბარბიშევი ვლადიმერ გრიგოლის ძე, დაბადებული 1937 წელს, მეტსახელად „ლისაკი", სასჯელის ვადა უმთავრდება 30.06.1997 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული.

39. ბარსაგიანი ნიკოლ ტიგრანის ძე, დაბადებული 1949 წელს, მეტსახელად „ნიკოლი".

40. ბიტკაში გივი ფადიუმის ძე, დაბადებული 1937 წელს, სასჯელის ვადა უმთავრდება 2.10.1995 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული.

41. ვარდანიანი ედუარდ მიგრატის ძე, დაბადებული 1945 წელს. მეტსახელად „ედიკი", „ვასო".

42. ღვინჯილია გივი გიორგის ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „გიჯა ნოსა", სასჯელის ვადა უმთავრდება 2.09.2000 წ. რეჟიმი—მკაცრი, ქ. ვლადიმირის ქურდების მიერ ქურდად აღიარებული არ არის.

43. გოგუა ზურაბ ილიას ძე, დაბადებული 1949 წელს, მეტსახელად „ზურიკო".

44. გოლუბკოვი ივანე ილიას ძე, დაბადებული 1942 წელს.

45. გვინცაძე რეზო მურზაბეგის ძე, დაბადებული 1952 წელს, მეტსახელად „რეზო".

46. გოგოლაშვილი თეიმურაზ რევაზის ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „თემური".

47. გეგეჭკორი ამირან ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1953 წელს, მეტსახელად „ამირანი", ნარკომანი, სასჯელის ვადა უმთავრდება 25.06. 1995 წ. რეჟიმი—მკაცრი.

48. გაფაროვი სერგეი ალის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახე-

ლად „სერი", პატიმრობიდან გაიქცა ნარკომანებისათვის.

49. გარბუზოვი ვიქტორ ალექსის ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „ნოვო-ჩერკასსკი", „კურსკი".

50. გაბუნია თემურ აგაბოს ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „თემური".

51. გაისანოვი რევაზ ვალერიანის ძე, დაბადებული 1942 წელს, მეტსახელად „კნიაზი", „რუსლანი", ნარკომანი.

52. ღლონტი რევაზ ვალერიანის ძე, დაბადებული 1942 წელს, მეტსახელად „ყაზბეგი".

53. ღუდუშაური პაატა ვალერიანის ძე, დაბადებული 1962 წელს, მეტსახელად „სკოტი".

54. გადაბორშევი ასლანბეკ სულთანის ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „ასლანი".

55. ღვაჯალია გურამ მიხეილის ძე, დაბადებული 1955 წელს, მეტსახელად „გურამ ტბილისსკი".

56. გორგიშელი პაატა ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „პაატა მალენკი".

57. ღლონტი გიორგი ვასილის ძე, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „კოკილო".

58. გასიმოვი ზაქირ ალა ჰუსეინ-ოღლი, დაბადებული 1958 წელს, მეტსახელად „ზაქირი".

59. გასანოვი ნატიკ მირზა-ოღლი, დაბადებული 1955 წელს, მეტსახელად „ნატიკი".

60. ჰუსენიოვი ვალეხ ჰაჯიბალა-ოღლი, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „ვალერა ბაკინსკი".

61. გულარია რუსლან ლეონიდეს ძე, დაბადებული 1965 წელს, მეტსახელად „რუსლან სედოი".

62. გროზინი კონსტანტინე ილიას ძე, დაბადებული 1925 წელს, მეტსახელად „კოსტა გროდნენსკი".

63. ჯანგველაძე მერაბ გიორგის ძე, დაბადებული 1955 წელს, მეტსახელად „მერაბი".

64. დავითულიანი აკაკი რევაზის ძე, დაბადებული 1953 წელს, მეტსახელად „კაკულა", ნარკომანი.

65. ჯანყარაშვილი უშანგი ივანეს ძე, დაბადებული 1946 წელს, მეტსახელად „გივი".

66. ჯინგველაშვილი ნოდარ დემურის ძე, დაბადებული 1958 წელს, სასჯელის ვადა უმთავრდება 29.08.1995 წ., რეჟიმი—მკაცრი.

67. ჯახაია. თეიმურაზ კლიმენტის ძე, დაბადებული 1950 წელს, მეტ-

სახელად „თემური", კანონიერ ქურდად აკურთხეს პოკროვის ციხეში.

68. ჯანაშია ვალერიან ბორისის ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „ვალტერი".

69. დმიტრიევი ევგენი ვლადიმერის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ჟენია აზიატი", სასჯელის ვადა უმთავრდება 01.12.1999 წ. რეჟიმი — განსაკუთრებული.

70. რასოიანი სუდო კაროს ძე, დაბადებული 1953 წელს, მეტსახელად „სუდო".

71. გოგალაშვილი ოლეგ პავლეს ძე, დაბადებული 1959 წელს.

72. გრიგორიევი ევგენი ივანეს ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „ჟმეკი".

73. გოროდეიჩიკი გრიგოლ ვლადიმერის ძე, დაბადებული 1950 წელს, მეტსახელად „გრიშა ბაკინსკი".

74. გრიგორიანი არტურ სერგის ძე, დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „არტური", სასჯელის ვადა უმთავრდება 25.12.1995 წ. რეჟიმი — მკაცრი.

75. გულუასიანი რაზმიკ ბაგრატის ძე, დაბადებული 1953 წელს, მეტსახელად „ბაგრატოვიჩი".

76. გოგიაშვილი ნოდარ ესტატეს ძე, დაბადებული 1935 წელს, მეტსახელად „ნოდარი", „წაულა", მე-2 ჯგუფის ინვალიდი.

77. გრანინი კონსტანტინე ლეონიდის ძე, დაბადებული 1967 წელს, მეტსახელად „კოტი".

78. დუმოევი თენგიზ მიხეილის ძე, დაბადებული 1955 წელს.

79. დონცოვი ანატოლი სტეფანეს ძე, დაბადებული 1936 წელს.

80. ჯეირანაშვილი ვიტალი დიანოზის ძე, დაბადებული 1955 წელს, მეტსახელად „ვიტალიკი".

81. ეგოროვი ალექსანდრე იურის ძე, დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „ეგორი".

82. ელქანიშვილი თეიმურაზ შალვას ძე, დაბადებული 1963 წელს, მეტსახელად „მურზიკი".

83. ელერჯია გიორგი სანდროს ძე, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „გია".

84. ერმოლინი ვლადიმერ ივანეს ძე, დაბადებული 1931 წელს, მეტსახელად „ჩორნი".

85. ზახაროვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „ზახარი".

86. ზენცოვი ევგენი ათანასეს ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „მოლდოვანი", „ბრიანსკი".

87. ზაგოროდნიკოვი ალექსანდრე ვასილის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ხრიაკი", ნარკომანი.

88. ივანკოვი ვიაჩესლავ კირილეს ძე, დაბადებული 1940 წელს, მეტსახელად „იაპონჩიკი", სასჯელის ვადა უმთავრდება 4.11. 1995 წელს, რეჟიმი—მკაცრი.

89. იობიძე როსტან სერგოს ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „რონი-მალიში".

90. ისოიანი მურაზ ბაქრის ძე, დაბადებული 1958 წელს, მეტსახელად „აბულიკი".

91. ილარიონოვი იური იურის ძე, დაბადებული 1965 წელს, მეტსახელად „ლარიკი".

92. ქეცბაია ზაზა კარლოს ძე, დაბადებული 1954 წელს.

93. ისმაილოვი ნაზიმ მუსა-ოღლი, დაბადებული 1953 წელს, მეტსახელად „ნაზიმი".

94. კვარაცხელია ოთარ ჯევეთის ძე, დაბადებული 1963 წელს, მეტსახელად „კიმო", სასჯელის ვადა უმთავრდება 08.06.1994 წ. რეჟიმი—მკაცრი.

95. კოლოევი მურატ ბორისის ძე, დაბადებული 1962 წელს, მეტსახელად „მურატი", „მურიკი", სასჯელის ვადა უმთავრდება 05.11.1996 წ. რეჟიმი—მკაცრი.

96. კუსაინოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, მეტსახელად „პანკრატი".

97. კვარაცხელია როლანდ ლეონტის ძე, დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „რუსო".

98. კადამშოევი კადამშო უფათშოს ძე, დაბადებული 1963 წელს, მეტსახელად „პამირი", სასჯელის ვადა უმთავრდება 20.04.1994 წ. რეჟიმი—გაძლიერებული.

99. კელიშიანი ეფრემ გურგენის ძე, დაბადებული 1958 წელს.

100. კარაბულატი მათე დემიანის ძე, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „მატვეი".

101. კისელიოვი ვალერი გენადის ძე, დაბადებული 1963 წელს.

102. კარაპეტიანი სამველ გრაჩიკის ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „სამველი".

103. ყოლბაია მაკუკუ ბორისის ძე, დაბადებული 1964 წელს.

104. კუდრიავცევი ვლადიმერ პეტრეს ძე, დაბადებული 1932 წელს, მეტსახელად „ოდესა".

105. კაციაშვილი დავით გურამის ძე, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „დათო", „დათო რიჟა".

106. ყორიაული ამირან ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1956 წელს,

მეტსახელად „ბესიკი“.

107. კრავცოვი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1949 წელს, მეტსახელად „კრავეცი“, სასჯელის ვადა უმთავრდება 09.05.1995 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული.

108. ქუთათელაძე სერგო ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1949 წელს, მეტსახელად „ბაიკო“.

109. ქაროსანიძე დემურ შალვას ძე, დაბადებული 1941 წელს.

110. კრასილოვსკი ბორის მიხეილის ძე, დაბადებული 1952 წელს, მეტსახელად „ჟიდი“.

111. კოზირევი ვიტალი იურის ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „ვიტალიკ ოსეტინ“.

112. ქობალია თენგიზ აუთის ძე, დაბადებული 1962 წელს, მეტსახელად „თენგიზი“.

113. ქუჩუბერია თენგიზ არჩილის ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „თენგიზი“.

114. კატერაშვილი დავით სერგოს ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „დათო“.

115. კაჭარავა ტარიელ ალექსის ძე, დაბადებული 1963 წელს, მეტსახელად „ტარიელი“.

116. კოვტუნოვი ვლადიმერ ივანეს ძე, დაბადებული 1940 წელს, მეტსახელად „ვედიკი“.

117. ქვეთია გაიოზ შამილის ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „გაიოზი“, სასჯელის ვადა უმთავრდება 30.06.1995 წ. რეჟიმი—მკაცრი.

118. კოროჩკინი ვიქტორ ვასილის ძე, დაბადებული 1953 წელს, მეტსახელად „ნიკოლსკი“.

119. კოროსტილევი ვიქტორ ნიკოლოზის ძეს, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „კუროსტილი“.

120. კუკუიანი სურენ ანუშვანის ძე, დაბადებული 1936 წელს, მეტსახელად „სერი“.

121. ქვარაია ლავრენტი ლეონტის ძე, დაბადებული 1950 წელს, მეტსახელად „ლენჩიკი“.

122. კოჩინოვი ვლადიმერ ბიქტორის ძე, დაბადებული 1947 წელს, მეტსახელად „პაცო“.

123. კეკელია სოსო დიმიტრის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „სოსო“, სასჯელის ვადა უმთავრდება 13.03.1995 წ. რეჟიმი—მკაცრი.

124. კესულაძე იაკობ მირჩკოს ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახე-









ლად „როლანი".

125. კუცნაშვილი ავთანდილ ტარიელის ძე, მეტსახელად „ავთო".

126. კოშელევი ვალენტინ ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1941 წელს, მეტსახელად „კოშელი".

127. ქოჩლაძე ბორის ერმილეს ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „როლანდი".

128. ლომთაძე გოდერძი ირაკლის ძე, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „გოჩა".

129. ლომაშვილი ამირან ვახტანგის ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „ამირანი".

130. ლომიძე ავთანდილ შოთას ძე, დაბადებული 1948 წელს, მეტსახელად „ავთო".

131. ლიადოვი იური სტანისლავის ძე, მეტსახელად „გორბატი".

132. მირზოევი აივაზ ფარამაზის ძე, დაბადებული 1940 წელს, მეტსახელად „ჩიპია".

133. მიქელაძე ჯემალ ვარლამის ძე, დაბადებული 1941 წელს, მეტსახელად „არსენი", ნარკომანი.

134. მამუტოვი კენგესბაი, დაბადებული 1942 წელს, მეტსახელად „კასიმი".

135. მესხიშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „თამაზი".

136. მამედოვი მირონ ჯამის ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „მირონი".

137. მერკუშევი ივანე გიორგის ძე, დაბადებული 1927 წელს, მეტსახელად „დიადია ვანია" და „მასკვა".

138. მაისურაძე დავით ნოდარის ძე, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „დათო".

139. მურადიანი ჯემალ კამას ძე, დაბადებული 1963 წელს, მეტსახელად „ჯემალი", სასჯელის ვადა უმთავრდება 22.05.1995 წ. რეჟიმი—გაძლიერებული.

140. მულაჯანოვი ხაიკა, დაბადებული 1931 წელს, მეტსახელად „ხაიკა".

141. მაღლაფერიძე მერაბ შოთას ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „მერაბი".

142. მამედოვი ვაჰიდ რაჯაბ-ოღლი, დაბადებული 1950 წელს, მეტსახელად „ვაჰიდი".

143. მარტიროსიანი ვლადიმერ მათევოსის ძე, მეტსახელად „ვეტლაგვოვა".

144. მამედოვი აბდულა ჰაფიზ-ოღლი, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „აბდულიკი".

145. მერაბიშვილი ანზორ იოსების ძე, დაბადებული 1936 წელს, მეტსახელად „ანზორი", „კულტია".

146. მარქარიანი გრანტ ნერსესის ძე, დაბადებული 1932 წელს, მეტსახელად „გამბელი", „ანდიკი".

147. მუხტაროვი იქმეთ მამედყული-ოღლი, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „იქმეთი".

148. მეჟიევი ვაჟა ხასუს ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „ვაჟა".

149. მატიუნინი ალექსი ივანეს ძე, დაბადებული 1952 წელს, მეტსახელად „ლესიკი".

150 მეხტიევი ალადინ აბას-ოღლი, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ალადინი".

151. მიქაძე ოთარ ოთარის ძე, დაბადებული 1950 წელს, მეტსახელად „ჭიჭყინა".

152. მაღუროვი ვიქტორ ომარის ძე, დაბადებული 1965 წელს, მეტსახელად „პესიკი".

153. მდივანი თენგიზ ბეჟანის ძე, დაბადებული 1956 წელს, სასჯელის ვადა უმთავრდება 3.08.2000 წ.

154. მანთაშოვი ბიჭიკო იოსების ძე, დაბადებული 1931 წელს, მეტსახელად „ბიჭიკო".

155. მანაგაძე მიხეილ აპოლონის ძე, დაბადებული 1947 წელს, მეტსახელად „მიხი", სასჯელის ვადა უმთავრდება 5.05.1997 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული.

156. მუმლაძე ნოდარ სერგოს ძე, დაბადებული 1953 წელს, მეტსახელად „რიჟა", „ნოდარი".

157. მიქაბერიძე ვახტანგ სულიკოს ძე, დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „ვატული".

158. მარქაროვი ვლადისლავ იშხანის ძე, დაბადებული 1945 წელს, მეტსახელად „ცაპლია".

159. მამედოვი ნეიმატ ალავერდი-ოღლი, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „იაშა ბაკინსკი".

160. მიხაილოვი ვიქტორ ვასილის ძე, დაბადებული 1950 წელს, მეტსახელად „ამბალი".

161. მეგრელიშვილი ელიზბარ დავითის ძე, დაბადებული 1951 წელს.

162. მიმინოშვილი ჯანსულ იურის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ჯანო".

163. მისაილოვი გენადი ალექსანდრეს ძე, დაბადებლი 1960 წელს, მეტსახელად „სოლენი“.

164. მამოტინი სერგეი ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1949 წელს, მეტსახელად „სერიოჟა მამოტა“:

165. მეზიუკი ვალერი გრიგოლის ძე, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „გეროი“.

166. მონიავა ვასილ ლევანის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ვასია“.

167. მამაცაშვილი მალხაზ ივანეს ძე, დაბადებული 1957 წელს.

168. მილორავა მურმან აბესალოს ძე, დაბადებული 1961 წლს, მეტსახელად „მურმანი“.

169. მსტოიანი მიხეილ შალიმის ძე, დაბადებული 1948 წელს.

170. ნაჭყებია გონელი ტუტუშას ძე, დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „გონელი“.

171. ნარიმანიძე ბადურ გურამის ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „ბადური“.

172. ნადოიანი დავით ისკარის ძე, დაბადებული 1965 წელს, მეტსახელად „დათო“.

173. ონიანი ტარიელ გურამის ძე, დაბადებული 1958 წელს.

174. ორეხოვი ვიქტორ პეტრეს ძე, დაბადებული 1937 წელს, მეტსახელად „არეხი“.

175. ოქროპირიძე თამაზ მიხეილის ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „თამაზი“, სასჯელის ვადა უმთავრდება 10.04.2001 წელს, რეჟიმი—მკაცრი.

176. ორლოვი ვლადიმერ ვიქტორის ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „არიოლი“, სასჯელის ვადა უმთავრდება 16.07.1994 წ.რეჟიმი—მკაცრი.

177. ოდიშარია გურამ გულიკოს ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „ბუია“, სასჯელის ვადა უმთავრდება 1.02.1996 წ. რეჟიმი—მკაცრი.

178. ფანჩვიძე დავით ელდარის ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „დავითი“.

179. ფახურიძე დავით მინას ძე, დაბადებული 1937 წელს, მეტსახელად „მინაგო“ და „მაიკი“.

180. ფიფია გოგა არჩილის ძე, დაბადებული 1965 წელს, მეტსახელად „გოგა“.

181. ფოცხიშვილი დავით გურამის ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „დათო“.

182. პერშინი ევგენი ანატოლის ძე, დაბადებული 1953 წელს, მეტსა-

ხელად „პეშკა". სასჯელის ვადა უმთავრდება 13.09.1995 წელს.

183. პილიდი მათე მეტსახელად „მატვეი" და „გრეკი".

184. პაატაშვილი ნატან ამბროსიმეს ძე დაბადებული 1945 წელს, მეტსახელად „ნატანი".

185. რიაზანცევი გენადი მიხეილის ძე დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „რიაზანეცი".

186. რეშეტნიაკი ლეონიდ ივანეს ძე დაბადებული 1939 წელს.

187. რასოიანი კნიაზ ხანას ძე, დაბადებული 1956 წელს.

188. რუხაძე გიორგი სიმონის ძე დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „ყორა", სასჯელის ვადა უმთავრდება 21.04. 1994 წ. რეჟიმი—მკაცრი.

189. რუსიძე დიმიტრი შოთას ძე დაბადებული 1964 წელს.

190. როგავა ჯონი მიხეილის ძე, დაბადებული 1943 წელს, მეტსახელად „ჯონი".

191. რიყაძაძე ჯემალ ბიქტორის ძე დაბადებული 1950 წელს.

192. რილოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დაბადებული 1958 წელს, მეტსახელად „კოლკა იჟევსკი".

193. რეშეტოვი ალექსანდრე გენადის ძე

194. რომაშვილი ვაჟა რომანის ძე დაბადებული 1963 წელს, მეტსახელად „ვაჟა".

195. როსტომიანი არუთინ სარქისის ძე დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „არუტი", სასჯელის ვადა უმთავრდება 29. 10. 1994წ., რეჟიმი—მკაცრი.

196. რომანოვი პაველ ანატოლის ძე დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „ბანზაი".

197. სიჭინავა თემურ ბონდოს ძე დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „თენგიზი", სასჯელის ვადა უმთავრდება 13. 03. 1995 წ., რეჟიმი—მკაცრი.

198. სილაგაძე ვალერი მიხეილის ძე დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ვალერა სუხუმსკი"და „კრასავჩიკ".

199. სილიჩი სტეპან სტეპანის ძე დაბადებული 1924 წელს, მეტსახელად „სილიჩი".

200. სტეპანიანი აშოტ ართავაზის ძე დაბადებული 1955 წელს, მეტსახელად „აშოტი".

201. სინატაშვილი თეიმურაზ გივის ძე დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „მერაბი".

202. სტურუა ვიქტორ გერონტის ძე დაბადებული 1948 წელს, მეტსახელად „ბიხტია" და „ვიქტორი".

203. სტრაცნიკოვი პაველ გრიგოლის ძე დაბადებული 1916 წელს,

მეტსახელად „სტრაჟნიკი“ და „აშა“.

204. სარალიძე გიორგი გიორგის ძე, დაბადებული 1958 წელს, მეტსახელად „გია“.

205. სიდორენკო ვიქტორ ბორისის ძე, დაბადებული 1930 წელს, მეტსახელად „კუკლა“.

206. სოკოლოვი რუსლან ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „დოკა“ და „რუსლანი“.

207. სვინუხოვი ლეონიდ ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1944 წელს, მეტსახელად „ლენჩიკ ტრიასი ბაშკა“.

208. სტოლიაროვი გენადი ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1954 წელს, სასჯელის ვადა უმთავრდება 19.11.1994 წელს, რეჟიმი—განსაკუთრებული.

209. სოხაძე ნიკოლოზ სპირიდონის ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „კოკი“.

210. სარქიევი ილიას აბდურაჰიმის ძე, დაბადებული 1945 წელს, მეტსახელად „ვოვჩიკ სირა“.

211. საფარიანი კამო რაჩიკის ძე, დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „კამო“.

212. სემიონოვი ვალერი ბორისის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „სემიონი“.

213. ტერ-პოღოსიანი რაზიკ ვარდანის ძე, დაბადებული 1936 წელს.

214. თემურსულთანოვი უვაის აბუსულთანის ძე, დაბადებული 1957 წელს.

215. ტურკინი ანდრეი ვიქტორის ძე, დაბადებული 1962 წელს.

216. ტაგიევი თამაზ ჰასანის ძე, დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „გარინსკი“.

217. თალაკვაძე ოთარ ტატეს ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „ოთარი“.

218. ტარბა ვალერი ვლადიმერის ძე, დაბადებული 1949 წელს, მეტსახელად „მატორნი“, სასჯელის ვადა უმთავრდება 14.08.1996 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული.

219. ტიხონოვი სერგეი ივანეს ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „ტიხონი“.

220. თვალჭრელიძე პაატა ფრიდონის ძე, დაბადებული 1959 წელს, მეტსახელად „პაატა მალენკი“.

221. თედიაშვილი შალვა ვალიკოს ძე, დაბადებული 1967 წელს, მეტსახელად „მამუკა“, სასჯელის ვადა უმთავრდება 20.05.1995, რეჟიმი— მკაცრი.

222. ტერენტიევი სერგეი ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „ბოგომაზი".

223. ტასმაზიანი ვიტალი ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1946 წელს, მეტსახელად „პაპა" და „ხაზი".

224. ტაბაღუა მერაბ ვალიკოს ძე, დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „მუხა".

225. ტერ-სააკიანი რარუშან გრიგოლის ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „ბალგარინი".

226. უგრეხელიძე როინ ნოეს ძე, დაბადებული 1952 წელს, მეტსახელად „როინი".

227. უსოიანი ასლან რაშიდის ძე, დაბადებული 1937 წელს, მეტსახელად „ხასანი".

228. ფარიზოვი თენგიზ ვალენტინის ძე, დაბადებული 1953 წელს, მეტსახელად „ტრეზორი".

229. ხაბიბულინი ფარიდ კაბირის ძე, დაბადებული 1948 წელს, მეტსახელად „ფარიდ კაზანსკი", სასჯელის ვადა უმთავრდება 24.02.2002 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული.

230. ხაჭაპურიძე თენგიზ ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „ხაჭოა" და „ტენგიზ კუტაისსკი", ნარკომანი.

231. ხუბაშვილი ვალერი არტემის ძე, დაბადებული 1941 წელს, მეტსახელად „ვალერა ტიფლისსკი".

232. ხუდოიანი გიორგი შამილის ძე, დაბადებული 1954 წელს.

233. ხეირანოვი ლევან მიხეილის ძე, დაბადებული 1958 წელს.

234. ჩარატრიანი ვაჰან არიკის ძე, დაბადებული 1949 წელს, მეტსახელად „ვასკა არმიანი".

235. წიუბა სტანისლავ ლეონიდის ძე, დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „პაკა".

236. ცხვიტავა გიორგი გიორგის ძე, დაბადებული 1962 წელს, მეტსახელად „გივი".

237. ციხელაშვილი დათიკო პავლეს ძე, დაბადებული 1951 წელს, მეტსახელად „დათო".

238. ცანდეკოვი არკადი გრიგოლის ძე, დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „არკანი" და „არკაშკა", სასჯელის ვადა უმთავრდება 27.11.1994 წელს, რეჟიმი—განსაკუთრებული.

239. ცვგოევი ხაზბი სერგოს ძე, დაბადებული 1950 წელს, მეტსახელად „ყაზბეგი".

240. ცინცაძე ალბერტ გერონტის ძე, დაბადებული 1941 წელს, მეტსახელად „მიხო".

241. წულუკიძე ზანდი ანდროს ძე დაბადებული 1947 წელს, მეტსახელად „ზანდი“, სასჯელის ვადა უმთავრდება 12.04.2001 წ. რეჟიმი-განსაკუთრებული.

242. ცომაია ტარიელ სტარის ძე დაბადებული 1955 წელს, მეტსახელად „ჩაჩო“.

243. ცხვირაშვილი ბორის კალისტრატეს ძე, დაბადებული 1949 წელს, მეტსახელად „ბორია გრუზინ“.

244. ცერცვაძე ტარიელ სერგოს ძე დაბადებული 1961 წელს.

245. ჩერნიგოვი ივანე ტიხონის ძე დაბადებული 1934 წელს, მეტსახელად „ივან რუკა“.

246. ჩაჩანიძე ვახტანგ გიორგის ძე დაბადებული 1950 წელს.

247. ჩიქოვანი კოკი კონსტანტინეს ძე დაბადებული 1938 წელს, მეტსახელად „კოკინია“.

248. ჩატრიკაშვილი დავით ელგუჯას ძე, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „დათო“, „ჩიტა“ და „ჩიტრაკი“, სასჯელის ვადა უმთავრდება 27.08.1995 წ. რეჟიმი—მკაცრი.

249. ჩლაიძე პაატა გაიოზის ძე დაბადებული 1955 წელს, მეტსახელად „პაატა ბალშოი“, მე-2 ჯგუფის ინვალიდი.

250. ჭეიშვილი მერაბ გიორგის ძე, დაბადებული 1961 წელს.

251. ჩერნიკოვი ვიაჩესლავ პეტრეს ძე დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „სლავკა ტამბოვსკი“.

252. ჭიჭინაძე თენგიზ გურამის ძე, დაბადებული 1962 წელს, მეტსახელად „თენგიზი“.

253. შმიდტი ევგენი პავლეს ძე დაბადებული 1920 წელს.

254. შევჩენკო ანატოლი გრიგოლის ძე, დაბადებული 1958 წელს, მეტსახელად „შევჩიკი“.

255. შუშანაშვილი ლაშა პავლეს ძე დაბადებული 1961 წელს, მეტსახელად „ლაშა რუსტავსკი“.

256. შიდაკოვი აუბექარ ჩანკის ძე. დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ალტინი“.

257. შიშკინი ლევ ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1946 წელს, მეტსახელად „ლევა პენზიაკი“.

258. შაისუტდინოვი ფანილ კანზელგანის ძე დაბადებული 1954 წელს, მეტსახელად „აფონია“.

259. შირიმოვი ზოჰრად შერიმ-ოღლი, დაბადებული 1960 წელს, მეტსახელად „ზოხრადი“, სასჯელის ვადა უმთავრდება 4.03.1995 წ. რეჟიმი—მკაცრი.

260. შავრეშიანი მევლუდ გელას ძე დაბადებული 1951 წელს.

261. შჩელოკოვი ვლადიმერ სერგის ძე დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ალმაზი".

262. ეხვაია ვახტანგ ორდენის ძე დაბადებული 1957 წელს, მეტსახელად „ვახტანგი", „ვახა".

263. ერჩეილიძე ნუგზარ შოთას ძე დაბადებული 1956 წელს, მეტსახელად „ნუგზარი". სასჯელის ვადა უმთავრდება 20.01.2002 წელს, რეჟიმი—განსაკუთრებული

264. ებრალიძე ამირან შოთას ძე დაბადებული 1946 წელს, მეტსახელად „ამირან ლანჩხუთსკი", სასჯელის ვადა უმთავრდება 20.12.1997 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული, ნარკომანი

265. იუსუპოვი ოლიმ, დაბადებული 1938 წელს, მეტსახელად „დედ".

266. იაკუშკინი ვლადიმერ მიხელის ძე დაბადებული 1952 წელს, მეტსახელად „უზბეკი", სასჯელის ვადა უმთავრდება 3.02.1995 წ. რეჟიმი—განსაკუთრებული

# შ ი ნ ა ა რ ს ი


პატივცემულო მკითხველო 3
წინათქმის მაგიერ 6
შესავალი 8
ოქრო 28
ზონა. სურათები გამოფენიდან 40
აგენტის შეგზავნა 51
ზონა და ავტორიტეტები 67
რეკეტი: სატანკო რეიდი 82
სუკის საიდუმლო იარაღი 86
სათადარიგო ვაზნა 91

სახელმწიფო უშიშროების
სამსახურის შეფები 100
გამოუცნობი სამმართველო 109
„გულაგის" სკოლა 118

„ფორთოხლები".
ტაქტიკის შეცვლა 121

პირველი სისხლი, განხეთქილება
დამნაშავეთა სამყაროში 126

„ქურდბაცაცა გამოვიდა ნისლიდან"...
ინტრიგები და ხოცვა-ჟლეტა 133
ქურდული სამყარო 145
ბანკირის მკვლელობა 159
დასკვნის მაგიერ 165

დ ა ნ ა რ თ ი
კანონიერი ქურდების
ქცევების თავისებურებანი 166
რეკეტიორების შესახებ
დამნაშავეთა 167
სამყაროს ლიდერები 170

რედაქტორები: ელგუჯა თავბერიძე
თემურ ამყოლაძე

გადაეცა წარმოებას 1. 02. 95,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 02. 95
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,75
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,25
შეკვეთის №272
ტირაჟი 21000

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მოწამეთა",
ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. №6

სააქციო საზოგადოება
ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის №5 სტამბა